

ქრემან ლენე

ემოკესანი



ცნობილმა თანამედროვე ფრანგმა მწერალმა არმან ლანუშ მდიდარი დოკუმენტური მასალის საფუძველზე შექმნა რეალისტური მწერლობის ერთ-ერთი უთვალსაზნის წარმომადგენლის — გი დე მობასანის — საინტერესო მეცნიერულ-მხატვრული ზიოგრაფია. წიგნში წარმოჩენილია ძთული შინაგანი საბყარო გამოჩენილი ფრანგი მწერლისა, რომედიც თავის შემოქმედებაში გაბედულად ამხილვბდა ბურჟუაზიული საზოგადოების ზნე-ჩვეულებებს.

თარგმნა თ ე ნ ბ ო ზ ჩ ხ ა ო ძ ე მ

## ნაწილი პირველი

### მტრების კდლოვანი ნაკირი

ის, ვისაც უძღვევდი ძაღვით იზიდავს წყალი,  
თავბრუსვევისადრია მიდრეკილი.

გ ა ს ტ ო ნ ბ ა შ ე ლ ა რ ი

1

მორღმენილი თუ ფეხადი? — 1850 წ. 5 აგვისტო: რუმანოვიკოვი და-  
ბადევა. — ჟიურე პაპა, ანუ შუალაშის ძორწონევა. — ჰაირონოსევიკოვი  
გმირი — აღფრად დე პუატივენი. — ავსტრიელი დიდგვაროვანი. — დო-  
რა დე მონასანი. — „პარსონ, ერდი ტორდა დუდი“

გი დე მონასანი დაიბადა 1850 წლის 5 აგვისტოს დიუბის  
ახლო, შესაძლოა, მირღმენილის ციხე-დარბაზში (ტურვიდ-სიურ-  
არკის თემი), ან იქნებ ფეკანში. ასე ბურუსით მოცულია მისი  
ცხოვრების დასაბამი...

ქვიანი გზა, აქეთ-იქით მესერი რომ გასდევს, თავზე ექცევა  
მირღმენილის წინ აღმართულ გორაკს. ვეება წიფდები შემოს-  
ჯარვია მორღმენი-მღვარდისფრო შენობას. მონასანები მოუხიბ-  
დავს უამრავი სვეტით, ბადუსტრადითა და გაზონით დამშვენე-  
ბულ კარ-მიდამოს და ეს სახლი იჯარით აუღლიათ ვინმე ბატონ  
ოზენისაგან. ოფიციალურ ვერსიას თუ ვენდობით, ამ ციხე-  
დარბაზის აღმოსავლეთ კოშკში გაისმა პირველად ახადშობილ გის  
ხმა. ოღონდ დანამდვილებით მხოლოდ ეს ვიცით: ბავშვი, გიდ  
სახედლებული, 1850 წლის 23 აგვისტოს ჩაუწერიათ მერიაში,  
მონათვლით კი ერთი წლის შემდეგ მოუნათდავთ ტურვიდ-სიურ-  
არკის ეკლესიაში.

სამოქალაქო ჩანაწერთა დავთარში დაბადების აქტი 30-ე ნომრადაა რეგისტრირებული. მოწმეებად ჰყვლიათ პიერ ბიმონი, სამოცდარვა წლისა, თამბაქოს ვაჭარი, და იზიდორ დეტუკი, ორ-მოცდასამი წლისა, მასწავლებელი. აქტს ხელს აწერს მარტინ დეკუანტრი, ტურვიდ-სიურ-არკის მერი. მაგრამ საბუთის შინა-არსი ეჭვს აღძრავს, რადგან ქალაქ პარიზის მე-16 ოლქის მერი-აში შედგენილი მოპასუნის გარდაცვალების აქტი იუწყება: „დაიბადა სოტევიდში 1850 წლის 5 აგვისტოს“.\* 1906 წლის „რევოუ ენსიკლოპედიკში“ კი დაბეჭდილია: „დაიბადა ივეტოში“. დარუსის დექსიკონი მწერდის დაბადების ადგილად ფეკანს ასახე-ლებს.

ივეტო და სოტევიდი შეგვიძლია სათვდავში არ ჩავაგდოთ: არ მოგვეძებება რაიმე ანგარიშგასაწვევი საბუთები, ხსენებულ ქალაქებს ზურგს რომ უმაგრებდეს. გვჩვენა მირომენილი... და ფეკანი. თუმცა ფეკანის ვერსიასაც არ გააჩნია რაიმე დოკუმენ-ტური მტკიცება.

— აგრეა, არ გააჩნია, — მიპასუხა დუსიეშ დიუფისმა, ფეკანის ერთმა ყვედაზე გუდმსურვადე მომხრეთაგანმა, — ოლონდ ეს კია, გი სწორედ ფეკანში განდავთ დაბადებული, დიდდამისის სახლში, სუ-დე-ბუას ქუჩაზე, 98; ამჟამად ამ ქუჩას გი დე მო-პასუნის სანაპირო ჰქვია. ჟორჟ ნორმანდი პირველი ადაპარაკდა, მწერდის დაბადების სამოქალაქო აქტი სარწმუნო არ არისო.

ოლონდ ამის დამტკიცება არ გინდოდა? 1927 წელს ჟორჟ ნორმანდომ გამოაქვეყნა წიგნი — „მოპასუნის პირადი ცხოვრე-ბა“. მწერდის ფეკანში დაბადების ვერსიის მომხრენი სწორედ ამ წიგნს იმოწმებენ. მათი აზრით, მირომენილის სასიკეთოდ ერთადერთი საბუთი მებყვებებს — დაბადების აქტი, შედგენი-ლი მერ მარტინ დეკუანტრის მიერ. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ბევრი სამოქალაქო აქტი უზუსტოდ შეუდგენიათ ზოგჯერ უნე-ბურად, ზოგჯერაც განზრახ. ჟორჟ ნორმანდის თუ ვერწმუნებით, ერთადერთი მოწმე, ვინაც მწერდის დაბადებას დასწრებია, ყო-ფიდა „ფეტრის ქვრივი, დიუნეს ქალი“. ვთქვათ, ყოველივე ეს

---

\* რომღოს დამკრძალავი ბიუროს გამგემ, ბატონმა ანრიმ, ვინაც მწერდის დაკრძალვის საქმეს აგვარებდა, ვერ გაიხსენა, საიდან აიღო სოტევიდის ცნო-ბა. (აქ და ქვემოთაც ვარსკვლავით გამოხატული შენიშვნები ავტორისეულია),

აგრია... მაგრამ 1850 წლის აგვისტოში ქაღბატონი ფეტრი ბომ სურ ხუთიოდე წლისა იყო!

დასანანი გახდავთ, წინასწარ რომ არ შეგვიძლია გამოვიცნოთ — ვინ, რა კაცი მოევედინა ქვეყანას. თორემ, გაგინხარია, მოწინებურ ყურადღებას არ მოვაკდებდით! ვინ იყო ასადმობილის ამქმედი? ექიმი, გვარად გიტონი? თუ რამდენიმე ექიმი? ან იქნებ ძიძა კატრინ სონიე, ვისაც ფეტრის ქვრივი მოიხსენიებს? ყველაფერ ამას უკვე ველარ გაარკვევ კაცი.

მორე მხრივ, ოფრანვიდემა ნოტარიუსმა მორის გდენმა ოფიციალურად დაუდასტურა ჟორჟ ნორმანდის, „ვერ მივაკვიდე ვერავითარ საოჯახო ხელშეკრულებას, ვერავითარ ცნობას, სადაც მითითებული ყოფილიყო, მირომენიდის ციხე-დარბაზი მოპასანთა ოჯახს იჯარით აეღოს ანდა ეყიდოს“.

1878 წელს მოპასანი მირომენილში ჩავა, თან ახდავს ძველი მეგობარი რობერ პენშონი. ისინი ვერ მოახერხებენ ციხე-დარბაზში შესვლას: „რადგან იქ ვილაც უცხო ხადხი ცხოვრობს...“ მოპასანი წერს, რომ მეგობართან ერთად მაინც შემოუარა ციხე-დარბაზს „ზღვის მხარეს მიქცეული ფართო გზით; ამ შენობის ხიდვისას არაფერი მომგონებია...“

იმ წერილს, საიდანაც ეს სტრიქონები მოვიტანეთ, თარიღად უზის 1878 წლის 2 ოქტომბერი და დაწერილი გახდავთ გის დედის სახელზე. ბარათს ნაწილი მოხეული აქვს; ამან არტინ არტინიანს, მოპასანის ცხოვრებისა და შემოქმედების საუკეთესო ამერიკედ მცოდნეს, ამგვარი კითხვა დაასმევინა:

„ხომ არ ნდომებია გის დედას იმ საბუთის მოსპობა, რაც ოფიციალურ ვერსიას საეჭვოს გახდიდა? ასე თუ ისე, წერილი სწორედ იმ ადგილასაა დაზიანებული, სადაც ვი აპირებდა, თავისი ბავშვობის წარმტაცი ციხე-კოშკი აღეწერა.“

მოპასანს შესანიშნავი მეხსიერება ჰქონდა. ფლობერის დისწულის კაროლინა კომანვიდისათვის მიწერილ ბარათში იგი იხსენებს ფეკანს, იმ მერხს, ხომადეად რომ იყენებდა ბავშვობისას, და იმ ადვის ხეს, რომელზედაც ბევრჯერ აცოცებულა. „მე მგონი, ამ ხის დახატვას ახდაც კი შევძლებდი...“ ხსოვნაში მას რატომღაც მირომენილი კი არა, ფეკანი შემოარჩენია.

ეს დეტალები, ცოტა არ იყოს, ეჭვს აღძრავს, სარწმუნოა თუ

არა ის ვერსია, რასაც ღორა დე მოჰასანი ბეჯითად მხარს უჭერს თავისი პირმშოს დაბადების ადგილის მითითებისას.

ფეკანის მუზეუმის მცვედი, მხატვარი ა-პ. დერუ, ამტკიცებს, 5 აგვისტომდე რამდენიმე დღით ადრე ღორა დე მოჰასანი ფეკანში ჩამოვიდა თავის დედასთან, ვიქტორია-მარი დე პუატ-ვენთანო. მას რომ ჰკითხვოთ, ყველაფერი სავსებით ნათელია: ღორას მოუდლოდ უგრძნია მშობიარობის შეტყვები და, რომ ვარაუდობდა, იმის ცოტა უადრეს მოუდლოდ იქნებოდა.

— დიან, ეს ყველაფერი ფრად დასაჯერებელია, — განაგრძობენ ფეკანელები. — ღორამ არ ისურვა, მისი ვაჟიშვიდი ფეკანში ყოფილიყო ჩაწერილი, თევზის დამმარინებულთა და ვაჭართა ქადაქში, აკი ეზიზღებოდა ეს ხადხი. აიზეზუურა თუ არა მედლოდინემ, მადლად გაემგზავრა მირომენილს, ისე, რომ ბავშვი ჯერ კიდევ არ ჰყოლია რეგისტრირებულად.

ღორა, მკითხველს გავაცნოთ მოჰასანის ნათესავები დედის მხრით. ღორას მამას, პოდ დე პუატვენს, ორი სართავი ფაბრიკა ჰქონია: ერთი — რუანში, მეორე კი — სენ-დეჟე-დიუ-ბურგ-დენიში. 1815 წელს მას ცოლად შეურთავს ფეკანედი გემისპატრონის ქალიშვილი, ვიქტორია-მარი ტიურენი. ქალიშვილს ჰყვარებია ფეკანი, ეს ხადხმრავალი საპორტო ქადაქი. აქ, ფეკანში, შესძენიათ ასული, ღორა.

— მერე კიდევ, — განაგრძობს დუსიენ დიუფისი, — ფეკანის ვერსიას მხარს უჭერს ქაღბატონი დიუვადიც...

- დაიცათ, ეგ რომელი ქაღბატონი დიუვადია?
- ჟან დორენის დედა.
- თქო!

— რად გაიკვირვებ? სწორედ ქაღბატონმა დიუვადმა გაუმხიდა ჟორჟ ნორმანდის, რომ ორივე მწერალი, მისი ვაჟიცა და გიც, ერთ ქუჩაზე დაიბადნენ!

— დახე! ერთი ეს მითხარბო, შური ხომ არ აღაპარაკებდა ჟან დორენის დედას? „რა ბაქია ხადხია ეს მოჰასანები! მარკი-ზოლბაო!... ცინე-კოშკში დაბადებაო! ერთი მაგათ დამისხედეთ! გი ისევე, როგორც ჩემი შვილი, ფეკანში დაიბადა!“.

— იმჟამად, როცა ჟორჟ ნორმანდის თავის მოგონებებს უზიარებდა, ქაღბატონ დიუვადს უკვე დასტეხოდა საშინელი უბე-

დურება: ვაჟიშვილი დალუპოდა. ჰოდა, ჟანის ხსოვნას ისე წმინდად ინახავდა გულში სიცრუის თქმას ან იკადრებდა.

— მე კი შემოწმებულ ფაქტებს ვამჯობინებდი მის გუდას-დილობას.

— განა ბევრი ისეთი სასამართლოს საქმე იცით, ფაქტებს რომ იყოს დამყარებული? ერთ რამესაც გაგიმხედთ. რუანის პარკის დარაჯი სიბერის ხანს ტრამახობდა, გი ჩემი ძუძუმტი იყო. ეს ამბავი ღორას ყურამდე მივიდა — გაზეთმა წამოიყბოდა. ღორამ პასუხი ან დაახანა: „ჩემს შვილს გის მე თვითონ ვაწოვებდი ძუძუს და არავის მივცემ ნებას, ეს პატივი მიიკერძოს. არა მგონია, რომელიმე ქაღმა გაბედოს და მისი ძიძობა დაიჩემოს მხლოდ იმის გამო, რომ ხუთი თუ ექვსი დღის მანძილზე ჩემს შვილს ძუძუს აწოვებდა. მე სტუმრად გახდით დედაჩემთან და უეცრად შეუძლოდ შევიქენი: მაშინ აღგნენ და, დამხმარე რომ მყოლოდა, ერთი ფერმერის ქალი მოიწვიეს. ასე იყო ეს ამბავი!“

ეს სიტყვები არა მხოლოდ გულისწყრომას გამოხატავს, ბევრ რამესაც მეტყველებს.

მიანც სად უნდა გვეგუდებოდეს დაბადების ადგილი? ჩვენ უკვე მოვისსენიეთ დიდებული, ბაროკოს სტილით ნაგები მირომენიდის ციხე-დარბაზი. მეორე „მშობლიური სახლი“ კი ის სახლია, ფეკანის ნავსადგურში რომ დგას.

ფეკანი საფეხურებზე ეშვება სარკისებრ კრიადა, სადაფისფერ ცისქვეშ მოციმციმე ზღვისაკენ. სანაპიროს ცარცოვან კედლებს შუა მოწყობილ სანავსადგურო ჯადამბრებს ხრიალ-ღრჭიადი გაუდის, არემარე ქაშაყისა და გუდრონის მძაფრი სუნით გაჟღენთიდა. აქაურ კაფეებს მაცდუნებელი სასუქოვებანი აქვთ: „პიტნისა“, „გრენდანდიური კაფე“, „დიდი მეჩეჩი“...

აგე, ძველებური სახლიც, 98, იგი ბალის სიღრმეში დგას. ერთი სართულით დადაბლებულია... და მუშათა ვარეუბნის პატარა სახლს მოგვაგონებს. ჰოი, როგორ ერცხვინებოდა ამ მამაპაპეული სახლისა ქედმაღლად ღორას! მან, ცოცხადმა ბოვარიმ, ტყუილმართადი ერთმანეთში არივ-დარია და თავისი ოჯახის ცხოვრებას მოარგო.

გალარიბებული ოჯახიდან გამოსუღმა დაბადი გვარის ქაღმა, ღორა დე პუატკენმა, დიდგვაროვნება მომჯადოებედ გუსტავ დე

მოპასანთან კავშირის წყაღობით მოიპოვა, თუმცა გუსტავი იმ დროს ჯერ ისევ უბრადოდ მოპასანად იწოდებოდა.

გის მამის დაბადების მოწმობაში გარდა თარიღისა — სამშაბათი, 1821 წლის 28 ნოემბერი — წერია: „გუსტავ-“დებერ მოპასანი“, შობილი დუი-პიერ-ჟიუდ მოპასანისაგან, ერის დეპარტამენტის ქადაქ ბერნიში გადასახადთა ინსპექტორისაგან, და მისი მეუღლისაგან, აგლაი-ფრანსუაზ-ჟოზეფ პრიუშარისაგან. ეს არის და ეს, სხვა არაფერია აღნიშნული.

1795 წლის 9 ნოემბერს პარიზში დაბადებულ მწერლის პაპას, ჟიუდ მოპასანს, გულში ჩავარდნია ბერნიელი გამოსაღებთა ამკრეფის ქაღიშვილი, აგლაი. ბევრი აღარ უფიქრია, ქაღი მოუტაცია და შუალამისას პონ-ოდემარში ჯვარი დაუწერია; ოჯახურ დეგენდას თავისებურად კიდევ ადამაზებდნენ: შეყვარებულებმა მოდიდებუდი მდინარის ფონი გადადახესო. შემდგომ ამ წვრიდმანებს ფდობერმა გემო გაუსინჯა და ემა ბოვარი სურვიდით გამსჭვავდა, ჯვარი უთუოდ შუალამისას დაეწერა.

აგლაის ძარღვებში კრეოდის სისხლი ჩქეფდა. დორას ნათქვამის თანახმად, დოყაწითელა გის დამაზი თაფდისფერი თვადები დიდედისა გამოტყოდია. მომავალი მწერადი ჟიუდ პაპაზე მეტად ბებიას დამსგავსებია. ჟიუდ მოპასანმა, ამ ფხიანმა და ღვარძდიანმა კაცმა, იმპერიის მოწინააღმდეგემ, ქორწინების შემდეგ სამსახურს თავი დაანება და სამეურნეო საქმეს მიჰყო ხედი თავის მამულში, ნევიდ-შან-დ'უაზედში. ხედოვნების პროვინციელი მოტრფიადე გახდეთ და კარი ღია ჰქონდა მწერდების, პოდიტიკური მოღვაწეების, მხატვრებისათვის.

დაქვრივების შემდგომ რუანს გადასახდდა, ადგიდ-მამუდი ქაღიშვიდს, დუიზს, დაუტოვა. ქაღიშვიდი მადე გაუთხოვდა, ცოდად გაჰყვა ადფრედ დე პუატვენს, დორას ძმას. ხოდო როცა ჟიუდ მოპასანის ვაჟმა, გუსტავმა, დორა დე პუატვენი შეირთო, ორივე ოჯახი ორმაგი კავშირით დამოყვრებუდი აღმოჩნდა, ისევე გადაწნუდი ერთიმეორესთან, როგორც თხიდნარი ცხრატყავასთან, შუა საუკუნეთა დეში<sup>1</sup> ხმარებუდი გამოთქმისა აბიყოს.

<sup>1</sup> დე — შუასაუკუნეთა ფრანგული პოემები, მეტწილად ძველ ბნეტონუდ დეგენდათა სიუჟეტებზე აგებუდნი.



ადფრედ დე პუატვენი 1848 წლის 4 აპრილს ნევიდში გარდაიცვალა, ვის დაბადებამდე ორი წლით ადრე. დევენდარული ბიძა მამინ ოცდათორმეტი წლისა იყო. ახლობელთა ხსოვნას იგი რომანტიკულ პიროვნებად შემოუნახავს. სიჭაბუკის ჟამს სასტიკი იმედგაცრუება უწვნევია, საყვარული შესძულებია და როდესღა დარად უცდია, თავისი დარდი ვარყვნილებით ჩაეკლა; ოღონდ ამ ამბავს უცნაური სენი მოჰყოლია: ჰადუცინაცია დასჩემებია, სნეული თითქოს გარედან ხედავდა თავის თავს — ხედავდა თავის ორეულს.

გული დაუავადდა და სპინოზას კითხვისას სული განუტევა. ადფრედის სენი მოპასანის უცნაურ მთამომავლობითს თვისებაში გამაჟღავნებს თავს; ერთხანს მალულია ეს სენი, მკვირივ ტანში უჩინრად ჩაჰბუდებია ამ ნალვდიან მოზვერა ბიჭს.

გი დე მოპასანის ბუნდოვანი გენეალოგია ძადაუნებურად ეჭვს ბადებს, იყო თუ არა იგი ძველი აზნაურის ჩამომავლობისა. პაპა ჟიული ყოფიდა ძე ვინმე მოპასან დე ვადმონისა, რენტის გადახდაზე მომუშავე მოხედისა, ვისაც 1785 წელს პარიზში უცხოვრია. აზნაურის წოდების მანკვენებელი „დე“ წინსართი, ეტყობა, რევოლუციის დროს მოუშორებია. „დე“ წინ ერთყოდა, მაშ, მოპასანს კი არა, ვადმონს. ვადმონი (ამ სახელს გი ხადისით გამოიყენებს ფსევდონიმად) მთავარი ქადაქი გახდავთ სენექს-ინფერიერის ოქქისა და მდინარე ვადმონის ნაპირზეა გაშენებული. თუნდაც რომ ამ პატარა ქადაქში აზნაურებს ეცხოვრათ, მათ ეს გვარი მაინც არასდროს უტარებიათ. ჟორჟ ნორმანდი ამტკიცებს: „ვის წინაპრებს მარკიზთა ტიტული ჰქონდათ. საგვარეულო საბუთებზე ავსტრიის საიმპერატორო სახელის ბეჭედი ესვათ“.

ჟან-ბატისტ მოპასანს, მეფის მრჩეველ-მდივანს, რომელიც 1774 წლის 12 დეკემბერს დაუსაფრავებიათ, გვარში პირველს მიუღია აზნაურის წოდება. ავსტრიის სამეფო კარს სიგელით დაუდასტურებია ეს წყალობა. სიგელს მოპასანი ინახავდა, ინახავდა და ფრიად ეამაყებოდა კიდეც ეს საბუთი. ძვირფასი დო-

---

1 რ ო ღ ა — გმირი ადფრედ დე მიუსეს ამავე სახელწოდების მქონე პოემისა (1833), სკვატიკოსი, ცხოვრებაზე გულვატიზილი აღამიანს.

პუმენტი იმ არეულობისას გამქრდა, მის სიკვდილს რომ მოჰყვა. ოღონდ ნამდვიდად რომ არსებობდა, საეჭვო ოდნავადაც არ არის.

მოპასანთა ოჯახმა შეუპოვრობის, ჭკუის, ეშმაკობისა და გამბედაობის წყალობით უაზნოთა წრეს თავი დააღწია.

საოჯახო არქივის შესწავლა უეჭველსა ხდის: მოპასანთა აზნაურობა შემთხვევითია, ნაწყადობევი; მაშასადამე, მარკიზობის გამო დაპარაკი ზედმეტია, მაგრამ ღორა დე პუატვენს უკან ვერაფერი დაახვეწინებდა. როცა ის მომაჯადოებელ გუსტავს გადაეყარა და ნახა, სურს თავი მომაწონოს, ამ უზრუნველ დარდიმანდს ხელი მაგრად ჩასჭიდა. თუ გუსტავს სწადია, ღორას გუდი მოუგოს, უნდა მარკიზის ტ ი ტ უ რ ი მოიპოვოს. საქმროს უსიკვდილოდ უნდა ჰქონდეს უფლება, ხელს ასე აწერდეს: „დე მოპასანი“. რალა თქმა უნდა, თავადაც უნდა ჰქონდეს ეს უფლება! შესაძლოა, ამგვარი მოთხოვნა ქაღს ქორწინების ერთ-ერთ წინაპირობად წამოეყენებინოს: სწორედ საქორწინო ცერემონიამდე ცოტა ხნის წინ (1846 წლის 9 ნოემბერს) გუსტავმა მოახერხა, ქაღაქ რუანის სამოქალაქო ტრიბუნალისაგან უფლება მიეღო, თავისი გვარისათვის „დე“ წინსართი წაემატებინა.

თუ გარკვეულ გასამრჯელოს არ დაიშურებდი, მოქალაქეთა მდგომარეობის აქტის შემდგენელი თვალს აარიდებდნენ ამგვარი უვნებელი პატივმოყვარეობის გამოვლენას. ასეა თუ ისეა, აზნაურობის მაჩვენებელი „დე“ წინსართი ციხე-კოშკსაც გულისხმობს. კაცმა რომ თქვას, იმ ვერსიის უტყუარობას, რომლის თანახმადაც გი ფეკანში უნდა დაბადებულყო, ყვედაზე უფრო დამაჯერებლად თავად ღორა ადასტურებს. აკი ის ჭკუას კარგავს კარგი საზოგადოებისათვის, სძულს ფარისევლობა, ოღონდ მსოფლოდ მაშინ, თუ ეს ფარისევლობა ხელს უშდის, ხოლო როცა თავმოყვარეობას უამებს, ემორჩილება კიდევაც. რალა თქმა უნდა, ფეკანისთან ვულგარულ ადგილას დაბადება ყრმა „მარკიზისა“ — თანაც უფროსისა! — იმ ადგილას, სადაც თავად მოევიდნა ამ ქვეყანას, ღორა დე პუატვენს სწორედაც დამამცირებლად მიაჩნდა.

ერმინა დეკონტი დიუ ნუის (მას ამ წიგნში კიდევ არაერთგზის შევსვდებით), ვისაც გი თავის საიდუმლოს ანდობდა ხოლმე, წანაწერებში ერთგან ამგვარი რამ ჩაუნიშნავს:

„გი დაიბადა . . . . .“

ერვე დაიბადა დ'იმოვიდის ციხე-დარბაზში“.

ამ ამბავში ჩაუხედაობა იმ ქადისა, ვისაც გისთან ასეთი ახლო ურთიერთობა ჰქონდა, გის ძმას კი, პირიქით, ხეირიანად არც იცნობდა, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საბუთად გვესახება. ერვე ექვსი წლის შემდეგ გაჩნდება ამქვეყნად იჯარით აღებული ციხე-დარბაზში.

მოპასუნის ერთ-ერთი ყველაზე უფრო თავგამოდებული მკვდევარი, რენე დიუმენიდი, წერდა: „ყვედა, ვინც ღორას იცნობდა, აღიარებს, არანვეულებრივი სიღამაზით დაჯიღდებულდი ქადი იყო... თანაც ფრიად გამჭირახი გონება ჰქონდა: მისი მოკიაფე და ღრმა მზერა ნებისყოფას, დამის მბრძანებლობას ამსუდღა...“

ადფრედ დე პუატვენიც სწორედ ამგვარს გვიხატავს დას თავის „სონეტში მადმუაზედ დე პუატვენისადმი“:

ვერა ვცანი, ვაგდახ ვერა,  
სიღამაზე თქვენი.  
აჩ ამხედდით მაინც წყენას,  
სიამაყის მწენი.  
ოლონდ მზერა, თქვენი მზერა!  
თამამი და მწველი,  
მუდამ იწვევს გულის ძგერას!

შემოგვრჩა მისი რამდენიმე ფოტოსურათი: ტანმაღალი ქადი, მუქი თმა შუაზე აქვს გაყოფილი ჟორჟ სანდის ყაიდაზე. დიდი გრძნობიერი ტუჩ-პირი, მთრთოლვარე ნესტოები. თვადებში, მართლაც, ჭკუა სჭკვივის. პირქუში სიღამაზე ბურჟუაზიული მაკბეტის. მბრძანებულობის იერი დაჰკრავსო, რენე დიუმენიდი-მა რომ შენიშნა, ეს ასეა. ოლონდ სხვა რამესაც შეამჩნევ: დაძაბული მზერა ფორიაქიანია. სურათზე გამორჩეული პიროვნება გახდავთ აღბეჭდიდი, ოლონდ ეს ფოტოგამოსახულება ღორასი გვაგუდვებინებს, რომ მას ფარული ნევროზი უნდა სჭირებოდა.

ღორა გვარიანად ერკვეოდა დათინურსა და ბერძნულში, იცოდა იტალიური და ინგლისური. ფაქიზი გემოვნება ჰქონდა, დამოუკიდებელი განსჯა სჩვეოდა. გისთან კამათი თავის დღეში არ შეუწყვეტია. თავის ყაიდაზევე ზრდიდა სუდ პატარაობიდან მოყოლებული. როგორც მწერადი, გი მუდამ იგრძნობს დედის ზეგავ-

დენას; დედა ყოველთვის უხედმძღვანელებს მას, როგორც ადამიანს.

წიგნში „მოპასანის აღსასრული“ ჟორჟ ნორმანდი წერს: „ქაღალტონ დე მოპასანს მთელი სიცოცხლის მანძილზე ბაზედოვის ავადმყოფობა ტანჯავდა... 1878 წლიდან მოყოლებული კაშკაშა სინათლეს ისე ვერ შესხედავდა, ტკივიდისაგან სახე არ დაღმეჭოდა. ტანჯვისაგან თავის დასაღწევად ნარკოტიკულ საშუალებებს ხმარობდა.“ ფილოზოფი ქაღალტონი ჟენეტიკისათვის მიწერილ წერილში ადასტურებს, ღორას ძალაუნებურად ბნელში ყოფნა უხედავად, „სინათლე ისეთ ტკივიდს აყენებს, ყვირიდს იწყებსო“.

გუსტავ დე მოპასანი ცოდნოვანად 1892 წელს იტყვის: „ქაღალტონმა დე მოპასანმა ისეთი გაანჩხლება იცის, სუდ უბრალო საბაბის გამო ისტერიკა ემართება ხოლმე; ასეთ დროს ძლიერ იტანჯება. ენა ერევა, ვერ გაეკარები... ადგა და ორი შუშა თრიაქის ნაყენი დაღია. ექიმთან გავიქეცი, ექიმმა სათანადო საშუალებას მიმართა პირღებინებისათვის, შხამი ამოანთხევიდა, ამან გადაარჩინა. გრძნობაზე რომ მოვიდა, გაშმაგდა, მაგრამ როგორ გაშმაგდა... ერთხანს მარტოდ დატოვეს. თავისივე თმით თავის თავის მოგუდვა სცადა. რალა გვექნა, ავდექით და თმა მოვკვეციეთ“.

რასაკვირველია, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ამბავს გვიმოწმებს გაძეგებული ქმარი, თანაც გვიმოწმებს მას შემდეგ, რაც რამდენიმე წელი გასულა უმცროსი ვაჟის, ერვეს, სავადალო სიკვდილიდან და რამდენიმე თვე — გის თვითმკვლელობის ცდიდან. მოუხედავად ამისა, უნდა გავითვადისწინოთ, რომ გუსტავ დე მოპასანს არასდროს მიაჩნდა ღორა მთლად ნორმალურ ქაღალდ.

ის მიმკვიდრეობითი თვისება, რაც ახადშობილ გის გამოჰყვა როგორც დედისაგან, ნევროპათიით შეპყრობილი ამ მომხიბლავი ქაღალისაგან, ისე წონასწორობას მოკლებული მისი ძმის აღფრედ დე პუატვენისაგან, ფრიალ სახიფათო რამ გახდდათ.

გი დე მოპასანის ბიოგრაფები, ჩვეულებრივ, მკაცრნი არიან მამამისის მიმართ. შესაძლოა, მეტიმეტ სიმკაცრესაც იჩენდნენ. გუსტავი (იგი იმავე ხნისაა და ისეთივე მოღური სახედი ჰქვია, როგორიც ფილოზოფი) ძალზე დამაზი მამაკაცი იყო. როცა ღორას შესვდა, ნამდვილი დენდი გახდდათ. პეწიანად ეცვა, შოტი-

დანდიური მაუდისაგან შეკერილი პაჭანაკებიანი შარვადი შევენო-  
და. აპრეხილი ცხვირი ჰქონდა, კოხტად მოხაზული წარბები,  
პუტკუნა ტუჩები, საფეთქლებზე ხუჭუჭი თმა, პატარა ნიკაპი,  
მამაკაცურ იერს სულაც რომ არ შეეფერებოდა, ისეთი. გუსტავი  
კვლევს ქალებს დასდევს და დროს სამორინებში ატარებს. ახად-  
შექმნილი ოჯახის ყველა საქმეს, რაგინდ უცნაურიც უნდა იყოს,  
განაგებს ძარღვებშიღილი ცოლი, რომელიც თითქმის ნიადაგ  
უქვიფობას უჩივის. შტოდცის კანტორის პარიზელი ბირჟის  
აგენტი გუსტავი მხატვრობას ეტრფის, მაგრამ განგებას ფერმ-  
წერად არ გაუჩენია, გოგენობა არ უწერია. თავისი დღე და მოს-  
წრება იმის ცდაში იქნება, როგორმე ერთურთს მოარიგოს სურ-  
ვიდი და შესაძლებლობა, თცნება და სინამდვილე, მაგრამ ამას  
ვერასდროს მოახერხებს.

თქმა არ უნდა, ხასიათის ბევრი თვისება მოპასანს დედი-  
საგან მოსდგამს, მაგრამ მამის ტვიფარიც შესამჩნევად აზის:  
მერყობით იმ კაცის უმდგრად ბუნებას მოგვაგონებს, ვისგა-  
ნაც სიცოცხლე მიენიჭა.

ჩხუბი და დავიდარაბა გის მშობლებს შორის თითქმის და-  
ქორწინების დღიდანვე იმართებოდა. ეს სურათები გუდს უსეტ-  
ყავს ბავშვს. ცხრა წლის გი დედას სწერს, ადბათ ნაპოლეონის  
პარიზული დიციუმიდან: „თხზულება ყველაზე კარგად დავწერე.  
სანაცვლოდ ქაღბატონმა დე X-მა ცირკში წამიყვანა მამას-  
თან ერთად. ეტყობა მამასაც აჯიღდოებს, ოლონდ რისთვისა  
აჯიღდოებს, ან ვიცო“.

ერთხედ გი და ერვე საბავშვო დიდის წარმოდგენაზე მიიპა-  
ტიჟა ერთმა მანდილოსანმა, ვისაც არცთუ უიღბლოდ ეარშიყე-  
ბოდა გუსტავი. რაკი ერვე ავად იყო, ღორა მასთან დარჩა. გი  
უსაშველოდ დიდხანს იცვამდა. მამამისი გაცხარდა და შინ დაგ-  
ტოვებო, დაემუქრა.

— ძადიან არ მენაღვდება! ჩემზე უფრო მეტად, მამა, შენ  
გინდა იქ წასვლა!

— შეიკრავ თუ არა, ბოლოს და ბოლოს, მაგ ფეხსაცმლის ზო-  
ნარს!

— მოდი და თვითონ შემიკარი! ხომ იცი, რომ მაინც ისე  
იზამ, როგორც მე მინდა.

და მამაც ნებას დაჰყვება. ეს თავისებური დამოკიდებულება მამა-შვილს შორის ადრიდანვე დამყარდა.

ეგების მიზეზიან ქაღთან ურთიერთობა უჭირდა ვუსტავს, ქაღთან, ვისთანაც ფიზიკური სიახლოვე აღარ ჰქონდა, და ამან აიძულა, ერთგულების გზიდან გადაეხვირა? ეს კია, ამ მხრივ ფრიად უნარიანი აღმოჩნდა. ქმრის ლაღატი მთლად გუდზე ცეცხლს უკიდებდა ცოდს. ქორწინება უიღბლო ჯამოღვა; ღორასთანა ქაღი კი ამ ამბავს ვერა და ვერ შერიგებოდა.

თორმეტი წლის გი მშობლებს შორის მომხდარი ამგვარი შეხდა-შემოხდის მოწმეა:

— დედაშენი მართლა ტუტუცია! — ყვირის გუსტავი. — შენი თავი მაღარდებს, თორემ მაგას ჯანდაბამდის გზა ჰქონია! მე ეს ფული მჭირდება, მოვითხოვ, ხელი მოაწეროს!

გის ჟრუანტიღმა დაუარა. მამა ასე აყვირებუდიყოს, ჯერ არ უნახავს. ველარც დედის გამკვივან ხმას ცნობს:

— არა, ხელს არ მოვაწერ. ეგ გის ფულია. მას უნდა შევეუნახო და არ მინდა, ქუჩის გომბიოებს და მოახდეებს შევაჭამო, ისიც გეყოს, შენი მემკვიდრეობა რომ ამნაირად გაანიავე!

„მაშინ ბრაზით აცახცახებუდი მამა დედას მიუტრიაღდა, ცალი ხელით ყვდში სწვდა, მეორეს კი პირისახეში გამეტებით ურტყამდა... მეგონა, ქვეყნიერების აღსასრული თუ დამდგანა და ყოფიერების ურყევი ბურჯები მორყეულა-მეთქი... ბაღლს გონება ამერია და წივიდ-კივიდი მოვრთე, ყვევროდი შიშის, ტკივიდის, ენით უთქმედი სასოწარკვეთიდეებისაგან...“

უცებ გუსტავი თავის ვაჟს შენიშნავს და მისკენ წავა. ზარდაცემული ბავშვი გარეთ გავარდება და ლამეს ბაღში, ხის ძინას, გაათევს; მშობლები დაეძებენ, ეძახიან, მაგრამ პასუხს არა სცემს. მეორე დღეს მამას ხმა არ ამოუღია. ნამტირადევმა დედამ დაამუნათა: „გუდი გამიხეთქე, შე საძაგედო, მთედი ლამე თვალი არ მომიხუჭავს“.

„ასე რომ, ამობიღო, ყვედაფერი მორჩა და გათავდა ჩემთვის. ცხოვრების უკუღმა მხარე ვიხიდე, მისი ცუდი პირი; წაღმა მხარე კი იმ დღიდან მოყოლებული ჩემთვის აღარ არსებობს“.

ეს აღსარება, რასაც ამბობს გმირი ნოვედისა — „განსონ, ერთი ტოდჩა დუდი!“ — მოპასანის მკვდევართა უმრავდელობის აზრით, ავტობიოგრაფიუდი გახდავთ.

ამდაგვარი უთანხმოების გამო ცოდ-ქმარს შორის ბოლოს სრული განხეთქილება ჩამოვარდა. 1862 წელს ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. მწერლის პესიმიზმს ფესვები ღრმად ჰქონდა გაღმუღი.

## 2

ბი. ზვიდრიანი ცამეტი წლამდე. — ვიხილეთ ბატარაგული ბავშვობის დღეები. — ოქტომბერი, ზღვაში ბანოვა და ბათობა. — პირველი ნა-  
ვი. — ივერთოს სასაღვთიანო სასწავლებელი. — ბაზაშხაუდის დედასახლი. —  
დროიდან გუსტავ ფლორენსის. — გვირგვინი უმჯობესი ნუბიანი

შვიდი წლის გი პრინციპული ფოტოგრაფის ობიექტივის წინ დგას: ტურები გაბუნსხვია, გაშეშებული სახე აქვს. მკვრივი ტანი გამართულად უჭირავს, პირწმინდა პატარა გღენკაცია, თმის ამდაგვარი ვარცხნილობაც რომ ეუცხოება და ეს ახალი, უჩვე-  
ულად, ნაკვეთიგაფოფრიდი ტანსაცმელიც. დედამ თმა ტადლისე-  
ბურად დაუნსვია, ბანტი გაუკეთა და ყაითანშემოვლებული ქვედა-  
წედი დაუუთთა. დიახ, აშკარაა დორა „გოგოს ნატრობა“. თავისი თავის განმეორება ეოცნებებოდა.

სხვა ფოტოსურათიც მოიძვეება. გი იქ ცამეტი წლისაა. ფეკანში გადაულაია არდადეგებისას. ცადი ხედი დოცვანზე უდევს. ტანად კიდევ უფრო ჯმუსი შექნიდა. თვადები სშირ წარბებს შეჭყარვია. ფუნჩულა ტურები აქვს. გეგონება, ჟიდეტი საცაა შემოასკდება. ყეღზე კვდავინდებურად ბანტი უკეთია. ოლონდ გოგოს ველარ მიამსგავსებ, ის კი არა, ჯედი ყასბის კოხტობა ემჩნევა; ეს თვისება მოწიფუდობაშიც გაჰყვება. რამდენიმე წუ-  
თის შემდეგ დაქის ტუფებს წაიძრობს და მამდაყინწა ბიჭებს შორის გამართულ მუშტი-კრივში ჩაებმება. „ნავსადგურის ვირ-  
თაგვებო“, ასე ეძახის ზიზლით იმ ჩხუბისთავ ბიჭებს დიდედა-  
მისის მოახლე, ძალუა ჟოზეფი.

განქორწინება კანონით შესაძლებელიც რომ ყოფილიყო (ეს კანონი კი მხოლოდ 1884 წელს მიიღეს), დორა დე მოპასანი მა-  
ინც ვერ გადაწყვეტდა, ოფიციალურად გაყრიდიყვნენ. არასდიდე-  
ბით არ იზამდა, კვდავ დე პუატკენის გვარი ეტარებინა. ორგუ-

დი ქმრის ზიზღი არა ჰქონია და ბავშვების გულისათვის საბო-  
ლოდ კავშირი მასთან არ გაუწყვეტია. მაღალი საზოგადოების  
თვალში გამტყუნებული სწორედ ქმარი გამოდგა.

ვიდრე ერთმანეთს დაშორდებოდნენ, გუსტავი და ღორა ხში-  
რად ჩადიდნენ ხოდმე ეტრეტაში დასასვენებლად.

1859 წელს ჩამოსულთა დავთარში აღნიშნულია, რომ მოპასა-  
ნები 1 ივნისს ვინმე ქაღბატონ დედანტიუსთან დაბინავებულან.  
შემდგომ დე ვერგის ვიდა იყიდეს, XVIII საუკუნის დიდი შენო-  
ბა, რომელიც ფეკანის გზატკეცილსა და ნოტრ-დამის ქუჩას შო-  
რის წამომართულიყო, რომანუდი სტილის მისეღვით აგებული  
ძველი ეკლესიის გვერდით.

ეს სახლი ამჟამადაც დგას. ბაღს სუდ ერთიანად ბაღახი მოს-  
დებია. შემორჩენილა დიდი კვადრატური, რომლის მინები არა-  
ერთხედ ჩაუმტვრევიათ ბიჭუნებს. ამის შემსწრე ღორა წყნარად  
ეტყოდა ხოდმე გის:

— წადი, ბრეარს უთხარი, ახადი მინა ჩაგვისვას.

ეს სანეტარო სავანე თავის სახედწოდებას ამჟამადაც ამარ-  
თლებს: დე ვერჟე — ხეხიდის ბალი. ფანჯრები ჩრდილიან პარკს  
გადასცქერის, სადაც ნეკერჩხდის, ცაცხვისა და არყის ხეები  
შრიადებს. აქ დღესდღეობითაც ხარობს გის ხედით დარგული  
ურთხელი.

ეტრეტაში და ფეკანის დიდედისეუდ სახლში გაატარა გიმ  
ბავშვობის დღეები. ცამეტი წლის შესრუდებამდე, ვიდრე კოდეჟს  
დაამთავრებდეს, გი დე ვერგის „საამურ სახლში“ ცხოვრობს,  
არდადეგებისას იქ ჩადის ხოდმე.

როცა ღორა გასეირნების ნებას დართავს, ბიჭუნა მიაშურებს  
ზღვას, თოდლებსა და ნავებს, მეთევზეებს, — რომლებიც ფისს  
ათბობენ ნაპირზე. ხშირად დედაც თან ახდავს. ერთხედ ზღვის  
მოქცევისას აღმოჩნდნენ იქ. კდღეებზე მიცოცავდნენ, კინალამ  
კისერი მოიტყნეს. ღორა დალად სუნთქავდა და ვაჟიშვიდს გუდზე  
იკრავდა. თავს ზედნიერად გრძნობდა. ვაჟიც მას შეჰხაროდა, თან  
მოფარფატე თოდების ჭყივიდს ყურს უგდებდა.

ქმრისგან მიტოვებული ამ ქადის საუბრები, როცა ის სამ-  
ყაროს თავისეუდ გაგებას უზიარებდა შვიდს, და შექსპირის კი-  
თხვა აღზრდის ძირითად ნაწიდს შეადგენდა; ხარვეზებს აბატი  
ობურგი, ეტრეტის ვიკარიუსი, ავსებდა.



„ჩვენ — მე და ჩემი ძმა — ბიძაჩვენმა, აბატმა დუაზედმა, აღგვზარდა: აწოწიდი, ხმედ-ხმედი მღვდელი იყო; იდეებიც ტანით მოუქნელი ჰქონდა. სუდიც კი მისი ცივი და მკაცრი მეზვენებოდა, როგორც კატენიზმოს პასუხი. შავი ხის ჯვრებზე რომ მიცვალებულთა გვარ-სახელები იყო წარწერილი, იმ გვარ-სახელების დაზეპირებას გვაიძულებდა“.

სასაფრადო ვერგიდან ასიოდე მეტრით იყო დაცილებული. გიც იწერდა ძეგლებზე წარწერიდ სახელებს, შემდგომ მოთხრობებში გამოიყენებს მათ. ოღონდ იმ თავისი მოძღვრის ბიბლიური ღმერთი დიდად არ აინტერესებდა.

გაზეთ „გოდუაში“ 1880 წელს გამოქვეყნებული ნარკვევი, რომელსაც აქვს ხელმოწერა — „ეშმაკის ქვაბუნა“ (ასე შეარქვეს კდლებს მოფარებულ ყურ ადაგს), წარმოდგენას გვიქმნის მოპასანის ბავშვობისდროინდელ ეტრეტაზე. „ეტრეტაში ნარევი მოსახლეობაა, აქ ბინადრობენ მარადიული მტრები, მხატვრები და ბურჟუები. ისინი ერთიანდებიან უჯიშო მატრაკვეცებისა და და არისტოკრატების წინააღმდეგ... ოფენბახს, ფორს<sup>1</sup>, დე პუალტვენებს აქ საუცხოო ვიდეები აქვთ, სადაც მათი ოჯახები, ზოგჯერ კი თავად ისინიც, კვირტიების გაშდისთანავე ჩამოდიან და, ვიდრე ზამთრისპირის სუსხი დაჰკრავდეს, აქვე რჩებიან.

ყოველ ცისმარე, დიდის ათ საათზე (თუ ამინდმა ხედი არ შეუშადათ) ვიდის პატრონნი ზღვისპირისკენ მირონიებენ... მამაკაცები კაზინოში შეიხედავენ, გაზეთს კითხულობენ, ბიდიარდს თამაშობენ, ანდა ტერასაზე სსედან და თამბაქოს აბოლეებენ. ქალები პდაჟზე ყოფნას ამჯობინებენ, პდაჟი თუმცა ქვიანნი და მაგარია, სამაგიეროდ მუდამ მშრადი და სუფთაა... ოფენბახნი ერთ-ერთი ყვედაზე უფრო მდიდარი კაცია აქაურებს შორის: მდიდრული ვიდა აქვს, ყვედაზე უფრო დიდი და დამაზად მორთული სასტუმრო დარბაზი ეტრეტაში...“

ზღვისპირა სოფელს თავს დასცქეროდა შუა საუკუნეთა კოშკი. ეს „ძველი დიდების ნაშთი“ ეკუთვნოდა რეკლამის ფუძემდებ-

<sup>1</sup> ე ა კ ო ფ ე ნ ბ ა ხ ი (1819—1880) — ფრანგი კომპოზიტორი, კლასიკური ოპერეტის ერთ-ერთი შემქმნელი; ფრიად პოპულარული იყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში; ე ა ნ - ბ ა ტ ი ს ტ ფ ო რ ი (1830—1914) — ფრანგი კომპოზიტორი და მომღერალი.

ბედ დოდენჟენს — ბუნდვარუდი გაზეთების „და ფორისა“ და „და გაზეტ დე პარის“ პატრონს. ამ ფრიად ახირებუდი ბუნების კაც-მა ზარბაზანი დაადგმევირა კოშკისპირა ფორზე; როცა ის იქა-ურობას ეწვეოდა ხოდმე, ნიშნად მისი ჩაძობრძანებისა, დარა-ჯი იმ ზარბაზანს გაისროდა. მერმე აღამი და სახრწობელაც გან-ნდა. მაგრამ საქმე ჩონჩხზე რომ მიდგა, მუნიციპალიტეტი ჩა-ერია და დოდენჟენის ხუსტურებს ზღვარი დაუდეს. დოდენჟენმა კოშკი მიაყიდა, სამისდღეშიო რენტა გაინალდა და მადე დარდს გადაჰყვა.

ეტრეტაში ცოტა როდი იყო ამნაირი უხიაგი, ვისაც სტუ-მართმოყვრუდად იღებდნენ ბდანკესა თუ თვიდის პანსიონებში, დე ბენის სასტუმროში. ადფონს კარი,<sup>1</sup> რომედმაც დაასდოებით 1850 წედს ეტრეტა მოდურ ადგიდად აქცია დამსვენებელთა თვად-ში, დიდ პატივს სცემდა ძია ბდანკეს, ვისაც გიც მოესწრო. პანსიონის აბრაზე გამოესახათ მიტოვებუდი, გადაყირავებუდი ნავები; ამგვარ ნავებს ამჟამდაც ნახავთ პდაჟზე.

ბდანკეს ქვრივი მკაცრ მეთვადყურეობას უწევდა ტაბდოტს. ამ ქადთან დაკავშირებუდმა ერთმა შემთხვევამ ოდესლაც აღფრ-თოვანება მოჰგვარა „გოდუას“ მექრონიკეს. პანსიონის კარს მოადგება ერთი მარტოხედა, ახადგაზრდა და დამაზი მოგზაური ქადი. ეტყობა, უცხოედი უნდა იყოს. ზღვას რომ გადაჰყურებ-დეს, ისეთი ოთახი თუ გაქვთო, იკითხავს. ქადბატონი ბდანკე ის-ის არის დააპირებს, უარით გაისტუმროს, მაგრამ ქადი დას-ძენს, მადე ქმარიც ჩამომაკითხავსო. ხედად ყვედაფერი მოგვარ-დება. ოლონდ ესაა, ქმარს ჩამოსვდა მოუგვიანდება. როცა საქმე წესიერებას ეხება, ქადბატონ ბდანკეს ხუმრობა არ უყვარს, ად-გება და იმ უცხოედ ქადს გაასახდებს. იმავე ღამეს, როცა ეს ამ-ბავი ხდება, მოდის ვილაც მამაკაცი და № 4 ოთახს კითხუდობს, ოთახის კართან გამოდგმუდ წყვიდ წალს რომ თვადს მოჰ-კრავს, მძინარე მდგმურს შეუვარდება და მიბეგვავს. იმ უცხო-ედი ქადის ქმარი გამოდგება; ანც რამე ქადბატონ ბდანკეს მკაც-რი ზნე-ჩვეუდებისა. სცოდნია, ანც თავისი ცოდის გასახდებისა. მიბეგვიდ მდგმურს სხვა რა დარჩენია, ისევე ძიდს უნდა მისცეს თავი. ხეირიანად ვერც კი გაუგია, რას ერწოდნენ.

<sup>1</sup> ადფონს კარი (1808—1890) — ფრანგი მწერალი, რურნალისტი.

ქაშაყის მარილწყადი, ცეკვა, მაღალი საზოგადოების გართობა, ოფენბახის კადრიდი — ამგვარი გახდნათ იმ პატარა საკურორტო ქადაქის გარემო, სადაც გი დე მოპასანი იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა.

ღორა მოიქანცა გიჟმაჟების გადამკიდე („ოჰ, ეს ბიჭები!“). გადაწყვეტილებას მეტს ველან გააჭიანურებს. უფროსი ვაჟი პანსიონში უნდა მიაბაროს. ივეტოს რედიგიური, პატარა სემინარიის მაგვარი, სასწავლებელი ამოიჩნია. სასწავლებელი ქადაქის განაპირას იყო მოთავსებული, გარს მაღალი ზღუდე ერტყა.

გის სკოლის იმ წლებისა, ივეტოს სემინარიაში შესვლას რომ უსწრებდა, ცოტა რამ თუ ვიცით. მოგვეპოვება მხოლოდ დახასიათება, რაიც გაუცია ნაპოლეონის საიმპერატორო პარიზულ დიციუმს და განეკუთვნება 1859/60 სასწავლო წელს. ეს დახასიათება ქალაქების იმ დასტაში ინახებოდა, ღორამ ერმინა დეკონტ დიუ ნუის რამ გადასცა გის სიკვდილის შემდგომ:

„ჯანმრთელობა: კარგი.

ხასიათი: ფრიად რბილი.

აღზრდა: ფრიად საგულდაგულდ.

რედიგიური მოვადელობანი: წესიერად ასრულებს“.

შეფასებით ერთობ სხვადასხვაგვარი შეფასებანი აქვს. რედიგიურ საგნებში და ისტორიაში „კარგსა“ და „საშუალოს“ იმსახურებს, ფრანგულ ენასა და გეოგრაფიაში — „საშუალოსა“ და „ძალიან კარგს“; არითმეტიკაში — „საშუალოს“, „ძალიან კარგს“, „საშუალოს“. კარგი, ნიჭიერი ბიჭუნაა: „საუცხოლო მოწაფეა, ნებისყოფისა და სიბეჯითის გამო ყოვედგვარი ქებისა და წახადისების ღირსია. თანდათან შრომას შეეჩვევა, და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გარკვეულ წარმატებას მიაღწევს“.

ტყავისყდიან დიდ წიგნში, რომდითაც ეტრეტის ბიბლიოთეკა ამაყოლს, ჩაწერიდი გახდავთ გის ნიშნები 1863/64 და 1867/68 წლებისა.

აი, 1863 წლის 31 დეკემბრის ცხრიდი:

„ყოფაქცევა: წესიერი.

მეცადინეობა: სიბეჯითეს იჩენს.

ხასიათი: კარგი და მორჩიდი. კარგად დაიწყო და იმედი მაქვს, ამგვარადვე გააგრძელებს.“

გი ნამდვირად ასეთია. ყოფაქცევით „წესიერია“, მეცადინეობს მუყაითად“, ხასიათით „გუდგახსნიდი და მორჩილია“. ეს ბოლო სიტყვა მუდამ მეორდება მის დახასიათებებში.

მაგრამ გის წერიდი, დედისათვის გაგზავნიდი 1864 წლის 2 მაისს, წარმოგვიდგენს სემინარიის მოწაფეს, რომელიც უფრო მეტად ნავებზე ფიქრობს, ვიდრე ზმნების უღვდილებაზე: „საზაფხულო არდადეგების დაწყებისას მეჯდისს გაგიმართავო, რომ შემპირდი, იმ მეჯდისის ნაცვლად ერთ რამესა გთხოვ — პატარა სადიდი მოაწყო. და თუ არ დაგენანება, მეჯდისის სახარჯოდ გადაეღებდი ფუდის ნახევარი მე მომცე; მაშინ ნავის ყიდვას შევძლებდი... ისეთი ნავი კი არ მინდა, პარიზელებს რომ აჩეჩებენ ხოლმე, ის ნავები რად ვარგა. ერთ ნაცვლბ მებაჟესთან მივად და ის მომყიდის მებადურის მრგვადძირა კარჭაპას“...

იცის, რა უნდა. იუმორსაც ამჟღავნებს, ეშმაკობასაც და სიფაქიზესაც. მადე იგი ნავით გაასეინებს ხოლმე თავის ძაღდს მატოს — ეს სახედი ფდობერის რომანის, „სადამბოს“, გმირის პატივისაცემად შეარქვა. ძაღდმაც პატრონივით ჩინებუდი ცურვა იცის. ხშირად, როცა გი ნავის ფსკერზე წამოწოდიდი კითხუდობს, იქვე გუშაგივით დაუყუნცდება, გეგონება, ნავს ის მართავსო.

თუ ივეტოს სემინარიის ცხრიდთა შესწავლით შემოვიფარგლებით, გი „დამჯერ“ ბავშვად წარმოგვიდგება. 1865/66 წლებში, ყვედაფერი რიგზე იყო. მომდევნო სასწავლო წდის მეორე მეოთხედის ცხრიდში შენიშვნა გაჩნდა: „წარმოადგინა ცნობები შინ ყოფნისას მეცადინეობის შესახებ“. მეცადინეობანი ავადმყოფობის გამო გააცდინა. მესამე და მეოთხე მეოთხედებში ისევ ის შეფასება მეორდება: ყოფაქცევა „წესიერი“, მეცადინეობს „მუყაითად“, ხასიათი: „მუდამ კარგი, სასიამოვნო აქვს“. მართდაც, საკირკიტოს ვერაფერს იპოვი, გარდა ცხრიდისა, რომელიც დათარიღებულია 1867 წდის 15 დეკემბრით და გის მიმართ საყვედურს შეიცავს, მათემატიკისადმი ჯეროვან ინტერესს არ იჩენსო. ამასვე ადასტურებს 1868 წდის 15 მაისის შეფასებაც:

„ყოფაქცევა: წესიერი.

მეცადინეობა: საერთოდ დამაკმაყოფილებედი. ცადკეუდ საგნებს ჯეროვანი გუდმოდგინებით არ ეკიდება.

ხასიათი: თავაზიანი და დამჯერი“.

უდავოა, ბიჭი ნიჭიერია და მოძღვარნიც დაინტერესებულნი არიან ამგვარი მოწაფით. მაგრამ ვი იმის წინააღმდეგია, მოწაფეები დამწყვედულნი რომ ჰყავთ, და ეკლესიასაც უმხედრდება. იგი დედის წინააღმდეგობრივ მისწრაფებათა მსხვერპლია. დედა მამაზე მეტად ღვთისმოსავი როდია, მაგრამ სწოლობის აპყვა და რელიგიურ სასწავლებელში ბავშვი იმიტომ მიიბარა. ვის პირველი ნახვისთანავე შესჯავრდა „ნაღვლისმომგვრელი შენობა, სადაც ბინა დაუდვიათ მღვდლებს და მოწაფეთ, რომელთაც თითქმის უკლებლივ ბერმონაზვნებად ამზადებენ... იქაურთა დოცვის სუნს გაეჟღინთა, ისევე, როგორც თევზის სუნით ბაზრის ჰაერია სოღმე გაჟღენთილი ზღვის მოქცევის დღეს“. წყადს, სუფთა ჰაერს არაფერი ურჩევნია, ჭუჭყი სძაგს. არადა, ბავშვებს ფეხის დაბანის ნებას წერიწადში მხოლოდ სამჯერ რთავდნენ. აბანოში არასოდეს დაჰყავდათ იგი აღმწოთებულად. გამოსაუადი მადე იპოვა. იგი ავადობას უჩივის სოღმე. თანაც სშირად. დოყები მაშინლა აუვარდისფერდებოდა, როცა ეკიპაყით შინისაკენ მიემგზავრებოდა და სარკმელში შემოჭრიდ ჰაერთან ერთად ზღვის წყადმცენარეთა სუნს იკრავდა.

მადე მისი შაკიკისა მაინცდამაინც აღარ სჯერათ. დედასა და ივეტოედ აღმზრდელებს, ეტყობა, ვერ გაამტყუნებ, იგონებსლო ამ ამბავს, გუდი რომ დააჯერეს. შემდგომაც, ჯარისკაცად ყოფნისას, მერმე სამინისტროში სამსახურისას, მოპასანი სშირად მიმართავდა ამგვარ ეშმაკობას და უფროსებს ადვილად „აცურებდა“. მაგრამ უფრო მოგვიანებით საშინელი ნევრადგიური ტკივიდი ისე გააწამებს, რომ ძადაუნებურად ეკითხები შენს თავს, ეს შესახედავად ჯანმაგარი ბიჭუნა უკვე ბავშვობაში სომ არ იყო ავბედითი სენით სნეული. ერთი რამ კი სრულიად ცხადია: ეს „მორჩიდი“ ბავშვი ძადზე უბედური გახდდათ. „თამაშს რას მოვასერხებდი, ან ამსანაგები სად მყავდა; მოვინატრებდი მშობლიურ სახდს და დარდს ვეძდეოდი. დოგინში რომ ჩავწვებოდი, გუდი ამომიჯდებოდა... მერედა ვინ არის დამნაშავე, სუდ უბრადლო რამის გამო რომ ამგვარი საშინელი განცდები უნდა გადაგატანიონ, ასეთი რამის გამომცდელი ახადგაზრდა კაცი სომ სუდ მადე სასიჩრდება...“

ამისთანა დამყაყბულ გარემოში რომ არ მოსვედრიდიყო,

შეეძლო ბრწყინვალე მოწაფე გამხდარიყო. გი ლედავს, შეპირებული დექსიკონი მაშამ რად არ გაბოძიგზავნაო; ისევ შეუთვრის: „აღბათ, დაგავიწყდა, ახალი წლის წინ რომ უნდა გამოგეგზავნა, თუ იქნებ გგონია, ბერძნულსა და ლათინურში მეცადინეობისათვის არ მჭირდებოდეს... დექსიკონი აუცილებლივ მჭირდება...“

ამგვარი კილო აღარ გვაკვირვებს. ბიჭიც დედასავით შემწყნარებლურად უყურებს გუსტავს. ვერასდროს გის თვალში მაშა დასტურ უფროსი ვერ იქნება, ვერასდროს მაშად ვერ იქცევა.

დექსიკონთან ერთად გი ითხოვს მამის ინიციალებდასმულ გერბიან საფოსტო ქაღალდს: „ჩვენი ინიციალები ხომ ერთნაირია; თუ გამომიგზავნი, ძალიან ვამაზარებ, მაგნაირი ქაღალდი სურ არა მაქვს, ორი ან სამი დასტა მჭირდება წერილების დასაწერად...“

დედის მიზანი, ბავშვის აღზრდისას რომ ისახავდა, მიღწეულია. გი ყაღბდება გაბედულ ადამიანად, ვისაც საკუთარი გარკვეული შეხედულება აქვს და ამ შეხედულებას უჭოჭმანოდ გამოთქვამს, იგი სრულიად მოურიებლად წერს: „ეგ პირუტყვი ნაპოლეონი ნუთუ სურ ტახტზე უნდა იჯდეს? ნეტამც ჯანდაბაში წავიდოდეს!“<sup>1</sup>

ბოლოს და ბოლოს პოეტმა გაიღვიძა მასში, მშობლები აგულიანებდნენ, რადგან ხედმოცარული მხატვარი მაშა და განათლებული დედა თავდაც პოეზიას მიედრვიან. „არ ვიცი, გური ხომ არ გაგიწყადე, მაგრამ გიგზავნი კიდევ ერთ ჩემს პოემას, რომელიც თუმცა (!) წინანდელზე უფრო დაუდევრადაა დაწერილი, სამაგიეროდ მეტ ხეირიან სტრიქონს შეიცავს. ეს ოცნებებია, ფანტაზიას დალად მივყვებოდი, არ ვიოკებდი. სამლოცველოში შევთხზე, წირვის დროს“.

აი, ეს საიდუმლო დიადოგი მუზასთან:

მეგუდებოდნენ ტრფიადების მოწმედ ტყეები,  
ვედები, ზვირთნი, აზიდული სვედი კდეები.  
მბორგავ ზღვის ტადლა გააფთრებით კდეის ეხლებოდა,  
მაგრამ გრიგადი ვით შმაგობდა, ვით ხედებოდა,

<sup>1</sup> დაპარაკია ნაპოლეონ მესამეზე, რომელიც იმპერატორი გახდა სახედმწიფო გადატრიალების შედეგად. ნაპოლეონ მესამის იმპერატორობის წლებს (1852—1870) ზოლამ „სიშდევისა და თავდაფდასხმის ხანა“ უწოდა.

არც კი მესმოდა: სხვა ქანიშაღს ვუდი მონებდა;  
გულის ყვირის — და გრგვიწვას რაღა გამაგონებდა...  
მევიწროება პორიზონტი, ან მყოფნის არე,  
მოდე და, თუნდაც მთად ქვეყანა ვრცელი იკმარე!

პატივმოყვარულ სურვილთა რიხიანი გაცხადებაა! თრზავს  
და თხზავს მოსწავდე რექსებს. 1866 წელს იგი წერს:

ბავშვს მიტაცებუნენ სისხლისმღვრედი ბრძოლის ამბები,  
ქველი რაინდნი, მათი ქცევა და სიკისკასე,  
მათი, ვინც — უფლის კუბოსათვის თავის დამდეები —  
დაეცა საღლაც შორეულ და უცხო მიწაზე.  
რინარდი! იყო, ვინც მიყვარდა ყველაზე მეტად.  
მეფე უშიში ჩემს სულსა და გულს დაუფრდა.  
მეც მეფე ვიყავ — ვეძლეოდი ზმანებას ნეტანს...  
მაგრამ ერთხელაც გზად შემომსვდა გოგონა ტურფა.  
„აჰანდე გული, კოშკი ჩემი, ჩემი მალნარი.  
ერთად ვიანცოთ! ასღა ყველგან მზე აფენია!“  
რაკი აქ ვპოვე საოცრება აგერ ამგვარი,  
უცხო მსარეში რაღა მინდა, რა დამჩენია?  
არა, რად იყო უბედური მანინც კოლეში,  
როს პორიზონტზე თვადი ჰკიდა ახად ქვეყანას...

გი სიჭაბუკისათვის აგრე ნიშნეული დირიკული ციებ-ცხე-  
დების დიდებულ ნიშუმად გამოდგება, ციებ-ცხედებისა, რისგანაც  
მოწიფულობასთან ერთად იკურნებიან. მედექსელობას ცამეტი  
წლისამ მიჰყო სედი. იმ დროსაც კი, როცა რექსების თხზვა ფრან-  
გულ და დათინურ ენებზე ჩვეულებრივი სასკოლო სავარჯიშო  
გახდდათ, ძვირად თუ მოიძებნებოდა მშობლიურ ენას ისე კარ-  
გად დაუფლებული ყმაწვიდი, რომ დაეწერა:

ფებოსმა იწყო ზეცის გზებით ეტლის ტარება,  
მთვარე დევნიდი ფაციფუციით მიიპარება;  
მომინდა ამ დროს მინდობ-ველად განავარდება,  
ჭადების დავდა, სად სიმწვანეს თვადი ხარბდება..

ამ სტრიქონებში მჟღავნდება თავისუფლების დარდი, ბუნე-  
ბის სიყვარული და მძაფრი წადიდი ავტორისა, დაჰკრას ფეხი და

1 იგულისხმება ევროპედ რაინდთა ჯვაროსნული დაშქრობა აღმოსავლეთის  
ქვეყნებში, წამოწყებული თითქოსდა მაცხოვრის კუბოს გამოსასხნედად. ინგ-  
ლისის მეფე რინარდ ლომგული სათავეში ედგა მესამე ჯვაროსნულ დაშქრო-  
ბას (1189—1192).

გაიქცეს. სწორედ რომ უცნაური ბიჭია გი, ხან მოლუშუდი და გუდჩათხრობილია, ხან კიდევ რამეს იემშაკებს და აღიქოთს ატეხს, აღქაჯივით ჩხუბობს და საცა ვინმე კაბიანს ნასავს, სუდ შაირები უნდა უძღვნას!

ღორას სიამაყით მოჰყავდა ციტატა იმ პოემისა, რომელიც გიმ 1864 წლის 2 მაისს გაუგზავნა:

საწუთრო — მღვრიე ნაკვადევი, კიჩოს რომ მოსდევს,  
სუსტი პირიშუე შიშვედ კდეზე თავაღერილი,  
მეზღაურის ხმა, განწირული მშველედს ხმობს ოდეს,  
ფრინველის ჩრდილი ძირს, მზვარეში გადარბენიდი.  
ნისღია იგი, იმქვეყნიურ შუქით ნაფერი,  
ჯამი, მხოლოდღა ლაღდისთვის რთა საფერი.

ღორას, სიამაყით გამსჭვადუდეს, ყვედაფერი აღტაცებას ჰგვირბდა. მაგრამ ლექსს „საწუთრო მღვრიე ნაკვადევი“, ისევე როგორც მის ავტორს, მართლაც ღვთიური ნიჭის ბეჭედი ესვა.

ამასობაში ივეტოში კონფლიქტი მწიფდებოდა. ღორამ ყვე-დაფერი ფლობერს შეატყობინა 1866 წლის 16 მარტს გაგზავნილი წერილით. იმხანად მათ შორის მეგობრული ურთიერთობა განახ-დდა. ფლობერმა პასუხი მოსწერა, სათუთად იგონებდა ბავშვო-ბას: „თქვენ ყვედანი თვადწინ მიდგახართ, გრანდ რიუზე მდე-ბარე სახდში, მაგონდება, როგორ დასეირნობდით მზვარეში ტე-რასაზე, სამტრედეს გვერდით.. გახსოვს, როგორ ვკითხულობდით, „შემოდგომის ფოთლებს“<sup>1</sup> ფეკანში, მესამე სართულის პატარა ოთახში?“

წლების განმავლობაში მინდებულდი მეგობრობა კვდავ გაცხო-ვედდა. ღორა გუდს უხსნის ფლობერს, თავის საფიქრად-სადარდე-ბედს ანდობს: „...საბრადო ბიჭუნამ ბევრი რამ ნახა და გაიგო, თხუთმეტი წლის ბიჭის პირობაზე მეტისმეტად მომწიფებუღია. რომ შეხედავ, ადფრედი გამომეცხადაო, იტყვი!“

ეს წერიდი გვიდასტურებს, რომ გი არაერთგზის შესწრებია ოჯახურ შეხდა-შემოხდას. ფლობერი მეტადრე იმ ამბავმა გა-ახარა, გი ბიძამის დე პუატვენს ჰგვანებიაო, რომ შეიტყო,

<sup>1</sup> „შემოდგომის ფოთლები“ — ვ. პიუგოს პოეტური კრებუ-ღი (1831).



„...იძულებული გავხდი, ივეტოს სემინარიიდან გამომეყვანა, — განუმარტავს ღორა, — აბა, რა მექნა, მარხვისაგან ვერ გავათავისუფლებო, მითხრეს; ექიმთა მოთხოვნამაც არ გაჭრა. სწორედ რომ უცნაური ჩვეულებაა ქრისტიეს სარწმუნოების გაგებისა“. მაგრამ წერილში სხვა მიზეზიცაა მითითებული „იქაურობა ვერაფრად ეჭაშნიკებოდა: სამონასტრო ცხოვრების სიმკაცრე სურდ არ შეეფერებოდა მის მგრძობიარესა და ფაქიზ ბუნებას, საბრადო ბიჭს სული ეხუთებოდა ყრუ კედლებში გამომწყვდეულს... მინდა წედიწადნახევრით ჰავრის დიცუუმში მივაბარო...“

ივეტოში მორჩიდი ბიჭი ნამდვიდ ეშმაკუნად იქცა. გემო გაუგო ნორმანდიურ ხუმრობას, კვიმატს, მოუხეშოს, რომელსაც ფლობერი „გრ-რ-რანდიოზულს უწოდებდა“, ისეთსავე მარილიანს, როგორც მარსედური ანეკდოტები ანდა ბრიუსედური ნარსაულებია.

თავისი სასკოლო ცხოვრების ამბავს გი მოწიფულ ადამიანთათვის ნიშანდობლივი გუდარხეინობით უამბობს შემდგომ ფრანსუა ტასარს, მსახურსა და მესაიდუმდეს: „მაშინ თოთხმეტი წლისა ვიყავი, ივეტოს სემინარიაში ვსწავდობდი. საბაგედ სასმედს გვადევინებდნენ, „ბარაქა“ ერქვა. შური რომ გვეძია, ერთმა ჩვენგანმა მეკუჭნავეს გასაღები მოჰპარა. დაძინეს თუ არა ზედამხედველებმა, სარდაფს ვეცით... გაგიხარია, ღრეობა გავაჩაღეთ, ავიკედით იქაურობა! რადგან ერთ-ერთი მოთავე მე გახდდი და ჩემი საქციედის გამო პასუხისმგებლობისაგან თავის დაძვრენა არც მიფიქრია, ადგნენ და სასწავდებდიდან გამრიცხეს!... სურაც არ მინაღვდია, რაც უნდა იყოს, რუანის კოდეჟი სჯობდა!“

მაგრამ ვითარება გაციდებით უფრო რთული იყო, გაციდებით უფრო ნორმანდიული; ბერები ვერ ბედავდნენ ამკარად ელიარებინათ, რომ იძულებულნი იყვნენ, თავიდან მოეშორებინათ ეს ბრწყინვადე, მაგრამ უდისციპლინო მოწაფე.

ეტყობა, გის გვარიანი მოხერხებულობის გამორჩენა დასჭირდა, საწადედს სწეოდა. როცა გათხოვდა ერთ-ერთი მისი ბიძაშვიდი, ვინმე ე. დ., ვისთანაც გი მეგობრულად იყო, ამ ამბავთან დაკავშირებით პატარძადს დექსი უძღვნა:

<sup>1</sup> ფლობერისათვის 1879 წლის 17 ოქტომბერს გავზავნიდ ბარათში ვი დაწერს, რომ 17 წლისა სემინარიიდან გამოაძევეს ურწმუნოებისა და ათასგვარი აურზაურის ატეხის გამო.

რა ხანია მენატრება  
 დალი სივრცე, ტყე და ვეღი...  
 მომესმება კვლავ შენი ხმა  
 გულის დარღის გადამყრელი?  
 მითხარ: „დექსით შეაქეო  
 შვება-ღხენა გულსახარო,  
 როს ყვავილთა დღ-ადმასო  
 ვნებით დამთვრალთ თავს დაგვხარის“.  
 მაგრამ, ვაჰ, რომ ამ მონასტრის  
 კედლებში ვარ წაკელი;  
 სტიქარონი დაისწავლე,  
 იზეპირე გაკვეთილი

უკვე შეღერებული ვაჟი გაცილებით მეტი სითამამით აღბეჭ-  
 დიდ დექსებს წერდა იმხანობას! მაგრამ ამ დექსის გამოც უბი-  
 წო სუდიერმა მამებმა ყური ცქვიტეს. გიმ ეს დექსი გამოსაჩენ  
 ადგილას დატოვა. წინდაუხედაობის ბრადი იყო? გულმავიწყო-  
 ბისა? თუ განზრახ გამოწვევას ნიშნავდა? შესაძლოა, ამ საქცი-  
 ელსაც არ ჰქონოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, მაგრამ გიმ პა-  
 როდიაც შეთხზა შერისხვის გამო არსებულდი ქადაგებისა<sup>1</sup>, თა-  
 ნაც ისეთი გამოთქმები იხმარა, სუტანიანი აღმზრდელები ამას  
 ველარასგზით აპატიებდნენ.

— რა დაემართა? რა ღმერთი გაუწყრა! — გულისწყრომას ვერ  
 ფარავდა წინამძღვარი. — მაგ თავზე ხედალებულს სწორედ ეშმა-  
 კი შესჯდომია.

გი ეტრეტაში წარგზავნეს შვეიცარიის თანხლებით. ღორა ვი-  
 თომ გაწყრა და გაბრაზდა შვილის საქციელის გამო, სინამდვი-  
 ეში კი დამის ფხუკუნი წასცდა. გიმ საწადელი აისრუდა. მაღე,  
 1868 წლის მაისსა თუ ივნისში, იგი შევა კორნელის სახელო-  
 ბის რუანის დიცეუმში, რიტორიკის კლასში<sup>2</sup>, შევა კვლავ ინტიმ-  
 ნად — პანსიონიანი სასწავლებლის მოწაფედ.

ურჩმა მოსწავდემ გამარჯვება მოიპოვა. კუშტი კორნელი, ამ  
 სასწავლებლის მკაცრი მზრუნველი, სურათიდან გადმოსცქეროდა  
 ეშმაკური ღიმილით თავზე ხედალებული ყმაწვილისა (როგორც  
 თავად იყო სიჭაბუკისას აქ, მშობლიურ რუანში); თითქოს ხა-  
 რლობდა: ჩემი, „ძველი მკვიდრის“, შესაცვდედად „საბუდარში გა-  
 ზენილა „მართვე“ ჩემივე ჯიშისათ!

<sup>1</sup> განმარტება მოსეს მეხუთე წიგნის 28-ე თავისა, სადაც ღმერთი შებრძო-  
 ზვით ეშუქრება იმათ, ვინც მის მცნებებს არ ასრულებს.

<sup>2</sup> რ ი ტ ო რ ი კ ი ს კ ღ ა ს ო — დიცეუმის ზედა კლასი.

კურბე „ტაღლას“ ხატავს. — ქაღვუდის მღვიმიე. — მატყუარა ფანი... —  
სუინბერნის „გემის დაღუპვა“

გის სუდ ადრინდელი ბავშვობისდროინდელი მოგონებები განუყრედად უკავშირდება ზღვას, ტაღლებს, ზღვისპირა კენჭებს. „არ გერწვენებათ, რომ ეს მოკლე სახედწოდება ეტრეტიისა, უსწორმასწორო და ხტუნია, წკრიადა და ხადისიანი, ტაღლა რო კენჭებს წააგორ-წამოავორებს, იმ ჩხრიადისაგან იშვა?“

ღარი იყო თუ ავღარი, ბიჭი ზღვას მიაშურებდა ხოდმე, აუხსნელი ინსტინქტი ისეთივე ძალით მიაქანებდა იქით, რა ძალითაც გვედთევზას იზიდავს სარგასის ზღვა. „ბღაჟზე გავედი, შტორმი ვნახო-მეთქი. გამძვინვარებული ქარი აბორგებულ ზღვას ნაპირისკენ მოერეკებოდა, ზედიზედ მძიმედ მოგორავდნენ უზარმაზარი, ფოფინა, ქეროზე ქაფმოგდებული ტაღლები. უცებ ციცაბო ქვიან ნაპირს შეეჯახებოდნენ, რიყის ქვებით მოფენილს, მაშინ ზეალიმართებოდნენ, გადაიზნიქებოდნენ და გამაყრუებელი ზათქით დაასკდებოდნენ რიყეს. ზღვის უბის კდდეებშუა კი ქაფის კორიანტელი ავარდებოდა — იმ კორიანტელს გრიგადი იტაცებდა, ქადაქის სახურავების თავზე მიაქროლებდა და შორს, დაბლობისაკენ მიაქანებდა“.

ბრწყინვადედ დ ა ხ ა ტ უ დ ი სურათია!

„უეცრივ ვილაცამ ჩემ გვერდით თქვა: „წავიდეთ ერთი, კურბე ვნახოთ — შესანიშნავ რამეს ხატავს“. ამ სიტყვებით ჩემთვის არ მოუმართავთ, მაგრამ მე მაინც გავყვივი, რადგან მხატვარს ცოტათი ვიცნობდი. იგი ციცაბო კდდის ძირას ცხოვრობდა პატარა სახლში, ზედ ზღვის პირას. ის სახლი ოდესღაც მხატვარ-მარინისტს ეუენ დე პუატვენს ეკუთვნოდა. კახელა, შიშვედკედლებიან ოთახში მსუქანსა და დათხვრიდ კაცს ხედში სამზარეულოს დანა ეჭირა და დიდ სუფთა ტიღოზე თეთრ საღებავს ფენა-ფენად ადებდა. დროდადრო პირისასეს ფანჯრის მინას მიაყრდნობდა და აბობქრებულ ზღვას ვასცქეროდა...“

ბუხრის თავზე, ნაკდული ჭიქის გვერდით, სიდრიანი ბოთლი იდგა. კურბე ხანდახან ორიოდე ყლუპს მოსვამდა, ტუჩებს ნეტარებით გააწკადაპუნებდა და კვდავ მოღბერტს მიუბრუნებოდა...

იმუამად „ტადლას“<sup>1</sup> სატავდა“. ამ მოვლენებში, გაზეთ „ჟიდ ბდასისათვის“ რომ დაწერა გიმ ოცი წლის შემდეგ, „ტადლა“ კვდავ ქაფს მოიგდებს ჩვენს თვადწინ, ისევე, როგორც ქაფად იქცეოდა და გრცვინავდა იმ კაცის სედიტ შექმნილ ტილოზე, ვინაც მხატვართა შორის მხატვარი იყო მაშინდელი ხედვავიანი ეპოქისა. იურის მთების ეს მძღავრი შვიდი ზღვავზე ცურვისას სურ ერთთავად მოკდეტარიან ჩიბუსს სურტავდა და ეტრეტედმა მეზღვავურებმა მეტსახედად „დომვეშაპა“ შეარქვეს.

გის არასდროს დავიწყებია ზღვასთან გატარებული ბავშვობის დღეები: „მე გავიზარდე ჩრდილოეთის დეგა და ცივი ზღვის ნაპირას, მეთევზეთა პატარა ქადაქში, ამ, მუდამ ქარის, წვიმისა და ტადლათ უხეფების სათარემოდ ქცეურდ, მზეზე გამოყვანილი თევზის სუნგამჯდარ ქადაქის ჟამგადასურდ ჩამუქებურდ სახდში, რომელსაც აგურით ამოყვანილი საკვამდე მიდები ჰქონდა, და იმ საკვამურებიდან ბოლქვა-ბოლქვად აღენიდი კვამიდი მთედს არემარეს ჰფენდა ბოლში გამოყვანილი ქაშაყის მძაფრ სუნს“.

ეს, რასაკვირვედია, ეტრეტა არ არის. ფეკანი გახდავთ. აქ ბავშვი მთედი მკერდით ისუნთქავდა მძაფრ სუნს, დამარიდებურდი ქაშაყით სავსე კასრებს რომ ასდიოდა და რაც ასერიგად ეჯავრებოდა დედამისს. მართო ზემოლოტანიდი ამ ერთ ფრაზაში ნახმარი სიტყვები — „ნაპირი“, „ზღვა“, „მეთევზეთა“, „წვიმა“, „უხეფები“, „თევზი“ — მებადურთა პატარა ქადაქის ცხოვრების ძირითად შინაარსს იტევს.

„ჩემს პატარა ბიჭობაში საოცარ სიამოვნებას განვიცდიდი, როცა მართოდმართო გვიანობამდე შევრჩებოდი ხოლმე მშვიდი ანდა ქარიშხლისაგან გავეშეზურიდი ოკეანის ნაპირს“.

ჟმაწვიდი მართოლოდენ სადალობო დექსებს როდი თხზავდა, ოლონდ კი ეწერა და, რაგინდარა თემას, რაგინდარა საბაბს იყენებდა! ყურადღებას იპყრობს ის სტრიქონები, კდდესა და მღვიმეს რომ მიუძღვნა. „დეგენდა ეტრეტის ქადწურთა მღვიმისა“, ეტყობა, 1867 წედს უნდა იყოს დაწერიდი. ფორმით იგი ხადხურ სიმღერას მოგვავგონებს, სინანუდის აღმძვრედსა და მიამიტურს:

წყნარი ტადლა უდამუნებს,  
დოკავს ნაპირს ქვიანს;

<sup>1</sup> 1869 წდის აგვისტო.

თანაც მოთქვამს, უნებურად  
 ჩივის ბედის ტრიადს,  
 მალდა, სადაც კდღის ქიმიცა  
 და სავანე სირთა,  
 შორიანდო იქ მღვიმეა,  
 კდღეს გზაწვირილი მისდევს.  
 გაკიდულა სამადავი  
 ცის და ზღვის მკერდს შუა,  
 აღარ ახსოვს ის არავის,  
 ყავდგასული თუა.  
 ერთ დროს ბევრი კოხტა ცირა  
 იქ მიჯნურთან შეხვედრიდა...

აქ ყველაფერი წინანებურად შეშორჩენიდა. ქადწუდის მღვი-  
 მესთან კდღეს ენარცხებიან და დგაფუნო გააქვთ ტადღებს. აქე-  
 დან, ნაპირის გაყოლებით, ჩანს ეტრეტა და ამონის უბე... წი-  
 თელი კრამიტის სახურავები მდიდრუდი ვიდეებისა მწვანეში ჩა-  
 ძირულა. ზღვის ფშვირვა კვდავინდებურად ერწყმის კენჭების  
 ჩსრიადს, „ტადლაში“ რომ მოგვესმის. ჭრიადი გაუდის ჟანგმო-  
 კიდებურ ნიჩბის პადოებს. ყვავის საძეყურა, იონჯა, თვადს ხვიდე-  
 ბა კირში დატანებური კაჟის ნატეხები, შავი ფისი და ტადღის  
 სადაფისფერი ქაფი, მუქი ნავების ფონზე თეთრად წამოქოჩ-  
 რიდი ზვირთები, — ეს ყოვედივე გახსენებს ყმაწვიდ გის. ზღვის  
 მარადიურ სუნთქვაში, დასავდეთის ქარის მოქროდაში თითქოს  
 მოგესმის: „მოპასანი, მოპასანი, მოპასანი...“

ზღვა არის ჭაბუკი პოეტის შთაგონების წყარო. ზღვა იგივე  
 ქადია. ქადი იგივე ზღვაა. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე  
 გი (ეს სახელი თავისთავად სწყდება კადმის წვერს, ისევე, რო-  
 გორც მისი მეგობრების ბაგეს სწუღებოდა) წყადს შეუპირის-  
 პირებს ხოდმე ქადს.

1868 წლის ზაფხულში სასტუმროებში ტევა არაა. ცეკვავენ  
 კაზინოში, ცეკვავენ ოფენბახთან. ოტოს სასტუმროს ეზო  
 ეტდებოთაა გაჭედირი. ეტყობა, დოდენჟენიც აქ, თავის კოშკ-  
 ში, უნდა ბრძანდებოდეს, — იმ ძველი კოშკის თავზე ადამი ფრი-  
 ადებს.

გი თავქვე ჩარბის ნაპირისაკენ, იქ ნავში ჩახტება, გვარდს  
 ახსნის და მადე მიადგება ძვედ, ხით ნაგებ კაზინოს, რომდის

პატრონია კეთილი ჟოზეფი, ვინაც მოვადე ყმაწვილი კაცებისათვის შეღავათის გაწევა იცის. მეთევზეები კოპწია პარიზედ ქაღებს ფეხებთან უყრიან ასხმარტადებუდ სკუმბრიებს, სახიდვედად საშინედ სკაროსებს და უცნაური ასოციაციის აღმძვრედ ასთაკვებს. ქაღები წივიან...

ამ კეკლუცების ცქერით ხვეწს თავის გემოვნებას გიჟმაჟი ყმაწვილი. გი უტიფრად ათვადიერებს მობანავე ქაღებს, რომლებიც მსიარუდ, ჯანმაგარ მეზღვაურებს ხედში ატაცებუდი მიჰყავთ ტადლამდე, — კურბეს ტადლამდე, ცხადია, ოლონდ მეტრას! ტადლადაც რომ ითქმის. გი უცდომდად შენიშნავს: „ცოტალოდენი ქაღი თუ გაუძღებს პდაჟზე გამოცდას. სწორედ აქ შეიძლება მათი სრუდყოფიდად შეფასება კოჭებიდან მოყოლებუდი გულ-მკერდამდე!“ დახე! აკი მოწიფულობაში შესუდი ასე იტყვის: „ვისთვისაც ბედს ან ურგუნებია, პოეტური სიყვარუდი გამოცადა (სწორედ მასზეა ნათქვამი — თავად გვიდასტურებს ამას. — ა. დ.), იგი ქაღს ისე ირჩევს, როგორც საყასბოში ირჩევენ საკატდეტე ხორცს, როცა ხორცის ხარისხის გარდა სხვას ანაფერს დაეძებენ“.

ეტრეტა მისი ახადგაზრდობისა იგოვ საყასბოა.

ჟიზედ დ'ესტოკის ჩანაწერების მეოხებით ვგებუდობთ, რომ ერთ-ერთ ასეთ საღამოს ყმაწვიდს შეხვედრია ვინმე ფანი დე კდ., პანიზედი, რომედიც ეტრეტის მიშენიერი გარემოთი ტკებობდა. თვადტანადი ქაღი იყო, მცინარა, საუცხოო სუნამოს კეთიდსურნელებას აფრქვევდა. ყმაწვიდს ეწადა იგი, და ამას მისი თვადები მეტყველებდა. ეს უცნაური მოტრფიადე, ეს პატარა ტანმაგარი ხვადი მონაცვდელობით ხან ცინიკურ დექსებს თხზავდა, ხან კიდევ — სანტიმენტადურს. ადგა და ეს დექსები ფანის მიართვა... დგება საღამო და გუდამგერებუდი გი ქადის სანახავად მიეშურება. ის იყო ბალში ფეხი შედგა, უცებ სიციდ-ხარხარი გაიგონა... თავზარი დაცა! ფანის აულია თავისი ჭაბუკი თაყვანისმცემდის დექსები და ხმამაღდა გამოთქმით კითხუდობს, თან სიციდით კვდება... ჟიზედ დ'ესტოკი ასე აღწერს ამ ამბავს: „ეს შეურაცხყოფა გომ ვერასოდეს დავივიწყა. სხვა ქა-

1 მეტრა ოდოვი (1830—1889) — ფრანგი კომპოზიტორი, ავტორი ბალეტებისა და XIX საუკუნის მკრე ნახევარში პოპულარუდი ვადლებისა, მათ შორის ვადს „ტადლისა“.

ღებს აღარ აპატიო მაშინ განცდიდი ტანჯვა... მოაგონებოდა თუ არა ეს უღმობელი სურათი, გუნება აემღვრეოდა, სახეზე ძაღუნებურად ზიზღი გამოესატებოდა“.

გი საყოველთაო გატაცებას აპყობია, ოღონდ აპყობია თავისებურ ყაიდაზე. მას არა აქვს შეგნებული დამოკიდებულება მხატვრული მოვლენისადმი, შემდგომ იმპერსიონიზმი რომ დაერქმევა. ესენი ახადგაზრდა მხატვრები არიან — კეთილი და პატიოსანი, იცნობს მათ, აფასებს კიდეცაც, ოღონდ ეგ არის და ეგ. ცოტა არ იყოს, მუდამ იმედს გიცრუებს მიმდინარეობის მესვეური, რომელიც თავად ძირისძირამდე ვერ სწვდება ამ მიმდინარეობას. გარესამყაროს რომ გამოსახავდნენ, მხატვრები თავიანთ სურათებზე აღბეჭდავდნენ წყდის ათინათს, სონატებში ჟღერდა წყდის წვეთების რიტმი, მწერლები ახად სტიდს ეძიებდნენ, ვერ ხვდებოდნენ, თანამოძმე ხედოვანთა გზით თუ ვიდოდნენ. მოპასვანი უგებდა კურბეს, „ტადლის“ შემქმნედს, უგებდა მონესაც და რენუარსაც, ბევრ სხვასაც, ოღონდ როგორც რომანისტს უფროე თვით მხატვრები ხიბდავდნენ, ვიდრე მათი ტილოები. კურბე, უწინარეს ყოვლისა, თავისებურ პიროვნებად წარმოუდგებოდა: „მას აქვს მოუქნელი, მაგრამ სწორად მოაზროვნე გონება, გამორჩეული წმინდა გდესური სალი აზრით, რასაც, ცოტა არ იყოს, უხეში ხუმრობით ფარავს. როცა ერთმა თანამოსაგრეთაგანმა უჩვენა სურათი „წმინდა ოჯახი“, მხატვარი დააცქერდა სურათს და თქვა: „ძალიან დამაზია, ადბათ, თქვენ პირადად იცნობდით იმ ადამიანებს, რაკი მათი პორტრეტები დავინახატავთ“. პიროვნება არანაკლებ იზიდავდა მოპასვანს, ვიდრე თვით მხატვარი.

ერთი ყველაზე სათუთი და აღმტაცო მოგონება მოპასვანისა კოროს სახედს უკავშირდება. ეს შემთხვევა იმდროინდელია, როცა გი თოთხმეტი წდისა იყო... „ბორპერის ვედზე მივდიოდი, უცებ მომცრო ფერმის ეზოში თვადი ვკიდე დურჯბღუზიან ბერიკაცს, ვაშდის ხის ძირას დამჯდარიყო და ხატავდა. დასაკეც სკამზე მოკუზური, იგი ერთი ცუცნა ჩანდა. იმ მისმა გდესკაცურმა ბღუზამ გამაბედვინა და უფრო ახლოს მივდექ, ერთი კარგად დავინახო-მეთქი... ყვითური სინათლე ეღვრებოდა ფოთლებს, მათ შორის ატანდა და მოღზე იმცვრეოდა. ბერიკაცს არც



შეუუმწნევივარ. მომცრო კვადრატულ ტიღოს ნაჭერზე ხატავდა — წყნარად, ვუნებუიერად, ვატოკებიოთაც თითქმის არ ვატოკებულა, ჭალარა, მოვრძო თმა ჰქონდა და მშვიდი, ლიმიღგადაფენიდი სახე.

მეორე დღეს ეტრეტაში ვნახე, მოხუც მხატვარს კორო ერქვა...“

მოპასანი 1884 წელს მონესაც იქვე შეხვედბა და მშვენივრად გაიგებს, რა სიახლესაც ნერგავს. არადა, ბევრი იმდროინდელი მწერადი ვერ მიმხვდარიყო ამას. „ამავე ადგილას სშირად ვხდებივარ მონეს, როცა ის შთაბეჭდილებათა საძიებლად მიემართებოდა. მას მხატვარი კი არა, მონადირე ეთქმოდა. უკან ბადლები მოჰყვებოდნენ; მისი ტიღოები მოჰქონდათ, ხუთი-ექვსი ტიღო, ზედ რომ ერთი და იგივე პეიზაჟი იყო გამოსახული დღის სხვადასხვა ჟამს და სხვადასხვაგვარი განათებისას... ვნახე, ერთხედ როგორ „მოიხედთა“ სინათლის მოედვარე ჩქერი, თეთრ კდღეს შეფრქვეული; მოიხედთა და აღბეჭდა კიდეც მოყვითაღო ათინათთა ნაკადის მეშვეობით, იმ ათინათთა, რომედნიც საკვირვლად გადმოსცემდნენ უცაბელსა და განსაცვიფრებელ შთაბეჭდილებას, რასაც კაცს ჰგვრიდა სინათლის მეყსუელი და თვადისმომჭრედი აკაშკაშება. სხვა დროს, როცა ზღვაზე თქეშმა დასცხო, იმ თქეშით პეშვები აივსო და ტიღოს მიატყვა...“

წყდის ნათება წვიმისას, ყვითური ფერები, თვადისმომჭრედი სიკაშკაშე, — ეს ხომ იმპრესიონიზმიია!

ოღონდ მოპასანი ბასტიენ-დუპაჟსაც აფასებდა, ვისი ფოტოგრაფიული პასტორაღებიც თვადში მოსდოდა. მოსწონდა ფერვეკისისა და ჟან ბეროს, ბიძაშვიდ დე პუატვენის სურათები, ასევე — უღიმღამო გიოომესი, რომელიც ზოდას სეზანს ერჩივნა, ხოლო ბუგეროს მოპასანი მანეს უტოღებდა.

ამგვარი განურჩევღობა გაოცებს კაცს: აკი მოპასანი-მწერადი მონესა და მისთა მიმდევართა თანამოსაგრეა მარტო მაშინ კი არა, როცა მსჯეღობს მათზე, მაშინაც, როცა თავის საუკეთესო ეპიზოდთა შექმნისას ხატავს ფართო მონასმით ანდა ფუნჯის მსუბუქი შეხებით, — ანუ — იმპრესიონისტულად, სწორედ ისევე, როგორც ხატავდა კურბე „სენის ქადიშვიღებს“ და „ტადლას“, მანე — „ფოღი-ბერჟერის ბარს“, მონე კიდეც — არჟანტიღისა და ეტრეტის პეიზაჟებს!

გი 1886 წლის 30 აპრილს ასე იტყვის: „მხატვრობისა ბევრი არაფერი გამოეგება, არც არასდრის მომიკიდია მისთვის ხელი“. ცრუ აღსარება გახდავთ. ეს რომ ასეა, გვიდასტურებს მოპასანისავე ერთი მტკიცება, რომლის მსგავსსაც ფრიად იშვიათად თუ წააწყდებოდით 1900 წლამდე: „ბოლოს და ბოლოს მიუხვდით, რომ სიუჟეტს მხატვრობაში დიდი მნიშვნელობა როდი აქვს. მხატვარმა უნდა აგვაღვიძლოს თვით ქმნილებითვე, განათუ იმ თემით, თავის სურათზე რომ აუხახავს“.

იმ ეპოქის პირობაზე ასეთ უჩვეულო შენიშვნას ვერ გამოთქვამდა მხატვრობის შეგრძნობის უნარს მოკლებული კაცი. ვერცთუ მეორეგვარ შენიშვნას გამოთქვამდა, სადაც მასხრად იგდებს „იმ რეპროდუქციებს, გაზეთებში რომ იბეჭდება და ისეთივე სახიფათო რომ არის, როგორც კანსიეროზთა საკითხავი რომანფედეტონები“. აქ მიზანში აქვს ამოღებული სადღონური აკადემიზმი, მისი მიმდევარი მხატვრები, ამათი ამქრის კრიტიკოსები და მათივე პატივმდებელი საზოგადოება. მოპასანს გაცდილებით უფრო მჭრელი და ავ-კარგის გამრჩევი თვადი ჰქონდა, ვიდრე თავადვე აღიარებდა: „თვადები ჩემი, განსმუნნი მსგავსად დამშეულის პირისა, ნთქავენ ხმელსა და ცას. დასტურ, ცხადად და ღრმადა ვგრძნობ, რომ მზერითა ვნთქავ სამყაროს“... და თუ მხატვრობისათვის ხელი არ მოუკიდია, ხატვით მაინც ხატავდა — ხატავდა ცოცხლად, იუმორისტულად, გაზეთის მხატვრების ყაიდაზე, ხშირად — ურცხვ, ოღონდაც შემაქცევარ რამეებს, გაცდილებით უფრო შემაქცევარს, ვიდრე მისივე ფრივოლური ნაკადრევა. გონებაცა და თვადიც მჭრელი აქვს, ხედიც ემორჩილება — სხვა რაღა უნდა, რომ მხატვრობაში ბედი სცადოს.

მაშ, რატომ იკატუნებს თავს? რითი უნდა ავხსნათ, ესოდენ საპირისპირო აზრები რომ აქვს მხატვრობაზე? უნდა ავხსნათ ორი მიზეზით, რომელთაგან ერთი ღიორეს არ აბათილებს. თუ გავითვადისწინებთ, რომ გუსტავ დე მოპასანი მხატვარი იყო, ხოლო გი არა ცნობდა მას მხატვრად, შეგვიძლია დავასკვნათ, მამის ათვადწუნების გამო მხატვრობაც აითვადწუნაო. ეს ახსნა დიანაც ჭკუასთან ახლოა. მეორე მიზეზი უფრო ზოგადი მნიშვნელობის მქონეა. გის უნდოდა, იმის უფლება შეენარჩუნებინა, რაც ეპიტინავებოდა, ყვედაფერი ჰყვარებოდა, გინდაც უხეირო მხატვრობა ყოფილიყო. არ სურდა, თავი შეეზღუდა რაიმე მხრივ,

შეზღუდა იმის გულისთვის, აქაოდა ჩემს შეხედულებებსა და ჩემსავე ცხოვრების წესს შორის პარამონიულობას მივალწილო. მსხვერპლის გაღებას დაჩვეული არ გახდეთ და აგრე მიაჩნდა, სავსებით საკმარისია, ჩემი თავის მიმართ შემოქმედებაში ვიყო უშეღავათლო, თუმცაღა ამ მოთხოვნას მთლიანად ვერასდროს ასრულებდა. იმ წლებშივე საცნაური ხდება, რომ ძნელებლობით გაგუდქვავებულ ამ ნორმანიდელს, მიმკვიდრეობითი ეჭვიანობით შეპყრობილს, ვინაც პესიმისტი შეიქნა დედის ხედში აღზრდის, ფლობერის შეგონებებისა და ლში გამოვდიდი განსაცდელის წყალობით, არა სურს, ცხოვრებასათუხედოვნებაში გარკვეული პოზიციის ეკავოს.

ეს ახალი ნიშან-თვისება, აგრე უჩვეულო ეტირეტის, ივეტოსა და რუანის ჟამინდელი გუდადარი ყმაწვილისათვის, მთედ მსოფლშეგრძნებას ბეჭედს დაასვამს. იგი პოეზიაშიც გამოუღვანდება, მოტიდანქო მოპასანი ღრმად გაიგებს თავისი დროის ყვედაზე რთურ პოეტებს. გი დიდად აფასებს ვერდენსა და ჟოზე-მარია დე ერედის, ვინაც 1878 წლის დამდეგს გაიცნო. რა თქმა უნდა, პატივს სცემდა პიუგოს, ოლონდ ბოდერსაც იცავდა, თავის გამორჩეულ პოეტს.

უნდა ვირწმუნოთ თუ არა, გუდწრფედ აღტაცებას ჰგვირდაო „საუცხოო დეში“<sup>1</sup>, ამ ხატოვანი სახედწოდებისა არ იყოს, რითაც მოპასანი ბოდერის შემოქმედებას ნათდავს? დიად სარწმუნოა, გამომწვევ მხარეს პოეტის შემოქმედებისას — ბოროტების ყვავილებს, წყეურ ქალებს, ანტიფარისვედობას არანაკდებ დაეტიყვევებინოს გი, ვიდრე მგოსნის დექსთა მომხიბლაობას. ეგ აგრეა. ოლონდ მოპასანი უფრო შორსაც მიდის, როცა იხსენებს განთქმურ ხმოვნების სონეტს და გუდისხმიერად მსჯედობს არტურ რემბოს „ფერადოვან სმენისმიერ აღქმაზე“. ამგვარი ტამ იშვიათად ხდებოდა. კიდევ უფრო საქებური, შესაძლოა, ის ყოფიდიყოს, რომ გის აღტაცებას ჰგვირდა მადარმი. ამ ორი, ესოდენ სხვადასხვაგვარი, შემოქმედის ჩეგობრობა წარმოგვიჩინს კიდევ ერთი ახალი სახის მოპასანს: გამჭირახს; ფაქიზს, განათუ იმის მსგავსს, დიტერატურის ისტორიას რომ აღუბეჭდავს.

<sup>1</sup> „დეში“ — ფრანგი პოეტის შარდ ბოდერის დექსი, შეტანილია მის კრებულში — „ბოროტების ყვავილები“.

მაგრამ, მხატვრობისა არ იყოს, მოპასვანი შემწყნარებლობას იჩენს ფრანსუა კოპესა და სიუდი პრუდომის ბანადური პოეზიის მიმართაც. ამგვარსავე პოზიციას ავდენს მუსიკაშიც, ეს კია, გამოვდენით აქ უფრო სუსტად ვდინდება მისი პოზიცია. ამრიგად, ცხადი ხდება შემწყნარებლური დამთმობლობა, გარკვეული თვადსაზრისის გამოთქმის უნდომლობა. ეს იმ კაცის ერთი ყვედაზე უფრო ნიშანდობლივი თვისებაა, ვინც მადე სწორუპოვარი ავტორი გახდება „ფუნთუშასი“ და „ღამაზი მეგობრისა“.

ღა-მანში ეტრეტიისეული და ჰავრისეული, სენა რუანისა და მანტისა, „სამყვარი“, კანიდან ხიდული ხმედთაშუა ზღვა განუყოფელია იმპრესიონიზმისაგან. 1850 წლიდან მოყოლებული, წყადი შეიქნა მხატვრობის „მშვენიერი ბანოვანი“. მესამე რესპუბლიკის პირვედ წლებში სენას არ აქცევდნენ ჯეროვან ყურადღებას. იჩენს თუ არა თავს მხატვრობაში მკვეთრი მონასში, მუსიკაში — დისონანსი, პოეზიაში — საზომთა მრავადგვარობა, მდინარის ნაპირსაც ცვდიდება დაეტიყობა: ნაცვლად გაბლინძულობასთან შერწყმული გახამებული საყედლოსი, რაიც ბურჟუაზიული პირობითობის ატრიბუტია, ერთის ამბით მოდად მკვიდრდება გუდგადახსნიდი პერანგი. მენიჩბენი, მობანავენი, „ჰავრის აბაზანის“ მოტრფიადენი ძირფესვანად ცვდიან ზნე-ჩვეულებებს. 1871 წედს ბუჟივადთან ჩნდება სუტენიორები, ნაინ-ნაირი ფენმსუბუქი გოგოები, ნახევრადტიტვედა მენავენი; ესენი გუდისწყრომას აღუძრავენ დასასვენებლად მობრძანებულ მედუქნეებს, მათ ქადებს სიწითედეს ჰგვრიან ქვეყნის დასანახად გამომზეურებული დაკუნთული მხარ-მკდავებით. მოპასვანი შემოქმედებაშიც და ცხოვრებაშიც ჭეშმარიტი მღერადია მზისა.

გი ცურავს, აშიკობს, დადის დურჯ და თეთრზოლებიანი მეზღვაურული პერანგით მოსიდი, მხრებ და კისერმოლედიდი, ინგლისური შარვადი აცვია და კეპი ჰხურავს, ან არადა მენიჩბის თეთრი ტიდლოს კოსტა ტანსაცმედშია გამოკვადთუდი. გის ჩინებულად დაჰყავს ნავი. იგი თხუნჯია და კეთიდი ამხანაგი. ჰყვანან ახდო მეგობრები, მათ სიცოცხდის ბოლომდე შეირჩენს. უკვე ვიცნობთ რობერ პენშონს, ვისაც იმავე დროს ეძახიან თერმომეტრს, სიცხის საზომს, რემოიურს, და დეონ ფონტენს. კიდევ ორნი არიან — ტომპაჰავკი და ცადთვადა. მეტსახედის შერ-

ქმევა ისევე იციან ბუჟივადში, როგორც ოცი წლის შემდეგ მუდენ-რუჟში ეცოდინებათ.

მეგობრები პირველხანად არჟანტიდესა და ბეზონს შუა დაეფუძნენ, კუნძულ მარანტზე (ამ კუნძულზე ხდება მოქმედება „ორ მეგობარში“). თავდაპირველად ღონ ფონტენმა და გიმ არჟანტიდის ერთი პატარა სამიკიტნოს — „მეზღვაურის“ მანსარდი დაიქირავეს.

გი მეგობართა ჯგუფის სუდი და გუდი, მისი თავკაცი იყო, განა იმდენად ქკუისა და ნიჭის გამო, უფრორე იმის წყადობით, რომ მარჯვე მენიჩბედ და მგდისმუსდა ვინმედ იცნობდნენ; სწვე-ოდა შემართება; ნაჯარისკაცადს ეხერხებოდა ყაზარმული ანეკ-ლოტების მოყოლა და იცოდა მარილიანი სუმრობა. ამ „გემოთ-მოყვარე“ მოჰიკანებმა, ამ სიუებმა, კომანჩებმა და მაიულ-ებმა, ხედთ იგდეს მდინარის მარჯვენა ნაპირი და იქ ასპერგო-პოდისის კოდონია დაარსეს. 1873 წლის ზაფხულში ისინი დაღმა დაუყვებთან მდინარეს. მერმე ჯგუფი სხვადასხვა მხარეს მიმო-იფანტება. ყვედაზე უფრო გიჟმაჟნი ბუჟივადში დამკვიდრე-ბიან, იქიდან რამდენიმე კილომეტრზე სენის დაყოლებით, და ბინას დაიდებენ ადფონსინა და ადფონს ფურნეზებთან. ადფონსს მეტსახედად ძია ჰერკუდესი ჰქვია: ერთი ჟლადწვერა, დევისლო-ნე კაცია. მისი სახდის ზღურბდს რომ „დამაზმანები“ მოადგე-ბიან ხოდმე ნავით, უყვარს იმათი წაბურჯგნა.

ბეზონის ხიდთან რომ სამიკიტნო „პუდენია“, სამ ძმაკაცს „ბუზუნას“ ეკიპაჟისას ის სამიკიტნო აქვს ამორემებული, იქა სხედან ხშირად. „ქადაქარეთ გასეირნებაში“ გი ავკიწერს სა-მიკიტნოს — „ზედ გზის პირას მღგარ ნათედ შენობას“. გაღე-ბუდ კარში დაინახავ თუთიის მბზინავ დახდს. ეს არის XIX ს. დრონდელი კლასიკური მდინარისპირა სახამრო — „სასაუზმე“, ვჟენ სიუს რომანების პერსონაჟთა სადგური. ორი საუქმედლოდ გამოწყობიდი მუშაკაცი აბსენტს წრუპავს, შედექცევა „სენაში დაჭერიდ თევზს“, თევზს ღვინის საწებდით შემზადებულს, კურ-დღდის სოტეს, ზედ კიდევ ნუნუას აყოლებენ. რანაირი ნავი გინდა, აქ არა ჰქონდეთ პარიზდეთათვის მისაქირავებლად: მება-დურის ბრტყედ-ძირა ნავიო, ნუშა ნავიო, „ნორვეგიულაო“. ზოგ-ჯერ დაინახავ, როგორ მიცურავენ უცნაური პეღალიანი აპარა-

ტით, მას ფეხით ამოძრავებენ. ეს გახდავთ წყლის ვედოსიპედის წინაპარი.

რალა თქმა უნდა, გის, დეონ ფონტენისა და რობერ პენშონის ნავებიც აქ არის, ამ მათ კარაპებს ისეთივე მოადენსუ სახედწოდებანი აქვთ, როგორიც ქადწუდის კისკისია. „ორი შესანიშნავი კარაპა სამდინარო სპორტისა... გრძელი, ვიწრო, მოხდენილი, ორი ტანშხვართა ქადიშვიდი გეგონებოდა“. მოპასანის თვადში, ინგდისედისა არ იყოს, ნავი უთუოდ მდედრობითი სქესისაა.

გაწაფული თვადით არჩევს მათ ავკარგიანობას, ისევე, როგორც მობანავე ქადთა ნაკვთებს სინჯავდა ერთ დროს ეტრეტაში: „მდინარეზე კარჭაპები დაცურავდნენ, ბარაქიანად უსვამდნენ ნიჩბებს მკდავტიტვედა ლონაერი ჯეედები, გარუჯუდ კანქვეშ კუნთები უთამაშებდათ. იმათი გუდის მურაზნი, გაწოდინი ცხოვედთა შავსა და თეთრ ტყავებზე, საჭეს მართავდნენ, მზისაგან დათენთიდებს თავზემოთ ეჭირათ აბრეშუმის ქოდეგები — წითელი, ყვითელი, ცისფერი; გეგონებოდა, დიდონი, მცურავი ყვავიდებიოთ“.

სენა, მართლაც, სამსახურის კაბინეტის სრულიად საპირისპირო რამ იყო. როცა მოპასანი თავის დავიწროებულ მოხედის კიტედს იხდიდა, ყოვედგვარი სამსახურებრივი პირობითობისაგანაც თავისუფდებოდა. ბედნიერად გრძნობდა თავს: ჰყავდა გუდის ვარდი, თანაც მუდამ ახად-ახადი, ჰქონდა საიმედო ნავი, გვერდით კიდევ ამხანაგ-მეგობრები ეგუდებოდნენ.

გიმ თავისი ფლოტიდის ყვედა ნავს სახელი დაარქვა: რუანში აგებულ პატარა იადქნიან ნავს „ეტრეტა“ უწოდა, მეორეს — „ვარდის ფურცელი“. მადე გაიჩინა „ძმა ჟანი“, აგრეთვე მესამე იადქნიანი ნავი „კეთილი კაზაკი“ (ასე უწოდა ნიშნად ტურგენევის პატივისცემისა). ამ ნავით გი სტეფან მადარმეს ასეირნებდა ხოდმი.

გის ჯგუფედებს „შატუედი ბიჭებისაგან“ განსხვავებით „ბეზონედი ბიჭები“ შეარქვეს. ორივე ჯგუფი კარგად შეეწყო ერთმეორეს. ერთურთს კი სულაც არ ჰგვანდნენ. ბეზონედი ბიჭები ჭამით სკდებოდნენ, სვამდნენ რომიან პუნშს. (თაობას დოთი-ფოთობა მოსდგამდა), ლამით წყადში ჩაუშვებდნენ ხოდმი თავიანთ კარაპებს და დექსებს გაჰყვიროდნენ. ძლიერი, დამაზი

მედლოური ხმით ვი ძადდაუტანებდად გააბამდა „Océano Nox“-ს ანდა „სერჟანტის ცოლს“:

„აჰ, — სერჟანტის ცოლი იტყვის, —  
ბუბს რა დარდი გლწნისო? —  
აჰ! — სერჟანტის ცოლი იტყვის, —  
ცრემლი რადა გდისო?“

ზოგჯერ შუა მხიარულებისას, რისი წამომწყებიც თავად იყო, გი უეცრად დადუმებოდა, თვალი უაზროდ გაუშტირებოდა.

— რა დაგემართა, გი? — შეეკითხებოდა ამხანაგი.

— თავი მტკივა.

სიცხის ან ღვინის ბრადი იქნებაო, იტყოდა, თავს მოითო-  
კავდა და ვითომც არაფერიო, განაგრძობდა:

— ეგ მართალია, რომ კვირას პოლი ჩამოსუდა ბერტასთან  
ერთად? დიდი კახპა ვინმეა ეგ ბერტა.

მისი ბედის კამათელი უკვე გაგორებული იყო, ოღონდ ჯერ  
ვერავის გაებდა, ზედ დაეხედა.

გის ნაწყვეტ-ნაწყვეტი წერილების მიხედვით კაცს შეუძლია  
აღადგინოს ამ ბოჰემის ცხოვრება, ესოდენ განსხვავებული მი-  
ურჟეს<sup>1</sup> და უფრო მერმინდედ კარკოს<sup>2</sup> ბოჰემისაგან. 1873 წლის  
28 აგვისტოს გი აგვიწერს რაბღესებურ ღრეობას. „წმიდა ან-  
ტუანის ცთუნებაში“, რასაც ჯერ კიდევ სედნაწერის სახით გა-  
ეცნო (გამოქვეყნებით შემდეგ წედს გამოქვეყნდა ეს ნაწარმო-  
ები) ჟოზეფ პრუნიემ ამოიკითხა ღმერთ კრეპიტუსის ამბავი,  
ვინაც თავის მოვდინებას უწმაწური რამეებით და ასირებული  
ქცევით იუწყებოდა ხოღმე. აი, რატომ დააარსა პრუნიემ კრეპი-  
ტუსედთა კავშირი. ამრიგად, დაპარაკია უსტარზე, რაიც მეტრმა  
ჟოზეფ პრუნიემ, ბეზონისა და შემოგარენის წყდების მენავე  
ნავიგატორმა, გაუგზავნა ფრიად პატივდებულ „როკტაიდს“ (იგი-  
ვე დეონ ფონტენი). მედონედი მღვდლის<sup>3</sup> მგსგავსად, გიც სა-

<sup>1</sup> მიურიჟ ანრი (1822—1861) — ფრანგი მწერალი, ავტორი რომანის —  
„სცენები ბოჰემის ცხოვრებისა“ (1851).

<sup>2</sup> კარკო ფრანსის (1886—1958) — ფრანგი მწერალი, ავტორი პოემისა  
„ბოჰემა და ზემი გული“ (1912).

<sup>3</sup> მედონედი მღვდელი — ფრანსუა რაბლე, XVI საუკ. ფრანგი მწერა-  
ლი, ავტორი რომანისა „გარგანტუა და პანტაგრუელი“. რომანში დავწრიდე-  
ბითაა აღწერილი, რითი ტყვრებთან და სკდებთან გოღიათები.

განგებოდ ჩამოთვიდის, რა და რა ღვინო სვეს და რამდენი და-  
ღიეს. „მრავალი ფიადა რა დავცადეთ შესაზარსოშებდად, გავაჩა-  
ლეთ სმა-ჭამა და შევსვით 2591 არჟანტიდური“. ბარე ექვსი  
სხვადასხვა ხარისხის ღვინოს, ბოთლების უზარმაზარ რაოდე-  
ნობას ასახელებს და იმ შედეგზე დაპარაკობს, ასეთ სმას რომ  
მოჰყოდია. „ამა ჩვენებურსა პურის ჭამას მიუჩვევედსა ძვედ  
ქუქუნაკსა პენშონს ერწყყო თვადებისა ტრიადი დია უცნაურად  
და უმსგავსად, სოდო უფროისად უმსგავსად და უცნაურად ეწყყო  
სტომაქისა ჭყრიადი, ანაზდად ძირს გაიშხდართა და შეწყვიტა  
ჭყრიად-ტრიადი ყოველი“.

გი კვდავ თავს იწონებს: „სოდო მრავალი საქმე განასრუდა  
მას დღესა შინა პრუნიემ, ქმნა საკვირველი და დიადნი გმირო-  
ბანი ნოსნობისა დარგში, სახედლობრ: ბეზონით არჟანტიდამ-  
დე ბაგირმობმუდი ათრია ისრე შიშისმომგვრედი დიდი აფრიანი  
ნავი, რომა ეგონა, თვისი ხედისგუდების კანს ზედ შეატოვებდა  
ნიჩბებს (სოდო ისხდა იმა აფრიან ნავში, ორი, იფ, რა საუ-  
ცხოლო...)“.

ღეონ ფონტენისადმი ივრისში გაგზავნიდი ერთი წერილის  
ნაწყვეტი (ილბად შემოგვრჩა წერილის ფოტოკოპირი, ოლონდ წე-  
დი მითითებული არ არის) უფრო ზუსტ წარმოდგენას გვიქმნის,  
რარიგ ფრივოდური და სკანდალური ოხუნჯობა სჩვეოდა კრეპი-  
ტუსედთა კავშირის პრეზიდენტს. ეს წერილი გვამცნობს სარტ-  
რუვიდში ჩადენიდ კიდევ ერთ ახინებუდ საქციელს: „პოდს რომ  
ამხანაგი მოჰყვა, ის ერთობ უქეიფოდ შეიქნა და შატუში გაბ-  
რუნების თავი აღარ ჰქონდა, ასე რომ, ძადაუნებურად ჩავჯექი  
ნავში სალამოს ათ საათზე, რა არის ორი მონავარდე გვრიტი-  
კო მათსავე ბუდეებში წამესხა. ეს დიან სახიფათო მოგზაუ-  
რობა უფათერაკოდ განვახორციედე, რისთვისაც ბენტამ კიდე-  
ვაც დამაჯიღლოვა, ადგა და მიჩვენა თავისი...“

ტიქსტის ყვედა თავისუფადი ადგილი გის ნახატებით შეუუ-  
სია.

აგერ კიდევ სხვა ნაწყვეტი, ესეც ფრიად მჭევრმეტყველურია,  
ოლონდ ცოტა სხვანაირი კიდოთია დაწერიდი: „დღეს 18 ივრი-  
სია, რამდენი რამ მოხდა 14 აგვისტოს შემდეგ („ივრისისო“,  
ამისი თქმა სურს. — ა. დ.), როცა ამ წერილის წერას შევუდექი,  
ჯერ ერთი, მიმისთან, ნინისთან და კიდევ ერთ ჩვენს მეგო-



ბართან, ბიბისტან, ერთად, რამედმაც თან მოიყვანა საუცხოო „კოკორი“, არჟანტიდის გახდრი. გუშინ ჩამოებრუნდით, პოდა ჰაჯისა და რაჯის შორის გამარსუდი ცხარე ბრძოლის შემდეგ, რომედნიც „კოკორის“ თავს ეციდებოდნენ ერთურთს, როცა ბოლოს რაჯის დარჩა გამარჯვება, ვიფიქრეთ, მოდი, ერთი ნავით გავისეირნოთ-თქო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ კარაშონს გაექირავებინა იგი. ასეთივე ოინი გვიყო წინა კვირასაც“.

1891 წლის თებერვადში ედმონ დე გონკური ასე აღწერდა კრეპიტუსედთა კავშირს, სახედის შეცვდის შემდეგ სუტენიორთა საზოგადოებად მონათლულს: ეს იყო „მენიჩბეთა ყოვლად უმსგავსი ამხანავობა, რომედსაც წინამძლოდად მოპასანი ჰყავდა“. გის მოსწონდა, როცა რაიმე ახინებუდი ქცევით აოცებდა ბურჟუებსა და თავის კოდეგებს. გონკურს კიდევ ფერების გამუქება სჩვეოდა. სუტენიორების საზოგადოება, კრეპიტუსედთა კავშირი, ღრეობა, ტდანქი ოსუნჯობა ზედგამოჭრიდია იმდროინდელი გის თავმომწონეობისათვის. ოლონდ ეს ყოვედივე ოდენ ნილაბი იყო მისი.

სიკვიდილის მომნუსხვედ ძადას მინდობიდი მოპასანი დამობს ტდანქი ოსუნჯობით შენიღბოს მისთვის ჩვეუდი რომანტიკულობა, რაიც თავს მაინც იჩენს ღამისა და მთვარის ტრფიაღებაში, მჟღავნდება მოპასანის იდუმადი „მე“. მოპასანის ქცევა რომ წინააღმდეგობრივია, ეს არ გამოჰპარვიათ მის კეთიღისინდისიერ მკვდევარებს, მათ შორის დოქტორ ჟან დაკასანსაც: „ნიჩბოსნობით გატაცების პერიოდში მოპასანი უცნაურ ქცევას ავდეენდა: დაუოკებედ მოძრაობას და დაუცხრომედ ფიზიკურ ვარჯიშს მოსდევდა დეპრესიისა და მოდუნების პერიოდი. საზოგადოების სუდი და გუდი, ხუმარა ადამიანი უცებ აპათიურ და ნალვლიან არსებად გადაიქცეოდა — ამგვარი განწყობა სწორედ რომ ნიშანდობდივია ეგრეთ წოდებული ციკლოტიმიური მდგომარეობისათვის“.

წყდისა და შემწვარი ციმორის სუნს ისუნთქავს ჟოზეფ პრუნიე, ზოგჯერ რაიმე აყადმაყადს შეესწრება, ხან მდუმარეა, ხანაც — აღგზნებუდი, დიდხანს ადევენებს სოდე თვადს ადერსიანი და ვერაგი სენის დინებას. აქ მას დამაზ მიგობარს ეძახიან უკვი.

ყოზეფ პრუნიე იმ დროს ქოჩორაა. წვერი კი გაუპარსავს<sup>1</sup>. სამაგიეროდ, დიდრონი, ფუშფუშა უღვაშები მოუშვია. მზემო-კიდებუდია და ჭაბუკური ძად-ლთნით აღსავსე. მუქი, „მწვარი ტოპაზის“-ფერი თვალები აქვს, ლონიერი ქედი. სამინისტროდან გამოსვლისას ის წესიერად ლიღებშეკრული მოსედება, მაგრამ დაიგულებს თუ არა თავს წყაღზე, მყისვე გარდაიქმნება მოუხეშავ მეზღვაურად — „ყოჩაღ მიჯნურად“; ნავებსა და ორჩხომელებს შორის მიაცურებს თავის კარაპას, ნედიად ტღაშუნობს მოღივ-ღივე წყადი.

დადოცვიდ „სამყვარეში“ მაზურკას უკრავენ. მოპასანს სე-ნაში ჩაუყვია ხელები და ისე უგდებს ყურს. „წყაღზე გამართულ ჩარდახქვეშ ღრიანცედი და ქედვა იყო... ყვიროდა, მღეროდა, ღრიადებდა იქ თავშეყრილი ხადხი. სახეაწითლებუდ მამაკაცებს შდაპა კეფაზე მოვედოთ, სიმთვრადისგან თვალებაკიაფებუდნი ხელებს იქნევდნენ და ღარღარის იშტაზე მოსუდიყვენენ. საიმსა-ლამოდ საკბიდოს მძებნედი ქადები ჯერჯერობით სასმედს მი-ირთმევდნენ სხვის ხარჯზე, ხოდო მაგიდებს შორის დარჩენიდ რავისუფად ადგიდს იკავებდნენ აქაურობის მუდმივი სტუმრე-ბი — მსუბისთავი მენავენი და ფდანედის მოკდე ქვედაკაბით მოსიდი იმათი ნანდაურნი“.

კანკანს უკვე დიდი გასავადი ჰქონდა. გიმი ისეთივე ადქაჯუ-რი სიშმაგით დაგვიხატა იგი, როგორც ტუდუზ-დოტრეკმა თავის სურათზე — „მუდენ დე და გადეტი“: „პირისპირ მდგარი წყვი-ლები შდეგურად როკავდნენ, ფეხს იმსიმალღზე აიქნევდნენ, ზედ ცხვირაძდე უწვდენდნენ კავადერს. თეძომოთახთახე მდედრ-ნი ხტოდნენ, მალდა იწევდნენ კაბებს და ქვედა საცვადს აჩენდ-ნენ. ფეხს საოცარი სიმარდით აიშვერდნენ ხოდმე თავს ზემოთ, მუცედს ატოკებდნენ, გავას იქნევდნენ, მკერდს ათამთამებდნენ და ირგვდივ აყენებდნენ გაოფდიანებუდი ქადების ცხარე სუნს“.

„სამყვარე“ მღვრიე წყადში ირეკდება. დრაგუნები — გვერდზე სმადი ჰკიდიათ — სკამებზე გადამსხდარან, გაივღ-გამოივდიან

---

<sup>1</sup> „გუშინ პატარა მარცხი შემემთხვა, კინაღამ სახათაბადოდ ვამიხდა საქ-მე, ჩავრამ ჩემდა იღბად იოდად გადავრჩი: ძადიან ახდოს დავიხარე სანთედ-ზე და წკერი შემეტრუსა; მსწრაფდ ზემივე ხედით ჩავაქრე ცეცხლი, თდონდ ცადი დოყა შეიყრუჯა, რალას ვიზამდი, ავედეი და გავიპარსე წვერი...“ 1875 წდის 6 თქტომბერს დედასთან მიწერიდი წერიდიდან.

ხოდმე საგადანტერეო დუქანთა ნოქრები, აბრეშუმისქადსტუხი-  
ანი და ქოდგოანი მატრაკვეციები. წყადში ყვეღვან მობანავეთა  
ჭყეტელა სამოსი ჩანს. მოცურავეები მსარუდით მიაპობენ  
წყადს, ვილაც დუნდრუსა კი წკვიტინებს:

— კარგო, არ ჩახვიდე წყადში, გაცივდება!

როცა მუშაობისგან მოცდილია და შვებუღება ან ერგება —  
შვებუღებას ყოვედთვის ეტრეტაში ატარებს — გი სუდ მუდამ  
მდინარეზეა (თითოდლიან სამიჯნურო კავშირს აბამს, ჩხუბობს,  
აყადმაყადს ტებს, ტყვრება). ოლონდ თან აკვირდება კიდეც —  
აბრე ასწავდის ფლობერი. „დღეს არნახუდი პაპანაქებაა... მე ნავი  
დამყავს, ვბანაობ, ისევე ვბანაობ და ნიჩბებს ვუსვამ. ვირთავ-  
ვები და ბაყაყები ისე მიეწვივნენ, ლამის ყოვედ დროს იხილონ  
ცხვირზე ფარანდადგმული ჩემი ნავი, რომ დაბარებუდით გამო-  
მეცხადებიან და მესადმებიან. ჩემს მძიმე ნავს ისე ვმართავ,  
თითქოს კარჭაბი იყოს, პოდა, შუალამისას რომ მივადგები ხოდ-  
მე ერთი ჭიქა რომის გადასაკრავად ჩემს ამხანაგებს, ბუჭივად-  
ში დამკვიდრებულთ (ორ-ნახევარი საათის სავადზეა ბეზონიდან),  
გოყვარდეს, განცვიფრებას ეძლევიან. კვადვინდებურად ვმუშაობ  
მენავეთა ცხოვრების სცენებზე — გწერი კიდეც ამის თაობაზე  
ვინძლო გვარიანი სახადისო და მართადი წიგნაკი გამოვიდეს...“<sup>1</sup>

ამ გარემოს ახადგაზრდა მწერადი შემწყწინარებლურად სულაც  
არ ეკიდება. რალა თქმა უნდა, თავს ამ გარემოში მიშენივრად  
გრძნობს, ოლონდ მისი ავკარგიანობის გამო ოდნავადაც არა  
ცდება. „აქა ტრიადებს სუნი ცხოვრების დექის, გავარჯიშებუდი  
გარყვნიდების, პარიზის საზოგადოების მთედი მყაყისა: აქ ერთ-  
მანეთში ირევიან საგადანტერიო დუქნების ნოქრები, წყადწა-  
ღებუდი მსახიობები, მესამეხანისხოვანი ჟურნადისტები, აზნა-  
ურების სამეურვეოდ რომ ქვეუდან, ბირჟის წვრიდფეხა თადლი-  
თები, სახედგატეხიდი მოქქეფენი, ძვედი, ნათრევი არშიყნი“.

მარჯვე სახედწოდება დიახაც მოსწონს: „ამ ადგიდს სწორედ  
რომ შეეფერება „სამყვარეს“ სახედი“.

ეს ყოვედივე მანეს სუდრადგმუდი სურათები გეგონება.

ის ფერები, რასაც მოპასანი იყენებს „სამყვარეს“ დასახატა-

1 1875 წლის 29 ივნისს დიდსადში გაგზავნიდი წერიდიდან.

ვად, იცვლება ისევე, როგორც პეიზაჟი იცვლება სოღმე მონეს სურათებზე სხვადასხვაგვარი განათების კვალბაზე. თავისუფლების, თავისთავადობის სიყვარული, საძუღველი მეშჩანობის ზიზლი, რაიც ფლობერს ჩაუნერგავს გის გუდში, მსუბუქი ყოფაქცევის გოგოების დეენის უინი მდინარის ნაპირისაკენ მიეზიდება ახადგაზრდა ნორმანდიელს. წყლის მომხიბვლელობას შეიცნობს იგი. „ჩემი დიდი, ყოვლისმომცველი გატაცება ათი წლის მანძილზე სენა გახდდათ“. აზნიერს, არჟანტიელს, ბუჟივადს, დე პეკსა და კონფდანს რომ ჩაუვიდის, მდინარე იკდაკნება და სევრსა და პუასის შორის, თითქოს სადალობოდო, წარმოქმნის ასომთავრულ „M“-ს, იმ კაცის ინიციალს, ვინც მისი ყველაზე გუდმხურვადე მოტრფიადე იყო.

იქ, მდინარის ნაპირას, ეცნობა გი ცხოვრების ავ-კარგს. მძაფრი მედანიქლოდით მოცული გიხსენებს შემდგომ ამ ამბავს. ეს მედანიქლია მით უფრო ეძაღება, რაც უფრო უსაშველოდ ითრევს ნაადრევი წყვილიადი. „რამდენი სასეირო რამ მინახავს, რამდენ ცუგრუმედა ვინმეს შევხვედრივარ იმ შორეული წარსულის დღეებში, როცა ნიწბოსნობას მივდევი. მაშინ მოსამსახურე ვიყავი, გროში არ მებადა; ახდა შეძღებუდი კაცი ვარ და, რა უეცარმა ხუსტურმაც უნდა წამომიაროს, შემიძღია კაიძადი თანხა მივაფშენილო. რა მარტივად, საამურად და თანვე შეჭირვებუდად ვცხოვრობდით. — იქით პარიზის კანტორა იყო, აქეთ კიდე მდინარე არჟანტიელსა თუ ბუჟივადში ...ოოჰ, რა იყო, როცა იმ აყვავებულ ნაპირთა გასწვრივ გავისეირნებდი, ჰეი, ჩემო დობილო ყიყინებო, გრიდოში ნებიერად მეოცნებენო, მუცდუკათი გაწლოდინო დუმფარას ფოთოღზე...“.

„გავგონებდათ თუ არა ის დღეები, როცა პარიზის შემოგარენში ვეხეტებოდით, ის ჩვენი ცისკროვანი სიღარიბე, ახადგაფოთდიდ ტყეებში რომ დავიარებოდით და ისერივად ვითვრებოდით სუფთა ჰაერით სენისპირა სამიკიტნოებში, გავგონებდათ თუ არა ჩვენი სატრფიადო თავგადასავადი, ესოდენ ბანადური რომ იყო და იმავ დროს ესოდენ მომხიბლავი?“

აი, მდინარის ამ სიყვარულის მეშვეობით გაიჩინა თავისი ნოველების პერსონაჟები, ცხოვრების შუაგულში იპოვა — თუნდაც პოლის დობილის გონებადაფანტულ და ადერსიან პოდეტისა არ იყოს, ეგზომ სუღელი რომ არის თავისი მიამიტლობითაც და

თავისი ცინიზმითაც. ანდა „ქადაქვარეთ გასეირნებაში“ გამოყვანილი გათქვირებული მეღუქნის ქაღისა ან იყოს, ან კიდევ — ნაზი, თავგანწირვის უნარით დაჯიღელებული ივეტისა; რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალო.

უკვე ვიცით, რომ ჟოზეფ პრუნის კარჭაპს „ვარდის ფურცელი“ ერქვა.

— სწორედ ეგრეა, მადმუაზედ ბუზუნა, „ვარდის ფურცელი“ პქვია.

— რა მშვენიერი სახელია! — ამბობს ბუზუნა.

— მაშ, მოდი, ჩვენი მესაჭე იყავით.

— რატომაც არა, ვიქნები!

— აბა, ახლავე წაგიყვანთ პერკუდესთან, მშვენიერი შემწვარი ციმორი იცის.

— ბიჭოსა რა გქვიათ?

— ჟოზეფ პრუნია.

— ჰა-ა!

— ანდა გი-გი, აგრეთვე არამზადა!

— დასე ერთი მაინც — პო, ლმერთმანი — არ შემეშინებოდა, თქვენ რომ დაბურუნდ ტყეში შემსვედროდით.

ძია ფურნების სახლი აგურის უცნაური, აივნისანი და ტერასისანი ნაგებობა გახლდათ. კედლებზე ქაღისა და მამაკაცის ფიგურები ეხატა ბუნებრივზე უფრო დიდი ზომისა, ფასადს კი მობანავე ქაღის გამოსახულება ამკობდა. აქაურობა ძაღზე მოგაგონებდათ „პარიზის საიდუმლოებათ“<sup>1</sup>. შენობის შიგნით კედლები დაფარული იყო ბეროს, ჟერვეკისა და დეპიკის ფრესკებით — აქ ნახავდი სამხედრო აღდუმს, სახუმარო შინაურად ჩხუბს და სტეინდენის გამირების ყაიდაზე ქურდთა ღურჯი ბღუზებით მორთულ ტყის სამ პერკუდესს, რომლებსაც გულგახეთქილი ბურჟუა დაუმარტოხედებიათ ქუჩის ფარნის ქვეშ, იმ ბურჟუის ცოდს იქვე შიშისგან გული შეჰლონებია, ორი პოდიციედი კი ამ დროს თავს ისე გაჩვენებს, ვითომც ვერაფერს ვამჩნევთო. ამ ფრესკებს ქვეშ მოპასანი მიჰქრის:

<sup>1</sup> „პარიზის საიდუმლოებათი“ — ევენ სიუს რომანი, რომელშიც პირველად იქნა აღწერილი პარიზის ფსკერი.

სახიფათოა მდინარის კბოდე:  
მოსხდები... შენც წყადს გიჯობდეს ხმელი.

შუშუნა ღვინოს ნუ ეძაღები,  
თუ გინდა, ძმარვა ან გქონდეს ხვადა.

კარგსა იქმ, ვოგოს თუ ეკრძალები,  
გზად შემოყრიდი რომ გინმობს თანა...

ეს ლექსები — თარიღად 1885 წლის 2 ივლისი უზის — გვიმხედს იმ მოყვრებულ კაცის ირონიას, თავისი ქაბუკობისდრთინდელი თავგადასავლის ადგილებს რომ სწევია.

იქ, ჰერკუდეს ფურნეზისას, სამიკიტრო „პუდენში“ თუ კუნძულ მარანტზე, ყოველ შემთხვევაში, „წყაღზე“, მოპასანი პატარა ბუზუნას მიჯნური შეიქნა. „ხუთნი ვიყავით — მთელი ბანდა. რაკი ხელმოკლეობის გამოს სხვა საშუალება არ გვქონდა, ავდექით და საცოდავ ანჟანტიეღურ ტრაქტირში დავიდეთ ბინა, შევქმინით თავისებური კოლონია, გვეკავა მარტო ერთი ოთახი, და სწორედ იმ ოთახში გავატარე ჩემი ცხოვრების ყველაზე გიჟური საღამოები... ძაღზე შეხმატკბილებულად ცცხოვრობდით, მსოფლოდ ერთ რამეს ვწუხდით: მესაჭე ქადიშვიდი არა გვყავდა. აბა, ნავი და უქადობა სად გაგონიდა“.

ბუზუნას სახით იპოვეს იგი. ეს ბუზუნა ერთი ადგილიდან მეორეზე დაფრინავდა, ჰოდა, არხეინად გახდა ხუთი ქაბუკის ნანდაური. „იგი გაუჩერებელივ ჭიჭინებდა, დაუღუმებდად ხმიანებდა, რაც ნიშანდობლივია ამ ფრთიან არსებათათვის, ნიავის დაქროლებაზე რომ ბზრიალებენ. ფიქრი არაფრისა ჰქონდა და ამბობდა ყოვდად მოუღონებ, ყოვდად უცნაურ, ყოვდად საკვირველ რამეებს“.

ყვედაფერი მშვენივრად იყო მანამდე, სანამ გამოირკვეოდა, რომ ბუზი აპირებდა ბუზუკედა ერუქებიინა ხუთი მამიდოსათვის.

„ჯერ ყვედანი გავხვედით, მივხვედით, საბედისწერო რამ მოხდაო. ეგ კია, ხან ერთ ჩვენგანს გადავხედავდით, ხან მეორეს, აბა, ვის გადავებრადოთ დანაშაუდით. ვისთვის გინდოდა გადაგებრადებინა? დიას, მაინც ვისთვის? მერმე ნედ-ნედა გონს

მოვევით, ნუგეშის მაგვარი რამ ჩაგვესახა გულში, ჩაგვესახა სოლიდარობის ბუნდოვანი გრძნობის წყადობით. სიტყვაძვირმა ტომაშავკმა ეს ახადგალვიძებუდი იმედიანობა ასეთნაირად ჩამოაყადიბა: „რა გაეწყობა, ეგრე იყოს, ძადა ერთობაშია!“

და კვდავ ძველებურად წარიმართა ყვედაფერი.

უზრუნვედ ბუზუნას, ერთიც ვნახოთ, მდინარის პირას ფეხი დაუსხდტა, ქვიან ნაპირს დაენარცხა და იმ თავის ბუზუკედას გამოეთხოვა. მოთხრობის ამ ადგიდას ვის სინაზის გრძნობა ეძადება. ბუზუნა სასოწარკვეთიდი ვახდდათ. მაშინ ცადთვადას, „რომედსაც, შესაძლოა, ყოვედ ჩვენგანზე მეტად ჰყვარებოდეს იგი, ერთი გენიადური აზრი დაებადა. ადვა, ცრემდით დანისდუ-დი თვადები ამოუკოცნა და აგრე უთხრა:

- დაწყნარდი, ბუზუნი, დაწყნარდი, მეორეს ვაგაჩენინებთ.
- მართლა?
- კი, გეფიცები.
- არა, მართლა, მართლა?

მაშინ ხუთივემ ერთხმად მივუგეთ:

- მართლა, შენს თავს გეფიცებით, ბუზუნი“.

ამ სადალობთ ფურცლებს თარიღად 1890 წედი უზის. ვი იმ დროს ონმოცი წდისა იყო და თიჯოეუდი ფრაზის დაწერა საშინე-დი ტანჯვის ფასად უჯდებოდა. თ ვ ა დ ე ბ ი ს ტ კ ი ო დ ა. სუ-დაც არ ჰგვრიდა სიამოვნებას, როცა ესმოდა, ბუდვარებს მოდე-ბუდი ბიჭები როგორ ვაჰკიოდნენ ახად, მოდურ, თავის მომა-ბეზრებედ სიმღერას — „შენ გინახავს ბუზუნა“? სევდა იმის გა-მო, რაც „აღარასოდეს განმეორდება“, განუმეორებედ ედფერს ანიჭებს ამ ქმნიდებას, რომედიც თხუთმეტი წდის წინანდედ ამ-ბებს ემყარებოდა.

რეადური და გამონაგონი ერთურთს ერწყმის მოთხრობა „ბუ-ზუნაში“. რობერ პენშონი და დეონ ფონტენი შემდგომ ჰყვე-ბოდნენ, რომ მწერადს ბოდომდე ესარგებდა შექმნიდი ვითარე-ბით. შესაძლოა, რა თქმა უნდა, საერთო ბუზუკედა ოდენ ვის წარმოსახვის ნაყოფი ყოფიდიყოს, ოდონდ სხვა ყვედაფერი სი-ნამდვიდეს შეეფერებოდა.

ამჟამად ძნედა, დანამდვიდებით დაასახელო ჯგუფის მეოთ-ხე წევრი (პენშონის, ფონტენისა და ვის შემდეგ) — ტომაშავკი.

სხვადასხვა წყაროზე დამყარებით ყველაზე უფრო სარწმუნოდ მესახება, ანრი ბრენი ვიგულვოთ, გის მეგობარი კორნელის დი-ცუში. დედამისმა არცთუ მცირედი როლი შეასრულა ახადგაზრ-და ნორმანდიელის ცხოვრებაში, შემდგომ სწორედ მას მიუძღვნა გიმ თავისი რომანი „წუთისოფელი“. დაბოლოს, მეხუთე მენიჩ-ბე-მუშკეტერი, ცადვადა, იგივე მონოკდი, ის, ვისაც „შესაძ-ღოა ყველა დანარჩენზე მეტად ჰყვარებოდა ბუზუნა“, ათი წლის შემდეგ გავდენიანი პიროვნება შეიქნა აღმოსავლეთის რკინიგ-ზის სამმართველოში. აღბერ დე ჟუანვილი გახდდათ ეს პიროვნე-ბა. ზოგჯერ, ადმინისტრაციული საბჭოს სხდომისას, იგი, ცოტა-არ იყო, გონებაგაფანტული ხდებოდა — ეგ მაშინ, როცა ბუზი მაგიდის მწვანე მაუღს დააფრინებოდა.

ვინ იყო ეს ბუზუნა, გამოურკვეველია. იგი გაფრინდა. ამბო-ბენ, ამქვეყნიდან რომ წავიდა, უკვე ოჯახის დედა გახდდათ. ნატკრა მაინც აუსრულდა.

#### 4

1871—1879 წლების პოლიტიკური პორიზონტი—სამსახურის დაწყება სახადლო პანაღეზის სამინისტროში.— ბიუჯეტი და ბინის ძირა საპეიდ-სამეიდის ხარჯთან ერთად. — ფლობარი შარისევილი შოკა-დის წინააღმდეგ.— მოპასაფი აღტაცებულია „აბაბ მურავი შამოდე-ბიდი“. — 1877 წლის 16 აპრილი: ტრავთან გამართული სადილი — „ბატონ-ბი ზოდანი“. — სტუმრად მდინეში.

ორ წელიწადში საფრანგეთმა ძად-ლონე აღიღვინა. ტიერმა რევოლუცია სისხლში ჩაახრჩო და გადამთიელებს ქვეყნის მიწა-წყალი დააცდევინა, საამისოდ 1872 წლის ივლისში სამი მილი-არდის გამოსასყიდი გადაიხდა. ასე მოიშორეს თავიდან პრუსი-ელები. იმავე წელს შემოიღეს სავადებულო სამხედრო სამსახუ-რის კანონი ოციდან ორმოც წლამდე ასაკის ფრანგთათვის. სამ-სახურის ვადად დაწესდა ხუთი წელი! გი იღბდიანად გადაურჩა ამ ამბავს.

1873 წლის 23 მაისს, კვირას, როცა დიდის ყავას შეექვეოდ-ნენ, პარიზელებმა შეიტყვეს, გადამდგარ ბატონ ტიერის მაგიერ



პრეზიდენტად წუხედის მაკ-მაჰონი<sup>1</sup> აურჩევიათო. საკითხავია, რის პრეზიდენტად? აკი სიტყვა „რესპუბლიკა“ კონსტიტუციამი ჩაიწერება მხოლოდ 1875 წლის დამდევს, როცა კანონპროექტში დამატებით შესწორებას შეიტანენ ხმათა უმრავლესობის საფუძველზე.

1876 წლის თებერვადში გვარიანი დიდი წყადიდობა მოხდა, მაკ-მაჰონსაც საშუალება მიეცა, თავის სიცოცხლეში ყველაზე უფრო მოსწრებულად ეხუმრა: „რა ბევრი წყადია! რა ბევრი წყადია!“ „ლრმაა და მერე როგორი“, — თქვა ერთმა ენაკვიმატმა. მოპასანს მაკ-მაჰონზე გადააქვს ის სიძულვიდი, რითაც ნაპოლეონების მიმართ იყო გამსჭვადული: „სახელმწიფოს ხელმძღვანელი ეთქმის და რენანი დიტრესაგან<sup>2</sup> ვერ გაურჩევია, არ იცის, რა მოლვაწეობას ეწვევიან! ისე, სიმართლეს თუ იტყვის კაცი, რენანისა და დიტრეს სახედები უფრო ზავთიანად იხმიანებს ისტორიაში, ვიდრე განდიდებუდი, მაგრამ რეგვენი, დამარცხებული მარშადისა ვისზედაც ჩვენი მომავალი ჰკიდი“.

1877 წლის 3 სექტიმბერს ტიერი მოკვედა. „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ — გაჰყვიროდა მაკ-მაჰონის წინააღმდეგ გამოსული ხადნი. საფრანგეთი კვდავ ბოლოქრობს. ოქტიმბერში 318 რესპუბლიკელს ირჩევენ პადატაში ორას თვრამეტი მონარქისტის წინააღმდეგ. მარშადს ეშინია, სახელმწიფო გადატრიალება არ მოხდესო — შემდგომ მართლაც შეეცდება ამას გენერადი ბუდანჟე — პოდა, იძულებულია, ფარ-ხმადი დაყაროს. რესპუბლიკის ძადა მატუდობს სენის წყდის დონის მატებასთან ერთად.

1878 წლის 1 მაისი. აღმებით ნორთუდ პარნიზში ირევიან ეგვიპტიელები, მაროკოელები, თურქები, სპარსელები, ჩინელები, კაზაკები. ორ საათზე მარშადი, რომედიც ჯერჯერობით ინარჩუნებს თანამდებობას, ტროკადეროში აცხადებს: „გამოფენა გახ-

---

<sup>1</sup> მაკ-მაჰონი საფრანგეთის პრეზიდენტად იყო 1873 წლიდან 1879 წლამდე. იგი ეყრდნობოდა მონარქიულ და კდერიკადურ წრებს, მონარქიის რესტავრაციას ესწრაფოდა. 1879 წელს, რესპუბლიკური განწყობილების მომპლავრების გამო, მაკ-მაჰონი იძულებული შეიქნა, უარი ეთქვა თავის უფლებამოსილებაზე.

<sup>2</sup> ბენანო ებნესტი (1823—1892) — ფრანგი ისტორიკოსი, ფილოსოფოსი-რედატორისტი. დიტრე ემილი (1801—1881) — შუადგინა ფრანგული ენის ვანმარტებითი დექსიკონი.

სნიღი გახდავთ“.<sup>1</sup> იჩქეფებს შადრევნები. მარშადი საპატიო დევიონის ორდენებს არიგებს.

1878 წლის 19 დეკემბერს ხელმოწერილია სახადხო განათლების სამინისტროში გის მიღების ბრძანება. ექვსი კვირის თავზე მაკ-მაპონი გადადგება, ხოლო მინისტრის ადგილზე აუენორ ბარდუს მადე ჟიუდ ფერი შეცვლის. ამგვარი გახდავთ პოლიტიკური ვითარება, როცა მოპასანმა გრენელის ქუჩაზე დაიღო ბინა; ამ ქუჩაზე მდებარეობდა სახადხო განათლების სამინისტრო.

სენის მარცხენა სანაპიროზე ფრიად სასიკეთო ატმოსფერო სუფევს. განყოფილების უფროსი ქსავიე შარმი თან მფარველობს თავის ახად მუშაკს და თან ფარული აზრიც ამოქმედებს — აიღებს და ბარე ნახევარ საქმეს ამ ახად მოხედეს გადაუღოცავს. განყოფილება, რომელსაც ქსავიე შარმი ხელმძღვანელობდა, კულტურულ კავშირს ახორციელებდა საღვთობათურო და სამეცნიერო საზოგადოებებთან — ერთი სიტყვით, ამჟამინდელი ხელოვნებისა და დიტირატურის საქმეთა სამმართველოს პირველსახე გახდათ... მაგრამ მოპასანა, ისევე როგორც ჯარში სამსახურის დროს, კვდავაც ამჯობინებს, მეორეხარისხოვან როლს თამაშობდეს, ყოველნაირად თავს არიღებს პასუხსაგებ დავადებას, მხოლოდ წვრილ-წვრილ, საიოლო საქმეებს ასრულებს.

მას შემდეგ, რაც ექვსი წელი გაატარა მონსეის 2-ში, ნახევრად სარდაფის უსინათლო და უპაერო ერთი ციცქნა ოთახში, გი 1876 წლის ნოემბრიდან კლოზედის ქუჩაზე, მე-17 სახლში ბინავდება, ძველი სადგომიდან აქ გადმოაქვს მისთვის ძვირფასი რამდენიმე ნივთი: ძველებური ხალიჩა, ზედ რომ ნადირობის სურათებია გამოსახული, დუი მეცამეტის სტიდის საწოლი, რომელსაც ვერასოდეს შეეღევა, და, რალა თქმა უნდა, გვამის ხელი.

მოპასანი კვდავინდებურად უფულობას უჩივის. 1879 წელს ფდობერმა ფენი მოიღებსა და გის უნდოდა სანახავად წასულიყო. როცა საზღვაო სამინისტროში მსახურობდა, რკინიგზის ბიღეთში საფასურის მელოთხედს ინდიდა მხოლოდ. რუანს წასვ-

---

<sup>1</sup> 1878 წელს პარიზში გაიხსნა მსოფლიო გამოფენა, გამოფენისათვის საგანგებოდ ააგეს უზარმაზარი პავილიონი — ტროკადეროს სასახლე; ეს სასახლე 1935 წლამდე იღვა.

და-წამოსვდა ცხრა ფრანკი უჯდებოდა. ახდა კი მეორე კლასის ბილეთში 36 ფრანკი უნდა გადაეხადა. ძადაუნებურად გადაიფიქრა გამგზავრება.

ოლონდ უმთავრესად მაინც მოუცდელილობის გამო წუხს. მდინარე, ფარიკაობა, ქაღები, სამსახურა, თუმიცა სამსახური მაინც-ღამაინც არ ედარდება, საკუთარა საიწუშაო მთლიანად ითრევს — თანაც სურ მუდამ უქეიფოდ გრძნობს თავს. ყოველივე ამას ემატება მაღალი წრის მოვადელობანი, მრავადრიცხოვანი მიპატიჟება! არადა, უარის თქმა არ შეიძლება! 1878 წლიდან მოყოლებული, იგი ჩივის: „ერთ ათ ისეთ ადგილას მაინცა ვარ მიპატიჟებული, წაუსვდელია არამც და არამც არ იქნება, ეს კი ნიშნავს ბარე სამი კვირის სამუშაო დროის დაკარგვას. ვერაფერს სრულებით სედს ვერა ჰკიდებ იმ დღეს, როცა ვიზიტად მიდიხარ სადმე, ასე რომ კვირაში ოთხ საღამოს თუ იმუშავებ კაცი“.

დროსაც თითქმის ისეთივე სიზუსტით ანგარიშობს, როგორც — ბიუჯეტს.

„ათი ვიზიტი (თუნდა ცხრა), რაც სამი კვირის მანძილზე გედის. ჰოდა, აკი ვამბობ, სურ ოთხი თავისუფალი საღამო მც.ჩება-მეთქი კვირაში; დასტურ ასეა. თანაც კვირადღეც გამოვაკლოთ. ფდობერთან გატარებული ეს დღე იმ სიმშვიდეს მიკარგავს, რაც მუშაობისთვის მჭირდება. ხუთშაბათობით, მეგობრებთან ერთად რომ ვისადიდებ, ზოდასთან მივდივარ“. ამის თაობაზევე წერს შემდგომ წელსაც: „უნდა გაიგოს კაცმა, რარივ ძნელი, რთული და მეტისმეტად დატვირთულია ჩეჭისთანა. საბრადო ვინმეს ცხოვრება. ექვს საათამდე სამსახურში ხარ; მერმე კი ერთბაშად სხვა რამეზე მუშაობას უნდა შეუდგე“.

აპირღში შეძლო, ნაწილობრივ მაინც მოეხადა თავისი მორადური ვადი ფდობერის წინაშე: „შტატგარეშე“ ბიბლიოთეკარის თანამდებობა მოუსერხა მაზარინის ბიბლიოთეკაში. კაცმა რომ თქვას, ეს იგივე არაოფიციალური პენსია იყო. მოდი და, ნუ გაგელიმება ახადგაზრდა მესამე რესპუბლიკის ამ დიდსულოვნების გამო. სინეკურის წყადლობით არსებობს ბევრი მწერალი, ხოლო ექვსასი დიტერატორი აშკარად თუ შეფარულად პენსიას იღებს.

გიმ კაროლინა კომანვირს მისწერა: „მოწყადეო ქაღბატონო და ძვირფასო მეგობარო, მინისტრი მართლაც აპირებს პენსია

მისცეს ბიძათქვენს, და, მე მგონი, ბოლოს და ბოლოს თანხმობაა საჭირო. ეს ამბავი, ცხადია, მან არ უნდა გაიგოს. თავი და თავი ის არის, არ შეიტყოს, რასაც ამ წერილით გაცნობებთ“.

უცებ მყუდროება შეირყა 1879 წლის 1 ნოემბერს გის ერთ-ერთმა მეგობარმა, ჰარი ადისმა, ჟურნალ „რევოლუციონერს ენა-ტურადისტში“ გამოაქვეყნა მოპასანის პოემა „წყდის პირას“; სამი წლის წინ ეს პოემა კატუდ მენდესმა დაბეჭდა „რესპუბლიკ დე ლტრში“, ფსევდონიმად ავტორი გი დე ვადმონს აწერდა. ეტამპის ტრიბუნადმა (ქადაქი, სადაც ზემოთ ნახსენები ჟურნალი გამოდიოდა) ავტორის წინააღმდეგ საქმე აღძრა ზნე-ჩვეულებებისა და საზოგადოებრივი მორალის შეურაცხყოფის გამო.

მოპასანს სწორედ იმ დექსების გამო დევნიან, ერთ დროს ფლობებდა თავის მეგობარს — მიწისტრ ბარდუს რომ უჩვენა. გი დაჟინებით, ზეაწეული კიდოთი, დამის მაღაღფარდოვანი სიტყვებით მოუხმობს ფლობერს საშვედად: „ფასდაუდებელ სამსახურს გამიწვედა თქვენი განსაკუთრებული წონა გენიოსი. ადამიანი-სა, ვისაც სასამართლოთი გდევნიდნენ შედევისათვის, რომელიც ძღვიძღვივობით გაამართლეს, შემდგომ განადიდეს, ხოლო ბოლოს და ბოლოს უზადო ქმნილება იქნა აღიარებული ყველა დიტირამურული მიმართულების მიერ. ჩემი ვეჭვილის აზრით, თქვენი წერილის დაბეჭდვის უმად საქმეს მიაფუჩჩებდნენ. სასურველი იქნებოდა, დაუხანებლად გამოგვექვეყნებინათ, რათა მოეხდინა მასწავლებლის მიერ მოწაფის უშუალო ნუგეშისცემის შთაბეჭდილება“. „აღბათ, მადრ ადგილს დაკვარგავ და ქუჩაში ამოვყოფ თავს. რაღა მიჭირს! სრულიად საიდუმლოდ გაგანდობთ, რომ „ნანა“ დამის არის აკრძალონ, მე კი, ვგონებ, მსოლოდ იმისთვის მდევნიან, რომ კიბის მეშველობით ზოდას შესწვდნენ... ყველგან იმას მიმეორებენ, თანაც მიმეორებენ ავტორიტეტული წყაროების საფუძველზე, გასამართლება არ აცდებოაო. მაშ, აქ რაღაც იმალება... მარწმუნებენ... წინასწარ შერჩეული მსხვერპლი ხარ, რა არის შემდგომ ზოდას გაუსწორონ ანგარიშო“.

1880 წლის 19 თებერვადს ფლობერი გადაწყვეტს, „გოდუას“ გაუგზავნოს წერილი. იგი იბეჭდება ოცდაერთ თებერვადს.

„მაშ, ეს მართალია? თავდაპირველად აგრე მეგონა, სუმრობათუ არის-მეთქი თურმე ნუ იტყვივით — ბარაქადა. არა, უნდა,

გამოვტყდე, კარგი ვინმეები კი ბრძანებულან ევ ეტამპედი ვაჟ-  
ბატონები იქნება ის მოგვედის, დამოკიდებულნი აღმოვჩნდეთ  
საფრანგეთის დეპარტამენტების — ბარემ კოდონიებიც მივაყო-  
ლოთ — ყოველი სამსჯავროსაგან? როგორ უნდა მომსდარიყო,  
რომ აწ არ არსებულ პარიზის ჟურნალში თდესლაც დაბეჭდიდო  
დექსები დანაშაულებრივი გამოდგა, როგორც კი პროვინციულ  
ჟურნალში გადაიბეჭდა? რა უნდათ ნვენგან, რას ცვაიბულებენ?  
რა უნდა ვწეროთ? სად, რომედ ბეოტიაში ვცხოვრობთ?”

„ქაღბატონ ბოვარის“ ავტორს დიხსაც შეეძლო საქვეყნოდ  
ეთქვა, ბურჟუაზიას სინდისი წმინდა არა აქვსო: „სამართალშია  
მიცემული ზნეობისა და საზოგადოებრივი მორალის შეურაცხყო-  
ფის გამო“ — ეს ორი სინონიმი გახლავთ ბრადლები ორი მთა-  
ვარი მუხლი. მე კი, როცა მერვე სასამართლო პადატის წინაშე  
წარვდექი ჩემი „ბოვარიით“, მესამე მუხლიც მქონდა: და რე-  
დიგიის შეურაცხყოფის გამოო; იმ პროცესმა დიდი რეკლამა შე-  
მიქმნა, ამ რეკლამას მივაწერ ბარე თრ მესამედს ჩემი წარმა-  
ტებისას“.

მოსამართლე ტესიე მოითხოვდა დამადასტურებედ საბუთს,  
რომ საქმე სწორედ იმ პოემას შეეხებოდა, რომელიც წინათ უკ-  
ვე გამოექვეყნებინათ.

სინამდვილეში ყვედაფერი გაციდებით უფრო რთული გამოდ-  
გა, ვიდრე მოპასანის საჩივრით თუ ფდობერის შუამდგომლობის  
წერიდით ჩანდა. მოსამართლე, ცოტა არ იყო, დაბნეული გახდ-  
დათ. საქმეში მოიხსენიებოდა კიდევ ერთი „სასკანდალო“ პო-  
ემა — „კედელი“. პოემაში დაპარაკი იყო პარკში მოსეირნე შეყ-  
ვარებულთა წყვილზე და მათი დანდების ერთობ მრავდისმეტყვედ  
მოძრაობაზე. რაც შეეხება „რევიუ მოდერნ ნატურალისტში“ გა-  
მოქვეყნებულდი პოემის — „წყდის პირას“ — ვარიანტს, მოპასა-  
ნიცა და ფდობერიც ერიდებოდნენ იმ ამბის ხსენებას, რომ კა-  
ტულ მენდესს, თუმცალა იგი თავისუფადი აზროვნებით გამოირ-  
ჩეოდა, სრული სახით არ დაუბეჭდავს პოემა. პარი აღისმა კი მენ-  
დესის მიერ თავის დროზე შეკვეციდი ადგილები აღადგინა და  
ისე დასტამბა ეს ნაწარმოები.

ამიტომაც იყო, მოპასანი მაინც და მაინც რომ არ ჩქარობდა  
ჟურნალ „რესპუბლიკ დე დეტრის“ სათანადო ეგზემპდარის მოძი-  
ებას.

თუ საზოგადოება აპირებდა, მოპასუნის მეშვეობით მისწვდომოდა თვით ემიგრაციას, ეს იმით აინსტრუირებოდა, რომ მოპასუნი აგერ უკვე რამდენიმე წელი იყო, რაც რეგულარულად ნახულობდა ხოლმე „ტირეზია რაკენის“ ავტორს და მთლად მოხიბლული იყო მისით. 1875 წლის აპრილში გიმ გამოთქვა აღტაცება „აბატი მურეს შეცოდეების“ გამო, გამოთქვა ისეთი სიტყვებით, რომ ღირს, ეს სიტყვები აქ მოვიტანოთ:

„წიგნის კითხვისას სულ ერთთავად საოცარი შეგრძნობა მქონდა: განა მართლ ვხედავდი, თითქოს კიდევაც ვიყნოსავდი იმას, რასაც თქვენ აღწერდით“. მოპასუნი უფრო მჭიდროდ თვადი აქვს, ვიდრე ექსის მკვიდრს. სამაგიეროდ, ზოლას უფრო ფაქიზი ყნოსვა დაჰყოლია. „ყოველ გვერდს ასდის ცხარე, გამაბრუნებელი სურნელი. თქვენ შეგვაგრძნობინებთ მიწას, ხეებს, ღვინვებსა და ცენებს. თქვენ ისეთი სიუხვის, ისეთი ნაყოფიერების სამყაროში შეგყავართ, რომ ძალაუნებურად დარეტიანდები კაცი... უნდა გამოგიტყდეთ, კითხვის დამთავრებისას... შევნიშნე, სულ მთლად დავებანგე თქვენს წიგნს, თანაც ერთიანად აფორიაქებული ვიყავი!“

1877 წლის 16 აპრილს ახადგაზრდა მწერლებმა – პოდ ადექსისმა, ანრი სეარმა, დეონ ენიკმა, ე.-კ. ჰიუსიმანსმა, ლქტავ მინბომ და გი დე მოპასუნმა ტრაპის რესტორანში დაპატიჟეს ფლობერი, ზოლა და გონკური. სახეგაბრწყინებულსა და დიდებულ ფლობერს თავისი საზრუნავ-საწუხარი დავიწყებია, გულით ხარობს. მას მხარს უმშვენიებენ ზოლა და ედმონ დე გონკური. ფლობერი და ზოლა ხუმრობით კამათობენ. გონკური არბიტრობას ეწევა.

— თქვენ ძდიერ შესტობეთ, ზოლა. ნატურალიზმი სკოლად იქცევა და ამით არის ცუდი. ისევ ხედოვნება ხედოვნებისათვის თუ ღირს რამედ.

გი, ანუ, რომედ არს ვადმონი, ყურადღებით უსმენს მოკამათებებს, ოღონდ ისე ვერა ძდებს, თვადი ან ჩაუკრას ერთ-ერთ მომტან ქადს. ფლობერი გულისწყრომით ამბობს:

— აჰა, კიდევ ერთი, ჩაისვამს თავის ნავში და გაუტყვის!

აქ, ტრაპთან, ჯერ ისევ სამი წლით ადრე „სალამობის“ გამოქვეყნებამდე, უკვე მოუყრია თავი მერმინდედ მედანის ჯგუფს.

„ხაფანგის“ უზარმაზარი წარმატებამ საბოლოოდ შეაგუდიანა ზოდა, ნატურადიზმის საბრძოლო მოწოდება გაეცხადებინა — ესე როგორც თმს აცხადებენ ხოდმე — და შეექმნა თანამოაზრეთა დასი. ამ დასის მოღვაწეობის დასაბამი 1878 წლით თარიღდება, იმ წლით, როცა ზოდამ სახლი იყიდა მედანში.

1876 წელს კატუდ მენდესისას, ბრიუსელის ქუჩაზე მდებარე მის ბინაში, გიმ გაიცნო ჰიუსისმანსი და დეონ ენიკი. უკვე იმ-ხანად ჰიუსისმანსი ანრი სეარის მეგობარი იყო, მოპასანი კი-დევი — ადექსისისა. სწორედ ადექსისის გვიამბობს: „ერთხელ, ხუთ-შაბათი საღამო იყო, ხუთივენი გუნდად ვავემართეთ ზოდას სანახავად. მას შემდეგ ყოველ ხუთშაბათს მასთან დავდიოდით“. მაშ, ზოდა მათ ყოველ ხუთშაბათს იღებდა. ერთ საღამოსაც ახადგაზრდებმა გადაწყვიტეს, მოდი, ჩვენდათავად, ჩვენს „სასა-უზმეში“ სავახშომოდ მოვიპატიოთთო ზოდა.

ჰიუსისმანსი ენამახვილად წერდა ამ ხადისიან ვახშამთა თა-ობაზე: „მონმარტრის ერთ საზაზღარ, იაფფასიან სასადიდოში ვიკრიბებოდით, გვაჭმევდნენ ნახევრად უმი, აყროდებუდ სორცს, გვასმევდნენ საძაგედ, იაფფასიან, დაძმარებუდ ღვინოს. მოპა-სანი ამ დხინის სუდი და გუდი იყო. მუდამ კეთიდმოსურნეს ხა-დისი და გუდითადლობის განწყობიდება შემოჰქონდა, გვიყვებოდა სასადიდო ამბებს, თანაც ისეთი იერით, ვითომც ყვედა და ყვე-დაფერი ფესებზე მკიდიალ...“ ზოდა პირის პატივის ფრიად მოყ-ვარუდი ვახდდათ და სახე დაემანჭა. მაშინ იყო, გადაწყვიტეს, თავი გაენებვირებინათ და ტირაპთან ევასშმათ.

18 აპრიდს „რეპუბლიკ დე დეტრში“ გამოქვეყნდა ამ სადიდის ანგარიში და მენიუ, რომედიც იმდენადვე დაუჯერებელი იყო, რამდენადაც — დიტერატურული:

სუპ-პიურე ბოვარი.

ორაგული ა და გოგო ედიზ.

ყვერული თირკმედა-სოკოთი ა და წმიდა ანტუანი.

არტიშოკი ალდი გუდი.

ჩაროში „ნატურადისტი“.

ღვინო კუპო.

დიქიორი ხაფანგადან.

მექრონიკე ირონიუდად განავრძობდა: „ბატონი გუსტავ ფდო-ბერი, ვისაც სხვა მოწაფეებიცა ჰყავს, აღნიშნავს, რომ სუფრას

აკრია კასტილიურ ყაიდაზე შემზადებული გვედთევზა და მტრე-  
ლები ა და საღამბო“. ეს ერთობ მასვიდი თვადით იყო შენიშ-  
ნული, რადგან ტრაპთან ზოდამ დაჩრდიდა ფლობერი.

ვინ იყო ამ დიტერატურული და გასტრონომიული „ოპერაცი-  
ის“ თაოსანი? მხოლოდ მოპასანს შეეძლო, ამ მიპატიჟებაზე  
დაეყოლიებინა ფლობერი, ვისაც ერთნაირად არ ეჭაშნიკებოდა  
ნატურადიზმი, რეალიზმი და რომანტიზმი. რაკილა ფლობერი  
დათანხმდა, ზოდამაც ველარ იუარა.

თუმცაღა ის, აღბათ, ისედაც დათანხმებოდა — მხოლოდ  
იმიტვის, აღექსისს ვაამოლ! ამ სადირზე, დღეს პრეს-კონფე-  
რენციას რომ დავარქმევდით, ფლობერი და გონკური მეორე სი-  
დიდის „ვარსკვლავები“ იყვენენ; ეს გახდდათ ჭეშმარიტად ზოდა-  
სი და „მისი დასის“ ახადგაზრდების ბენეფისი.

სხდომის ოქმი ვინლა დაწერა? რასაკვირველია, ედმონ დე  
გონკურმა. ამ წედგადრეკიდმა თავისებურმა მდივანმა შინ მიბ-  
რუნებისას დღიურში ჩაწერა: „ორშაბათი, 16 აპრიდი. ამ სალა-  
მოს პიუისმანსმა, სეარმა, ენიკმა, პოდ აღექსისმა, ოქტავ მი-  
რბომ, გო დე მოპასანმა — რეადისტურ და ნატურადისტურ სკო-  
ლათა მიმდევარმა ახადგაზრდობამ, გვირგვინი დაგვადგა ჩვენ —  
ფლობერს, ზოდასა და მე, დაგვადგა ოფიციალურად თანადროულ-  
ბის სამ ოსტატს, ერთ-ერთ მეტად მეგობრულსა და მსიარულ სა-  
დიდზე. აგერა ის, ასადი პდეადა, ჩვენს თვადწინ რომ ყადიბდე-  
ბა“.

დიტერატურულ ცხოვრებაში, ისევე როგორც მდინარე სენა-  
ზე, მოპასანმა იცის თავისი თავის მოხერხებულად მართვა. იგი  
დავირებს. ფლობერისა არ იყოს, დიდად არ ეპიტნავება სიტყვა  
„ნატურადიზმი“, რაც ზოდამ დააფრთიანა და გაუშვა, ისე რო-  
გორც ჯინს ამოუშვებენ ხოდმე ბოთდიდან. ერთობ სუსტი სა-  
იმიტოდ, აღმართ-აღმართ მარტოკა ვდიდეს, გო არც იმის მო-  
სურნეა, ნატურადისტურ კოპორტას გაეთედინოს. ოლონდ იმა-  
საც ერიდება, პოდიტიკურად სახედგატესიდი გამოიყურებოდეს.  
ასად ფეხადგმული ნატურადიზმი მემარცხენე მიმდინარეობას ემ-  
ხრობა... ის სამინისტრო კი, სადაც თავად მსასურობს, მემარჯ-  
ვენე ორიენტაციის მქონეა. აღლო როდი ლადატობს: ნატურა-  
დიზმთან კავშირი შეიქნება ეტამპის საქმის ნამდვიდი მიზეზი.  
ესეც არ იყოს, მეტად განვითარებული აქვს საკუთარი ღირსების



გრძნობა, ჰოდა, ვერ დასჯერდება, კვლავ დიდხანს უწოდონ ერთი „ბატონ ზოდანთაგანი“.

მოპასიანისა და ზოდას ურთიერთდამოკიდებულება მუდამ ორ-ჭოფიანი იქნება. თავისი სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისში მოპასიანი, რაც კი გაეწყობა, მედანიერ მასწავლებელს ეყრდნობა, ოღონდ ძადას მოიციემს თუ არა, ამ საბჭუნს, აწ უკვე ხედის შემშდელს, განზე მოისვრის. უკვე 1877 წლის 17 იანვარს პოდ ადექსისისადმი გაგზავნილ წერილში იგი განსაზღვრავს, რა ჰგვირის აღტაცებას და რა მიანიშნა საფრთხილოდ: „ამჟამად ზოდა დიდებული, ბრწყინვალე და აუცილებელი პიროვნებაა. ოღონდ მისეული მანერა მრავალთაგან ერთ-ერთის გამოვლენაა, განა მთლიანი ჯამია ხედოვნებისა. რატომ უნდა მოიზღუდო კაცმა თავი? ნატურადიზმი ისევე შეზღუდულია, როგორც რომანტიზმი...“

მოპასიანს ეძვირფასება თავისი მიდრეკილება ფანტასტიკისადმი და არ სურს, იგი ანაცვადოს „საფანგი“ დახატულ სამიკოტილოს დახდს. თავისი ტაქტიკის დასაზუსტებლად დასძინს: „ეს წერილი, თავისთავად ცხადია, არ უნდა გასცდეს ჩვენი წრის ფარგლებს; ძალიან მეტკინებოდა გური, თუ მას ზოდას უზენებდით, ვინც გურითადად მიყვარს და ვისითაც აღტაცებული ვარ; ის ხომ აღბათ გაშინაწყენებოდა ამ ბარათის გამო“.

ფლობერს გაცილებით გუდახდილად და უბოდიშოდ სწერს: „რას იტყვით ზოდაზე? ჩემდათავად მგონია, ოფოფები დაეფრინოს. წაიკითხეთ თუ არა მისი სტატია ჰიუგოზე, სტატია თანამედროვე პოეტებზე და მისივე ბრძოლა „რესპუბლიკა და დიქტატურა?“ „რესპუბლიკა ნატურადისტური გვექნება, ანდა სუდაც არ გვექნება“. — „მე მსოფლივ სწავლული ვარ“ (მხოლოდო.. რა თავმდაბლობაა)... მე მსოფლივ სწავლული ვარ!.. ყოყობაც ამას ჰქვია!.. თანაც კაციშვიდს არ ეცინება...“ ნორმანდიეის ტაქტიკა აქ, ცოტა არ იყოს, შერყეულია იტალიეის! სტრატეგიით, მწერლის თავმდაბლობის ბრალია? არა, ორივეს უყვარს აურზაური, ოღონდ უყვართ თავიანთებურად. მათი ურთიერთობის ამბავი ერთი უცნაური თანამეგობრობის ნიმუშია.

---

<sup>1</sup> იგულისხმება ზოდა, რომელიც წარმოშავლობით იტალიელი იყო. (ქართვ. მთარგმ. შენიშვნა).

1879 წლის შაბათ საღამოს დეონ ფონტენსა და გის ფურ-  
ნეზის სამიკიტნოში შეხვედრა დაეთქვათ. გი ფენით ამოვიდა  
ბეზონიდან, მხარზე ჩანთა მოეგდო. აქ „ვარდის ფურცელში“ ჩას-  
ხდნენ და დაღმა დაუყვნენ მდინარეს, კუნძულ პეკამდე. ამჟამად  
ისე ჯობეგაფხევიდნი აღარ იყვნენ, როგორც ასპერგოპოლისის  
დროს; დეფევრის სასტუმროში ივანშემეს, ლამეც იქვე გაათიეს,  
დიდადრიან კი გზა განაგრძეს. მანევრიბენ მატარებლები,  
სისდების ცას ბურავს ნახშირის კვამლი. ტირიფიდან ტირიფზე  
დაფრინავენ ჭარბები, მენიჩბენი დარდიმანდუდად თავს უკრავენ  
მოზანავე ქალებს. კონფდანში გი ნაპირს მიადგება მეგობართან  
ერთად, გასაპარსავად სადადაქოსკენ გასწევენ. გი დადაქ ქაღს  
შეუჩნდება. მერმე მიცურავენ ანდრეზიმდე, კარაპას მხრებზე  
გაიდებენ და ისე გადადიან რაბის კაშხალზე.

— შიმშილით კუჭი ამეწვა, — ამბობს დეონი. — ზოდასთან  
ვისაუზმებთ, არა?

— გაგიხარია! თხზი კაცის თქვენს მივირთმევთ!

ვიდენს მიახლოებულნი მედანის დერწმიანში გადმოსხდებიან.  
მდელს გადაჭრიან და დასავლეთ რკინიგზის ხიდს გაუყვებიან.

ამ მოგზაურობის ამბავი გიმ „პარიზელი ბურჟუის საკვირაო  
გასეირნებაში“ გაიხსენა. „გოდუას“ დირექტორმა არტურ მიე-  
ერიმა შესთავაზა, ნარკვევი თანადროული ცხოვრების ფაქტებით  
გაეცხოვედებინა. ამასთან დაკავშირებით გი სწერდა ზოდას:  
„მიერი ბარე ორი კვირა იქნება დამდევს, მოითხოვს, ჩემს მე-  
გობარ პატისოსთან<sup>1</sup> ერთად ხელოვნების ზოგიერთი წარმომად-  
გენელი ვინახუდო და ეს ჩამოვდა თქვენგან დავიწყო. თავდაპირ-  
ვედად უარი ვუთხარი, მეშინოდა, თქვენთვის უსიამოვნება არ  
მომეყენებინა. მაგრამ ასე მითხრა, ერთი სტატიით მეტი იქნე-  
ბა თუ ნაკლები, რა მნიშვნელობა აქვსო. თქვენს შესახებ ხომ  
უკვე იმდენია დაწერილი... ეს საბუთი უპირიანი მეჩვენა და მეც  
ნებას დავყვე“.

ახადგაზრდა მოგზაურნი უკვე იმ ადგილს უწევენ, საიდანაც  
მწერდის სახელი მოჩანს. „ჯერ დავინახეთ მარცხნივ აღმართული  
ძველებური კოხტა საყდარი, აქეთ-იქით ორი კოშკურა ედგა...

<sup>1</sup> მ ე გ თ ბ ა რ ი პ ა ტ ი ს ო — ცენტრალური პერსონაჟი მოპასანის მოთხ-  
რობების და ნარკვევებისა „პარიზელი ბურჟუის საკვირაო გასეირნებანი“.

დიდ კვადრატულ შენობას, ახადს, წოწოდას, გეგონება, ანაკში მოხსენიებულ მთისა არ იყოს, კიკნა თეთრი სახლი გაუჩენია, რომელიც იმ გამჩენს ძირში შეჰყუჟვიაო. ეს პაწია სახლი — თავდაპირველი სადგომი — წინანდედ პატრონს აუგია, კოშკი კიდეჲ ზოდას აშენებულა“.

მოგზაურნი ერთმანეთს ახედ-დახედავენ: მენავეთა ტანსაცმელი აცვიათ და ესამუშებათ. დეონ ფონტენი სასაცილოდ იმანჭება, გი მხრებს იჩეჩს.

„ვეება ძალღი, სენბერნარისა და ნიუფაუნდლენდის ნაჯვარი, ავად აგვიღრინდა“. გი ენერგიულად რეკავს ზარს. ქაღბატონი ზოდა შეიცნობს სტუმრებს, უნდობლობის გამომეტყველება მსწრაფდ გაუქრება სახეზე, კუტიკარს გაალებს და შეიპატიჟებს.

— უიმი, როგორ დაგცხებოდათ აღბათ! ოლონდ არ გაცივდეთ! სახლში ძაღიან გრიდა...

აგერა, ეს აღექსანდრინა, ზვიადი, ვითომ დათაფდური, უშვილო ცოდი, ოლონდაც გულის სიღრმეში დედობრივი გრძნობებით სავსე...

ქარი ათრთოლებს სარტრუვიდის ადევებს, იმათ მაცქერად ვის კი აგონდება ამწვანებული ზღვისპირა ვაკე. „მარცხად ასეთ ვაკეებზე, სადაც ნაპირებიდან წამოსული ქარი ჩაინთქება ზოდზე, ზოგან მიკოსებუდია პატარ-პატარა სოფელი“.<sup>2</sup> ერთ ასეთ სოფელში „ერთი სასტიკი და ფიცხი ახადგაზრდა მღვდელი ცხოვრებულა. სემინარიიდან რომ გამოსულა, თან გამოჰყოლია საშინელი სიძულვილი იმათდამი, ვინც ბუნების კანონებით ხელმ-

<sup>1</sup> თარგმანი თ. სასოკიასი.

<sup>2</sup> თარგმანი მისივე.

ძღვანელობს ცხოვრებაში დი არა მისის ღმერთის კანონები-  
თა“<sup>1</sup>. ისევე როგორც ძმა არქანჟიასს „ბაბა მურეს შეცოდები-  
დან“, ამ მღვდელსაც სძულს დედობა, ისე ძადიან, რომ ფეხით  
შეეგება და სრესს ძუკნას, რომელიც დეკვებს ყრის და რომელ-  
საც ბავშვები შემოეხვევიან... მაშ ასე, ამ მთავორიანი ნორ-  
მანდის მხარეში მწყემსები აგებენ ხის მოძრავ ქოსებს, თვდებ-  
ზე წამოსკუპებულს, კიდობნის მსგავსს. ზაფხულობით, როცა  
ცხვრის ფარას უკან მიჰყვებიან, ეს ქოსები ერთი საძოვრიდან  
მეორეზე მიაქვთ ხოდმე. ერთხედ მღვდელი კოკისპირულ წვიმაში  
მოჰყვება და დააპირებს, ასეთ ქოსს თავი შეაფაროს. მაგრამ  
ერთმანეთს ჩანსუტებულ ქად-ვაჟს წაასწრებს შიგ. ბრაზისაგან  
გონდაკარგული კარს მიუგდებს და გარედან გადარაზავს. მერმე  
ხედნებში შეებმება, ამ ხის ზანდუკს უფსკრუდისაკენ დააქანებს.  
ზანდუკი კდღებს შეენარცხება და „კვერცხივით გასკდება“.

ეს ეპიზოდი შინაურ გადმოცემათაგან არის ნასესხები: ამ-  
გვარი რამ თავს გადანდენია გუსტავ დე მოპასანს, ოლონდ ისე-  
თი ტრაგიკული დასასრული არ მოჰყოლია. **წუთისოფდის**“ წერი-  
სას, ისე ვით სხვა ნაწარმოებთა წერისასაც, მოპასანის ძადა-  
უნებურად ეხება აკრძალულ თემებს; ამიტომ უნდა განჭვრიტოს,  
რა შედეგი მოჰყვება ამგვარი ნაწარმოების გამოქვეყნებას. პი-  
რადი ცხოვრება და შემოქმედება მწერდისა ერთურთზეა გადაწ-  
ნული. რომანი „წუთისოფდი“ დაწერილი გახდავთ ღორას უალ-  
რესად მოსიყვარულდე ვაჟიშვიდისა და გუსტავ დე მოპასანის ნებ-  
სითი ობდის მიენ.)

მოპასანის პირველი რომანი შეიცავს თითქმის ყვედა იმ  
თემას, რაც მანამდე აწუხებდა მწერადს. მამის სიძულვიდი, დე-  
დობის ზიზლი, მძაფრი პესნიმიზმი, მშობლიური მხარის სიყვა-  
რული, წყდისადმი ტრფიადი, სიკვდილის განუშორებელი ფიქრი,  
უკანონოდ შობილთა ბედი, იმედგაცრუება დედის გამო, ვისაც  
ქადური სიწმინდის იდეადად სახავდა — ის თემები თუ მოტივე-  
ბია, სუდ უფრო მეტად რომ გაძდიერდება მის შემოქმედებაში.

პირველი რომანი მოპასანს საკუთარ ცხოვრებად უღირდა.

„წუთისოფდელში“ თანდათან მჟღავნდება რომანისტიის ხე-  
ღოვნება. ძირითადი თავისებურება ამ ნაწარმოების ფორმისა

<sup>1</sup> თარგმანი თ. სახოკიასი

ის გახდავთ, რომ აღწერა და მოქმედება აქ როდი მონაცვლეობს, არადა ეს იყო ნიშნეული იმდროინდელი რომანისათვის. ავტორი ცდილობს, აღწერაცა და მოქმედებაც შერწყას. პეიზაჟი თუ გარემო ნაჩვენებია იმ ადამიანის თვალთ, რომელიც შეუპყრია ძლიერ მღვდვარებას ანდა საქმათ არის გართული — ერთი სიტყვით, ოდენ დამკვირვებლის კი არა, უფრო მეტი მოქმედი ადამიანის თვალთ. ასე, ყმაწვილი ჟანა მამასთან ერთად მგზავრობს და თავის მამულს ეცნობა, ვიდრე დამკვიდრებლდეს ძველ საგვარეულო სასახლეში — „ჩინარში“, რომელიც „იპორის ასლოს, წყდისპირა მთაგრესილზე იდგა.“<sup>1</sup> გის ბავშვობისჟამინდელი მთელი ნორმანდია დანახულია ემა ბოვარის ამ უმცროსი დის თვალთ. „ცხენების ნადები ჭყაპუნობდა და ოთხივე ბორბალი გამადებით ისროდა ტადახის შხეფებს“. „ფუნთუშადან“ აგრე ნაცნობი ეტიდი გზას აგრძელებს. მოპასანამდელი რომანი უმთავრესად, თუ სტენდარს არ ჩავაგდებთ სათვადავში, სტატუკური გახდებათ. გი დასაბამს აძღვეს რომანის ცვდილებებს. „ბორბლების ხმაური“. ჟანას ჯერ ისევ ყურებში უდგას, როცა იგი ჩვენთან ერთად ეცნობა საგვარეულო სასახლეს, სადაც ამიერიდან უნდა განიცადოს სიყვარული, უნდა ეყოდოს შვიდი და განვდოს ჩვეული, ღირსეული ცხოვრების გზა.

ვეცნობით საგვარეულო სასახლეს, ისე დიდსა და ფართოს, „მთელ ტომს დაიტევდა“. ვუცქერიოა მას ჩვიდმეტი წლის გულუბრყვილო ქადიშვიდის თვალთ, ეს-ეს არის მონასტრიდან რომ გამოსულა. მასთან ერთად ვათვადიერებთ ჯვრებით მოქარგულ ავეჯის გადასაკრავს, დაფონტენის „იგავ-არაკების“ მიხედვით დასურათხატებულს. ვათვადიერებთ გობედენებს. ზედ გამოსახულნი არიან პირამოსი და თისბე; მათი შემყურე ჟანა საკუთარი ბედის ამბავს კითხულობს, თავადაც არ უწყის, ისე. პენელპეს სანიდან მოყოლებული, ნაქარვი სურათოვნად ვადმოსცემდა მითების შინაარსს, თანაც მქარგავთ ეხმარებოდა, ვაეტარებინათ ზანტად მედინი დრო. გის სადღაც სხვაგანაც ესიდა თისბე გობედენზე ამოქარგული. შეყვარებული ქადწული მიჯნურს ედღება თუთის ხის ქვეშ; ამ დროს გამოვარდება დაშისხდიანი

<sup>1</sup> „წუთისოფდის“ ციტატები მოსიოპილი გვაქვს დ. მხეიპისეული თარგმანიდან.

ბუ ღომი. გის ნანახი აქვს, გუდგახეთქიდ თისბეს გაქცევისას როგორ დაუვარდება მანდილი, ღომი კი იმ მანდილს მიეტანება და დაფდეთს. ცოცხლად ახსოვს, როგორ დაწოქიდა პირამოსი სატრფოს გასისხლიანებულ დეჩაქთან, და რაკი სატრფო დალუპული ჰგონია, მახვილს იძრობს და გუდში დაიცემს. მიმადული თისბე ბრუნდება, მიჯნურს მკვდარს ნახავს და თავადაც ზედ დააკვდება. და მაშინ თეთრი თუთა წითლად შეიღებება... გის ხიბლავს ეს დეგენდა, რალაც აღბეჭდიდა მასში ესქიდესი თუ შექსპირისა, აგრეთვე იმ კრძადული სიყვარულისა, თავად გის რომ შეექმნა სიყვარულზე, როცა პატარა ბიჭი იყო, და იმ კრთომისაც, სიყვარული რომ ჰგვრიდა ბავშვობისას.

ვიდრე ეტლი გზას მისდევს და მოგზაურობაც გრძელდება, ჩვენ თავდს ვადევნებთ მთვარის ამოსვლას, გავცქერით „ფართო გაზონს, რომედსაც ლამის სინათლეზე ერბოსავით ყვითელი ფერი დასდებოდა.“<sup>1</sup> ლამე იდევა და ამობრწყინდება მზე. მცირე ხნის შესვენების შემდეგ კვლავ გზას ვეშურებით. როცა ფერდობზე ვეშვებით იპორისკენ, ვხედავთ დაქანებულ ქუნას, ვიყნოსავთ მარდიანი წყდის მძაფრ სუნს, თავდწინ გადაგვეშდება ზღვა, „მუქი დურჯი და გდუვი. იგი უკიდებანოდ გადაშდიდიყო“. ჟანასა და მამამისთან ერთად შინ მივიყოლებთ დიდებულ ქამბადას, ჟანას მიერ ნაყიდს. ჩვენ ერთად მივუყვებით სანაპიროს, ქამბადა კი „თავისი მსუქანი კუდით ბადახს თედავდა“.

დიტერატურის სნობებს არ ნებავთ მოპასანის რომანისტად აღიარება. უხეიროდ კითხულობენ და ეგ არის, წინასწარ აკვირატებუდი აზრით ეკიდებიან. რომან „წუთისოფდის“ დასაწყისი, ხანგრძდივ მოგზაურობაში რომ წაიტანს მკითხვედს, ყმაწვიდი ქადის თვადით რომ გვახიდივინებს სამყაროს, „ფუნთუშას“ დარი შედევრი განდავთ.

ბრწყინვადე შესავდის შემდგომ თხრობა კვადდაკვად მიჰყვება დროს. ჟანა შესვდება მომხიბდავ ვიკონტის დე დამარს; ეს ვიკონტი, ბარემ ამასაც ვიტყვით, ერთობ წააგავს გუსტავ დე მოპასანს. ახადგაზრდების ნიშნობა, რაც ერთვის ახადი ნავის

<sup>1</sup> რომანის მიხედვით, ამ მთვარიანი ლამის პეიზაჟით ჟანა ტკბება არა ეტლით მგზავრობისას, არამედ შინ დაბრუნებუდი, როცა ლამით თავისი ოთახის ფანჯარას გამოალებს (ქართ. მთარგმნედის შენიშვნა).

„ნათლობის“ ხაღხურ ჩვეულებას, უნებურად წამოგვავონებს სწორედ იმ ოქტავ ფუიეს, ვისი სტილისთვის მიბაძვასაც ირონიულად ურჩევდნენ მოპასანს. ქორწინება, მოუხეშავი ნეფე, მოცახცახე დედოფალი — ეს ყოველივე ორიგინალურია იმდენად, რამდენადაც ეხება თემას, საიმძროდ განსჯას რომ არ ექვემდებარებოდა. იმედის გამცრუებელი ქორწინების ღამე, როზალის მომშობიარება, ახალგაზრდა დედა, ფანატრიკოსი მღვდლის მიერ ძუკნის ფეხით გათედვა, როცა ძუკნა დეკვებს ყრის — ამ ამბების აღწერისას ავტორი, უნდა ვაღიაროთ, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მკითხველი შეაცბუნოს. რაც შეეხება უხეირო ვაჟიშვილისა და სუსტი ნებისყოფის მქონე დედას, ამ მხრივ ავტორს არაერთი წინამორბედი ჰყავდა.

ვიკონტი და ჟანა იპორში სხდებიან ძია დასტიკის ნავში და მიემართებიან ეტრეტისაკენ; ამ მათი მგზავრობის აღწერა ისეთივე მშვენიერია, ვით მონეს ტილო: „უეცრად გამოჩნდა ეტრეტის დიდი ქვიშკარი. იგი ჰგავდა ფრიადო კდის ორ ფეხს, რომლებიც მიაბიჯებდნენ ზღვის ზედაპირზე, და იმდენად მაღადნი იყვნენ, რომ შეეძლოთ საზღვაო გემებისთვის თაღის მაგვირობა გაეწიათ“.

მთედ რომანს წითედ ზოდად ვასდევს ავტორისავე ცხოვრების ამბავი.

და-მანშის შემდგომ, შემდგომად კდდეებიან ეტრეტისა, დაკბილედ ვარჯოვანი დიდებუდი პიანის ტყისა, რომანის ფურცდებზე წარმოჩნდება ხმედთაშუა ზღვა. ბოლოს და ბოლოს ჟანა ბედნიერებას იკემებს, საქორწინო მოგზაურობით ხარობს. ამ მოგზაურობას იგი თვადზე ცრემდომდგარი მოიგონებს ნორმანდიაში ჩამობრუნებისას — სწორედ ისევე, როგორც თავად გიგონებდა ერთი წდის წინ. „სამას მეტრზე აზიდუდი ეს წვრიდი, მრგვადი, დავრეხიდი, მოკაუჭებუდი, უფორმო, ფანტასტიკური, განსაცვიფრებელი ფორმის ციცაბო კდდეები ჰგავდა ხეებს, მცენარეებს, ცხოველებს, ძეგლებს, ადამიანებს, ანაფორიან ბერებს, რქიან ქაჯებს, ვეებერთედა ფრინველებს, ურჩხუდთა მთედ სროვას, რომელიდაც თავნება ღმერთის ახირებით გაქვავებუდ კომმარუდ სამხეცეს“.

აი, ეს გახდავთ ნამდვიდი, ჩინებუდზე ჩინებუდი მოპასანის ფდობერი, შემოქმედი „ადდი გუდისა“, „ქადბატონ ბოვარი-

სა“ და „სანტიმენტალური აღზრდისა“, ხშირად გეცნაურება „ძი-  
სი შეგირდის“ პირვედ რომანში. 1878 წლის დეკემბერში ფლო-  
ბერმა მისწერა გის: „არაფერია ხოლმე ცხოვრებაში ისე ცუდი,  
ან ისე კარგი, როგორც ჰგონიათ“. მასწავლებელს აზრადაც ან  
მოსვლია, მოპასიანს თუ რომანის ბოლო ფრაზას უკარნახებდა.

შემორჩენილია წიგნის ხედნაწერი, — სწორედ ის, გამოცე-  
მედ ავარს რომ გადაეცა 1883 წლის 14 მარტს. <sup>[</sup>რომანის ადრინ-  
დედ ვარიანტში გი წერდა: „ცხოვრება, იცით, არასოდეს არ არის  
ხოლმე ისე კარგი, ან ისე ცუდი, როგორც ჰგონიათ“. ეს ოდნავ  
შეცვლილი ფლობერისეული ფრაზა ავტორმა მოასდეს წარმოათ-  
ქმევინა. შემდგომ მოპასიანმა უფრო სხარტად ათქმევინა. იმავე  
ქადს: „იცით, ცხოვრება ვერაა მაინცდამაინც კარგი, მაგრამ არც  
ისე ცუდია, როგორც ჰგონიათ ხოლმე“.

თუმცაღა მოპასიანს სიტყვასიტყვით არ გაუმეორებია ფლო-  
ბერის ნათქვამი, მაინც სწორედ მოხუცმა შთაჰბერა სული ამ  
წიგნს — შთაჰბერა პირველი სტრიქონიდან მოყოლებული ბოლო  
სტრიქონამდე.]

1883 წლის 1 ნოემბერს გი დე მოპასიანმა თავისი თერძის  
რეკომენდაციით მსახურად აიყვანა ბედგიედი ფრანსუა ტასარი,  
რომელიც კამერდინერის ადგილს ეძებდა. ეს ვასდდათ ჩასკვნილი  
ახადგაზრდა კაცი, მსხვილცხვირა, ტუჩწვრილი, ღაწვებზე ბაკენ-  
ბარდწამოზრდილი. მოპასიანი და თერძი დაჟინებით მოითხოვ-  
დნენ, დივრეა ეტარებინა, მაგრამ ბედგიედმა ღირსეულად თქვა  
უარი ამგვარ მორთულობაზე. მოპასიანი ერთხანს ჭოჭმანობდა,  
მაგრამ, როცა შეიტყო, 1876 და 1877 წლებში ფრანსუა ფლო-  
ბერს ემსახურებოდალ ერთი ნაცნობის ოჯახში მურიდითს ქუ-  
ჩაზე (ფრანსუამ ისიც კი გაიხსენა, სუფრაზე ოსტატს მანდი-  
ლოსნების უწინარეს მიახრთმევდნენო კერძს), ყოყმანს თავი  
ანება, დივრეაზე ფიქრს დაეხსნა და ფრანსუაც თავისი მოვადეო-  
ბის შესრულებას შეუდგა.

ფრანსუა ტასარი გის ემსახურა. 1883 წლიდან მოყოლებული  
პატრონის უკანასკნედ დღემდე და ამ ამბით მართლაც რომ ნამ-  
დვიდი სიკეთე უყო ბიოგრაფებს. თუმცა მისი მოგონებები  
მწერდის გარდაცვალებიდან თითქმის ოცი წლის შემდგომ გა-  
მოქვეყნდა, გიმ ნაწილობრივ იცოდა ეს ჩანაწერები. იცოდა და



მათს ავტორზე აგრე თქვა: „კარგი მესსიერება აქვს, თვალი მშვენივრად უჭრის და შეუძლია ნანახის გადმოცემა“. სიცოცხლის მიწურულს კი, შესაძლო ბიოგრაფიაზე რომ დაპარაკობს, როგორც ვარდაუვად ბოროტებაზე, მოპასვანი იმავე ფრანსუას თავისი ცხოვრების საუკეთესო მოწმედ ასახელებს.

მინც ვინ იყო ფრანსუა ტასარი? მხოლოდ უმორჩილესი მსახური („მე, უმორჩილესი მსახური, ვისაც მრავალი წელი მასთან ერთად გამიტარებია, სხვა ვინმეზე უკეთესად ვიცნობდი მას“)? თუ საკვირაო საკითხავის მიმწოდებელი, როგორც უწოდებენ ემე დიუპუი და თავად მოპასვანი? ერთიც იყო და მეორეც.

წერით. ტასარი გაჭირვებით წერდა. როცა თავისი „მოგონებების“ წიგნზე წარწერა უნდა გაეკეთებინა, ჯერ სახაზავით ხაზებს ავლებდა ფორზაცზე, მერმელა გამოჰყავდა იმ ადამიანის სახელი, ვისთვისაც წიგნი უნდა ესახსოვრებინა. მე ხედთ ჩამივარდა ტასარის მიერ მორის მიულტერის სათვის ნაჩუქარი ამ წიგნის ევზემპლარი. მიძღვნაში თუმც არ გვხვდება ორთოგრაფიული შეცდომები, მაგრამ ცხადზე ცხადი კია, რომ წიგნზე წარწერისას ფრანსუა ჭირის ოფდში იწურებოდა! შემონახულია ექიმ ჟაკობისათვის გაგზავნილი მისი ბარათი, დათარიღებული 1891 წლის 15 დეკემბრით. მომაქვს ეს ბარათი მართლწერის შეცვრდედად:

„მესიე

ეს მე დავწერე მისამერთი ჩემი კეთილი ბატონის ანდირძზე. დარწმუნებული არა ვარ კარგად დავწერე თუ არა სიტყვა მონტიმარტრი. თუ არ მოსუდა გთხოვთ გამოითხოვოთ. მიიღეთ მესიე ჩემი ღრმა პატივისცემა და ყველა ჩემი მადლობა.

ფრანსუა ტასარი

შადე დე დიზერი (sic).“

ეს ბარათი ისევე ნიშანდობლივია, როგორც შარდ ლაპიერის მოწმობა: ლაპიერმა ტასარში დაინახა „დაუფასებელი ფრონტიენი,<sup>1</sup> ვისაც ჰგონია, თავის ბატონს აამებს, როცა დიდის ამბით აცხადებს: „ბატონი მარკიზი დაბრუნებული გასასვლელიდან უკანისკენ!“

<sup>1</sup> ფრონტიენი — მოხერხებული და ეშმაკი მსახური, პერსონაჟი ფრანგი მწერლის ლესაჟის კომედიისა — „ტიურკარე“ (1709).

ფრანსუა ტასარის ორ წიგნს შორის ორმოცდაათწლიანი შუადედი ძვეს: „მოგონებანი გი დე მოპასანზე, დაწერილი მისი კამერდინერის ფრანსუას მიერ“ 1911 წელს, და „ახალი მოგონებანი“, პიერ კონის მიერ გამოქვეყნებული 1962 წელს. პირველ ტომს, ეტყობა, რედაქცია გაუკეთა ფრანგულის ვილაც რივიანმა მცოდნემ. მეორე სრულიად შეუდამაზებლად გადმოგვცემს ავტორისავე სტილს. ეს გამოცემა თუმიცა ბუნდოვან და დაუხვეწავ ადგილებს შეიცავს, მაგრამ სწორედ ამის წყალობით ინარჩუნებს იმ ბუნებრიობას, რაც პირველ წიგნს აკლია.

ისიც ადვილი შესაძლებელია, მოპასანის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ერთგულ მეგობარს, დოქტორ ანრი კაზადისს, დასაბეჭდად ჩაბარების წინ გადაეხედოს და დიტერატურულად დაემუშავებინოს პირველი წიგნის ფურცლები.

თავად სახე ტასარისა მეორე გამოცემაში უფრო სახარბიელოდ, ოღონდ ნაკლებ დამაჯერებლად გამოიყურება. ეს თავის თავზე შეყვარებული კაცი — ერთსა და იმავე დროს ბიუვარიც რომ არის და პეკიუშეც — მოწინააღმდეგეთ გამსჭვადული პინფერია, თუმიცა ერთგულებით თავგადაკლულად ერთგული ვახდავთ.

მოპასანს რომ ტასარისმიერი დახასიათება წაეკითხა თავისი თავისა, აღბათ, სიცილს ვერ შეიკავებდა: „მწერალი, რო-მედმაც დაწერა სამასი ნოვედა, რათა კაცობრიობისათვის და-ენახვებინა მისი სუსტი მხარეები“... ერთი წანმთიღგინეთ, რა „გრ-რ-რ-ანდლოზური“ სიცილი აუტყდებოდა ამის წამკითხველ დამაზ მეგობარს და რა გაკვირვებული გაშლიდა ხედებს!

ფრანსუა ტასარს ხშირად მოსდის შეცდომა, ეშლება ესა თუ ის თარიღი, ამახინჯებს ამა თუ იმ პიროვნების გვარს, უმა-ტებს ინიციალებს და მუდამ დაუკრეფავში გადადის ხლემე. მაგ-რამ იმავე დროს „მოგონებანი“ შეგაგრძნობინებენ მოპასანის აქვე ყოფნას, იმ გულთბილობას, უბრალოებას, მსახურისა და ბა-ტონის ურთიერთდამოკიდებულებაში რომ სუფევდა, შეგაგრძნო-ბინებენ ერთგულებას — ერთი სიტყვით, ურთიერთმეგობრობას.

როცა ზამთარი მოატანს, და გიიეტედი მეზღვაური-ჯენტ-დმენი მისდაუნებურად კვდავ ბუღვარების მუდმივი სტუმარი ხდება. აგერა, თპერის მოედანზე დუღხანის მაგიდას უზის. ირგ-ვდივ, დუდისა და აბსენტის მთავარუდთ შორის, დაფაცურობენ

მიმტანნი, რომელთაც ვრძელი, ძირამდე დაშვებული წინსაფრები აქვთ შემოკრული. არტურ მეიერთან სარედაქციო თათბირს რომ დაესწრება, იქიდან წამოსული გი კორექტურას კითხულობს ხოლმე, მერმე კი ენას იქავებს თავის კოლეგებთან — ტანკრედ მარტელთან და არმან სიღვესტრთან.

— ჩვენი დროება კურთხეული ხანაა არამზადათა და არარაობათათვის!

— ჰო, მაგრამ მეცნიერება სასწაულს სასწაულზე ასდენს, ჩემო ძვირფასო მოპასანო!

— ეგ ეგრეა, ოღონდ ეს ყოველივე ტანჯვა-წვალების ახად-ახადი ფორმაა მხოლოდ! სხვა მხრივ კი, რაც წინათ ყოფიდა, აწიცი ის იქნება! გარსონ, ერთი ტოდრა დუდი! არავითარი აზრი არა აქვს ყვედაფერ ამას!

ახადგაზრდა თვადტანადი კაცი, ვისაც ბედი სწყყადობს, სხვები კიდევ შურის თვადით უყურებენ, ნაღველს შეუპყრია. ვაკვირვებული არმან სიღვესტრი შეეპასუხება:

— არც ქადს!

— ჰო, ჩემო არმან სიღვესტრო, არც ქადს!

— არც სიღამაზეს!

— სიღამაზეს მით უფრო! ის სიღამაზე, რაც ქადს მიჰმადლებოა, ჩვენი წამების იარაღად იქცევა ხოლმე. აბა, გადაიკითხეთ „მანონ დესკო“, „სახიფათო კავშირნი“. საუცხოო წიგნია „კავშირნი“! უკეთური არისო, გვეუბნებიან. ერთი ეს მითხარით, რას ჰქვია უკეთური წიგნი?

— მაინც...

— ის კი არადა, მაგისტანა წიგნს, ასეთ ჭკუის სასწავლ გავვითიდად რომ გამოადგებოდეს დედათა სქესს, მეორეს ვერ იპოვი. თუ წაგიკითხავთ?

— წამიკითხავს და ხედანდა მივბრუნებოვარ კიდევ, მეც ვიზიარებ თქვენს აზრს.

— ახლა სტიდს არ იკითხავ, მაინც რა მშვენიერია ეს ძველებური ფრანგული სტიდი — პრევოს სტიდი, რითაც „მანონ დესკო“ დაწერილი რას ამბობ!

ცოტა უფრო მოგვიანებით მოპასანი დაწერს წინასიტყვას „მანონ დესკოს“ ახადი გამოცემისათვის. მას მუდამ აღტაცებას ჰკვირდა თავისუფლებისმოყვარეობით აღბეჭდილი დიტერატურა

XVIII საუკუნისა. ყოვლის უწინარეს აბატ პრევოს აფასებდა, მერმე — შოღერდო დე ლაკლოს, მარკიზ დე სადს და ამათ შემდგომლა მიაგებდა პატივის რუსოს, დიდროს, ვოდტირს. დუხნანაში გაბმული ეს მუსაიფი გვოდასტურებს, რომ იგი ეტრფის მანონს, პირწავარდნიდ მდედრს, მსიბღავ, უზრუნველსა და დალი ქცევის ქადს. ყოვედ ქადში იგი ეძიებს „სიყვარულისმიერსა და ავსორცობისმიერ ვერაგობას, საძუღვედ რასმე, ჭკუაზე შემშედედ ქადურს“. მიტომაც მოსწონს ასერიგად მარადქადურის განმასახიერებელი რომანი. „ჩვენ თვადნათღივ ვსედავთ... მანონს; ისე ცოცხდად წარმოგვიდევბა, თითქოს თავად შეგვხვედროდეს ლდესმე და გვყვარებოდეს... გვეცნაურება ეგ სიხადისის, თანვე სიყადბის ბეჭედდასმული ტუჩ-პირი, ეგ მიმზიდველი ბაგენი, მიჯრით მიწყობიდ კრიდა კბიდებს რომ აჩენენ, მკაფიოდ დანნეული წვრიდი წარბებიც, ეგ ეშმაკური სხარტი თავის დაქნევაც... ეგ სახიფათო ქადური, ესოდენ მაცდუნებელი, ესოდენ ვერაგული რომ არის“.

უსაზღვრო აღტაცებას ჰგვრის ეს მისი საყვარელი ავტორი, ვინაც საერთოდ უგუღებედყოფს მორადს, და ყვედაფერს, რაც ხდება, აგიწერს ლბიექტურად. პრევომ თავისი ნაწარმოებით შექმნა „თანადროული რომანის საუცხოო ფორმა, — ამბობს გი, — ავტორი შესანიშნავად იცნობს. ადამიანის გუდს... „მანონ დესკო“ ჩვენი დროის ნატურადისტური რომანია“.

მაგრამ ეს საუბარი უეცრივ ბეზრდება გის: „რა აზრი აქვს ყვედაფერ ამას?“ დგება და მიდის.

არმან სიდვესტრი ბოდომდე სვამს ტოდნაში დანაკდუღებუდ დუდს და წყნარად ამბობს:

— სუდ ეგრე ნაღვიდანი. კაცმა არ იცის, რა სჭირს.

მოპასანს აგრე სჩვევია საზოგადოების დატოვება, ეს მისი სიშნეული თვისებაა. კი არ ადგება და წავა, გასხდტება ხოდმე. თითქოს დტოდვიდია და უკან მოსდევენო. რაღაცას მოიბოდეშებდავით და გაუჩინარდება. კაცს არ მოსდის აზრად, თავის თავსვე განერიდოს, ისა სწადიაო.

სუყვედგან მოწყენასა გრძნობს. მოწყენიდია მაღადი წრის მანდიდოსანთა საზოგადოებაში, იქ კი სუდ უფრო ხშირად დაიარება სტუმრად: „გონება მაღადი წრის ქადებისა მოგავონებს კრემით შენედებუდ ბრინჯს. ჭკუა-გონების განვითარებას ისი-

ნი უმადლიან საკრე-კერში<sup>1</sup> მიღებულ განათლებას, — ეს ვახდავთ ბრინჯო. მეიმიე ამას ემატება მ. ლ. ლ. საზოგადოებაში მოკრები- დი ბანადური რამე-რუმე. ეს კრემი ვახდავთ. ამგვარად შემზა- დებული საჭმელი, რასაც თქვენ გთავაზობენ, მუდამ ერთნაირია!“ უარესია, როცა ეს ქაღალტანება დღებრატურად საღონებში მბრძანებლობენ.

„ჩემი დროს ონ მესამედს უსაშველო მოწყენილობაში ვატა- რებ, ხადო მესამედს კი იმით ვავსებ, რომ ვწერ სტრიქონებს, რომელთაც შეძლებისდაგვარად ძვირად ვყიდი. იმავე დროს სასო- წარკვეთა მიძყრობს, რაკი იძულებული ვარ, ამ ჩემს საშინელ ხე- ლობას მივსდიო... არ ძადმიძს გუდით მიყვარდეს ჩემი ხედობა. მეტიმეტად მკაცრი მსაჯული ვარ მისი, მეტიმეტად ღრმად გამჩხრეკი. ვგრძნობ, რარივ შეფარდებიითია აზრის, სიტყვისა და გინდაც ყვედაზე გამორჩეული გონების ფასი. ჩემდაუნებურად მეჯავრება აზრი, რაკილა იგი არაფრის მაქნისია და ფორმაც, რაკი ის არასრულყოფილია“.

მოწყენილობას ვერ უქარვებს ზოდასთან ყოფნა. ერთხელ, 1885 წლის ნოემბერში, ნაშუადღევს, გონკურთან ზის. კვდავ მოწყენილობა ეუფლება. თვადს ავდებს თანამოკადმეთ. აქ არი- ან: ფერმკრთადი, ავადმყოფური იერის მქონე დოდე, ჰიუნისმანსი, ხან უზომოდ კუმტი, ხან კიდევ თვით თავაზიანობის განსახი- ერება; ბონეტენი, საეკვო ავტორი სკანდალური რომანისა „შარ- დი ერთობა“; დახვეწილი აბედ ერმანი; ბუზლუნა, მაგრამ გუდთ- ბიდი ანრი სეარი; გამომცემელი შარპანტიე, ვინაც ფრად გუდ- ცივად ეპყრობა მოპასანს; პოდ აღეკსისი, გუდკეთიდი ხუმარა, და ერეღია, ვე?ომ ნატიფი და მგრძნობიარე რომ არის. „გონკუ- რი კი ხან ერთ ჯგუფთან მივა, ხან მეორესთან, თუ საუბარს მოჰკრავს ყურს, თვითონაც ჩაერევა, მერმე კვდავ ჯდება, პაპი- როსს უკიდებს, ისევე დება, გვიჩვენებს საუცხოლო სამშვენიესებს, ძვედ ოსტატთა ნახატებს, კლოდიონისეულ ტერაკოტის ქანდაკე- ბებს“.

მოპასანს მათთან თანასწორივით უჭირავს თავი, ისე კი,

<sup>1</sup> იკულისსება ქალთა სამონაზვნო ორდენი „იესოს ვული“ — საკრე-კერი; იგი ორგანიზებული იყო იეზუიტთა ორდენის მისგავსად. საკრე-კერის საზო- გადოების მონაზონთ პქონდათ მრავალი პანსიონი, სადაც იზრდებოდნენ აზ- ნაურული და ბურჟუაზიული წრეების ქალიშვილები.

კაცმა რომ თქვას, მათგან განზე დგას; ხან მეტად ხმამაღლა მოჰყვება დაპარაკს, ხან კო, პირიქით, გულწაფხრობილი და კრიჭაშეკრული ზის; საცა გინდ იყოს, ერთთავად მოწყენილია, საკუთარ ქერქში ვერა გრძნობს თავს. მხოლოდ ქაღები, მოგზაურობა, ნავი და მუშაობა თუ გაუქანვებენ გულის ქირსს, უკუპყრიან სენს, რასაც აგრე ძლიერ ცოტა ვინმე თუ შეუპყრია.

### 3

კაკლუცი ბრახონიეზი. — ალტოცკაიას პირველი პორტრეტი. — ორსა-ხოვანი ბანუო. — „ღუთხეა“ ანტიგუო. — 1884 წლის ბათუმბანი. — მუსიას დლოუო. — მონოფარაზე ამაბუილი გომაონს ბოლო. — ბამბანი „პრომენად დეუ ანდელუ“. — ბიზანტიუო საფდავი ბანოი

თუ მოპასანი არ მუშაობს, თუ ნავით არ სეირნობს და ანც მკურნალობს, მაშინ ქაღებზე ნადირღებს. ამჯერად მისი ხოხბები ახადგაზრდა გრაფინიები არიან. ფრინველს რომ მიიტყუებენ ხოღმე სტვენის მიბაძვით, ისე იტყუებს მათ. ისინიც ეტანებიან სატყუარას, თუმცა თავად ეს მიმტყუებელი სძავთ. ესეც სამაგიეროს უხდის: მოთხრობებში გვიხატავს იმათ თავს, ოღონდ ძაღაუნებურად აგვიწერს საკუთარი გულის ჩქროდასაც იმ დროს, როცა რომელიმე მათგანი ეწვევა „პირბადით სახედაფარული და ის პირბადე სუნთქვას დაუნამავს“.

თავის ნატიფ საკბილოს ფრად ვუღგარუდ აზრებს მიაწერს: „საწოლი, ჩემო კარგო, მთელი ჩვენი ცხოვრებაა! ზედ იბადებიან, ზედ უყვართ, ზედვე კვდებიან“. გმოძღვრავს და თან დაღობს, მოუქნედად გიქადაგებს „როჟეს წამადს“: „თუ ვინმე შენს მეგობართაგან უფრთხის ქორწინების ლამის მღეღვარებას, ჩემი სამხედრო ხერხი ურჩიე და დაარწმუნე, უებარი წამადია-თქო კვანძის გახსნისა“. ეს ხერხი კი — წარმოიდგინეთ! — ის გახდავთ, რომ ტედიეს მახლობელ საროსკიპოს ესტუმროთ.

გრაფინიები ტკარცადებენ, როცა ჟანას ამბავს ისმენენ. ეს ბანოვანი მოიანებით წერს თავის მეგობარ ქადს, ქმარს ვუღაღატებ, თუ ისევე არ მოუშვებს უღვაშებსო: „არა, ვერც კი წარმოიდგენთ, ეს კოხტა ჯაგარი ტუჩს ზემოთ რარივად სასიამოვ-

ნთა თვადისათვის და... სარგოა... ცოდქმრუდი ურთიერთობისათვის“.

ამ ბანოვანთ ქოთქოთი აქვთ, როცა იმეორებენ მოპასანისეულ ამბებს, მის მიერ სავანგებოდ საღონურ საკითხავად გამოყენებულს. ქადბატონი დე გადიფე, ფლორანს ჟეორჟინა დ-ფიტის ასული, ბანკირის ძმისწუდის შვიდი, ცოდი კომუნის ჯადათის გენერად გასტონ გადიფესი, ოსოვნით მიმართავს გის, რომედიმე თქვენი მოთხრობა წავვიკითხეთო. გი თავპატიუს იღებს. ქადი ეხვეწება. ბოლოს მოპასანი ნებას დაჰყვება.

— მაგათ ისეთ რამეს მივართმევ, აქ მოსვდის ხადისს ერთხოდ და სამუდამოდ დავუკარგავ, -- ეუზნება ვი ფრანსუას, თან ზღვაშს იწიწკნის და გუნებაში ავად ელიმება.

უჯრიდან იღებს ერთ მოუხამსო მოთხრობას — „ღიასახდისს“, რომედიც ეს-ეს არის დაუსრულებია. იქ გამოყვანილია ერთი ზორბა ბრეტონედი ქადი, მას სახდში პანსიონერები ჰყავს ჰყვანიდი და პურიტანული წესიერება აქვს დამყარებული. მაგრამ ჭაბუკი, ვისი პირითაც მიმდინარეობს თხრობა, გაიცნობს სანდომიან ყმაწვიდ ქადს ემას და თავის ოთახში შეაპარებს. ვაგდახ! მკაცრი დიასახდისი საქმეს ჩაუშდის. უცებ ოთახის კარს შემოუღებს პერანგის ამარა, ხედში სანთედი უჭირავს მალდა ბწეუდი, ვით ნიშანი სათნობისა; გოგოს გააგდებს. მოდგება და ჭკუას არიგებს ახადგაზრდა მდგმურს. ის კი... ის ხედში აიყვანს ამ ზორბა ქადს, რომედიც ვითომ უძადიანდება, და იმ დოგინზე დაუშვებს, სადაც თავის გოგოს უპირებდა წელან ჩაწვენას.<sup>1</sup> გაკვირვებული დიასახდისი ადერსიანი ხმით ეწურჩუდება: „ოხ, შე საძაგედო!.. საძაგედო!..“

გი დედას ატყობინებს: „მოთხრობა კარვად მიიღეს, ოლ-ონდ აქ უკვე მეტისმეტი სითამამე გამოვამჟღავნე. მაგრამ რას იზამ, გასაოცარი სისწრაფით მივდივანთ წინ!“

ამ დალ მოკდე-მოკდე მოთხრობებს, რომელებიც მეტწილად ვუდგარულია და რომედოა მეშვეობითაც სახედმოხვეჭიდი ავტორი ომის თემისა ჩქმადავს თავის შიშს სიგიჟისა და სიკვდილის პირისპირ, ხვა ვრიედად წერს ჩამდენიმე წლის მანძიდზე.

<sup>1</sup> აქ მცირედი უზუსტობაა. მოთხრობის ეს ბოლო სცენა სდებია უკვე არა მდგმურის, არამედ დიასახდისის ოთახში. (ქართვ. მისარკმნ. შენიშვნა).

ბატონი დე გარედი თავის ცოდყოფილს შეხვდება; ნახავს, ქადი გაცილებით უფრო დამაზი შექნიდა, ვიდრე წინათ, გაყრამდე იყო. საყვარდად გამიხდეს და ტკობის ის წუთები ამინაზლა-უროს, რაც ლადატის გამოისობით მომპარაო, — მოიწადინებს. ქადს აღშფოთება შეიპყრობს! მაშინ კაცი ემუქრება, ავდგები და შენს ახდანდე ქმარს ჩაუუკაცდავ, თავის დროზე როგორ მლა-დატობდიო. ამ ლადატისა არაფერი ეცოდინება და, რომ გაიგებს, არ გაპატიებს მაგ შენს საქციელსო. ქადი ძადაუნებურად ნებ-დება. კეკელუცი გრაფინიები სიცვიდით იგულებიან.

ნოვედა „შეხვედრაში“ ამის საპირისპირო ვითარებაა აღწე-რილი. ბარონ დ'ეტრაის ოდესღაც მარკიზ დე სარვინიეს ხვევნა-ადერსში წაუსწრია თავისი ცოლი — „პარიზედი თოჯინა, აზიზი, განებივრებული, კოპწია, კეკედა, ფრიად ენამოსწრებული, უფ-რორე მიმზიდველი, ვიდრე დამაზი“. გარკვეული ხნის შემდეგ ბა-რონი მას შეეყრება კანისკენ მიმავად მატარებელში. კუბეში მარტონი აღმოჩნდებიან. ბატონ დე გარედის მსგავსად ბარონი დ'ეტრაიც გრძნობს, როგორ ეუფლება ძველებური ზარხოში. რაკი კვდავ კანონიერ ქმრად ითვლება ამ ქადისა, დაჟინებით მოით-სოვს, ნება-სურვილი აღუსრუდონ. ოღონდ გამოირკვევა, რომ მზაკვრული ხრიკი მოუგონებიათ მისთვის: ეს შესვედრა თვით ეშმაკ ბარონესას მოუწყვია. მოწივებიც მოუწყვვია და სადგურის ბაქანზე ედოლებიან. დამხვედური რწმუნდებიან, ბარონესას ლამე ქმართან მარტოდმარტო გაუტარებიაო. მერედა ვის რად სჭირ-დება ეს ყოველივე? ვისა და, თავად ბარონესას სჭირდება, ფეხ-მძიმედ ყოფიდა! უფიქრია, „გარეგნულ წესიერებას დავიცავო“. კეკელუცი გრაფინიები სიცვიდით იგულებიან.

მოთხრობა „ქინძისთავში“ ორი საყვარელი ერთსა და იმავე მამაკაცთან დადის რიგრიგობით და ერთმანეთის ამბავს ქინძის-თავების მეშვეობით გებუდობენ. ამ ქინძისთავებს ისინი ფარ-დაგში არჭობენ ხოდმე. ბოდოს პირისპირ შეიყრებიან.

„— მერედა, კვდავ ხვდებიან ხოდმე ერთიმეორეს?

— აბა, რა გეგონა, ჩემო კარგო, გუდითადი მეგობრები შე-იქნენ.

— მაშ, კარგი. ეს მითხარი, ამის გამო არ გებადება ერთი აზრი?

— არა, რა აზრი?



— ეჰ, შე ტუტუცო! ადექი და სწდასდა არწობინე რიგრიგობით... ის ქინძისთავები“.

— უი, ვინ ყოფიდა ეგ მოპასანი! — ხარხარებენ მსმენელი ქალები.

— იცით, ცხოვრებაშიც ეგეთია!

— რას ამბობთ!

— ის კი არა, უარესიცაა! ვრაფის ასურ ესტელს თუ იცნობთ?

— მონსოს პარკში რომ ცხოვრობს, იმაზე მეკითხებით?

— სწორედ იმაზე მოგახსენებთ. რომ იცოდეთ, ჩემო კარგო, იმასთან და იმის ბიძაშვილ მარიასთან გაითამაშა ეგ ქინძისთავობანა.

— რა უსინდისო ვინმე ყოფიდა — გავუღისებუდი ამბობს ერთ-ერთი მოსაუბრე მანდილოსანი.

სერია მოთხრობებისა ბარონესა დე გრანჟერიზე და მარკიზა დე რენელონზე 1885—1886 წლებს განეკუთვნება. მარკიზა ბარონესასთან შედის „აღვზნებუდი, კოფთა, ცოტა არ იყოს, დაჭმუჭნია, შდაპა ოღნავ გვერდზე მოქცევია“.

— ოჰ! საქმე მოთავებუდია“.

ეს-ეს არის ქმრისთვის უღადატია, დანებებია ბობინიაკს, „რომელსაც თავში ბზე უყრია, მაგრამ წესიერი კაცია და არ იყბეღებს“.

„— არა, ერთი წარმოიდგინე, რა სასაცილო ამბავია.. წარმოიდგინე!.. ახლა ხომ სურ სხვანაირად გამოიყურება (ქმარი. — ა. დ.), სიცილისაგან თავი ვერ შემიკავებია... წარმოიდგინე, რა ადგას ახლა თავზე!..“

გოჭური ხითხითი აუტყდათ. სწორედ ამ დროს „გამოეცხადათ ძორძოხი მამაკაცი (ქმარი. — ა. დ.), ღოყალაჟღაჟა, სქედტუჩა და გრძელქიღვაშებანი“. იგი ხრინწიანი ხმით ერთთავად იმეორებს: „ხომ არ გავიჟებუდხართ?.. გაგიჟდით, თუ რა დაგემართათ?..“

სატირა არის? უმად ბოროტი დაციწვავა! ბარონესა დე გრანჟერი „მეტისმეტად ფერმკრთადი და საოცრად აღვზნებუდი“, მარკიზას ეწვევა, რათა უამბოს, რაც თავს გადახდენია. საშინელი ამბავი მომხდარა! ფანჯარასთან მდგარა თავის სახლში, სენ-დაზარის ქუჩაზე, ჰოდა, თვალს ადევნებდა გამვედელ-გამომვედელ გო-

გოებს, რომლებიც რაღაცას ანიშნებდნენ მამაკაცებს. სუღმა წასძღია და თვითონაც გაიმეორა იგივე ნიშანი. გაიხედა და ვილაც კაცი ან მოადგა კარზეი თქი უძადიანდებოდა, აბა რა მაგ-რამ იმ კაცს არაფრის გაგონება ან სურდა რაკი ქმარი საცა... უნდა დაბრუნებუდიყო... ბარონესაც ადგა და დანებდა. კაცმა თრი დუიდორი აჩუქა.

„— მეტი არა?

— არა.

— რა ცოტაა. მე დამცირებუდად ვიგრძნობდი თავს. მერედა რა იყო?

— რა იყო და, რა ვუყო ამ ფუღს?

მარკიზა ცოტა ხანს დაფიქრდა, მერმე დინჯად მიუგო:

— ჩემო კარგო... აილე და... აილე და... პატარა საჩუქარი მი-ართვი შენს ქმარს... სწორედ უპირანი იქნება“.

ამჯერად ისე სითხითებენ გრაფინიები, ცრემლები სცვი-ვათ.

ერთ-ერთი მიზეზი, რამაც მოპასანს ეს მოთხრობებში და-აწერინა, ისიც გახდავთ, რომ მწერადი თავისი პრეტორიპების მიღმა მომავად მკითხველს ხედავდა. იგი ჯიუტად მიესწრაფოდა თავის მიზანს. ხომ მშვენივრად უწყოდა, რასაც წარმოადგენდა „სამყვარე“, ასევე ოდნავადაც ან ტყუვედებოდა მაღადი წრის გა-მომ. განა რას გვიმოწმებს ეს ნაწყვეტი წიგნისა „წყადზე“, მოკ-დებუდი ყოვედგვარ იღუზიას: „ბოლო წლების მანძილზე გვა-რინი წარმატებით სარგებლობს მწერადიც. რაკი სიტყვამ მო-იტანა, ვიტყვი, რომ მას მეტი უპირატესობა აქვს: დაპარაკი ეხერხება, გაბმით დაპარაკი, ბევრი დაპარაკი, ყვედას გასაგონად დაპარაკი. და რახან ჭკუა-გონების გაწვრთნილობა მისი პრეტე-სიას, შეგიძღია უსმინო და აღტაცებუდი იყო ისე, რომ ეჭვი ან გეპარებოდეს, ეს ჩემი აღტაცება სრუდიად საფუძვიანიას“. გუდისტიკვიდით დაპარაკობს მოპასანი მწერადზე: „შეგიძღია ამოიღრიო პოეტი ან რომანისტი. პოეტს მეტი აქვს იდეადური, რომანისტი მეტია მოუდოდნი“. „ამრიგად, შეაჩერებს თუ არა ქადი არჩევანს იმ მწერადზე, ვისი ხედში ჩაგდებაც სურს, იწყებს მის მონადირებას ქათინაურებისა და ყურადღების ათას-ნაირი გამოვდინების მეოხებით, ედოდიავება და ანებვირებს... რა რომ შეატყობს, გააზიზებუდა, გუდი ასჩუყებიაო... საგუდდა-

გულოდ უმზადებს წარმატებას, ფართო ასპარეზზე გამოჰყავს იგი... მაშინ ის მწერადი სათაყვანო პიროვნებად იგულებს თავს და სამუდამოდ ივანებს ამ ტაძარში..." ეს აზრი კიდევ უფრო მკაფიოდ ჭვივის შურისგებით აღბეჭდილ იმ უთარილო ჩანახატში, რომელშიც პროზაიკოსი ავლავ გვევლინება პოეტად და მწარედ ინესტრება:

თამამია და თან ნაზ-ნარნარი,  
ილიმის: „ეს რა კარგი რამ არი!..“  
მორთულ წუკსა ჰკავს — არრის მაქნისი  
ლიმილით კობტა პატისტვინასი!  
ტანს დაჰუარფადებს ხასი დაქანცულს,  
მარტივ სიხარულს იგი არა ცნობს.  
რაც სისუდევე ბაგეთაგან მისთა ვუბღება, —  
სუყვედას დანთქავს, მძღე მცურავიც დაილუქება.

ოღონდ ვერც ერთი კეთილსინდისიერად შესრულებული მოთხრობა იმ ხანისა — 1882—86 წლებისა — ვერ შეედრება „პოდის ნანდაურის“ ცხად მჭიმუნვარებას, „ბუზუნას“ ცინიკურ სიფაქიზეს, „მადმუაზედ ფიფიში“ გამოხატული პროტესტის სისასტიკეს, „ივეტას“ სათუთ მედანქლიურობას. მაღალი წრის ცხოვრებაზე დაწერილი მოპასანისეული მოთხრობები უხეში პირებია XVIII საუკუნის უფერულ ოსტატთა ნახედავისა. სად არის ვატო?¹ სად არის მარივო?² სადაა მანონი, ვისაც ეთაყვანება? სადაა შოდეგრლო დე დაკლო?

გის მშვენივრად ესმოდა ეს ყოველივე, მიტომაც უარყოფდა საკუთარ თავსავე და სახეირო წვრილმან ნაკადმევს ფსევდონიმად მოფრინიებს აწერდა სოღმე, იმ ფსევდონიმს, „ფუნთუშას“ დაბეჭდვამდე რომ იყენებდა. მოპასანს შეეძლო გამსდარიყო როლუდანდსონი, ჰოგარტი, კონსტანტენ გი,³ ტუდუზ-დოტრეკი ბურ-

¹ ვ ა ტ ლ ა ნ ტ უ ა ნ (1684—1721) — ჟრანგი მხატვარი. მრავალ სურათზე გამოსახული ჰკავს XVIII საუკუნის მაღალი საზოგადოება.

² მ ა რ ი ვ ე ლ პ ი ე რ (1688—1763) — ჟრანგი მწერალი და დრამატურგი, ოსტატი ამიკობის დასატვისა, დახვეწილი, მასკვიდონიერული დიადოვისა.

³ რ ო უ დ ა ნ დ ს ო ნ ი ტ ო შ ა ს (1756—1827) — ინგლისელი კარიკატურისტი. პ ო გ ა რ ტ ი უ ი დ ი ა მ (1697—1764) — ინგლისელი მხატვარი და გრაფიკოსი. თავის სურათებსა და გრავიურებზე ამხილებდა იმდროინდელი საზოგადოების ზნე-ჩვეულებებს. გ ი კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ე ნ (1805—1898) — ჟრანგი მხატვარი-კარიკატურისტი.

ჟუაზიის ამ ირმის პარკისა<sup>1</sup>. მავრამ სადღონების მუღმივ სტუ-  
მრადვე დარჩა. სძაგდა ის სადღონები, მაინც კვღავინღებურად და-  
იარებოდა იქ და ფეკანედი თევზის ვაჭრის მოსღენიღობით უკ-  
რავდა თავს მასპინძღებსა თუ სტუმართ.

1884 წღის 13 მარტს გი კანიღან სწერდა ერთ ტურფა ბანო-  
ვანს, რომეღიც ცოტა რამით თუ განსხვავღებოდა თავის წინა-  
მორბეღთაგან, ოღონღ, ეს კია, უფრო ფართო თვადსაწიერი  
ჰქონღდა: „როცა იმას გავიფიქრებ, უღღსის პრინცი, ეს თავის-  
თავად კარგი კაცი, ორღეანის ჰერცოგებზე უღღრესია, ესპანეთის  
მეფე და რუსეთის იმპერატორი — უღღსის პრინცზე უღღრესი,  
იტალიის მეფე კი ყვედა ამათგანს ჩამოუვარღება-მეთქი, გავ-  
შტირღები სოღმე, მოღი და ნუ განგაცვიფრებს აღამიანთა სა-  
ზოგადოების ამგვარი წესწყობა“. ცოტა უფრო მოგვიანებით  
ერმინას ასე მისწერს კანზე — ამ „სამეფო ეზოსგარეთზე:“  
„იღგვიღვ სუღ უმაღღესობანი ბრძანღებიან, ესენი ყვეღანი თა-  
ვიანთი კეთიღღობიღი ქვეშევრღომების სადღონებში მეუფებენ.  
ჩემღათავად არც ერთ პრინცითან შესვეღრა არ მსურს, სუღაც არ  
მეპრიანება საღამოღობით ფეხზე ჩამოვწყღდე, მე შენ გეტიყვი,  
ეს ტუტრუკანები ერთი წუთით მაინც ჩამოსხღებიან; არამცთუ  
მამაკაცებს, ქაღებსაც ზეზე ამყოფებენ იმ თავის ინღაურის ფე-  
ხებზე აკანჭუღღთ. ასე გრძეღღება ცხრა საათიღან მოყოღებუღი  
ნაშუაღამეღამღე სამეფო უმაღღესობისაღმი პატივისცემის გუ-  
ღისთვის; პრინცი გღღისა, ვისაც ღიახაც დამშევნღებოდა ნორ-  
მანღიეღი ღორებით მოვაჭრის ცისფერი ბღუსა, თუმცა მოვაჭ-  
რეზე უფრო მეტიღ ღორსა ჰგავს, „ინგღღისეღებზე“ მბრძანებ-  
ღობს. მას გვერღს უმშევნებს გრაფი პარიზისა, ეს პირწავარღ-  
ნიღი ზეინკაღი, რომეღიც მეუფებს ნამღვღიღსა თუ რიღში არის-  
ტოკრატებზე... ამ ორი ღიღებუღღის გვერღით ერთი ასიღღე წარ-  
ჩინებუღ გვამს მაინც ხეღავ: ეს ვიურტიმბერგის მეფეღ, მეკ-  
ღენბურგის ღიღი ჰერცოგოღ, და, რა ვიცი, ვინ აღღრა. კანის სა-  
ზოგადოება ჭკუას კარგავს იმათ გამო. ამას რა ღიღი ღარი და  
ხაზი უნღდა, რომ ამღროუღი ღიღგვაროვანნი თავს არ დაღებენ  
იღღებისათვის, როგორც დაღო წინამორბეღმა ღიღკაცობამ 1789  
წღღისამ. რა გამოღაყებუღი ხაღღხია!!!

<sup>1</sup> ი რ მ ის პ ა რ კ ი — ასე ეწოღებოდა ვერსაღღის ერთ-ერთ სასღღს, საღავ  
ღუი მეტსუთმეღღის ღროს ორგიას მართავღენენ სოღმე.

უამ-უამად ყველა პრინცი საღარბაზოდ ეწვევა ხოლმე მონაკოში თავის ბიძაშვილს, ბრწყინვალე გვამს. მაშინ სურათი ვაგზიდანვე (კანისა. — ა. დ.) სხვაფერდება. ყველა ეს უმაღლესობა, წინააღმდეგ თითის გაწოდების ღირსადაც რომ ან მიიჩნევიდა თავის ერთგულსა და მაღალშობილ მსახურთ, ამით წინაშე ცხრად მოკაკუდთ, — ჯგვეთაში მოჰყვება, აქეთ-იქიდან აწვებიან კომისიონერები, გვერდს გაჰკრავ-გამოჰკრავენ, უჯიკავებენ კომივოიაჟორები, ბოლოს მიაჰყვებიან ვაგონებში. გარს ახვევიათ ყოვლად ჩვეულებრივი, ყოვლად უხეში და გაუთადედი ხალხი... ჰოდა, ედღა გეცემა კაცს, რაკი შენიშნავ, რომ, თუ ვინმე წინასწარ ან გეტყვის, ისე თითქმის ვერ გამოარჩევ მეუფის ღირსებას მდებრივი უხამსობისაგან. ეს არის საუცხოლო კომედიო, საუცხოლო... საუცხოლო... უსაზღვრო სიამით მივყოფდი სელს, გესმით, — უსაზღვრო სიამით-მეთქი, ამ კომედიის თხრობას, მეგობრები რომ არა მყვანდნენ, შესანიშნავი მეგობრები, იმ გროტესკული პიროვნებების ერთგულქვეშევრდომთა შორის. თანაც თვით შარტრის ჰერცოგი ისე ადერსიანია ჩემდამი, რომ, დამიჯერეთ, სითამამე აღარ მყოფნის საამისოდ. თუშცა სურვილი კი მწიწკნის, საღერღელს მიშდის...

ასეა თუ ისეა, ეს ყოველივე დამეხმარა, ჩამომეკადიბებინა შემდეგი პრინციპი, პრინციპი უფროვე ჭეშმარიტი, დარწმუნებული ბრძანებლობით, ვიდრე ღვთის შესაქმნა.

ყოველივე სვეკეთილივე მთავრადგვამა, ვისაც სურს, შეინარჩუნოს აზრის სიწმინდე და განსჯის დამოუკიდებლობა, სურს უცქეროდეს ცხოვრებას, კაცობრიობასა და ქვეყნიერებას თავისუფალი დამკვირვებლის თვლით, რომელსაც ვერ აიყოლიებს რაიმე ცრურწმენა, წინასწარ აკვიატებული შეხედულება თუ რაიმე რელიგია, დიახ, ასეთმა მოკვდავმა თამამად უნდა გაარიდოს თავი იმას, რასაც უწოდებენ მაღალი წრის ურთიერთობას. უნდა გაარიდოს იმიტომ, რომ, თუ კაცი დადის ამგვარ ხაღხთან, ხვედრება და უსმენს მას, ძალაუნებურად აჰყვება იმის აზრს, შეხედულებას, იმის სუდედურ მორადს.

ასე დამოძღვრეთ თქვენი ვაჟიშვილი კატეხიზმის სწავლების წესგად და ნება მიბოძეთ გემთხვეილთ ხედზე".

„მაგრამ მახსენდებიან სხვა პიროვნებანი, ვისთან საუბარიც ჩიქობას. ერთ ასეთ მანდილოსანს, ვგონებ, იცნობთ კიდეც. იგი

ქედს არ უხრის ამა ქვეყნის მბრძანებელთ (ერთი ეს მისი სტი-  
ლი ნახეთ — ა. დ.), რასაც ფიქრობს, იმას ამბობს ხოლმე (ყო-  
ვედ შემთხვევაში, მე აგრე მგონია), სჯითაც ისე სჯის, როგორც  
პირადად სწამს და თუ რაიმე არ ეპიტნავენა, ამას არც მადავს.  
მიტომაცაა, ასე ხშირად რომ ვფიქრობ მასზე“.

მერმეც ასევე მიმზიდველად გვიხატავს ამ ქადს: „იგი ჩემ-  
ზე ასდენს ისეთი ქადის შთაბეჭდილებას, ვისაც აქვს მძაფრი,  
ხადასი და მომწუსხვედი უშუალოდით გამორჩეული გონება. არ  
იცი, როდის რით გაგაოცებს. მოულოდნელი სიტყვა-პასუხი თუ  
ქცევა სწვევია და რაღაც არაჩვეულებრივი სიბღი დაჰყოლია...“  
მოკდედ რომ ვთქვათ, ვის უნდა, „რამდენიმე დღის შემდეგ თი-  
თები დაუკოცნოს ამ ბანოვანს“ — ტრადიციული ფრაზაა, რასაც  
ვის თვადში განსაკუთრებული აზრი აქვს; ამ ქადს უძღუნის იგი,  
„თუ რამ კარგი და საამოა მასში...“

ეს მანდილოსანი გახდავთ ნამდვიდი გრაფის მეუღლე, ქა-  
დიშვილობის გვარით — პრინცესა პინიატელი დი ჩერგარია, ასული  
ჰერცოგ დი რეჟინასი და ღვთისმოსავ რომაელი ქადისა, ცოდი  
გრაფ ფელიქს ნიკოლას პოტოცკისა, ავსტრია-უნგრეთის საედნოს  
ატაშესი. ნიკოლას პოტოცკის მამა, მცირე განათლების მქონე  
დიდებულ ბატონთაგანი, პოლონეთიდან დაასრლებით 1830 წელს  
წამოვიდა. პოტოცკები მდიდარნი და ფუფუნების მოყვარულნი  
არიან. მათი დიდებული სახლი ფრიდლანდის გამზირზე, 27-ე ნო-  
მერში, „პოლონურ კრედიტად“ იწოდება, რადგან იქ მუდამ ირევა  
ნაირ-ნაირი მოაჯე სადხი, თავშესაფარი საფრანგეთში რომ  
უპოვია. სადონის დიასახლისი გახდავთ მჩქეფარე, ჭირვეული,  
თავპარიანი, მაცდუნებელი ცირცე, ემანუელა პოტოცკაია —  
თვადმიმტაცი სირენა. ის იღებს თავყანისმცემელთა ჭრედ ამა-  
დას, ექიმებს, არისტოკრატებსა და დიტირატორებს, თმაზე სა-  
ცხწასმულ ჟერვეკსს — უხვირო მხატვარს, მაგრამ გუდნადვათ  
კაცს; დაკვირვებულ პორტრეტისტს ჟან ბეროს და მისი ყაიდის  
მემუარისტს ჟაკ-ემიდ ბდანშს, ფსიქიატრის ვაჟიშვიდს, ვინაც  
აღმერთებდა პოტოცკაიას და შემდგომ მისი სახე დავვისათა  
ავტობიოგრაფიულ რომან „ამერისში“, პრინცესა დუჩია პეველო-  
ზიოს სახედით გამოიყვანა; იღებს მედანიქოდიურსა და დარბა-  
ისედ პოდ ბურჟეს, მკაცრ ვიკონტის ეჟენ დე ვოგუეს, სდავიანო-  
ფიდს, ავტორს მდარე რომანისას — „მოდაპარაკე მკვდრები“.

ცოდ-ქმარი არ მადავს ურთიერთგანხეთქილებას, თუმცა იცავს „ზრდილობის წესებს“. ოღონდ ეს ხედს ვერ უშდის ნიკოდასს, ცხადად სცემდეს თაყვანს ემიდიენა დ' ადანსონს.

ეს თავგუნება გრაფის მეუღლე ვის ვააცნო მისმა მეგობარმა ჟორჟ დეგრანმა 1883 წელს — ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე გამოქვეყნდებოდა რომანი „წუთისოფელი“. გაჩაღდა მიწერ-მოწერა გიჟმაჟ ემანუელასთან. ერთ-ერთ ბარათში ვი მადღიერი და წათამამებული სწერდა ქაღს: „გახარებუდი ვარ, „წუთისოფელი“ შესანიშნავად საღდება. ისე არაფერი ემეამებოდა, როგორც ეს წარმატება მემამა. იცით თუ არა, რომ ამ წარმატებას ბევრწიდად თქვენ უნდა გიმაღლოდეთ? მინდა დავიწოქოთ და ისე ვადავიხადოთ მადღობა“.

გაბედული, თავქეიფა, ხუსტურიანი, საშიში, მგზნებარე და გულცივი ნარკომანი — ასეთი გახდავთ ეს გრაფის მეუღლე. მოპასანი მას უძღვის რექსს, სადაც მგერი ვეგეტარიანედად ქცეულა:

ჩვეულებები გაქრა კვამლივით.

უსამსად მთვლიდნენ — თუმცა ტყუილაღი..

აკი ამქამად განუუმსჰვადივარ

მნათეს სურვილებს, მნათეს გულისქმასა

ეს ფირტი — თავისებური კადრიდი, როცა ერთმანეთს მისდევეს განხეთქილება, დაბრუნება, სუდმოკლეობა, შერიგება, ჭირვეულობა — უფრო და უფრო ვითარდება, მას ზურგს უმაგრებს გულწრფელი მეგობრობა. რა თქმა უნდა, ვი ერთდროულად რამდენსამე ქაღს ყვარობს. ბუღვარებზე დამკვიდრებული გამოთქმისა არ იყოს, „ერთი ხედიტ ორი საზამთრო უჭირავს“.

შეხედავ და თმაზე საცხწასმული მტვირთავი ვინმე გვეონება, მაგრამ ამ გარეგნობის მიღმა იმაღება ფიქრიანი, ბედკრული, გუნებაცვაღებადი მოპასანი. „აგერ, უკვე რამდენიმე წელია, უცნაური რამ მემართება. სიცოცხლის ყვედა გამოვღინება, უწინ აისივით ცისკროვანი რომ იყო ჩემს თვადში, გაფერმკრთადებული მეჩვენება... ოდესღაც ხადისიანი ვიყავი სუყვედაფერი აღტაცებას მკვრიდა: გკერდით მიმავადი ქადი, ქუჩის ხედი, ის მიღამო, სადაც ვცხოვრობდი. ჩემი ტანსაცმლის შეკერიღობაც კი გუღს მითრთოღებდა...“

ეგვევ ორსახოვანი იანუსი, ვისი ამოცნობაც ეგზომ ძნე-  
დია, რამდენიმე წლის შემდეგ გამოუტყდება, შოპენჰაუერის მთარ-  
გმნელს ჟან ბურდოს: „ზოგჯერ წამიერად წარმომიჩნდება სილა-  
მაზე, შემოსილი საოცარი, ვნებით აღბეჭდილი, იღუმადი, უმჩ-  
ნევი ფორმით, ოდნავ ცხადქმნილი რაღაც აზრებით, რაღაც ცაღ-  
კუდი სიტყვებით, რაღაცნაირი გარეგანი ფერებით, ხდება ეს  
რაღაც განსაზღვრულ ჟამს ცხოვრებისა, — და მაშინ განსაცვიფ-  
რებლად სათუთად აღმქმედი ინსტრუმენტი შევიქმნები ხოლმე,  
ტკბობის ინსტრუმენტი. ვერც სიტყვით გადმომიცია ეს ამბავი,  
ვერც რითიმე გამომიხატავს, ვერც დამიწერია, ვერც მომიყო-  
დია. ყვედაფერი გუღვივე მარხია“.

სოლო როცა ახერხებს, ის განცდილი შემოქმედებაში ჩააქ-  
სოვოს, მაშინ ყვედაფერი, რასაც წერს, ერთიანად გამსჭვადული  
და შუქმოსილია სიღამაზის შეგრძნობით.

დიდი მწერლისა და მდიდრულ უბანთა ჩარჩის ეს ურთიერთ-  
შერწყმა საგონებელში გაგდება კაცს. „სიღამაზე“ სიცოცხლის  
ბოდოს მოპასიანს გადაექცევა წმიდა გრაადად, იღუზიად, „მიადა“,  
უკანასკნელ დიდ ცდომილებად.

მოლდა პარიზმა, დანახვა აღარ უნდა მისი, მაგრამ რაკი შე-  
მოქმედებისთვის საჭირო თემებით დედაქალაქი ასაზრდოებს,  
ძაღუნებურად იქვე უნდა ტრიალებდეს. ოლონდ თავს იმით შვე-  
ლის, რომ სულ უფრო ხშირად გარბის ეტრეტისკენ, სამხრეთის-  
კენ, აღჟიბისკენ, მიედტვის ზღვას, წყადს, ნავს.

1883 წელს გიმ იყიდა დიდი სატაკედაჟო ნავი „დუიზეტა“ —  
„თავლია ვებოტი“, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ძველი ვანცდი. მა-  
საც ისევე ევდება თავს, როგორც ყველა თავის ნავს ევდებო-  
და. „ჩემი ნავუკა, ჩემი საყვარელი ნავუკედა სულ მთად თეთ-  
რია, ფერებზე ბადე გასდევს“. გი ძვედ მიუზღვაურთან გადის-  
თან ერთად დაცურავს „წყნარ, გარინდებულ ზღვაზე, ცისფერია  
წყადი, თვადჩაუწვდენედი, იმ გამჭვირვადე დაჟვანდისფრად შე-  
ფერილი, რაშიაც ატანს მკრთადი სინათლე და უწევს ზღვის  
ფსკერზე ამოშვერიდ კდეებს“.

ზამთრისეულ ანტიბში გის აღტაცებას ჰგვრიდა დიდი ჰავა  
და აღბის მთათა თოვლით გადადესიდი მწვერვალები. იმ სეზონში  
ცუდი ამბები მოდიოდა ყოვედი მხრიდან: პიემონტიდან, დ'აოს-  
ტის დაბლობიდან, შვეიცარიიდან. მთებში ზვავები წვებოდა და



ყვედაფერს ანადგურებდა. პარიზში ათი გრადუსი ყინვა იყო. გი  
დალად სუნთქავდა აქაურ თბილ ჰაერს და ეგონისტურად ხანობდა,  
ერთხანს ამქვეყნიურ სამოთხეში შემიძღვია ვიყოლ.

1884 წლის 27 თებერვადს „დუიზეტა“ გადის კანის ნავსად-  
გურიდან, დროებით მიესაღმება შუქურას, გასცდება სეკანს,  
გადაკვეთს კრუაზეტის სრუტის ფარვატერს და გეზს ანტიბისა-  
კენ იღებს. უკან რჩება ჰარუპი. აღმოსავლეთის ქარი, წლის ამ  
დროს სახიფათო რომ არის, თანდათან ძლიერდება. გადისი სწრა-  
ფად დაუშვებს იაღქნებს და ნიჩბების ამარა ებრძვის დინებას,  
უკანვე ნაპირისაკენ ან გაიტაცოსო ნავი; რომს გადაკრავს და  
მაშინლა მშვიდდება, როცა შეენაცვდება გამძლე, მკლავმაგარი გი  
და ნავს ანტიბის მეჩქთან მიაყენებს.

— მესიე, — ამბობს ოფიად გაღვრიდი ძველი მეზღვაური, —  
თუ თქვენ დარშიაც და ავდარშიაც აპირებთ ცურვას, მაშინ, მე  
მგონია, ბარემ ნამდვირი გემი უნდა გაიჩინოთ!

1884 წლის მარტს გი ჯერ ისევ კანშია. საგაზაფხულოდ მორ-  
თუდ-მოკაზმული ეს ქადაქი თვადს სტაცებს კაცს. მწერადი ცხოვ-  
რობს მახლობელ ძვედ დაბაში, რედანის ქუჩაზე. ერთ დიდას გი  
იღებს უცნობი ბანოვნის მიერ გამოგზავნილ უსტარს: „ბატო-  
ნო ჩემო, ვკითხულობ თქვენს ნაწერებს და თავს თითქმის ბედ-  
ნიერად ვგრძნობ. თქვენ გიყვართ ბუნების სიმშვიდე და მასში  
პოულობთ ჭეშმარიტად დიად პოეზიას... რალა თქმა უნდა, მინ-  
დოდა ბევრი საამური და საკვირველი რამ მეთქვა თქვენთვის,  
მაგრამ ეს ისე ძნელია. ვწუხვარ კი, მით უმეტეს, რომ თქვენ  
ფრიად ცნობილი პიროვნება ბნძანდებით და ვგონებ, ოცნები-  
თაც ვერ ვიოცნებებ, გავხდე თქვენი მშვენიერი სულის მესა-  
იდუმდე, თუ, რასაკვირველია, თქვენი სული მართლაც მშვენიერი  
გახდავთ...“

აღბათ, ამჯერადაც ვინმე გრაფის მეუღლეთაგანი უნდა იყოს?  
არა! ამას სხვაგვარი სტილი აქვს! „აი, უკვე ერთი წელია, თქვენ-  
თვის წერიდის მოწერას ვაპირებ, ოღონდ... ბევრჯერ მიფიქრია,  
გაზვიადებული წანმოდგენა მაქვს თქვენზე და ამიტომ კადმის  
ხედში აღება არცა ღირს-მეთქი. მაგრამ ამ ორი დღის წინ „გო-  
დუაში“ წავიკითხე, ვილაც მანდილოსანს ნატიფი ეპისტოლე  
გამოუგზავნია თქვენთვის და იმ მშვენიერი ანსების მისა-

მართს ითხოვთ, რა არის პასუხი მისწეროთ. ეს რომ გავიგე, მაშინვე ეჭვიანობა ვიგრძენი გუღში“.

ჭიჭყინა დავიჭიროთ, ამ იმედით ისვრი ანკეეს, კადმახი კი წამოეგება გი ხედში ატრიალებს კონვერტს. წერილის დამწერი მეტად ბუნწად იტყობინება: „ქაღბატონი რ. ჟ. დ., მოკითხვამდე, საფოსტო ბიურო, მადღენის ქუჩა, პარიზი“.

„კარგად დამიგდეთ ყური. სამუდამოდ უცნობი ვიქნები — ასე აჯობებს. არ მინდა, თუნდაც შორიდან მოგკრათ თვალი — იქნება თქვენი კისრის მოღვრება არ მომეწონოს, და მაშინ ვინ იცის?! ჩემდათავად უნდა გაუწყეთ, რომ მე მომხიბლავი ქალი ვარ. ეს სასიამო აზრი შეგაგუღიანებთ, პასუხი მომწეროთ...“

მოპასვანს დიხსაც ენიაზებოდა ამგვარი წაქეზება.

„ქაღბატონო,

ეს ჩემი წერილი, აღბათ, ვერ გაგიმართლებთ მოლოდინს... მინდა თქვენი მესაიდუმდე ვიყო, მიწერ, რისთვის? მე ხომ სრულებით არ გიცნობთ... არადა, ის ტკბილ-ნეტარი გრძობა, რაც მამაკაცს აკავშირებს ქალთან (გის სურს, აღერსიანი ეჩვეწონს. — ა. დ.) (მე ვაპარაკობ უბიწო გრძობებზე) (არ დავაფრთხო — ა. დ.), აკი უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებუდი გახდავთ სასიამოვნო შესაძლებლობაზე, ხვდებოდე, ესაუბრებოდე, პირისპირ უცქეროდე მეგობარ ქალს და გონებაში აცოცხლებდე მისი სახის ნაკვთებს, როცა წერილსა სწერ... ვუბრუნდები უცნობი ქალების ბარათებს. ამ ორი წლის მანძილზე ორმოცდაათი თუ სამოც ასეთი ბარათი მივიღე (არ აჭარბებს — ა. დ.). ავდგე ახლა და ამ ქალებს შორის ამოვირჩიო ჩემი სულის მესაიდუმდე, თქვენი გამოთქმისა არ იყო?”

ირონია და სამიჯნურო კენწღაობა ფრიად ფეხგადგმული წვეულება გახდავთ.

უცნობი ქალი მარჯვედ ისხდებოდა დარტყმას: „თქვენს წერილს, ბატონო. ჩემო, ოდნავადაც არ გავუკვირვებოვარ... ჯერ ერთი, მე არ მინდომებია, თქვენი მესაიდუმდე გავმხდარიყავ — ეს მეტად უბრალო რამ იქნებოდა — და თუ საიმისოდ მოიცდით, ჩემი წერილი ხელახლა გადაიკითხოთ, ნახავთ, რომ არ გინებებიათ, პირველადვე შეგემჩნიათ ირონიული და თავხედური კიდე, რისი ნებაც ჩემს თავს მივცე“.

რა გაეწყობა უცნობი ქალი უწონებს კარნავალის თაობაზე

დაწერიდ ქრონიკას, მაგრამ უწუნებს მეორე ნაკადმევს: „რარიგ ბანადურია იმ მოხუცი დედის ამბავი, პრუსიელებზე შურს რომ იძიებს...“ („დედაბერი სოვაჟი“ გამოქვეყნდა „გოდუაში“ 1884 წლის 3 მარტს). გი წარბს იჭიმუნის.

„მიმზიდვედად რომ ვუწნდე მაგ თქვენს მობერებუდ, არაგუდ-ხმიერ სუდს, აღბათ საკმარისი იქნებოდა ამის თქმა: ვარ ქირათმიანი, საშუალო ტანისა. დაბადების წელი — 1812... ხოლო რაც შეეხება მორადურ თვისებებს... არა, არა ღირს, თორემ იფიქრებთ, თავის ქებას მოჰყვალ...“

გი დაუხანებდად უგზავნის პასუხს:

„მაგ თქვენმა მეორე წერილმა დილ გამაოცა, ქადბატონო! (ამას მართადს ამბობს) — ა. დ.) ბუნდოვან სურვიდს ვგრძნობ, მკვახე სიტყვები გაკადრთ (არც ისე ბუნდოვანი სურვიდია — ა. დ.). რაკი სრუდებით არ გიცნობთ, ეს არც გამემტყუნება. მაგრამ მაინც გწერთ ამ წერიდს, რადგან უსაშვედოდ მოწყენიდი ვარ!“

ეს კია, გის ვერ მოუნდებია კრიტიკური შენიშვნები, გამოთქმუდი ბერიქადსა და გერმანედებზე დაწერიდი მოთხრობის გამო. „თქვენ მისაყვედურებთ, პრუსიედთა შურისმგებედი დედაბრის სახე ბანადური არისო, მაგრამ ამქვეყნად განა რა არ არის ბანადური...“ ვერ გახდავთ დამაჯერებედი პასუხი. თლოდ, ზომი ვერ აუხსნის ყვედაფერს, ზომი ვერ უამბობს, რომ თავისი თვადით უნახავს ის მოხუცი ვდების ქადი, რომ თავადაც იმ ქადივით ასდულებია გუდი და გერმანედების სიძუდვიდი ჯერაც ჩარჩენიდი აქვს?

გი ხუმრობის კიდოს იშვედიებს. აკი არაფერი იცის ამ უცნობი ქადისა. ჰოდა, რალა დარჩენია? „თქვენ იქნებ მართდაც ახადგაზრდა და მომხიბდავი ქადი ხართ, და მე ბედნიერი ვიქნებოდი, ერთ მიშვენიერ დღეს ხედები დამეკოცნა. თქვენთვის (ეს დიახაც ენიაზება. — ა. დ.). მაგრამ ისიც შესაძლოა, ბებერი კონსიერჟი იყოთ, ეჟენ სიუს რომანებით გატაცებუდი“. უცებ გუდახდილობის სურვიდი წამოუვდის და მიწარე აღსარებას ანდობს: „იცით, რა, თქვენ რომ ეძიებთ, იმგვარ ადამიანთა რიცხვს სუდაც არ ვეკუთვნი. ჩემში მისხადიც არ არის პოეზიისა (ვინ იტყვის, სალ ვანსჯას მოკედებუდიო. — ა. დ.). ყვედაფერს გუდგრინად ვეკიდები და თრ მესამედს ჩემი დროისას ვატარებ უზო-

მომწყენილობაში (ისევე — ა. დ.), ხოლო მესამედს კი იმით ვავსებ, რომ ვწერ სტრიქონებს, რომელთაც შეძლებისდაგვარად ძვირად ვყიდი (ხაზგასმული ცინიზმია. — ა. დ.), ამავე დროს სასოწარკვეთას ვეძღვევი, რაკი იძულებული ვარ, ამ საძაგედ ხელობას მივსდიო (აქ კი თითქმისაზურად ამეტებს! — ა. დ.), ხელობას, რამაც პატივი მომანიჭა, დამემსახურებინა თქვენი — მორადური — კეთილგანწყობა (მამაკაცის რევერანსი წინაშე ქადისა. — ა. დ.) აჰა, ჩემი გულისნადებიც გაგიმჟღავნეთ. თქვენ რაღას იტყვით, ქაღბატონო?”

გის წერილები მძიმე ენითაა დაწერილი. უცნობი ქალი უპასუხებს სხარტი, გიჟმაჟური ბარათებით. „საშინლად მოწყენილი ვარო! აჰა რა სასტიკი ვბრძანდებით! აქაოდა იოტისოდენა იღუზიაც არ შეექმნასო იმ მიზეზის გამო, რა მიზეზსაც უნდა ვუმაღლოდე იმ თქვენს ბოლო დარბაისდურ უსტარს... გეფიცებით, წარმოდგენა არა მაქვს არც თქვენი თმის ფერზე, არც სხვა რამეზე; ვით კერძოლობითი პირი, მე თქვენ გხედავთ მხოლოდ იმ სტრიქონების მიღმა, რომელთა წყადობის ღირსადაც მხდით, ავრეთვე იმ ემმაკობისა და პოზის წიალ, რასაც თქვენდათავად მიმართავთ“.

პოზიორობით ორივე პოზიორობს. ქალი გამჭირაზი და გესდიანი გახდავთ. კიდოში უპირატესობის გრძნობა უჭვევის, ეს კი მოპასანს განსაკუთრებით სწყინს. მდებოთაგანი რომ არ უნდა იყოს, ამას მისი კადნიერება ადასტურებს: „რას იზამთ, მხცოვანი ნატურადისტის პირობაზე არც ისე სუდევი ხართ...“ ფრიად უხეირო წარმოდგენა გახდავთ ნატურადიზმზე.

იღუმადი კორესპონდენტი ქალი კვდავ უბრუნდება „ბანადურობის“ თემას შემოქმედებაში, ოღონდ ცოტა გაურკვევდად გადმოგვცემს თავის დამოკიდებულებას ბანადურობისადმი: „ხედოვნების თავისებურებაც სწორედ ის არის, ვნთქავდეთ ბანადურობას, აღტაცებას გვგვირდეს იგი, როგორც სჩვევია ეს ბუნებას მისი მარადიული მზითურთ, ამ ბებერ დედამიწას და მის...“ დურჯი წინდაა ეჭვი არ არის! „ავერ კიდევ ბანადური სტრიქონები თქვენი საძაგედი ხელობის შესახებ! თქვენ მე გგონივართ მეშინი, რომელიც თქვენში ვხედავ პოეტს (ყოჩაღ! — ა. დ.) და ცდილობთ განმანათლოთ. ჟორჟ სანდი უკვე იკვებხნიდა, ფუდისტვის ვწერო, ხოლო შრომისმოყვარე ფდობერი...“ გის სასე ელუშე-

ბა. „...რაც შეეხება მონტესკიეს...“ ამას მოსდევს წიაღსვდა ღიტერატურის ისტორიაში შემდეგ — აბზაცი ებრაელებზე და მათ მეძვირეობაზე... გის ბრაზი მოსდის და უნდა დაფხრიწოს წერილი, მაგრამ ამ დროს ქაღი კვდავ უბრუნდება ხუმრობის კილოს: „გსედავთ აქედ ს. ვვარიანი ღიპი გადევთ (ღიპიო, ღიპი კი არა, გდაღიატორივით დაკუნთუდი მუცეღა აქეს — ა. დ.), მეტად მოკდე ჟიდეტი გაცვიათ გაურკვევედი ნაჭრისა (გაურკვევედისაო — ა. დ.), ბოლო ღიდი არ შეგიკრავთ (არამზადა — ა. დ.), მაგრამ ჩემს ყურადღებას მაინც იზიდავთ. ოლონდ ვერ გამიგია, მოწყენიღობას რატომ უჩივით...“

კმარა ეს კი მეტისმეტია. იდუმალი კორესპონდენტი ქაღი მტკივნეულ ადაგს ეხება. „მე ის კაცი არა ვარ, ვისაც თქვენ ეძიებთო... მე არავისაც არ ვეძიებ, ბატონო ჩემო, თანაც მიმანია, რომ მამაკაცი აქსესუარად თუ გამოადგება ძღიერ ქაღს... ჩემი სუნი? სათნობის სუნია („მეეჭვება — ბურტყუნებს გი. — სკამებს აქირავებს ქაღაქის ბაღში. აი, ვინ ბრძანდება“). პატარა ყურები მაქვს, კოხტა, თუმცა მთად სწორი მოყვანიღობისა არ არის. თვადები რუსი მაქვს. დიას, მუსიკოსი გახდავარ... გათხოვიდი რომ არ ვიყო, განა რა გამაბედვიებდა მაგ თქვენი საშინელი მოთხრობების კითხვას... კმაყოფიდი ბრძანდებით თუ არა ჩემი მორჩიღებით? თუ — ჰო, კიდევ ერთი ღიდი შეისხენით (თავისაზე დგას — ა. დ.) და იფიქრეთ ხოღმე ჩემზე მწუხრის ბინდბუნდში. ან არადა... სულ ერთია ვგონებ, ესეც მეტისმეტად ბევრი იყოს იმ თქვენი ცრუ აღსარების სანაცვლოდ... რას იტყვით, თუ მე მამაკაცი ვარ?“

ქაღს წერიღისათვის თავისი ხეღით მიუხატავს მსუქანი მამაკაცი, რომეღიც არხეინად თვეღმს ზღვის პირას, პადმის ქვეშ მდგარ სავარძეღში. გის თვადში მოსღის ნახატი, იცის მისი ყადრი. თავადაც არაერთგზის დაუსურათხატებია საკუთარი წერიღები. ამხედად უკვე მესამე წერიღს გწერთო, აღნიშნავს (1884 წ. 3 აპრიდი): „თქვენ ეგრევე უთითებთ, რაიმე შენიშვნის დაურთავად, სანდსაც, ფლობერსაც, ბაღზაკსაც, მონტესკიესაც, ებრაედ ბაარონსაც, იობსაც, ბერღინედ სწავღულ შპიცბუბესაც და მოსესაც! აჰა! ასღა კი მივხვდი, ჩემო მშვენიერო ნიღბოსანო; თქვენ მეექვსე კღასის მასწავღებედი ხანთ დუი დიღის დიცეუმისა. გამოგიტყეღებით, წინათვე ვიაზრე ეს ამბა-

ვი, რადგან „თქვენს ქალადღს ბურნუთის სუნი ასდიოდა ოდნავ“.

აქ ველარ მოითმინა და მენიჩბეთა „ოხუნჯური“ ენა მოიშველია. „ასე და ამრიგად, თავს ვანებებ გადანტურობას (ან ვიყავ კი გადანტური?) და აწ მოგმართავთ, ვითარცა განსწავლულ კაცს, ანუ როგორც მტერს. ოჰ, თქვე ძველ ოინბაზო, სკოდის ძველ ვირთხავ, დათინურის ძველ ასოკირკიტავ, ეგ თქვენ მოგეპრიანათ, თავი გაგესაღებინათ კეკელუც ქადაღ!“.

გადაამდაშა, თუმცა სულაც არ ენაღვდებოდა, ეჭაშნიკებოდათ ეს მისი „ოხუნჯობა“ თუ არ ეჭაშნიკებოდათ. „კიდეც კარგი, პარიზში ჩემი ყოფნის ამბავი რომ არ შემოიტყობინებია თქვენთვის! თორემ, ადბათ, ერთ დიდას შინ გამომეცხადებოდა ტანი-სამოსშემოცვეთილი ბერიკაცი, თავის ციღინდრს იატაკზე დადებდა, ჯიბიდან ამოიღებდა კანაფით შეკრულ წერილების დასტას და მეტყვოდა: „ბატონო, მე ის მანდილოსანი გახდავართ, რომელიც...“

რაკი ნაწყენია, გი ნიშნს იმით უგებს, რომ მიუთითებს, ჩემი პორტრეტის დახატვისას ზოგი რამ შეგშლიათო:

„1. მუცელი გაციდებით უფრო პატანა მაქვს.

2. თამბაქოს არ ვეწევი.

დამაზ მეგობარს, რომანში გამოყვანიდ ამ კარიერისტს, ვინაც სილატაკეში იყო ჩავარდნიდი და ესოდენ სწრაფად აღზევდა (ამ მხრივ მოპასანსავე ემსგავსება), გარს ქადები ახვევია, ისევე როგორც მის ავტორს, მაგრამ აღსასრულის დღე უკვე უახლოვდება ამ ხონციელსა და პოდიტიკურ ზეობას.

მოპასანმა ბადეაკივით ყოვლისმომცვედად ვერ დაგვიხატა ვნებები და ფუდი; ვადტერი ნუსინგენს ვერ შეედრება, დამაზი მეგობარი კი — რასტინიაკს. ვერც ის შეძლო, ისე ძირფესვიანად აღწერა ფრიად რთული ფუდადი მაქინაციები — „საყოველთაო კავშირის“ კრახი, როგორც ზოღამ აღწერა რომან „ფუდში“. და მაინც „დამაზი მეგობარი“ შედევრია — სინამდვილის რთული სურათის წარმომსახვედი, გამიწიურების ნიშნით აღბეჭდიდი,

აღაგ ხარვეზიანიც. შედეგერი, თავისი ნაკლვანებებითაც საზის რომ უსვამს საზოგადოების ქედმალღობასა და წინააღმდეგობრიობას, იმ საზოგადოებისას, თავისივე უზნეობის გამო რომ განწირუდა, ისევე როგორც განწირუდა მისი მსატვარი პროგრესიული დამბლის გამო.

ცინიკოსი მოპასანი არასოდეს შეხუმრებუდი არ ყოფიდა წყადთან, რომელსაც წმიდათაწმიდა საწყისად მიიჩნევდა. მაგრამ თავის პირვედ იახტას — შემძლეობისა და კეთილღელობის ამ სიმბოლოს, რომანში აღებული ფუდით რომ შეიძინა, „დამაზი მეგობარი“ უწოდა. იახტა „დამაზი მეგობარი“, რომელიც მადე დატოვებს ნაპირს, რევანშია იმ წინდახედული წვრილფეხა მოხედისა, ვინაც რუაიადის ქურჩაზე მდებარე სამინისტროში მსახურობდა. ეს არის თვითონ მოპასანი, აფრა რომ აუმართავს და თავისი ბედის გაშდიდ ზღვაში მიცურავს ზურგის ქარს მინდობიდი.

## ნაწილი მეოთხე

### ო რ ღ ა

მაგრამ თანდათან აუხსნელი შფოთი მომიცავდა, რაღაც ძაღა — ასე მეჩვენებოდა, იდუმალი ძაღა-მეთქი — შემბორკავდა, ერთ ადგილას შემაყენებდა, წინ წასვლას მიშლიდა, უკან მეზიდებოდა...

#### 1

მარდი და ზეთისხილის ხე. — დეპო რონდოლეზი. — ზუღვარუდი კახანოვა. — 1885 წლის შობა ანტიპოში. — ნაწი ერმონა. — აჩრდილნი სა-მიჯნორო მებოზრობისა. — ნადირობა. — მძვსი ზრძელობა. — სარეზომ-სადმი მძდრეპილეზა. — ქაბეზი

დაუდგრომედი ვარო, კვეხნით იცის ხოდმე თქმა მოძასანმა. მართლაც, ერთ ადაგს გული არ უდგება — ხან საით მიეშურება, ხან საით. ჯერ ხეირიანად ვერც მოუსწრია კანში ან მონსოს პარკში, ანდა სარტრუვიდში დამკვიდრება, გაიხედავ და სადღაც სხვაგან ამოუყვია თავი. სამხედრო სამსახურისას ჯარისკაც მო-პასანს ვენსენში, რუანში, ან კიდევ ჰავრში ეძიებდნენ, მიგნე-ბით კი ეტრეტაში მიაგნებდნენ ხოლმე! ქვეითად სიარუდის მოტ-რფიადეებს რომ სჩვევიათ, იმათზე თხზჯერ მეტს დადის. ნავით დატურავს, ნიჩბებს უსვამს. ბოდოს სამთვდიან ვედოსიპედსაც ყიდულობს.

მის წიგნებშიაც იგივე მოძრაობაა. „ფუნთუშას“ დიდიჟანსი ნორმანდიის თკრობოკრო გზებზე ხტის, მიქრის ეტრი რომან „წუთისოფედში“, კარჭაპა „ბუზუნასი“ ხვდება „ივეტას“ ნავს, მიმთქრის ფიაკრები „ღამაზი მეგობრისა“ და „ჩვენი გულის“.

ერთ გემს გეზი კორსიკისა და ადჟირისაკენ აუღია, მეორე კი ბუჟიდან მარსედში ბრუნდება... „ღუიზეტა“... „ღამაზი მეგობარი — 1“, „ღამაზი მეგობარი — 2“. „ოქტავ მირბო, — წერს გონკური, — მასხრობით ჰყვება, რარიგ დაუკარგავს მოპასანს მოსვენება სიკვდილის შიშისაგან. ამ შიშის გამო თავისი დღე და მოსწრება სუდ მოძრაობაშია, ხმეღეთსა თუ ზღვაზე, ოღონდ კი გაერიდოს აბეზარ აზრს“.

ჯაყჯაყს ბორბლების მოძახილი ერთვის... მოპასანს თვედმა მორევა. მიერქარება. ადგიდს იცვდის, ისწრაფის. თავისივე პერსონაჟების დარად მუდამ მოძრაობაშია. საით მიემგზავრება? საითკენღაც... იმ ქვეყნისკენ, სადაც მარჯვენა თვალი, რომელზედაც თითქოს მარიდიანი საფარვედი გადაჰკვრია, აღარ გააწამებს. იმ ქვეყნისკენ, სადაც არ იცი, რა არის შაკიკი, ქვეყნისკენ, სადაც სუდ მუდამ ანათებს მზე. ვერ იტანს ხოდმე იმ ნოტიო ნახშირის სუნს. ჰოდა, მიემგზავრება ახლა და მიუხარია.

ვადენსია... კორსიკა... რა ხანმა განვლო მას აქეთ! მარსედი... ტულონი... ფრეგიუსი, სან-რაფაელი... „მატარებელი მიქროდა ვარდის ბუჩქების ბაღნარში, სამოთხისებურ წადკოტში, აყვავებული, ოქროსფერი ნაყოფით დასუნძღული ფორთოხდისა და დიმონის ხეების ტევრში...“

ის აღარ გახდავთ მოპასანი. ის ახლა... დიას! სწორედ ასე! როგორც იქნა, მხეცკაცაა უკვე; თთსმოცკილოგრამიანი ზეგრძნობიერი ხორცის გუდაა, მატარებლის მექანიკურ რიტმს აყოლილი რომ ირწევა. ვაგონში ბორძიკით ჩაივდის გამყოლი. ოჰ, რარიგ ბედნიერია გი, ისევ რომ გამოექცა პარიზს! გამოერიდა ტკივიდს, გამოერიდა კეკღუც გრაფინიებს, გამოერიდა პრინცესა მათიდღას! ზეზე წამოდგება და ამ გახსენებაზე ერთს დაზათიანად შეუკურთხებს იქაურობას. კარგი ქნა, კარგი! სარკმელთან მივა, ღურჯი მხეფები პირისახეში სცემს. მუდამ ასე აჯადოებს ამ წარმართს „ქვეყანა, სადაც ფორთოხადი ყვავის“, — მისი შემოქმედების რიტმიც ხომ ეს არის. იგი გადახადისდა. შაკიკი აღარ ტანჯავს, მარჯვენა თვადში მარიდის ნამცეცეებს აღარ გრძნობს... ბოდოს და ბოდოს, იხიდა ვარდი და ზეთისხილის ხე.

მთელი სანაპიროს გაყოლებით ვარდები ათასწლოვან ზეთისხილის ხეებს შემოჰხვევიან. „კედლებს შესცოცებიან, სახურავებზე გასუღან, ხეებს შემოტმასწიღნი ფოთლებს შორის ჭკვივი-

ან — ზოგი წითელია, ზოგი თეთრი, ზოგი ყვითელი, ზოგი პატარაა, ზოგიც უშველებელი“...

სარკმელი ღიაა და ნესტოებდაბერიდი გი განა უბრალოდ სურნელს, იმათ „სუნთქვას“ შეიგრძნობს...

„მატარებელი კი მიქრის და მიქრის, ხან გვირაბში შეყოფს თავს, ხან სერდასერ მიიკდაკნება, წყაღზემოთ გადადის კედელივით შვეულ კარნიშებზე... „ჩიქ-ჩიქ-ჩიქ, ჩიქ-ჩიქ-ჩიქ! ნიკა, პოლიე, მონაკო, როკებრიუნი, მენტონა... ჩამავადი მზე ხსოვნაში გაუცოცხლებს ფერად ღია ბარათზე აღბეჭდილ ხედს. „ხეებქვეშ, დიანდაგთან ჩამომგვარ ბნელში უცებ ვარსკვლავთა წვიმის მსგავსი რამ შევნიშნე... ციციანათელები იყო — პაწაწინა მანათობელი არსებანი, სურნელებით სავსე ჰაერში საოცარი თავბრუსდამხვევი ცეკვა გაეჩაღებინათ...“

ბოდოს პიერი და პოლი, „ღებ რონდოლებში“ გამოყვანილი მგზავრები, ნოველის ავტორს რომ შენაცვლებიან და მისი ადგილი დაუკავებიათ, მოახერხებენ დაპარაკი გაუბან პირქუშ იტალიედა ყმაწვიდ ქადს, რომელიც მარსელში ამოვიდა. ერთი ციციანათედა კუპრივით შავ თმაზე დააჯდება იმ ყმაწვიდ ქადს „და პოლიმა აღტაცებისაგან სული განაბა, ამ ბრწყინავ წერტილს მისჩერებოდა, ცინცხადი ბრილიანტივით მოკიაფეს“.

შუბღშეკრული ქადიშვიდი, თმაში რომ ციციანათედა უბრწყინავს, თვადწინ გვიდვას, ისევე როგორც თვადწინ გვედგა წელან ვარსკვლავთა წვიმა რკინიგზის დიანდაგთან.

„ღები რონდოლები“ (29 მაისი — 5 ივნისი, 1884) მოპასანის ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილებაა. მწერადს ფრიად ემარჯვება ვსჯანრი, რომელსაც შუათანა ადაგი უკავია ვრცედ მოთხრობასა და რომანს შორის. თითქმის ყვედა ამბავი ამავე მოცულობისაა „ფუნთუშა“, „ტიედიეს საროსკიაო“, „პოდის ნანდაური“, „ზეთისხიდის მტიდი“, „ივეტა“, „ბატონი პარანი“, „მის ჰანდიეტი“, „მემეკვიდრეობა“, „პატარა როკი“, „ორდა“ ნამდვიდი შედეგია იმიტიმაც, რომ იგი მათში მოგვითხრობს მის მიერ აღმოჩენილი სამხრეთის წარუვად ჯადოსნურობაზე...

ამ ქმნილებათა ავტორი მომსიბდავი, მხიარული და ცინიკურია. თანაც რა მახვილი თეადი აქესა გინდა ქადს აღწერდეს, გინდა ბეიზაქს, ერთნაირად შესანიშნავია. „უეჭველია, სამხრეთელი



ქადიშვიდი გასდდათ. საუცხოო თვადები და დიდებული შავი თმა ჰქონდა, ოდნავ ხვეული, მოხუჭეუჭო, ისეთი ხშირი, ხეშეში და გრძელი, რომ კარგა მძიმე გეჩვენებოდათ (როგორც ყოველთვის, გი ამჯერადაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თმას. — ა. დ.), თვადს შეავდებდით თუ არა, მაშინვე იგრძნობდით ამ სიმძიმეს“.

დიდხანს ეღაცეებოდა პიერი და პოლი დამაზ იტალიელ ქადიშვიდს. ის კი მკვახედ უპასუხებს: Non capusco<sup>1</sup>. ბოლოს პიერს მანც მთახერხებს, შუბლი გაახსნევინოს ქადიშვიდს. გენუაში ჩასვლის წინ კი უკვე ისე ჰყავს მონადირეული, რომ უინიანო ყმაწვილქადი სასტუმროში გაყოდას დათანხმდება..

ეს ყმაწვილქადი ფრანჩესკა რონდოლია. მოპასანს ხშირად უთქვამს: „ბადზაკისაგან განსხვავებით, სახელის მოგონება ან მუხერხება. დაახლოებით ფდობერივით ვიქცევი: ჩემი გმირის სახელს ადადებდად ვიღებ ცნობარიდან, რომელშიც წამდაუწუმ წააწყდები ხოლმე ნაცნობ სახელებს, „ქაღბატონ ბოვარიში“ რომ გვხვდება: ომი, ურელი, დიუვადი, დე სენეკადი და სხვა მრავალი“, ანდა გადაჭრით ირჩევს პიერისა და პოლისთანა ბანაღურ სახედებს, ან კიდევ იგონებს ისეთ გვარს, როგორიც რონდოლია.

„განცვიფრებული, აღტაცებით შევდექე კარის ზღურბლზე, ყმაწვილქადს საწოდზე ჩასძინებოდა, მთლად დედიშობიდა იწვა. ძირი ტანსაცმლის გახდისას მორეოდა და ტიცვიანისეული ქადივიან ნებოვრად, მოხდენილად მიწოდდიყო“. ამ ჩანახატს ასე ამთავრებს:

„იფიქრებდით, დალდიდ-დაქანცულმა თავი მიდო დოგინზე, როცა წინდებს იხდიდაო; ის წინდები იქვე, ზეწარზე ეწყო... საყუდომოქარგული ლამის პერანგი, ახადებდას ეს ფუფუნების საგანი, რომელიც მზა ნაწარმის მაღაზიაში შეეძინა, სკამზე ეგდო“ სწორედ ეს გახდავთ ის ფდობერისეული დეტალები, რომელთა წყადობითაც შიშველი მძინარე ქადი განუმეორებელია, ისეთი, სხვა რომელიმე ქადს რომ არა ჰგავს.

პიერი თანამგზავნ ყმაწვილქადს საყვარლად გაიხდის. უფხო მტლი ამ ამბავს ნირწამხდარი უცქერის. სამივენი ერთხანს გენუაში არიან, დადიან მუხეუმების დასათვადიერებლად, ეშვებოან

<sup>1</sup> ან მესმის (იტალი.).

პორტოფინოსაკენ. ერთხელაც ფრანჩესკა გაუჩინარდება. პიერი და პოლი პარიზში ბრუნდებიან.

ერთი წლის შემდეგ პიერი მარტო ჩამოდის გენუაში და ფრანჩესკას საძებნედად მიემართება. ქაღიშვიდის მიერ დატოვებული მისამართის მიხედვით პიერი კარზე მიაღგება ვიტორიო დე სიკას გემოვნების მატრონას! „კარი გამიღო მსუქანმა დედაკაცმა; ეტყობოდა, ერთ დროს მეტად ეშისიანი უნდა ყოფილიყო, ამჟამად კი მეტად ჩაჭუჭყიანებული გახდათ. თუმცა მთლად ჩაგოდრებულიყო, პირისახის ნაკვთებს მაინც საოცრად დიდებული იერი შემორჩენოდა. გაჩეჩიდი თმის ბუწუწები შუბლსა და მხრებზე ჩამოშლოდა, განიერი, დაღაქავებული საშინაო კაბის ქვეშ კი ქონმოკიდებული, დონდლო სხეული უთახთახებდა“. ეს ქაღიშვიდი ფრანჩესკას ედგაა რომ იცოდეთ, როგორ წუხდა და დარდობდა მისი ქაღიშვიდი, რაკი თავისი ფრანგი ველარ ნახა! განა იმაზე უფრო ნაკლები დარდი განიცადა, ვიდრე მაშინ, მატარებელში განიცდიდა, როცა იმ მისმა მარსეელმა მიატოვა. მიტომაც ისე ცხვირჩამოშვებული იჯდა მაშინ საბრადო გოგო! ახლა პარიზში ერთი ვაჟბატონი ჰყავს, მხატვარი გახდავთ ის ვაჟბატონი, პოლა ფრანჩესკას ედგას ფარლუდებს, სამაჯურებს, საყურეებსა და აბრეშუმის კაბებს უგზავნის...

პიერი წასვლას დაპირებს, მაგრამ ქაღიშვილებს:

— თუ გნებავთ, კარლტა გამოგყვებათ... ყველა აქაური სასეინო ადგილი იცის. ეს ჩემი მეორე ქაღიშვილია, ბატონო, — მოწყობილი...

კარლტამ შეცვალა უფროსი დაია ფრანჩესკა. პიერმა გამოვხარებისას იგი გულუხვად დაასაჩუქრა.

— ეჰ! — ოხრავს ედა. — კიდევ ორნი მყვანან, მაგრამ ჯერ ისევ პატარები არიან... ან გინდა, ოთხ შვილს აუხვიდე!

„დები რონდოლები“ გაცილებით უფრო ავტობიოგრაფიული ქმნილებაა, ვიდრე გისავე დღიური იქნებოდა. დღიური კი თავის დღეში არ უწერია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე გვერდს წიგნისას — „წყადზე“. ბუღვარული კაზანოვას! ამ ავტო-

---

<sup>1</sup> კ ა ზ ა ნ ო ვ ა ჯ ო ვ ა ნ ი — იტალიელი ავანტიურისტი, დაწერა ცნობილი „მეშურები“, რომელშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი ავტორის შტაბდარიცხოვანი სასიყვარულო თავგადასავლის თხრობას.

პორტრეტის მეოხებით საცნაურვყოფთ მის გრძნობებს. ეს არის რეალური გარემოს ფონზე აღძრული წუთიერი, თავშესაქცევი, სათუთი თუ ადარი გრძნობები. ამ კაცს ჭირის დღესავით ეჯავრება სასტუმრო. „ყოველთვის, როცა სასტუმროში საწოდზე გადაყარებული ზეწარი უნდა წამომეწია, ზიზღისაგან მზარავდა“. ყოველი ახალი ქალი ალაგზნებს ხოლმე მას, მაგრამ იმავე დროს შეშფოთებაც იპყრობს, ეშინია, ბოლოს თავბედი არ ვიწყებდლო. როცა შეამჩნევს, ფრანჩესკა წყლით არ იბანს, მხოლოდ სურნელვანი ესენციის ხმარებას სჯერდება, შეფიქრიანდება: „...ოთასში ისეთი მძაფრი სუნი დადგა, რომ შეაკიკმა წამომიბარა...“ შეაკიკს ეს ხსენება ფრიად ნიშანდობლივი გახდავთ. ნუთუ ეგ ქალი პროფესიონალი მეძავია?! კვდავ თავგზა ებნევა, „ის მტანჯვედი შეშფოთება ეუფდება, რაც თან გვდევს საეჭვო სასიყვარულო თავგადასავდის შემდეგ, შეშფოთება, რაც გვიწამდავს სანეტაროზე სანეტარო შეხვედრას, მოულოდნედად ნაგემებ ადერსს, შემთხვევით ნაგემებ კოცნას“. თრთის იმ გაუნელებელი, გულის დამამძიმებელი, ზოგჯერ სუდაც პანიკური შიშისაგან... რაიც ვერასლოდეს აჩერებდა და თავს ვერ აკავებინებდა!..

„მაშინ... დადაზვროს ეშმაკმა... ავდექი და ხედსაყრედი გარემოებით ვისარგებდე; ყმაწვილქალი ამ ამბავს, ეტყობა, სუდაც არ შეუცბუნებია“.

ფრანჩესკა თვადთაგან გაქრა. მთხრობელი, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული ამბობს: „ჩემს ქერქში ველარ ვგრძნობდი თავს, შევწუხდი, წავიდარდიანე კიდევ. ჩანს, შევთვისებოდი იმ გოგოს“. იგივე მთხრობელი, როცა დაშორდება კარდოტას, ვინც თავის დაზე უფრო ფაქიზი, უფრო სადისიანი და უფრო დამაზიცაა, ასე იტყვის, „ამ გოგომ ისე გამატარებინა დრო, რომ აღარ დამნანებია იმისი დაიკოს თავი“. დამაზი მეგობარი თხრობას მადაგახსნიდი კაცის კვადლობაზე ამთავრებს: „მადე ისევ ვაპირებ იტიადისაკენ გამგზავრებას და, ცოტა არ იყოს, მდეღვარებით, მაგრამ თან იმედინად ვფიქრობ, ქ-ნ რონდოლის კიდევ ორი ქადიშვიდი ჰყავს-მეთქი“.

პიერი თავად გი არის, შეუდამაზებდად ნაჩვენები, ხოლო გუდახდიდად მოყოლიდი ამბავი დონ ჟუანის მიერ ვარდისფრად გახდავთ წარმოსასუდი. 1885 წედს მწერადი სათავისოდ სსვაგვარ — მრუმე ფერს იხმარს.

1885 წლის შობადღის წინ მოპასანი ანტიბში, დე ბოსკეს ვიდაში სახდებდა, ამ კოხტა სოფელურ სახდში. მწვანედარბებიანი ეს მოგრძო თეთრი შენობა, იმ გზის პირას რომ დგას, რომელიც კაპის ქუჩას ჟუან-დე-პენის პლაჟთან აერთებს, მას აქვე სრულებით არ შეეცვლიდა. ნეტარ საათებს კვლავინდებურად ითვლის მზის ციფერბლათი, ოღონდ ეს კია, ქადაქი გაზრდიდა და თითქმის ზედ მოსდგომია ამ მყუდრო სავანეს.

გი აქ დედასთან ერთად ცხოვრობს. მერხზე ჩამოსხდებიან, მზის გულზე, ჩვეულებისამებრ, სჯა-ბაასი აქვეთ გის მოთხრობებზე. ღორა ზოგ რამეს უწონებს, აღტაცებას გამოთქვამს, ზოგჯერაც ედავება, ცხარობს, რჩევას აძლევს. მოპასანს, ჩვეულებრივ, მარტოსედა კაცად წარმოგვისახავენ. მაგრამ, სუდ ცოტა, ნახევარი ცხოვრება მან დედასთან ერთად გაატარა. მისი კერა იყო ღორა დე მოპასანის ხელით დანთებული მბჟუტავი ცეცხლი.

ანტიპოდისში იგი რაღაცას პოულობს ტროისას, აღმოსავლეთისას, რაღაცას ნახულობს ვერძისეული ბადერმოსი, გენერასეული სირაკუზისას. ხიბდავს ხმედთაშუაზღვისპირეთის ხადისიანი ყოვედღლიური ცხოვრება: ბოსტნეულის ბაზარი, თითქოსდა დუბჟად გადაქული ბადრიჯანი, სურნელოვანი მანდარინი, ყვითლაჟ რომ მიხუნძლუდა ხეში და პრიადაფოთლებიან შტოზე, თვადს სტაცებს საოცრად ხასხასა და დამაზყვავიდა დეკორატიული კანა, თეატრადური ფორთოხლის ბურქებო, მომწვანო-ნაცრისფერი ზეთისხილის ხეები, მთლიანად ეს უხვი მცენარეულობა, რაშიც აქაიქ სამკაუდივით გარეულა აგავა, ზღვისპირეთის წაძგი, ციხის ბიწაყრილის ნარვადებში რომ ხარობს.

სამხრეთის ჯადოსნობა გვიხსნის გის „ლადატს“ ნორმანდიისადმი, მოძრაობის ავადმყოფურ მოთხოვნინდებას, ოღონდ ამას უსათუოდ უნდა დაემატოს სიცივის შიში, რაც სუდ უფრო უძლიერდება. „მარშანდელზე უფრო მძაფრი, უფრო სასტიკი სიციფე ერთთავად აწამებდა... თრჭოლი ქარი ისე დათარეშობდა ოთანებში, თითქოს ვინმე სუდიერი, ვინმე ვერაგი, გააფთრებუდი დუშმანი ყოფიდიყოს...“ 1884-85 წლების ზამთარი გიმ კანში გაატარა, „შავბნედი დეკემბერი როგორმე გადაფავროლო. ამ ქადაქს თავისი ღირსშესანიშნაობანი ჰქონდა: ნაჭედი რკინით დახურულძვედი სამრეკლო, კრამიტიანი სახურავები, თავმომწონე ბადემე-

ბი, ის-ის იყო მოდად რომ შემოდიოდა (იმიტომ რომ ფოტოსაგანები თებზე ისინი მოდად პატარა ჩანს), ევკალიპტები — ადგილობრივი კეთილშობილი მცენარე, ჭაბუკები, ნაძვები და ზეთისხილის ხეები. გის უყვარს ეს მზებგადაფრქვეული ნავსადგური, სადაც მიეზღვა ვაჟები ერთმანეთს უღისეს თანამგზავრთა ენაზე ესიტყვებოდა, იმათ მჭევრად ხმას ყურს რომ უგდებს, გის გულიანად ეციწება — მიდი, პო, ახლო მოაყენე და ყვედაფერი უკლისად ამთა-დაგე!

— ვისა, შენ ამოგიდაგო, შე ჯაგანაშვილილო უკანალო?!

— თქმა აბა, გაიმეორე, თუ გინდა თავი ცოცხალი მიიტანო მისადგომამდე!

ზაფხული დგას. დაჟვარდლოვანი ნაპირი უკაცრიელია, მონტიკარლოში ჯერ ან დამდგარა სეზონი.

„ამ მხარეში, მოყოლებული კანიდან, სადაც პატივმოყვარეობა ბატონობს, ვიდრე მონაკომდე, სადაც ბატონობს რუდეტის თამაში, მხოლოდ იმისთვის ჩამოდიან, რომ ერთმანეთს თვალში ნაცარი შეაყარონ ანდა გაკოტრდნენ“.

1886 წელს გი დამდენჯერმე ჩავა ეტრეტაში მცირე ხნით. იქ კვლავ შეხვდება ერმინას, მწვანეში ჩაფდულ მამულში — და ბიკოკში, რომელსაც შემდგომ თ-მენილი ეწოდა. ერმინა, ქადიშვილობის გვარით — უღინო დე და ფავერი, ცოლად წაჰყვა ემიდ დეკონტი დიუ ნუის. იგი არქიტექტორი გახლდათ, კარიერა რუმინეთის სამეფო კარზე შეიქმნა. იქ ბორისისა და ელისაბედის სამეფო ლჯახში შინაურ კაცად, მეგობრად ითვლებოდა... მეტადრე დედოფალთან იყო ახლო... ქორწინება 1877 წლის 10 თებერვადს შედგა. ერმინა და ემიდი სინამდვილეში ერთად ან ცხოვრობდნენ, რადგან კაცს რუმინეთის დატოვება არ უნდოდა, სადაც დადხინებუდი ცხოვრება ჰქონდა, ქადს კიდევ ბუქარესტში დასახლება არ სურდა, ერმინას გაგიჟებით უყვარდა ქმარი და ამგვარი ვითარების გამო სასლონარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი. 1883 წლის დეკემბერში მათ ვაჟიშვიდი — პიერი შეეძინათ. დიახ, ერმინა გახდავთ დედა პიერ დეკონტი დიუ ნუისა, იმიტომ კაცისა, ვინც დაწერა უთავბოლო და ყაღბი წიგნი მოპასანზე — „ადამიანი და მისი ბედი“.

ოქროსთმინანი ერმინას კეთილშესაფერი გარეგნობა არტისტულ ბუნებას ფარავდა. რაკი იმის იმედი გადაუწყდა, შვილის გა-

ჩენის წყადლობით ჩემს აღლულებუდ ქმარს დავიბრუნებო, გუდთან ახლოს მიიტანა სახედგანთქმული მეზობლის არშეყოფა, რაც პატივმოყვარეობას უამებდა. მართალია, მოპასვანი თავისი საქცი-ედიტა თუ სიტყვა-პასუხით ზოგჯერ შეაცბუნებდა კიდეც, მაგრამ ერმინა თავისი წრის მანდილოსანთ კიდეც უფრო აცბუნებდა და აკვირებდა. რახან ქმრის სიძუნწის გამო ფუდრის გასაჭირი ჰქონდა ხოლმე, ადგა და წიგნების თხზვას მიჰყო ხელი. თავისი სიამოვნებისთვისაც თხზავდა და იმისთვისაც, რომ პატარა პიერი უზრუნველყოფილი ჰყოლოდა. გი მის ზღაპრებს — „კეთილ მეგობრებს“ — რეკომენდაციას უწევდა გამომცემლობა „კანტინის“ წინაშე, შუამდგომლობდა სხვა გამომცემლობებთანაც, მიმართა „ფიგარო ილუსტრესაც“.

გის ძალიან უყვარდა ერმინას ბავშვი. ქვემოთ აღწერიდ სურათს 1888 წელს და გიიეტის ბაღში შეესწრებოდა კაცი; ერთხელ ნასადილევს მოპასვანი პიერსა და ფრანსუას ეთამაშებოდა, ბიჭუნას ნახედავ პაწია ხომადღებს დააცურებდნენ აუზში.

- ხვად სანადიროდ მივდივარ. წამომყვები, პიერ?
- როცა გავიზრდები, ჩემო გი. მერე კიდე, თოფიც არა მაქვს.
- რომ გქონდეს, არ შეგეშინდებოდა მისი ხელში დაჭერა?
- ოჰ, არა!
- არც გასროლისა შეგეშინდებოდა?
- სურაც არა!
- მაშ, კარგი, თუ წამომყვები და არ დაფეთებები, როცა გავისვრი, ჩემს პირველ პატარა თოფს გაჩუქებ. პაპიჩემისაგან მერგო, თორმეტი წელსა რომ შევსრულდი.

პიერს სიმხდაღე არ გამოუჩენია, გიმაც ის ჟიუდ პაპისეული თოფი არუქა. შინ მიბრუნებულმა პიერმა დედამისს დიდი ამბით აუწყა:

— დედი, სანადიროდ წავად წყდისპირისკენ და კაკაბს, კურდღელს, ბოცვერს, წიწილას და ასთაკვს მოგიტანი!

ქმართან მიწერიდ ერთ-ერთ ბანათში ერმინა, ცოტა არ იყოს, სასაცილოდ აღწერს გის: „ტანდაბალი და სქელია, ლაყლაჟა პირისახე აქვს, სისხდმოწოდირი თვადები; კაცმა რომ თქვას, გონჯი ეთქმის, ოღონდ ძალიან ჭკვიანია. ენაჩდიფინაა, მაგრამ დაპარაკის მანერა ისეთი მომხიბლავი აქვს, რომ ის მისი ნაკვირ მეტყ-

ველებსა მადევე გავიწყდება. მოუვლეღია, ცუდად აცვია და სა-  
ზიზღარ ძვედ ჰადსტუხებს იკეთებს სოდმე“. ვითომ მართლა ამ-  
გვარი ჩანდა გი ამ გონებაგამჭირახი ქადის თვადში? იქნება ფე-  
რები განგებ გაემუქებინოს, აქაოდა ქმარმა ან იეჭვიანოსო?

იმი ქადთაგან, ვინც გარს ეხვია, გი განსაკუთრებით კეთილ-  
განწყობილი გახდათ ერმინასადმი. გულწრფელი სინაზით ეპყრო-  
ბოდა. ერმინას მიერ 1889 წელს ანონიმურად გამოცემული რო-  
მანი „სამიჯნურო მეგობრობა“ ცოტა დაგვიანებით შუქსა ჰფენს  
„ჩვენს გულს“, რომელშიც ერმინამ ადვილად იცნო საკუთარი თა-  
ვი. ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ რალაც მისეული ქადბატონ ფორეს-  
ტიესაც აქვს. „სამიჯნურო მეგობრობაში“ გი, ცოტა ან იყოს, გაი-  
დევადურებუღია და ფიდიბ დე ღუზის გვარ-სახელით ვეცნობით.  
რომანში იგი ნამდვილი სახელითაცაა გამოყვანილი (ამ მიამი-  
ტური ხერხის გამოყენება განა ვის აუბნევდა გზა-კვადს!) თან  
იქვე ამდაგვარ უწყინარ ანეკდოტებს სთავაზობენ მკითხველს:  
ბრიყვნი იოცებენ, რაკი მოპასანი ამბობს, შემოქმედებითი პა-  
თოსი ჩემთვის ნამდვილი წამებაათ.

„ — მაშ, რატომღა წერთ, რალა გრჯით საამისოდ?

— ლმერთო, აბა ქურდობას ისევე ესა სჯობს“!

ზოგჯერ ერმინა დაწვრილებით აგვიწერს გის მუშაობის მა-  
ნერას: „მას შეეძლო გონებაში დიდხანს ეტარებინა წიგნის გეგ-  
მა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, უბრალოდ ჩანაფიქრი მიერმე კი  
ეს ჩანაფიქრი ერთბაშად შეისხამდა სორცს მის თვადში და, მი-  
ნერვასი ან იყოს, ყოვდად დასრულებული ქმნილება მოევიდინებოდა  
ქვეყანას“.

ერმინამ თავის რომანში მთელი გვერდები ჩართო მათი წე-  
რილებისა, მხოლოდ ოდნავ შეცვალა ის ადგილები. რომანის ზოგი-  
ერთი ციტატა გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ამ ქადზე: „ჩე-  
მო ძვირფასო ინტიდიგენტო!“ — ასე მიმართავს მას ფიდიბ დე-  
წიზე. ქადი თავს იცავს: „ინტიდიგენტო, ამ სიტყვას დაცინ-  
ფით მახდით პირში... ნუთუ ინტიდიგენტობა თქვენი მონობო-  
ლიური უფლებაა, ბატონო მამაკაცებო?“ არადა მოპასანისა და  
ერმინას რომანი „ინტიდექტუადთა“ რომანი გახდავთ. რახან გის  
თვადების ტივიდი აწუხებს, ერმინა მას გვერდით უზის ბალშა-  
და უკითხავს დიდროსი და სოფი ვოდანის მიწერ-მოწერას, ქად-

ბატონი დ'ეპინესის, ქაღალტონი დიუ დეფანის, მადამუაზედ დეპინასის წერილებს<sup>1</sup>. ორივენი თავს მშვენივრად გრძნობენ გიჟმა-ულობით, ცინიზმითა და გონებით გამორჩეულ XVIII საუკუნეში,

რომან „სამიჯნურო მეგობრობაში“ გამოყვანილი დამაზი მეგობრის სახე მოსწონდა ღორას. ვიმ 1888 წელს ერმინა დედას გააცნო. თავისი რომანი ერმინამ „უნაზესი მოკრძალებით“ მიუძღვნა მოპასანს. ის კიდევ ერთხედ, მაგრამ უკვე სევდიანად მოგვითხრობს მწერდის შესახებ რომანში — „ცხოვრება განზე რჩება“ (1903), აგრეთვე „გარდასულ დღეებში“, რომელიც ანრი ამიკის თანავეტრობით დაწერა.

დღესანს გაურკვეველი იყო ის ურთიერთობა, რაც მოპასანს აკავშირებდა ამ ყველაზე ნაკლებად ალტყინებულ ქაღთან მწერდის მეგობარ ქაღთან შორის.

ხსენებულ საკითხის გარკვევაში გვეხმარება ერმინას რძლის, მარი დეკონტ დიუ ნუის, ანტივის შესწავლა. ეს ანტივი სხვა მოკუმენტებთან ერთად შეიცავს გის მიერ ერმინასთვის გაგზავნილ ორმოცდაათოთხმეტი წერილს. ერთი ხანობა, განსაზღვრული წლების მანძილზე, ამ მიწერ-მოწერას მეგობრული ხასიათი აქვს. გი, ტა თქმა უნდა, ეაშიკება ერმინას, მაგრამ ასე უფრო ჩვეულების კარნახით იქცევა. ქაღს კი შორეული ქმრის გარდა სხვა არავინ ახსოვს. 1883 წლის მარტში, როცა გი აპირებს, ერმინას მიართვას „მადამუაზედ ფიფის“ დასურათებული ხედახადი გამოცემა, მან ჯერ კიდევ არ იცის, როდის დართავენ ვიზიტის ნებას. პიერი ტომი დაიბადა, ამან უფრო დაახლოვა ისინი. კანიდან გაგზავნილ ბარათში კი პიერის ამბავს კითხულობდა, „მიამბეთ მასზე, მის ცედექობასა და ოინებზე“. მშვენიერი მეზობელი ქაღი თანდათან ნაკლებ წინააღმდეგობას უწევს, ხოლო გი უფრო და უფრო ფაშილარული ხდება. „ერთგული და მოკრძალებული მსახურის“ დრომ განვლო: „იცით, რას ვიზამთ ამ დღეებში? შატუში წავადთ, სენაზე ვისადიდებთ. მაშ ასე, ხვადამდე, ნაზად გიკოცნით მაგ ხედებს“.

1886 წლის 2 ნოემბერს გი იახტა „დამაზი მეგობრის“ ქიმზე ერთობ სადაღობო ბარათსა წერს. ბარათში ერმინას ეკითხება:

<sup>1</sup> XVIII საუკუნის განათლებული მანდილოსნები. მათს საღონებში ხშირად იკრებიებოდნენ განმანათლებელი ფილოსოფოსები.



ვიდფრანშისკენ ხომ არ გამოემგზავრებოდითო: „მომეცით ეფ თქვენი ხელი. გიკოცნით ემაგ კოხტა ფეხებსაც“. 29 დეკემბერს იგი უკვე ისე მიმართავს ერმინას, როგორც მიჯნურს, რომლის დამშვიდებაც სურთ: „აქ (ანტიბში — ა. დ.) მთლად ჭარბოდმარტო ვცხოვრობ. დაპარაკს თითქმის გადავეჩვიე. — ისევე როგორც გადავეჩვიე სხვა ყველაფერსაც... (sic) ყოველივეს ეჩვიევი კაცი — მეც შევეჩვიე ამ სიჩუმეს... დიდხანს და ნაზად გიკოცნით მავ ხედებს. ყოველგვარ სიკეთეს ვუსურვებ დედათქვენს, მამათქვენსა და თქვენს ძმას (ქმარს აღარ ახსენებს, წინათ კი მუდამ მოიხსენიებდა ხოდმე. — ა. დ.), ვკოცნი პიერს, ამ რამდენიმე დღეში იგი საახადწილ ნობათს მიიღებს“.

პიერი თავის საჩუქარს მიიღებს, ერმინა კიდევ თავისას. ერმინამ ჰადსტუხის მისაბნევი ქინძისთავი გამოუგზავნა, გიმ კა სამაჯური უძღვნა.

„მაპატიეთ, რომ ეს სამაჯური ახალი არ არის. გაიმბობთ მთა თავგადასავადს: ერთმა მანდილოსანმა, რომელიც უწინ დამაზა, მდიდარი და სვებედნიერი გახდდათ, ამჟამად კი დაბუნებული, გალატაკებული და ბედისაგან სასტიკად დაჩაგრულია... მომითხრო თავისი ცხოვრებისა და თავისივე უსაშველო, შემზარავი სილატაკის ამბავი. ავდექი და ფული შევთავაზე. არ გამომართვა, ოღონდ მითხრა: „ხომ არა გყავთ ვინმე ნაცნობი ქადი, თქვენთვის იმდენად ახლობელი, რომ ჩემი ნაქონი სამაჯური შესთავაზოთ? უთხარით მას — ჩემს ვინაობას ნუ ამცნობთ, ცხადია — როგორ ჩავივარდათ იგი ხელში და თანაც დასძინეთ, პატიოსან ქადს ეკუთვნოდა-თქო, ძადიან ბედუკუღმართ და ძადიან პატიოსან ქადს-თქო...“ ასე ვიყიდე ეგ ძეწკვი... შევიძინე ჩასადები კოდლოფი და აგერ თქვენ გიგზავნით“.

წყნარი, არცთუ რაიმეთი გამორჩეული, მაგრამ ნაზი სიყვარული ღვივდება მათ შორის. ამაში რალა ეჭვი უნდა შეგეპაროს კაცს, როცა წაიკითხავ ბარათს, რომელითაც გი ტრიედეში ეპატიუება ერმინას 1889 წლის ივლისში: „ეგების გეცადათ და აქაურ პატარა სასტუმროში გეცხოვრათ? ჩემთან ერთად კი არა — ამაზე ფიქრიც ზედმეტია: აქ ყველას თვადწინ ვარ გამოჭიმული... აი, თქვენ საბაბიც: ყველას ასე ეტყოდით, სახდის მოსაძებნად მივემგზავრებო...“

საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ერმინამ გი დე მოპასა-

ნის წერილებში ზოგი რამ ამოიღო. და მანაც ადაგ-ადაგ, შატუსა და ტრიეღში მიპატიჟების გარდა, ფრიად მრავალმეტყველ დეტალებს წააწყდება კაცი. ეტყობა, ერმინას მანაც ის უნდოდა, ისტორიის კუთვნილება ამ შემთხვევაში სიმართლე გამხდარიყო, — ეს ხომ ისე ნიშანდობლივია ქაღისათვისა აი, მაგალითად, მოკლე ბარათი, 1890 წლის 14 მაისით დათარიღებული: „ჩემო კარგო, ნუ ზაიცივამთ — ჩვენ მარტონი ვიქნებით. გიკოცნით ხელებსა, მოპასანი“.

ანდა მეორე ბარათი ავიღოთ, 1890 წლის ნოემბერში მიწერილი ერმინას ძმის კამიდ უდინოსადმი, ვინაც გის ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი შეიქნა. „ჩემო მეგობარო მომწერეთ ორიოდე სიტყვა, ოღონდ გთხოვთ, ჩემს მსახურს არაფერი უთხრათ. თუ მე მეხება საქმე, ენაზე კბილის დაჭერა იცის, მაგრამ ამაჰვე ვერ ვიტყვი, როცა საქმე სხვებს შეეხება. ცნობისმოყვარეობა აღეძრა, ჩვენ კი აქ სამი ადამიანს ხიფათს ვუქმნით. ყველაფერი მზად არის თუ არა? გვექნება თუ არა ორშაბათს ადგილი, სადაც უნდა შევხვდეთ? მსურვარედ გართმევთ ხელს, მოპასანი“.

ერმინას სიტყვით, რასაც ანრი ამიკიც ადასტურებს, გის „რეპეტიციის“ რამდენიმე სტრიქონი წაუწერია „ფუნთუშას“ ხედნაწერზე, რომელიც ერმინას არქივში ინახება:

სიყვარულის ზარხოშს ვუძებ,  
ვერსად დაგიუნჯებია;  
ტრფობით თბობას რომ მიიბრძება,  
შენი ტკბილი ტურნება.  
დამაცადე, უკარებავი  
როს ზედ დაგკოწიბო,  
მაგ შენს ნახ გუდს და სუდს ცხოვედს  
ერთად ვუპატრონებო!

ბა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ციტატა გახდავთ, ოღონდ მეტად ნიშანდობლივი ციტატაა სხვა დექსიც ვიცით, თუმცაღა სახლში ვანებით უფრო ნაკლებ სახლვანია, გის იგი მშვენიერი მეზობეა დი ქაღის მარაოზე წაუწერია:

ეგე მარათ შენის თქვენს ხელებს,  
თქვენს ნატიფ თითებს — დანა, აგრეა.  
• — რა წავიწერათ ზედ, მეგობარო,  
მე, ვაგდას, კაცმა ტღანქმა, ვაგრიამ.

მანც ოცნებით ბროდის კოშკს ვაკვებ;  
თან ვუფრთხილდები თქვენს ნაზ ნდობასაც.  
და ღაჩოქიდი მუხღებზე თქვენ წინ,  
წავაწერ ისევ  
გო დე მოპასანს“.

მარალ ყვედას თვადწინ ჰქონდა, თითოეულს შეეძლო წაეკო-  
თხა ზედ წარწერიდი მიძღვნა. ის დექსი კი, ერთხედ საღამოს რთმ  
შეთხზა გიმ და ბიკოკიდან დაბრუნებულმა, სადაც ერმინასთან  
ერთად კითხულობდა თავისუფლების სულისკვეთებით გამორჩეულ  
XVIII საუკუნის პოეტებს, გაცდილებით უფრო ფერადოვანია:

მძინარ ვენერას წააწყდა მარსი;  
უქმად, უმიზნოდ როდე უვდოა.  
„ამას რას ხედავს ჩემი თვადები! —  
ახცად შესძახა:

„ადიდუია!“

ფრთხილად ააცლის სურნელოვან შარფს,  
რითაც გულმკერდი დაფარულა.  
გულმკერდი ჰქონდა თოვლივით თეთრი,  
მარსმა შესძახა:

„ადიდუია!“

მთრთლარე ხედით შეეხო იმას,  
რაც ნაყოფივით მრგვალო, გდუკია,  
ძღივს დაიოკა გიჭმავმა თავი,  
ამოიხვენეშა:

„ადიდუია!“

ვენერა ერთი შეიმშუშნება,  
გვერდს შეინაცვლებს, გასუდრულა.  
გულადი მარსი ამ იბნევა და...  
ერთი უყურე!

„ადიდუია!“

ღამაზი მეგლობარი კიდევ ერთხედ აღმოჩნდა მოკვებულდი. კიდევ  
ერთხედ ენგუნა მარჯი. ცოტა ან იყო, გიკვირს, რომ მას შემ-  
დეგ, რაც წაერხუბა თავის ბინის პატრონს, ბიძაშვიდ დუის, და  
მიატლოვა მონშანენის ქუჩაზე მდებარე სახლი, მოპასანმა ამ ბი-  
ნაში, რთმდის ქირაც წინდაწინ სამი წლისა ჰქონდა გადახდიდა,  
ერთინა და დეღამისი ჩააყენა 1890 წლის 15 თებერვადს. ერთინას  
ქმარმა არაფერი იცოდა ამ გადაბარგებისა; კიდევ ამ ამბავს მოჰყ-  
ვა შემდეგომ უსიამოვნო მითქმა-მითქმა.

შეგვიძღოა გავიზიაროთ მარნი დეკონტი დიუ ნუის მიერ გა-

მოთქმული ვარაუდი: მოპასიანი თავის მარტოხედა მეზობედ ქაღს თავდაპირვედად სწორედ ისევე დაუწყებდა არშიყობას, როგორც გაეარშიყობოდა ყოვედ სხვა დამაზ ბანოვანს. მერე და მერე წარმატებაც ხვდა იმის გამო, რომ იმ თავისი არქიტექტორისადმი ერმინა დიდხანს მტკიცე ერთგუდებას იჩენდა. მაგრამ მას თანდათან მოუდბა გუდი და ქადისთვის ჩვეული წინდაუხედაობით შეუყვარდა გი... როცა ამ უკანასკნელს გრძნობა უკვე გასციბოდა.

ეგ ძვედი ამბავი ამჟამად გვაგრძნობინებს ჩაფერფდიდი სიყვარულისაგან მოგვრიდი მედანიქლიდის სურნელს. ეს სიყვარული ერმინას გულში უფრო წრფედი გრძნობით ღვიოდა ვიდრე გის გულში, ვნების ადად კი არასოდეს ქცეულა, ისეთივე წყნარი გახდდათ, როგორიც თავად ერმინა იყო.

ვიდა და ბიკოკის აწინდელი მფლობედი, სწავდული ემე დიუპუი, ჩამომავადი დიდროსი, მიჩვენებს გორაკზე მდგარ სახდს, რომელიც ეკდესიას, სასაფდაოსა და ვაგზადს გადასცქერის და აყრდი ბუჩქნარის სიმწვანეში ჩაძირულა. ამ საკვირვედ კაცს ბაღში, იმ ადგიდას, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ გი და ერმინა, მაგოდა და ორი სკამი დაუდგამს. ხშირად იტყვის: „აქ მოდიან მათი აჩრდილი — უსხეულო სახებანი სამიჯნურო მეგობრობისა...“ და მიც, ღმერთმანი, მჯერა მისი.

1885 წლის შემოდგომაზე გიმ ეტრეტაში იჯარით აიღო ერთი მსხვიდი ფერმის მიწები. იქიდან ანრი ამიკს სწერდა: „ნადირობის პირვედ თვეს ნორმანდიაში იმით ვიწყებ, რომ სავადღებულოდ ვთვდი, ექვსჯედ დავესხა თავს წადირ-ფრინველს“. მაგრამ მოპასიანს მარტოოდენ მაღადი წრის გართობა როდი იზიდავს აქ. სულაც არ ეპიტნავება საგულდაგულოდ მომზადებული წადირობის გზიასი, კუნძვადთა ჯგრო და მონადირეთა ბუკის გამყივანი ხმა. სძულს „ნადიროს ხოცვა“. ვერაფერიშვიდი ვაჟკაცობაა. გულით უყვარს ზღვა, ყვედაფერს ურჩევნია ფეხით აღმა-დაღმა სიარული. წადირობა მისთვის იგიგოა, რაც ამგარა უკუქცივა მხეცკაცს ბარბაროსული ხანისაკენ, იმ მხეცკაცასი, რომელიც გიმ ასე აღამაღდა და რომელსაც ასე ეთაყვანება.

დაფდანიდიეთა ყაიდაზე მაცმული მონადირეები ფეკანის მახლობდად, კანეტოს ტყისკენ მიემართებიან. ფრანსუა თან ახდავს

ბატონს ტაქსას ჯიშის ძაღლებთან — ბიფთან, ჰაფთან და მიუს-  
ტაშთან — ერთად, რომელიც „ბადნით შემოსილ სამ პატარა ნი-  
ანგს ჰკვანან“. მონადირეები ფერმაში სადილობენ და ღამის გა-  
სათევად იქვე, კირით შეფეთებულ ოთახში რჩებიან. ჯერ ისევ  
უთენია გასპარ დ'ონჟემოდი ბუკის ხმით აღვიძებს მათ. მადე  
თოფის სროლის ხმებიც გაისმის. ვის უნდა ბედი დაენავსოს;  
ყველა ერთხმად ამბობს, ბოცვერზე ვნადირობთო. უცებ ერთ-  
ერთი მონადირე დაიყვირებს: „ტყის ქათამი ისეც ასე!“ მოპა-  
სანი ტყის ქათამსა კდავს, მაგრამ შეძახებით, — ბოცვერიო, შეს-  
ძახებს, რათა შემდგომ დიდის ამბით გამოაჩინოს თავისი ნანა-  
დირევი და ილბდიანი მონადირის კვადლობაზე თავი მოიწონოს.  
თანაც სხვებს თვადს ჩაუკრავს და ზედაც დაატანს: „აბა, რა გე-  
გონათ“!

„უსიცოცხლო ფოთოდი ფარფატი და შირად-შირადით ჩამო-  
დის დაბდა; მოსაწყენი და, ცოტა ან იყოს, სევდის მომგვრელია  
ეს შირადი... ყინავს, ღონავ ყინავს (სიტყვის გამეორებით ხაზი  
გაესმის შიგრიძნების სიციცხლეს. — ა. დ.), სუსხი გაწყენს თვა-  
ლებზე, ცხვირზე, ყურებზე; თრთვიდს თეთრად მოუფიფქავს ბა-  
დახის წვერები... შენ კი სქედი ცხვრის ტყაპუჭი გაცვია და მთელს  
ტანში სითბო გაქვს გამჯდარი... მზე ხადისიანად ანათებს კრია-  
და ცაზე“.

ყოველი ადამიანის მსგავსად, მოპასანსაც ხუთ გრძნობათაგან  
თითოეული სხვადასხვანაირად აქვს განვითარებული. მეტიადრე  
თვადი აქვს მახვილი — თვადი მხატველისა, ზუსტად რომ გადმოს-  
ცემს ფორმასა და ფერს. უყვარს ფერები: ღურჯი, თეთრი, შავი.  
მისი მოთხრობების ციკლში, რომელსაც „მოხეტიადე ცხოვრება“  
ეწოდება, მიშენიერი ფურცლები გვსვდება:

„ჯერ არასოდეს მინახავს, თეთრი გუმბათისაგან მიხეს ამის-  
თანა საოცრება, ასეთი საკვირველი ფერთა დივიდივი შეექმნას.  
მართლა თეთრია ეგ გუმბათი? კი, თეთრია, თვადისმოქმტრედად  
სპეტაკიო მაგრამ სინათლე ისე უცნაურად გარდატყდება ამ უზარ-  
მაზარ კვერცხში, რომ თვადი განსაცვიფრებლად ნაირ-ნაირ იღუ-  
მად ედფერს არჩევს... ეს ათასნაირი ედფერი ისეთი ფაქიზი და  
სათუთია, ისე შერწყმია ამ თოვლისებურ სითეთრეს, ერთბაშად  
ვერც კი შენიშნავ და მოიხელება.. რაც უფრო მეტიად აკვირდება,

მით უფრო მკაფიოდ მოჩანს. ოქროვანი ჩქერები წამოსდევს კონტურებს და ნედ-ნედა ინთქმის თხედ, თხედ იასამინისფერ ნის-ღში, რომელსაც ადაგ მოცისფრო ზოდები კვეთს. რტოსაგან მი-ფენილი უძრავი ჩრდილი რუხი, მწვანე თუ ყვითელი გერყენება. ღავარდნის ქვეშ კედელი იისფრად გესახება: ვხვდები, რომ ამ თვადისმომჭრელი გუმბათის გარშემო ჰაერი მოვარდისფრო-ი-სამინისფერია“.

ეს ერთდროულად დედაკრუაცა და მატისიც გახდავთ.

მახვილი აქვს ყურიც. ეგ კია, მოპასანი უფრონე რიტმისა და ხმაურისადმი არის მგრძნობიარე, ვიდრე მედლოდისადმი. გამოირ-ჩევა ჩინებულად განვითარებული ყნოსვითაც — ნამდვილი სეტე-რის ყნოსვა აქვს. ამ მხრივ დამის გაუტოდდეს ზოდას, ვინაჲ ყველაზე მახვილი ყნოსვის მქონეა — საუკუნის მწერადთა შო-რის. გემოსი და შეხების გრძნობაც ფრიად განვითარებული და ფაქიზი აქვს. ბუნებას მართლაც უხვად დაუჯიღდოვებია აღქმის უნარით. არადა, ამ ძაღუმი უნარის გამო განსაკუთრებით მძაფ-რად გრძნობს, რომ თვითონაც სხვებივით უძღურია: „სურ მხო-ლოდ ხუთი გრძნობა გაგვაჩინა... ხუთად-ხუთი გრძნობა...“ ჩი-ვის პანი სინამდვილეში ყველაზე უფრო ნიშნული მისი თვისე-ბა ის არის, რომ მთელ თავის არსებაში მუდამ ჟამს ატარებს მეექვსე გრძნობას, გრძნობას მთელ სამყაროსთან თანაზიარო-ბისა. მან, მეექვსე გრძნობის პატრონმა, მშვენივრად იცის — ამ გრძნობის ავიცა და კარგიც.

„ბედნიერია თუ უბედური ის ხადხი, ვინც განა მარტო თვა-ლით, პირით, ყნოსვითა და ყურით შეიგრძნობს, არამედ მთელი სხეულითაც“?

რა კარგად იცნობდა თავის თავს ის — რომანისტი, ვისაც ნა-ძადადევად აეთვადისწუნებინა ანადიზი და თვითდაკვირვება!

მოთხრობაში „სიყვარული, ანუ სამი გვერდი ერთი მონადი-რის დღეურისა“ მოპასაწი წილბაძისნილი გვევლინება: „მე და-ბადებობთვე თანდაყოლილი მაქვს ყველა ინსტიინქტი და გრძნობა პირველყოფილი ადამიანისა, რომლებიც შენედებუდია, ზომაზე და-ყენებუდია განათლებულ ადამიანის მსჯელობითა და სუდიერ მოძ-რაობითა. ნადირობა გაგიჟებით მიყვარს; და გასისხლიანებუღ ცხოვრდის, მისი სისხლით გასვრიდი ფრთების, სისხლით გასვრიდ

ჩემი ხედვების ყურებაზე გული იმ ზომაზე მეწურება, რომ მეშინიან — სრულებით არ გამიჩერდეს-მეთქი“<sup>1</sup>.

აქ კვლავ ვხვდებით „სისასტიკეს“ — ძირისძირეულს, თანდაყოლილს, შორეული საუკუნეებიდან გადმოცემულს. „მიყვარს ჰაერში აჭრიდ ფრინველს რომ ვესვრი, ჩამოვაგდებ და მერმე ვნანობ, რაკი ვხედავ, როგორ კვდება. მივდივარ და სინდისის ქენჯნა მაწუხებს, სურ თვადწინ მიდგას სულთმობრძავი ფრინველის ფხარკადი... მივდივარ და მერმე ისევ ვუბრუნდები ნადირობას“.

არაერთ მოთხრობაში აშკარა სისასტიკე ვლინდება. ასეთებია: „ბატონი იოკასტი“ (1883), „შეშდიდი“ (1884), „პატარა როკი“ (1885), „კატებზე“ (1886 წლის 9 თებერვალი), „სალამო“ (1889). ამათთან ახლოს დგას ომის მოთხრობებიც, მესისხდულობის თემაზე დაწერილი მოთხრობებიც და ის ფანტასტიკური ნოველებიც, თავისი შემოქმედების დასაწყის პერიოდში რომ შექმნა მწერადმა.

რენარდემ გოგონა მოახჩხო და გააუპატიურა. მწერადი საგანგებოდ აღწერს შებიღწუდ სხეულს: „რამდენიმე ნაბიჯის იქით, ხავსზე დედიშობიდა ბავშვის სხეული ესვენა. ასე თორმეტი წლის გოგონა იქნებოდა. გულაღმა იწვა, ხედები აქეთ-იქით ვადავანდნოდა, ფეხები გაჩაჩხოდა, პირისახეზე ცხვირსასოცი ეფარა, ბარძაყებზე სისხდი მოსცხებოდა“.

მოთხრობელი თევზაობისას შემთხვევით გადაყარა კოლეჯის ამხანაგს ტრემუდენს, რომელიც რვაფეხებს აწამებს იმის გამთ, რომ ცოდს მისთვის 66 წლის გენერალთან ულადატია. რარიგ აშკარაა კონტრასტი გაბოროტებული კაცის ბრძა სისასტიკესა და ბუჟის ყუჩი უბის სიღამაზეს შორისა „მან ნავში მოისროდა დასახიჩრებული, სიკვდილის პირას მისული რვაფეხა, რაქელიც ჩემს ფეხებს შუა გაცოცდა და ასე ცოცვა-ცოცვით მიატანა მყრად ნაგუბარს, სადაც სური დაღია უკვე დასოციდ თევზებს შორის“. მოლადატე ცოდის გაიგივება დასახიჩრებულ რვაფეხასთან ამაზრზენია.

აღმზრდედი მუარონი, აქაოდა ღმერთს შური მივაგოლო, ნემსებჩატანებული ტკბიდეულით „უმასპინძლება“ აღსაზრდელება. „ყურუმსალი მახმუდი“, იგი გაქრისტიანებული თურქია, საბლით

<sup>1</sup> თარგმანი თ. სახოკიასი.

გაკოჭავს თავის მტერ ორბებს. „და მაშინ საშინელი და სასაცოდო რამ (sic) მოიმოქმედა: ადგა და კრიადოსანი აასხა ტყვეთაგან, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მომხრწვადთაგან. პირველ ტყვეს ხედები მაგრად გაუკრა საბლით, მერმე იმ საბლით ყუდფი გამოსკვნა და კისერზე მოარგო, იგივე საბელი შემოუჭირა მომდეკნო ტყვესაც ხედებზე და შემდეგ კისერზედაც... ყოველი მოძრაობისას მარყუჟი ყელზე ეჭირებოდათ ტყვეებს და იმათაც ძაღუნებურად თანაბარზომიერი ბიჯით უნდა ევდოთ, დამის მისჯროდნენ ერთიერთმანეთს, რა არის იქვე უსულოდ არ გაგორებურიყვნენ, სარეგვავში მოყოლიდ კურდღელს რომ ემართება, ისე“<sup>1</sup>.

მართალია, ამგვარი ადგილები აშკარად გამომწვევია, მათში მიღწავნდება „ფდობერისეული“ სურვილი, როგორმე შეაცბუნონ და გააოგნონ ბურჟუა, მაგრამ მოპასუნის შემოქმედების სადისტური მხარის გაზვიადება უმართებულთა. მოთხრობა „სიყვარული, ანუ სამი გვერდი ერთი მონადირის დღიურისა“ ამ ჩვენს თვალსაზრისს ადასტურებს. იხვზე მონადირენი, ვიდრე აღიონი მთაწევდეს და ფრინველი წამოიშდებოდეს, ყინულის ბუდრუგანას შეაფარებენ თავს და იქ ცეცხლს დაანთებენ. „ჩვენი ძაბრის მსგავსი ქოხი ერთს საშინლად დიდს აღმასსა ჰგვანდა, რომელსაც გული ჰქონდა ცეცხლისა და ეს ცეცხლი ერთბაშად მისწოლოდა ჭაობის გაყინულ წყადს. შივნიდან კიდევ ორი ფანტასტური სახე მოსჩანდა: ჩვენის ძაღლებისა, რომელნიც ცეცხლისპირას თებობდნენ“<sup>1</sup>.

აღიონზე გი დედად იხვს მოკდავს ვერცხლისფერგუდას. თავს შემოთ, სადღაც სივრცეში გაისმის ფრინველის ყიფყივი, ეს მამადი იხვია. იგი თავს დასტრიალებს იქაურობას. „სიმიწრის კვნესას ჩემს დღეში ისე არ გაუწუარავს გული ჩემთვის, როგორც სასოწარკვეთილმა ყიფყივმა, როგორც ატირებულმა საყვედურმა იმ საცლოდავის ფრინველისამ, რომელიც სივრცეში იყო დაკარგული“<sup>2</sup>; იმ მამად იხვს ბიძაშვიდი მოკდავს. „თრივენი, უკვე გაცივებულნი, ჩანთაში ჩავდე“, ცხოველთა სამყაროს ამ ტრინსტანისა და იზოდდას წინაშე მიწერადი კიდევ ერთხედ უჩივის საკუთარი ბუნების ორნაირობას. „...და იმავე დღეს პარიზში დავბრუნდი“.

<sup>1</sup> თარგმანი თ. სახოკიასი.

<sup>2</sup> თარგმანი მისივე.



ეს მოთხრობა 1886 წლის 7 დეკემბერს დაიწერა. გი კიდევ დამდენჯერმე წავა სანადიროდ, ოლონდ მონადირის გატაცებას აწ აღარასდროს ივრძნობს.

მოპასვანს ჰყავდა კატა პირლი. როცა გი მორიგი მოგზაურობიდან დაბრუნდებოდა, კოხტა ფისუნია პატრონს ფებდაფებ დასდევდა. მის ყურადღებას წყდის თქაფუნი მიიქცევს, აბაზანას მიუახლოვდება, ასტება და შიგ ჩააგდებს გამხმარ ხელს, რომელიც ასე ზარავდა ფრანსუას.

— ჰაი, შე ცუდლუტოი კინალამ აბაზანაში არ ჩამიძირე შექსპირის ხელი..

გი ესიტყვება ფისოს, ისიც თავისებურად ეპასუხება. ეს პატარა „ქადაქედი გოგო“ გის ეტრეტაში მიჰყავს. იქ ციცუნია იხვევს დაინახავს და გაშეშდება.

— გამიგონეთ, მადმუაზედ პირლი, ეგ ჩიტუნები ნამდვილია ფრინველები არ გეგონოთ.

გი რომ თავის კატას ეთამაშება, გუდლია ხდება. მას თავისი ძაღლებიც უყვარს, შესაძლოა პირლიზე უფრო მეტადაც. ოლონდ მათ აკლიათ ის „ქადური“ ხიბლი, რაც ასე ნიშანდობლივია კატისათვის.

1886 წლის თებერვალში, როცა ანტიბში იმყოფება და გვერდით პირლი არა ჰყავს (ის პარიზში დარჩა), გი მებაღის კატას ეფერება. „ჩემი ხელის დაკარება აღიზიანებდა, მაგრამ ისიც მაღიზიანებდა მე, რადგან ეს მომხიბლავი და ცბიერი ცხოველი კიდევ მიყვარს და კიდევაც მძულს (იმავე ეპითეტებს ხმარობა, რითაც ქაღსა და მდინარეს ახასიათებს. — ა. დ.)... რა უნდა იყოს იმაზე უფრო ნაზი, რამ უნდა აღგვიძრას უფრო ამო, უფრო ფაქიზი, უფრო უჩვეულო შეგნძნება, ვიდრე კატის თბილმა, მთრთოლარე ტყავმა? მაგრამ ეს გრძნობიერი სამოსელი ჩემს თითებს უცნაურსა და სასტიკ სურვილს ჰგვრის, დავახრჩო ცხოველი, რომელიც ვეფერები“.

აცბუნებს თუ არა ეს მისი გრძნობა?

„მახსოვს, ჯერ კიდევ ბავშვობისას მიყვარდა კატები, მაგრამ მამინაც სურვილი წამომივდიდა, ჩემი პატარა ხელებით მომეხრბო ისინი“.

გის შიშ მუდამ ჰყავდა კატები. პირლის იგი ისე იყო შეთგისებური, რომ მისმა სიკვდილმა 1887 წლის სექტემბერში ეღდა

დასცა. მერმე პაწია პუსის შეიძენს და ეს ერთგვარ ნუგეშს მოჰკვრის. გი ისე ევლება მას თავზე, რომ ფრანსუას სთხოვს, განსაკუთრებული ტკიცინა ქალადი მიყიდელ — კადმის ფხაჭუნი ხორკლიან ქალადზე კნუტს აღიზიანებდა!

ქადებთან, ძალდებთან, გარეულ ფრინველებთან, კატებთან დამოკიდებულებისას მოპასანის ბუნების ორნაირობა ვდინდებ: იგი წინააღმდეგობრივი ხასიათის მქონე, ციკლოტიმიით დაავადებული კაცია; ორსახოვანი იანუსივით ხან პირქუში, ხან კიდევ სახეგაბრწყინებულია.

## 2

პირველი იაღქმადი გემი „ღამაზი მავრბარი“, 1886 წლის ოქტომბერი. — ანტიპოში მდებარე იპერის. — პროფესორი შარკო და „ორდა“. — სპეციალური მენიჯბედა მანქანის გამო. — პეპისი, კანონი და შარკო კარისი. — უსიძობატივები და კრიტიკოსები: მასკატები დიადოვი.

1886 წლის 2 მარტს მოპასანი ანტიბიდან ერმინას სწერდა: „რა გამბოთ აქაური ცხოვრებისა? ვსეირნობ ზღვაზე, მეტწილად კი ვმუშაობ. ერთი მეტად ეგზალტირებული, მეტად მძაფრი და ერთობ პოეტური ვნებათაღელვის ამბავსა ვწერ“. დაპარაკი გახდდათ „მონტ-ორიოდზე“; ეს რომანი მოპასანმა ანტიბში, დე ბოსკეს ვილაში, 1886 წელს დაასრულა.

მოპასანი სასტუმრო დარბაზში მუშაობდა, ოთახის ჩრდილოეთ მხარეს დადგმულ მრგვალ მაგიდას უჯდა ხოლმე. ისევე როგორც ეტრეტაში, აქაც მუშაობა ყოველ დღით იცოდა. ერთა კუთხიდან მერეში ბოლთას სცემდა (ერმინამ ზუსტად შენიშნა ეს), ფრანს გონებაში გამართავდა, მერმე მაგიდას მიუჯდებოდა და ქალადზე გადაიტანდა. შემდეგ ისევ ბოლთის ცემას მოჰყვებოდა. ნასაუზმევს სასეირნოდ მიდიოდა. ამ დროს ფიქრით შორს იყო „მონტ-ორიოდისაგან“: ახად, შემდგომ რომანს უღრღიავებდა გულში.

ეს ერთი ხანია მწერდის ბარათებზე ამგვარი აღნიშვნა გაჩნდა: „ღამაზი მავრბარის“ ქიმი“. 1884 წლის ბოლოს მოპასანს შემთხვევა მიეცა და მოხუც ვადისის რწევით ერთანძიანი სპორტუ-

ლი საზღვაო გემი — „დაშნა“ იყიდა, რომელიც, დამაზი დეკენდის მიხედვით, „დიდ ფუნდანაგებ რუს დიდებულს“ ეკუთვნოდა ოდეს-  
ლაც.

გემი — მისი შავი ვიწრო ტანი ოდნავ ასცილებია წყადს — დი-  
დი სისწრაფის მქონეა. „დაშნის“ ერთობზე რვა კაცი ხადვათად მო-  
თავსდებოდა. კაიუტა ოთხი მგზავრისთვის გახდეთ გათვადი-  
წინებუდი. წითელი სპილენძის მბზინავი შტურვადით მოპასანა  
ნადავ თავს იწონებდა.

ამ იადქნიანმა გასართობმა მწერლის ცხოვრება ისევე შეუ-  
ვადა, როგორც იმ წარმატებამ, რის შედეგსა და დადასტურებასაც  
თვით ეს იადქნიანი გემი წარმოადგენდა. ზღვაში გასვდის სამ-  
ზადისი რიტუადის დაად სრუდებოდა: კაპიტანი ბერნარი აი-  
ლებდა და ჯერ ისევე უთენია ერთ მუჭა ზღვის სიდას სარკმედში  
შეუყრიდა თავის პატრონს. ცოტა ხნის შემდეგ იახტა ნაპირს  
სციდებოდა, ტადლებზე მისრიადებდა და, დიდის დიმონისფერ  
სივრცეს თავმიცემუდი, გეზს და სადისაკენ ილებდა. „ვარსკვლავე-  
ბი მკრთადებოდა და ქრებოდა. ვიდფრანშის შუქურამ უკანას-  
კნელად დასუჭა თავისი მბრუნავი თვადი, და წინ, ცის შორეულ  
სივრცეში, ჯერ ისევე უჩინარი ნიცის თავზე, საკვირვედი ვან-  
დისფერი ათინათი შევნიშნე: ეს იყო ცისკრის შუქზე აედვარე-  
ბუდი ადპის მყინვართა მწვერვადები...“

„დამაზი მეგობარი“ ქარის საპირსპიროდ დასავდეთისაკენ მი-  
ცურავს, შემოლუვდის კონცხს და ესტერედისკენ მიემართება: „სა-  
უცხოთ მთაა, ასე გეგონება, გუდისხმიერ გამჩენს იგი აკვარე-  
ლით დაუხატავსო თეატრადური ცის ფონზე, რათა მოდელად გა-  
მოადგეთ ინგდისედ პეიზაჟისტი ქადებს და აღტაცება მოკვაროს  
ტიტუდოსან პირთ — ჭედქიანნი იქნებიან თუ უბრადოდ უსაქ-  
მურნი“.

წყადი, ადერსიანად რომ უდამუნებს სიდასა თუ გრანტის, ამ-  
შვიდებს ნალვიდან მოგზაურს, „და იმით გამოწვეუდი სიხარუდა,  
რომ ქარი მაწვება და ტადლებზე მიმაქანებს, უზრუნველად მიმან-  
დობინებს თავს ყოფიერების უხეშსა და ბუნებრივ ძადებს, პირ-  
გედქმნიდი სიცოცხდის სტიქიას“.

პადერმოს ვერძის მოთაყვანე მძაფრ მოთხოვნიდებას გრძნობ-  
და, ენავარდა ცისა და ზღვის შუა, ეარსება „წყადზე“.

დეკემბერში გი ისევ ვერ ჩერდება ერთ ადგილას. დე ბოსკენს ტოვებს და სახლდება „მადე დეზ ადპში“. თავისი ოთახის საბ-კმდიდან იგი აღმოსავლეთ მხარეს ადპის მთაგრეხილს ხედავს — სახლსაც ამიტომ ჰქვია ეს სახელი. ეგერ ბორდიგერის მთის წვე-რი ჩანს, მოტიტვდებუდი, მისტრადისაგან შემოძარცვული; აგერ იქით ნიცა და ანგელოზთა უბეა; ცოტა უფრო აქეთ კი, ანტიბის სიახლოვს, სავედე სიმაგრეებია. ფართო მოედანზე ფორმის წი-თედრეიტუზიანი ჯარისკაცები სამხედრო ნაბიჯით სიარულში ვარჯიშობენ. დასავლეთით ანტიბის კონცხია, ეუანის უკაცური ყურის ცისფრად მოკამკამე ფსკერი, თეთრად მოედვარე კანი და ესტირედის კუნძულთაგან ქმნიდი დუნბარჩა, თითქოს მომწვანო ლქროსაგან რომ არის ნაჭედი.

დიდის სამუშაოს რომ დაამთავრებს, გი სახეტიადლო მიდის ხოდმე ვადროისის მხარეს, „ისეთ დაბურულ ტყეებში, სადაც ხევ-ხუვები თუ გაგიწევს გზის მაგვირობას“. ერთობა დამბაჩის სროდით, ცურვით. კაბინეტის სარკმლიდან თავისი იახტის ან-ძებს ხედავს. თუ ქარიანი ამინდია, კაპიტანი ბერნარი იახტის მფლობედის ადამს აღმართავს ხოდმე.

ზოგჯერ გი ერვესთან შეივდის ყვავიდის პდანტაციების სა-ნახავად. უმცროსმა ძმამ დედამისიც და თვითონაც ძაღზე გააწვა-და, მაგრამ ამ ბოლო დროს ერვე დაჭკვიანდა. ეს კია, ხანდახან მი-სი საქციედი მაინც შეიფოთებას იწვევს. გი თავის დროზე ფუ-დით დაეხმარა ძმას, და იმანაც საყვავიდე მუურნეობა მოაწყო; 1886 წლის 19 იანვარს ერვემ ცოლად შეირთო მარი-ტიერეზა დე ფანტონ დ'ანდონი, გრასის გარეუბანში მცხოვრები ყმაწვიდი ქადი. უილბლო ერვეს ცხოვრება თითქოს მოწესრიგდა.

იმ ზამთარს, 22 თებერვადს, ანტიბში მიწისძვრა მოხდა.

„საოცრად მიშენიერი სალამო იდგა და გვიან ღამემდე ვტკბე-ბოდი ცის ცქერით, რომედიც მსხვილ-მსხვილი ვარსკვლავებით მოჭედდიდყო. უბის მიღმა ნიცა ცეკვავდა და მღეროდა ამ ბოდო საკარნავადო სალამოს“. გი, წვეულებისამებრ, ღამის პირვედ სა-ათზე დაწვა დასაძინებდად. უცებ ზანზარმა და ძდიერმა ბიძგმა გამოაღვიძა, შეშინებუდი წამოიჭრა დოგინიდან. „პირვედ წუთს, დაბნეულს, მეგონა, სახდი თუ გვენგრევა-მეთქი თავზე... წამოგ-ხტი და კარს ვეცი, მაგრამ უძდიერესმა ბიძგმა უეცრად კედელს

მიზაწყვიტა... კიბეზე რომ ჩავბრძოდი, ზარების უცნაური და ავის მომასწავებელი რეკვა შემომესმა; თავისით რეკავდნენ...<sup>8</sup>

დაქია სირბილით ეშვება კიბეზე.

— აბა, ჩქარა ქუჩაში! — ყვირის გი. — მიწა იძვრის.

იგი ნერვიულობს:

— აბა, ბალსკენ! ახდა მეორე ბიძგი მოჰყვება! დედა სად-ღაა? დედა, ჩამოდი ჩქარა!

ღორა მაინც არა ჩანს. ხედახდა ეძახის.

— ხომ ვერ გამოვიქცევით — მონისმის ღორას პასუხი. როგორც მეტისმეტად ნერვიულად ამომიანებს სჩვევიათ, ყველაზე საზარელად კატასტროფის დროს ღორა სიმშვიდეს ინარჩუნებს. — რა შესაქმნება მაგ მიწისძვრასთან!

ბოლოს ყვედანი ბაღში იყრიან თავს. „რამდენიმე წამსაც არ გაუვლია პირველი ბიძგის შემდეგ, ზღვა ერთბაშად უკუიქცა ნაპირიდან, მეჩერზე ნავეები და თევზები დარჩა. სხმარტალებენ პატარ-პატარა სარდინები, მიიძურწება კახიელა ზღვის გვედთევზა, თუმცა არავინ აპირებს გამოედევნოს. მერმე ორმეტრიანმა ტაღლამ დაფარა პლაჟი და ზღვა ისევ დაუბრუნდა თავის ადგილს“.

ანტიბიში ბევრნი დაშავდნენ. ერთი კაცი დაიღუპა. მთელი ექვსი კვირის განმავლობაში ორასი ანტიბიების ოჯახი კარებში იყო შეჭუჭკუდი. გის სძაგდა სილატაკე და ზიზლით აღწერდა. „პიერისა და ჟანის“ ნაწყვეტი ნათლად მეტყველებს ამას.

— „პიერი კინალამ დაახრჩო იმ გულისამრევმა სუნმა, ლატაკსა და ჭუჭყიან ხადხს რომ უდის ხოდმე, ადამიანთა სსეულის სიმყრადემ, უფრო მქისე რომ არის, ვიდრე ნადირის ბადნისა და ჯაგრის სუნია. რალაც ჯურღმუდის მაგვარ ადავს, სადაც ისე ბნელდა და ჭერიც ისე ჩამოგმხობოდა თავზე, როგორც მალაროს სანგრეკში, ასობით მამაკაცი, ქალი და ბავშვი ფიცრის ნარებზე მიყრილიყო... პიერი ძაღუნებურად ფიქრობდა ამ ხადხის მრავალი წლის ჯაფაზე, დაუღადავსა და ფუჭ ჭაპანწყვეტაზე... იმ ენერგიაზე, ამ ბედკრულთ რომ გაეხარჯათ და მაინც კიდევ ცხოვრების ხედახდა დაწყებას აპირებდნენ, ვინ იცის სად ან რისი იმედით; ფიქრობდა და დამის ეყვირა მათდა გასაგონად: „გიჯობთ ფეხი იშვიროთ და წყადში გადგეშვით მაგ თქვენი უჭუბუჭუდებიანად!“ გული სიბრაღულისაგან ისე მოეწურა, ამ სანახაობას ველარ გაუძლო და იქაურობას გაეცადა“.

გი კი ან ვასცდია იქაურობას. ანტიბში მომხდარმა კატას-ტროფამ მისი ფარული გულკეთილობა გამომჟღავნა. სახელმწიფო მწერალი, „ბატონი პარიზელი“, ერთი პირველთაგანი მიეშვედა მიწისძვრისაგან დაზარალებულთ.

1886 წლის ზამთარში, როცა „მოხტ-ორიოდზე“ მუშაობას წყვეტს ხოლმე, მოპასანო „ორდას“ წერს. ნაკლებად სარწმუნო გახდავთ, თითქოს ამ მოთხრობის სიუჟეტი ოდენ მწერლის ფანტაზიის ნაყოფი იყოს, თვით მოპასანს არასდროს უპტიციებია ეს ამბავი. პირველივე თავიდან მოყოლებული ვრწმუნდებით, რომ ამ ქმნილებაში ავტობიოგრაფიული მოტივები ჟღერს, ისევე როგორც ამას გვარწმუნებდა პირველივე სტრიქონები ნოველისა — „გარსონ, ერთი ტოდია ღუდი“! რომანისტთა უმრავლესობის მსგავსად, მოპასანსაც რაღაც რეალური ფაქტი გამოუყენებია საკუთარი თუ სხვისი ბიოგრაფიისა, თლონდ ამ ფაქტისათვის სიცხოვედრე მიუნიჭებია, და ფანტაზიით გაუმდიდრებია. გიჭირს კაცს, სიუჟეტის ისტორია აღადგინო, როცა საქმე გი დე მოპასანისთანა მწერლებს ეხება.

„ორდას“ შექმნის თაობაზე რამდენიმე ჰიპოთეზა გამოითქვა. ერთი მათგანის მიხედვით, ეს თემა მოპასანისათვის შარკოს უკარნახებია: სახელგანთქმული ექიმი ღორას უწევდა კონსულტაციას და, ესეც არ იყოს, გის გონკურთან ხვდებოდა. შესაძლოა, ამ ბრწყინვადე ფსიქიატრს, ვის ლექციებსაც ნევროზისა და ისტერიის შესახებ სადპეტრიერის საავადმყოფოში მთელი პარიზი ესწრებოდა (ამ ლექციებს 1885—1887 წლებში ისმენდა ახადგაზრდა ავსტრიელი სტუდენტი ზიგმუნდ ფროიდიც), დიან, შესაძლოა-მეთქი, ეს თემა ენიკისათვის გაეზიარებინოს; ენიკი კა შეიმდგე გის უამბობდა. შარკო XIX საუკუნის მესამე მეოთხედის დიტერატორებზე ისეთსავე ზეგავლენას მოახდენს, როგორი ზეგავლენაც მესმერმა და სვედენბორგმა<sup>1</sup> მოახდინეს ბადზაკზე, მაღალი საზოგადოება ჭკუას კარგავდა დოქტორ შარკოს გულისათვის. გის კიდევ მუდამ აინტრესებდა ფსიქიატრია.

მეორე ჰიპოთეზის თანახმად, ხსენებული მოთხრობის თემა

---

<sup>1</sup> მესამე მ. ფრედერიკი (1733—1815) — გერმანელი ექიმი, პოპულარიზაციას უწევდა პიანოზს. სვედენბორგი (1688—1772) — შვედი მწერალი, მისტიკოსი, ფილოსოფოსი.

ქორწილზე პორტო-რიშს ეკუთვნის. „შეყვარებული ქაღის“ ავტორ-მა ეს თავად დაუდასტურა დოქტორ პილეს: „ორდას“ სიუჟეტი მთავარსახარების ან მიკარნახია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ოღონდ მსჯელობით კი გვიმსჯელება ასეთ თემაზე; ბარემ უნდა დავსძინო, არ გვეგონოთ, რამეს ვამეტებდე — ბევრი სამძიმო და მედანიკოლოგიური ამბის სიუჟეტი მე ვუკარნახე მას“.

ყოველ შემთხვევაში, გინდაც ვცნოთ ამ ორი მწერლის აზრთა გარკვეული თანახმობა, ერთი რამ მაინც ცხადია: ფანტასტიკური იდეა, რომ არის არსება, რომელიც გვევნით თქვენთვის საკუთარი „მე“-დან და თქვენს ადგილს იჭერს, მოპასუნს მანამდე დაუფდებოდა, ვიდრე პორტო-რიშთან მეგობრობას დაამყარებდა ანდა შარკოსთან ნაცნობობას გააბამდა.

მოპასუნს სწვეოდა ხოლმე ფანტასტიკით თავისი გატაცების გაზვიადება: ფანტასტიკა რიტერატურულ ჟანრად კი არა, ცხადად არსებულ სხვაგვარ რეალობად ესახებოდა. „საფრთხისა არ მეშინია. არც მოჩვენებებისა მეშინია, ზებუნებრივი ძადა არა მწამს. მიცვალებული შიშს არა მგვრის და არც იმაში მეპარება ეჭვი, რომ ამქვეყნიდან წასული კაცი მთლიანად ქრება. მაშ, რა?... მაშ, რა?... რა და, ჩემთვის თავი მაშინებს?“

მეტად მრავლისმთქმელი აღიარებაა. ჯერ კიდევ 1882 წელს შენიშნა ფრანსუა ტასარმა, ჰაღუცინაციები აქვსო; მას შემდეგ უფრო და უფრო ხშირად ხედავს მოჩვენებებს. „ორდას“ შექმნამდე დიდი ხნით ადრე მოპასუნმა დაწერა მოთხრობა „ივი?“ ამ მოთხრობამ, სადაც მწერადს საგულდაგულოდ დაემუშავებინა ჰაღუცინაციის თემა, განაცვიფრა, შეაცბუნა და ააღედვა მკითხველი. შინ დაბრუნებისას პერსონაჟი, ვისი პირითაც თხრობა მიმდინარეობს, ნახავს: მის მეგობარს ბუხრის ძირას ჩასძინებია. ხელს გაიწოლებს, მხარზე შევეხოთ. „ხელში სავარძლის ხის საჭურჭე შემჩნა. შიგ არავინ მჯდარა. სავარძელი ცარიელი იყო!.. აბადა, გონება ამ დროს სრულიად სალი მქონდა... მაშასადამე, ამ ამბავს გონების აშლილობას ვერ დავაბრადებდი. უბრალოდ, თვადი მატყუებდა, თვადმა კი აზრი აიყოლია... მხედველობითი ორგანოს უცაბედი ნერვული აშლილობის ბრალი იყო, მეტი არაფერი, ცოტათიც, აბაო, სისხლი ამვარდნოდა თავში“.

სწორედ ასე გრძნობდა გი თავს ყოველი ჰაღუცინაციის შემ-

დევ — დაბნეულობა მთიცივდა, მაგრამ თვალს მანინც ფხიზდად ადევნებდა იმას, რაც მისსავ ანსებაში ხდებოდა.

„ორდაში“ ავტორი მთავარი პერსონაჟის პირით მიტად საგულდაგულოდ აგვიწერს, როგორ ვითარდება ამგვარი უცნაური მდგომარეობა. აქ დიტერატურულად ხორციმესხმულია თემა იღუმაღებით მოსიდი არსებისა, რომედიც სიყრმითვე სდევნიდა გის და მთელი ცხოვრების მანძილზე მოსვენებას არ აძლევდა ბიძამის ადფრედსაც. დოპედგენგერი, ორეული, საცაა გამომწნდება კულისებიდან.

მავრამ, ადრე, უწინარეს ყოვლისა, ქალია, დასაბამიერი ქალი. „ვაცდუნლო, ამ სურვილით ატანილი მიცქეროდა, მამაკაცის დამონების იმ წადილით შეპყრობილი, რაც კატისებურ მომხიბვლელობას ანიჭებს დიაცის ცბიერ მიზნას; მიცქეროდა და ვგრძნობდი, მიზიდავდა, მიმორჩილებდა... ეს იყო ხანმოკლე ჭიდილი, მარტოლენ თვადებით გამართული, უჩუმი, გააფთრებული მარადი ბრძოლა ადამიანის სახით მოვლენილი ორი მსვცისა, ძუსი და სვადისა, ბრძოლა, რომლის დროსაც სვადი მუდამ ძველი გამოდგება ხლდმე“.

მთხრობელი თავს ნეტარად გრძნობს ადრემასთან ერთად, ოღონდ ეს ვედური ქალი, ერთი პირობა, გაუჩინარდება. ხოლო როცა დაბრუნდება, სისხლის ყოვილი თავისას იზამს და მწყემსთან ერთად გაიქცევა. ის მწყემსი „ერთი ადაწოდა ბედუინი იყო, გარუჯული კანი მისივე ძონძების ფერს ეხამებოდა. ამ აყდაყუდა მოუხეშავ ვედურს, ხმედ-ხმედსა და ჩამოკონკიღს, გამოწეული ყვრიმადები, კაუჭა ცხვირი, უშნოდ აჭირილი ნიკაპი, ძარღვიმავარი ფეხები და ტურასავით მზაკვრული გამოხედვა ჰქონდა“.

ეს მოთხრობა იმ მხრივაც საინტერესოა, რომ, თუმცა ერთი შეხედვით, ზერედე მოგეჩვენება, ოთხ წინასწარმეტყველურ სტრიქონს შეიცავს, რომელთა მეოხებითაც გამოსხატულია მოპასანის დამოკიდებულება კოლონიური ავანტიურისადმი: „შესაძლოა, ძადმომრეობით დამარცხებულ სადხს ჯერ არასოდეს ასეთი მოქნილობით არ გაერიდებიანთ თავი გამარჯვებულის მხრივ ნამდვილი დამონებისათვის, მისმიერი ზნეობრივი ზეგავლენისა და გულმოდგინე, ოღონდაც უსარგებლო შესწავლისათვის.“

1889 წლის 6 მარტს გონკურმა თავის დღიურში ჩაწერა: „მოპასანმა, ვინც აფრიკაში მოწყობილი თავისი ექსკურსიიდან დაბრუნებულა, პრინცესასთან გამართულ სადილზე განაცხადა, თავის მშვენივრად ვერძობო. მართლაც, იგი უამოცოცხდებუდია, ხადისთანად დაპარაკობს და, იმის წყალობით, რომ სახეზე გამხდარა და მზე მოჰკიდებია, ტდანქი იერი ცოტათი მოჰკდებია...“

აღარც თვადების ტკივილს უჩივის, აღარც მხედველობის სისუსტეს; ირწმუნება, მხოლოდ მზიური ქვეყნები მიყვარს, მეტისმეტ სიცხეს არასოდეს შევეუწუხებივარო, ავვისტოში საპარას გავემგზავრე, იქ ჩრდილში 53 გრადუსი იყო, მაგრამ სიცხეს ოდნავად არ გავუტანჯივარო“.

სხვათა შორის ამ სადილ-წვეულებას ერთი თმაჭაღარა, ხნიერი კაცი ესწრებოდა; მას მოპასანი დიდხანს ესაუბრა ერვეს ჯანმთებლობის თაობაზე. ამ კაცმა უამბო, რომ პასის ფსიქიატრიული სამკურნალო (ბერტონის ქუჩა, 17), რომედსაც ის სედმძვანელობდა, 1850 წელს ეყიდა მის კოლეგას, დოქტორ მერიოს. გასთანამოსაუბრე, რომედსაც გარეგნუად მკაცრი იერი ჰქონდა, სისამდვილეში გუდრემობიერი კაცი გახდდა და პრაქტიკულ საქმეებში სრულიად გამოუცდელი იყო. თავის პროფესიას იგი წმიდასაწმიდა რამედ რაცხდა. ხშირად ეტყოდა ხოლმე პოტოცკაიაზე გამიჯნურებულ თავის ვაჟიშვილს: „სუდით ავადმყოფი სხვა სამყაროში ცხოვრობს“.

დოქტორი ბდანში მადე დამაზი მეგობრის ბედის ერთადერთი მფარველი გახდებოდა.

„რევიუ იდუსტრეში“ 1888 წლის 1 დეკემბერს გამოცხადებულ რომანის — „სიკვდილივით ძღიერის“ — ბეჭდვა 1889 წლის 15 მაისიდან დაიწეება. წლის ბოლომდე ეს წიგნი 35 ათასი ცადა გაიყიდებოდა. მოპასანი კმაყოფილებასა გრძნობს, მით უმეტეს, ამ რომანს ძადთა გაცილებით უფრო დიდი დამაბვა დასჭირდა, ვიდრე „პიერი და ჟანისი“ „ნედ-ნედა ასად რომანს ვამზადებ, ოლონდ ძადიან საწვადებელი რამ კია“, — სწერდა ვი დედას ერთი წლის წინ. „რამდენი ნიუანსი უნდა ჩააქსოვო შიგ, ნავუდისმევი და ართქმული. თანაც გრძელი არ უნდა იყოს: ისე უნდა ჩაიაროს თვადწინ, როგორც საშინელი, ნაზი და სასოწარკვეთილებით სავსე ცხოვრების ხილვამ“.

სხვა მიზეზებიც უჭიანურებს მწერალს მუშაობას:

„გუნებაში ვკითხულობ, ავად ხომ არა ვარ-მეთქი, — ისეთ ზიზღსა ვგრძნობ ყველაფერ იმისადმი, რაც ასე დიდი ხანია მიკეთებია და თანაც სიამოვნებით მიკეთებია. ფუჭი ცდა, სამუშაოს მიუვბრუნდე, სასოწარკვეთილებაში მაგლებს. რისი ბრად აეს? თვადები დამელადა თუ ტვინი მომქანცა? მხატვრული ნიჭა დამეშრიტა თუ თვადის ნერვის ანთება მჭირს?“

რა ძადიან სტიკია თვადები!

ოდვიე ბერტენი მხატვარი გახდავთ. მოპასანი უფრო ფაქიზად აღიქვამდა მხატვრობას, ვიდრე ზოდა. მაგრამ ბერტენი გაცილებით უფრო ნაკლებ იპყრობს ჩვენს ყურადღებას, ვიდრე კლდე დანტიე ზოდას „შემოქმედებისა“, და კიდევ უფრო ნაკლებად, ვიდრე ბადზაკისეული „უცხო შედევის“ ფრენჰოფერი. გის არ აინტერესებს მხატვრის დრამატული ცდა, ტილოზე გადმოსცეს ნამდვირი ცხოვრება, ის ცდა, რაც ასეთი საოცარი თსტატობით დაგვიხატეს ბადზაკმა და ფლობერმა. უგვანზე უგვანი აკადემიზმია ნიშნეული ბერტენისათვის, მხატვრობაში მოკადათებუდი ამ საქმოსნისათვის, ვინაც „საზოგადოების ნალების“ საჭიროებისათვის მუშაობს. იგი განიზრახავს, მშვენიერ ქაღბატონ გიდრუას პორტრეტში გამოხატოს „ის მოუხედთებედი რამ, ჯერ ვერც ვერ. მხატვარს რომ ვერ მოუხერხებია, თავისი ფუნჯის წვერზე შეერჩინა. — ის არიდი, ის იდუმალება, ის ანარეკლი სულისა, რაიც უცბად გამოკრთება ხოლმე სახეზე და უცბადვე ქრება“.

ამ კაცმა, ვინც ზეთის საღებავით შესრულებული ტილოები ამარაგებს ზედაფენის წარმომადგენელთ, სახედი გაითქვა პირველივე სურათით — 1868 წელს დახატული „კლეოპატრათი“. 1872 წელს „იოკასტეს“ წყადლობით იგი მიაკუთვნეს „ყვედაზე გაბედულ მხატვართა რიგს, თუმცა მისეული კეთილგონივრულ-ორიგინადური მანერა ხატვისა თვით აკადემიკოსებმაც კი დააფასეს“. ბოლოს იგი „პარიზედ მამაკაცთა და პარიზედ ქაღბათა ყვედაზე საყვარედი ფერმწერი შეიქნება“. ამგვარად გამოსახავს მხატვარს ის, ვისაც ნამდვიდად ესმოდა მანე, მონე და კურბე!

ქაღბატონი გიდრუა ნებას დაჰყვება მასზე გამიჯნურებულ ოდვიე ბერტენს, თანახმა ვარ, პოზაში დაგიდგე ხოლმე და დამხატლო. მხატვარს უსაშველო ვნებათაღვლევა ეუფლება. მერმე კა ქაღბატონ გიდრუას ქადიშვიდი წამოეზრდება. ოდვიე კვდავ იგი-



ვე მოპასვანი გახდავთ, ვინაც ზარდაცემულია სიღამაზის რღვე-  
ვით, ვერავითარი გულითადი კავშირი მას ნუგეშს ვერა ჰკვრი'.  
მოპასვანს ზოგჯერ გადაეხსნება სიყვარულისეული სამყარო, მაგრამ  
იგი მისთვის უწევდომეღია. სწორედ ამ აზრს უზიარებდა დეო-  
ფონტენს 1889 წლის 13 მაისს: „რწმენა გრძნობის სამყაროსა  
მომესპო. ჩემი ცინიზმით დაშინებული, იგი მიყურდა და მიწე-  
მათდა. ისე ღრმად მიმადლდა ჩემი არსების შიგნითშიგან, ბევ-  
რიც ვეფიცო, ვეღარ აღვადგენ“.

და კვლავ ქუჩის გოგოს უბრუნდება, გზასაცდენიდ მდაბიორა,  
უსაქმოდ მოხეტიალე უცხოედ ქაღს ანდა კეკლუც გრაფინიას.

ფრანსუა ტასარი რომან „სიკვდილივით ძლიერის“ წარმატებას  
იმის მიხედვით აფასებს, რომ გახშირდა მოპასვანის საშიშ თაყ-  
ვანისმცემედ ქაღთა სტუმრიანობა. რომანს მართლაც დიდი გა-  
მარჯვება ერგო, ყველა წინანდედ წარმატებას გადააჭარბა კიდეც.  
მოპასვანს ძაღა და რწმენა შეემატა

ემატება სახელი; უდიდდება შემოსავადი, წარმატება წარმა-  
ტებას მოსდევს — ყოველივე ამას თითქოსდა უნდა ჩამოეშორე-  
ბინა მწერალი ფულის საზრუნავისათვის, მაგრამ არა! მოპასვანა  
უფრო და უფრო გულსარბი ხდება.

1889 წლის მაისში გიმ ტრიედში სახლი იქირავა. აქ აპირებ-  
და ზაფხულის ერთი ნაწილის გატარებას. ვიღას „შტიდლორფა“  
ერქვა, გერმანულად ეს „წყნარ სოფელს“ ნიშნავს. რაკილა გი გა-  
ნაგრძობდა დასავლეთისკენ დტოდვას, რასაც ოდესღაც დასაბამო  
მისცეს ასპერგოპოლისის კოდონიის მენიჩბებებმა, ადგა და თა-  
ვისი იახტები პუასიში მიიყვანა. მშვიდობით, ფურნეზო, „დი-  
დო შატუელო აღმირადო“

ვიდა შტიდლორფი სოფლის განაპირას იდგა, ვოსკენ მიმავალი  
გზის ახლოს. პირვედ ღლეებში გი თავისი საოცრება რამ სახლით  
ტკბებოდა. „სახლი სენის მალადი ნაპირის ძირას არის აგებული.  
ჩემი ფანჯრებიდან ოცი კილომეტრის სიგრძეზე მოჩანს მდინა-  
რე, რომელიც ტყით აქოჩრიდ მწვანე ფერდლებს შორის მიედინე-  
ბა... აქ ვმუშაობ მე და ვოცნებობ... ვბანაობ, ან არადა ტყეებ-  
ში დავეხეტები ცხოველური ხადისით ატანიდი, აღარც კი მაპ-  
სოვს ის აწოწიდი რკინის როსკიპი გამოფენისა“.

ტრიედს მატარებლით რომ მიემგზავრება, გი ზოდასეუქ

სახელს მსაუვედის მედანიშა და გახედავს, ღია სომ ან არისო თსტა-  
ტის დიდი სამუშაო კაბინეტის ფანჯრები. 20 ივნისს ზოდას სა-  
უზმეზე მიიპატიჟებს. ფრანსუა ემსაბურებათ. ფრანსუა ყურაგ-  
ლებით აკვირდება მათ: „ყოველ წუთს, თითქოსდა საჩხუბრად შე-  
მართული წყვილი კატაათ, ეს ორი გოლიათი რომანისტი ჯიქურ  
შეხედავდა ხელში ერთმეორეს და თვალებს სწრაფადვე დახრი-  
და თეფშისკენ. ამგვარი ქცევა სრულებითაც არ შეეფერებოდა ჩე-  
მი პატრონის ხასიათს, ის ხომ მუდამ ისეთი გულღია და მხიარ-  
ული გახლდათ. მოკვდე, ყინული ვერა და ვერ გადღვა“.

თავისი პატრონის საზრუნავს ფრანსუა ასე თუ ისე კიდეკ  
სვდებოდა, ზოდას განცდებისა კი, ცხადია, არაფერი გაეგებოდა.  
მედანედმა პირისგემოს მოყვარემ სახედრახელოდ მიირთვა საუ-  
ცხოლო სადილი, ვედოსიპედს მოაჯდა და შევერშემონისკენ გააქ-  
როდა, იქ ჟანა როზერო<sup>1</sup> ელოდებოდა.

ზოდა რომ გააციდა, გიმ ჰექტორ პესარს, ვისაც „გოდუაშა“  
დაძმაკაცებოდა, სათბურები დაათვალიერებინა, სადაც ქამა-სოკო  
მოჰყავდა. როცა იქიდან მობრუნდნენ და ფინჯან ჩაის შეექცე-  
ოდნენ, გიმ უთხრა:

— ზოდა მე საკმაოდ დიდ მწერლად მიმაჩნია, დიდად მნიშვნე-  
ლოვან დიტერატურულ მოღვაწედ...

და სიტყვა შუაზე გაწყვიტა. ზოდა კვდავინდებურად უფროსაა  
მისთვის — ეს ჩანს სახსოვრად მიძღვნიდ წიგნებზე გაკეთებულ  
წარწერებში: „ჩემს ძვირფას მასწავლებელსა და მეგობარს“. ბო-  
ლო ორივე სიტყვას ასომთავრულით წერს. ეს ჩანს აგრეთვე წე-  
რილებში.

და მაინც, ტრაპთან გამართული იმ დიდი ხნის წინანდელი სა-  
დილის შემდეგ მოპასანს თანდათან უნედდება გრძნობა ზოდასად-  
მი. მათი ურთიერთდამოკიდებულება უფრო და უფრო ნედთბიდი  
ხდება. დრომ ვერ შეარბიდა მათ შორის არსებული უთანხმოება-  
ნი. საერთო თვალსაზრისი ვერ უპოვიათ ნატურადიზმის, სემიარს  
კონცეფციის, მორადისა და პოლიტიკის გამო. ორი წლის წინათ  
კინალამ წაიხზუნენ გერმანედების გულისთვის. მოპასანი ზო-  
დას ინტერნაციონადიზმს უსაყვედურებდა, ხოლო ზოდა მოპასანს  
სწორხაზოვანი პატრიოტიზმის გამო ამუნათებდა. ვის ეუცხოე-

<sup>1</sup> სოზერო ჟანა — ე. ზოდას არაოფიციალური ცოლი, მისი ორი შვი-  
ლის დედა.

ბოდა ზოდას იდეები, იგი ვერ იტანდა თავისი თანამოკავშირის სიმტკიცეს, მის მშვიდ რწმენას, აქაოდა ყოველთვის მართალი ვარო, მის სიყვარულს აბსტრაქტული სამართლიანობისადმი. გიმი ამოიოხრა და სათქმელი ასე მოჰყრა:

— მაგრამ პირადად იგი არ მიყვარს!

— მესიე სრულიად მართალი ბრძანდება — წამოცდა ფრანსუას; პოეზიის სოლიდარობის გამო მას ვერ ეპატიებინა დღევანდელი სტუმრისთვის ის სისუფელი, რასაც მსახური ქალები ჩმასხვენ რომან „დექში“.

გი დუმს. ერთი რამ აქვს გასაკეთებელი: მამას წერილი უნდა მისწეროს ერვეზე.

ერთ კვირასაც არ გაუვიდა, გი კვლავ სიცივეს უნივის შტიდლორფის მდიდრულ ვილაში. მეგობრები „ორთქლის იასტიტ“ აკითხავენ ხოლმე და გამუდმებით აწუხებენ. არც ამჯერად აუხდა ნატვრა — ყუჩად ეცხოვრა, მდინარის პირას, ამჯერადაც წყალში გადაყარა ფული. მოპასვანი ახად ოცნებას ეძღევა: „წავაჰ, კორსიკაში წავისეტიადებ, მერმე ნავსადგურიდან ნავსადგურისკენ გავუყვები და ნეაპოლამდე გავივდი იტალიის სანაპიროს... ამაზე კარგი გართობა რაღა იქნება ჩემთვის“.

ჯერ ეტრეტაში ჩადის. დიდდილობით რომან „ჩვენს გუდზე“ მიუშაობს. ნასადიდევეს ჩოგბურთს თამაშობს, ფარეკაობს, დამბაჩით სროლაში ვარჯიშობს. საღამოობით მეგობრებთან ერთად პატარ-პატარა პიესებს წარმოადგენს ანდა „ჯადოსნური ფარით“ იქცევეს თავს. სვდება ერმინას და მის უკვე წამოზრდილ ბიჭუნას პიერს, მაგრამ ნორმანდიის ამ სანახებს უკვე სამუდამოდ დაკარგვია ხიბლი მის თვალში: მეტისმეტად ნესტიანი მხარეა, მეტისმეტად წვიმიანი მხარე. შეშფოთებული და თავისი თავის უკმაყოფილოა, მთელი არსებით გრძნობს, რომ ამ მხრივ „ველარც თავს მოიტყუებს და ველარც სსვას მოატყუებს“ — ამ გრძნობას იგი თავის გმირ ქაღს მიაწერს.

იმი ფორიაქიანი 1889 წლის ერთ დიდას გი და გიიეტის სამზარეულოში შევიდა, სადაც ტასარი საუზმეს ამზადებდა:

— ფრანსუა...

— მესიე?

ფრანსუამ მყისვე შენიშნა, როგორ უკიაფებდა პატრონს თითქოსდა მინანქარგადაკრული თვალები.

— მე გთხოვდით მიგეხებათ, რომ მზის ჩასვდის წინ ჩვენა სახლის ყველა ფანჯარა მჭიდროდ იყოს დაგმანული... წუხედ ლამით თვადი არ მომიხუჭავს. თითქმის ყველა ოთახის საწოლი მოვსინჯე — ობობებმა საშველი არ მომცეს. ეგ მწერი საშინლად მეზიზღება. ვერ ამისხსნია, შიშის გრძნობას რატომ მგვრია.

თვალები უსაზღვრო სასოწარკვეთილებას გამოსატავს. სახე ეტრუსკურ ნილაბს მიუგავს.

— ეგ საზიზღარი მწერები აივნებზე კედელ-კედელ დაცოცავენ... ხომ გესმით, ფრანსუა?

— დიახ, მესიე.

— მაშ, არ დაგავიწყდეთ დახურვა გთხოვთ...

— დიახ, მესიე, არ დამავიწყდება.

ერთად დასდევენ ობობებს და მუსრს ავლებენ. ძაღაუნებურად დაგაფიქრებს კაცს ის ამბავი, ამხელა მნიშვნელობას რომ ანიჭებდა ამ წვრილმან რამეს.

### 3

ერვეს აპოლოა. — მოვასანის ახალი ბიუჯეტი 1889 წელს. — პროტოკოლიანსადმი მიძღვნილი მარაო. — და ბიბლიოთეკის გამართული უპანასკნელი რევიზია. — ბენუის საჯაროობა. — შედის აგრეთვე. — 1889 წლის 13 ნოემბერი: ერვეს სიკვდილი. — დოკუმენტები. — ჩარხის უკუღმა ტრიადო

გი კანიდან პარიზში მამას სწერდა: „ამ წერილის მიღებისთანავე შეძლებ თუ არა, კარელა დაიჭირო და სასწრაფოდ გაემგზავრო ვიდ-ევრარში?“

იქ ფსიქიატრიული სამკურნალოს დირექტორს დოქტორ ბდანშს ამ ბარათს უჩვენებ და თან ეტყვი, რომ მე ჩემი ძმის ჩამოყვანას ოთხშაბათ დიდას ვაპირებ.

დოქტორმა ბდანშმა მითხრა, მეორე კლასში ავადმყოფის შენახვა თვიურად 250 ფრანკი ღირსო. გამიგე, სწორია თუ არა ეს ცნობა; დირექტორს ისიც უთხარი, რომ მე იძულებული ვარ, მეორე კლასს დავჯერდე, რადგან ჩემი ძმა, მისი ცოლი და ქალიშვილი მთლიანად ჩემი საზრუნავია.

მიღებულე სვად ასე: „დავადება შესრულებულია ყვედაფერზე მოვრიგდით.

მაპატიე, რომ უფრო დაწვრილებით ვერა გწერ. პარიზში ოთხ-შაბათს ვიქნები. გუშინ ერვე მონპედრეს წავიყვანე სუდით ავად-მყოფთა თავშესაფარში, საზიზლარი და გუდშემზარავი გიჟები-თაა იქაურობა სავსე. ხვად უნდა ავაკითხო... ერვეს გონება სრულად დაბინდული აქვს. გუშინ სადილობისას შეშის ხერხვა წამლიწყო და მანამ არაქათი მთლად არ გამოუღია, არ მოუშვა. დედამ არ იცოდა ეს ამბავი“.

1888 წლის ბოლოს გი შეიტყობს, რომ ერვეს სამკურნალოში მოთავსებას თავიდან ვერ აიცილებენ. ამის თაობაზე თავის შეგობარ ქადს ქადატონ სტროს სწერს: „ჩემი ძმა ისეთ დღეშია, ვერ მოვცილებივარ. თანაც დედაჩემი დარდმა შეშადა“...

ერვეს სიგიჟე ეძალება. 1889 წლის აგვისტოს დამდეგს გი ტრიედიდან ატყობინებს მამას: „ნულარ იკითხავ, რა დღეში ვართ. აუცილებელია, ერვე სასწრაფოდ მოვათავსოთ ბრონის თავშესაფარში დიონის მახლობლად. კანში იმ კვირის შუა მივემგზავრები. სახდის იჯარას ვადა 1 სექტემბერს გაუღის და ჩემს უკან მობრუნებას აზრი აღარ აქვს. მთელი აგვისტო დაკვარგე და მყუდროების საპოვნელად იახტით კორსიკისაკენ ანდა იტალიის სანაპიროსაკენ გამგზავრებას ვაპირებ. რაც რომანში ფული მერგება, დედაჩემის შენახვასა და ერვეს ავადმყოფობის ხარჯებს დასჭირდება. ვერგის მდგმურები ერთ სანტიმს არ გვიხდინან. ვიჩივდეთ, მაგრამ რა... ერვეს პენსია გამოვუყავი, რაც სამკურნალოში მისი შენახვის ხარჯს ფარავს; დედაჩემსაც მე უბრუნვედევყოფ, მაგრამ შიმშილით რომ არ დაიხოცნონ, ერვეს ცოდ-შვიდსაც უნდა დავესმარო. არა, მართლა რა ძნელი ყოფილა — სუდ ასე მუშაობდე, თავს იფიქავდე, ყოვედგვარ სიამოვნებაზე უარს ამბობდე, არადა ხომ უდავოდ მაქვს სიამოვნების უუღება; ჰოდა, უყურე, როგორ მიდის ასე ეს ფული, მე კი შემეძლო, წინდახედულად მოვქცეულიყავ და შემენახა იგი.

თანაც თავს ცუდად ვგრძნობ. ერთი ხანობა, ვიშის გავემგზავრებო-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ ექიმებმა ერთხმად დამიშადეს იქ წასვლა, რადგან კუჭ-ნაწდავის მოქმედება მოდუნებული მაქვს. უფრო მეტად ამ ორგანოთა მასტიმულირებელი სამკურნალო წყალი მიჭირდება. გერმანიის ან შვეიცარიის რამდენიმე კურორტი

მირჩიეს. მაგრამ იქ სიცივე შემაწუხებს. მირჩევნია, სამხრეთის სათბოთი ვნეტარებდე“.

ამგვარ გაწამაწიაში მყოფი, დატანჯული მოპასანი ფარ-ხმადს მანინც არ ყრის. ფულის გასაჭირი მთავარი სადარდებედი როდია, თუმცა გუდს კი უწუხებს. 1885 წლიდან მოყოლებული საკუთარი წიგნების გამომშვებითა და მათი ხელახალი გამოცემით, თარგმნითა და საგაზეთო წერილების გამოქვეყნებით მოპასანი 40 ათას ფრანკზე მეტს აკეთებს წელიწად. ეს თანხა თანდათან 120 ათასამდე ავა. ოლონდაც ხარჯიც ისევე სწრაფად მატულობს, როგორც შემოსავალი. ასე რომ, იგი გადაჭარბებით არაფერს აჭარბებს. დორას მთლიანად ის ინახავს. ერვეს თავდაპირველად ფესზე წამოღვლმას შევდის, მერმე კი მისი ავადმყოფობის ხარჯებს ფარავს, ხელს უმართავს ერვეს ცოლსა და მის პატარა ქალიშვილს სიმონას, საჩუქრებით ანებივრებს თავის უამრავ საყვარელს, ზრუნავს ჟოზეფინა დიტცელმანისა და მისი შვილებისათვის, გასამრჯედოს უხდის მუდმივ მსახურთ ეტრეტასა და კანში. ხან ერთ სახლს იღებს იჯარით, ხან მეორეს; ასე აილო, მაგადითად, ვიდა შტიდლორფი, თუმცა იქ მადე გუდი აღარ დაუდგა. ყიდულობს ახალ იახტას. მოგზაურობა ფრანსუასთან ერთად ძვირი ჯდება; სხვა არაერთ მის ახირებასაც დიდი ხარჯი სჭირდება — ამის მაგადითად საპაერო ბურთის ამბავიც გამოდგებოდა.

მრუმე ღრუბლები გროვდება ჯმუხი ნორმანდიელის თავზე. ზოგჯერ ისიც მოხდება, კადამი უმტყუნებს. „ვეწამები ეს დღეებია: გავყურებ თეთრად მოედვარე გზას, ბოძისაგან წაფენიდ ჩრდილს და ვრწმუნდები, რომ არ შემიძღია ყოველივე ამის აღწერა“.

მშფოთვარება თანდათან ფესვს იდგამს მასში, სისხლთან ერთად მოუყვება ძარღვებს.

„მაპატიე, ძვირფასო მამავ, აქამდე რომ ვერ მოგაწვდინე ხმა, ძადიან ავადა ვარ და იმისი ბრადია. თანაც, რაც შენ წახვედი, მას შემდეგ ერთი მშვიდი დღე არა მქონია: ახად ფსიქიატრიულ სამკურნალოს ვეძებდი ერვესთვის. ცუდადაა იგი; საშინელი ბორგვენულობა მოუვდის ზოდმე, დედასთან არის კანში და, ვინც მის გარშემოა, იმათ სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის. რომედ ექიმთან არ ვიყავ, ვის აღარ ვკითხე რჩევა. მგონი, ვნახე, რაც

მას სჭირდება: დიონის მანდობდად საავადმყოფოში მოვათავსებთ, პროფესორი პიერე გაუწევს მეთვადყურეობას, განთქმული ბუშარის სიძე გახდავს.

ოლონდ ევაა... როდისღა გადაწყვეტენ ქალები, ან სუდ დაანებონ თავი, ან საავადმყოფოში მომათავსებინონ? მთელი ჭიბიც ეს არის“.

მონპედიე, ვიდ-ევრარი თუ დოქტორ ბდანშის „დასასვენებელი სახლი“ პასიში? აქ ყოველი „არჩევანი“ ერთმეორეზე უფრო საძაგელია. საბოლოოდ ბრონის სამკურნალოზე შეჩერდებიან. მოპასანი დიდხანს ესაუბრა პროფესორ პიერეს. სასოწარკვეთილებას მიცემული, იგი რჩევას ეკითხებოდა მას. პროფესორმა დაამშვიდა. გი მამას სწერს: „ერვე სრულიად შეშლილი ვნახე, ცნობიერების ნასახი არ გააჩნდა. ჩვენდა სავადალოდ, მისი განოჯანმრთელების იმედი არ უნდა გვქონდეს. დედამეშა არ იცის ეს ამბავი“.

გი ცდებოდა. ღორამ ყველაფერი იცოდა. ოლონდ ეს იყო, ერთმანეთს უფრთხილდებოდნენ. დედა შვიდს ეთვადთმაქცებოდა, შვიდი კიდეც — დედას.

„საზარედი იყო ის ორი საათი, რაც ერვესთან ერთად ბრონის სამკურნალოში გავატარე. მიცნო საბრალომ, ატირდა, მკოცნა და მკოცნა, დაიწყო არეული დაპარაკი, შენი ჭირიმეო, აქედან წამიყვანეო“.

ძმის ნახვის შემდეგ სასტუმროში რომ დაბრუნდა, ვი ნომერში ჩაიკეტა და ემანუელდასათვის წერილის წერას შეუდგა:

„ისე დამეთუთქა გური იმის შემყურეს, ან მახსოვს, წინათ ასეთი ტანჯვა განმცადოს. გამომგზავრება რომ დავაპირე, მას კი ნება არ დართეს, ვაგზადში გამოვეციდებინე, გუდისვამკში რავად აკენესდა; ცრემლებს ვერ ვიკავებდი, როცა ვუცქეროდი ამა სიკვდიდმისჯიდ ადამიანს, ბუნების მიერ განწირულს, რომელიც ვერასოდეს ველარ გამოვიდოდა ამ ციხიდან, ვერასოდეს ველარ ნახავდა საკუთარ დედას... გრძნობს, რაღაც საშინელი, რაღაც საბედისწერო რომ ემართება, ოლონდ არ იცის, მანც რა სჭირს...“ მოპასანს ისევე აეკვირება ყოველი ცოცხალი არსების წარმავლობის აზრი: „ეეჰ, საცოდავი სხეული ადამიანისა, საცოდავი სუელი ადამიანისა! რა საზიზღრობაა იგი, რა საზარედი რამაა! პერომ ის თქვენი ღმერთი მწამდეს, უსაშვილო ზიზღს ვიგრძნობდი მის მიმართ!“

მერმე გი ისევ ნაზი, გადანტური, თან ფრივოდური ხდება; გრაფის მეუღლეს ატყობინებს, რომ მას ძველებური მარათ გამოუგზავნა, რომლის უკანა მსარეზე ასადი დექსი დაუწერა ამ სინონიმს:

დექსი გსურთ? არა, ამ ნივთზე,  
ხედში აიღებთ რომელსაც,  
არასდროებით დავაწერ  
ნოველას, გინდა სონეტსა.  
მხოლოდ „გის“ — სახელს წავაწერ,  
რომ სულ გსუდებოდეთ თვადშია,  
ფიქრით ერთვოდეთ ნელ ნაღვს  
და არ მაღავედეთ ხვაშიადს.

დიდი ხანია შეხუმრებულნი არიან, მეგობრული ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან. 1889 წლის 14 ივლისის წერილში, რომელიც გრაფის მეუღლესთანაა მიწერილი, ეს ხადისიანი დალობა აღარ ჩანს, რაც აგრე ემჩნეოდა სენტმარგერიტედ ცედქ ქადზე მოთხრობიდ ამბავს: „იმ საღამოს, სენ-ჟერმენის აღმართს რომ მაგუყვებოდი, დიდ გასაჭირში აღმოვჩნდი, რადგან ჩემს ჯიბეში თქვენი გასაღები და თქვენი პორტმონე ვიპოვე. თავდაპირველად გასაღები შევატრიადე ხედში. გუნებაში ვთქვი: „ოჰ, ღმერთო, ეს გასაღები... რა ვუყო ამ გასაღებს!..“ მერმე გავიფიქრე, ამას კაცი ვერც ისე იოლად გამოიყენებს-მეთქი... მერმე ერთგულები-სა და პატიოსნების გრძნობა წამომეძადა, ავდექი და პარიზის მატარებელში ჩავჯექი... ჯერ ის აზრი დამებადა, იმ თქვენი კედლების ფერის მოსასხამი მეყიდა და თქვენი კარის წინ რომ შესასვდედია, იმის ჩრდილში დაგდოდებოდით. მაგრამ კარგად რომ ავწონ-დავწონე, ფრიად საფრთხილო მეჩვენა ეს ამბავი. ჯერ ერთი, თქვენს პირდაპირ რომ კარია, ის კვდავ დალუპვას უქადდა თქვენს პორტმონეს და ჩემს სათნობას (ეტყობა, პირდაპირ ტუდიეს განცხრომის სახდი ყოფიდა. — ა. დ.); ეგეც არ იყო, თქვენ რომ ვინმე პოდიციის აგენტთაგანი გყოდოდათ იქ დადარაჯებულდი, აიღებდნენ და დამიჭერდნენ. ჰოდა, რას იტყოდნენ, ვილავ დოყდაპია შეყვარებული ყოფიდაო, ამას იტყოდნენ...

ნახვამდის, ქადბატონო, მოგესადისებით და შეგეფრქვევით, ვით საპატიო მეუღლე და ნამდვიდი მეგობარი“.

განქორწინების პროცესი რომ ყოფიდიყო, მოსამართლე დი-



დად გაკვირდებოდა: როგორ უნდა შეეთავსებინა ერთმანეთთან „საპატიო მუღღე“ და გასაღების ის სიმბოლური ამბავი? ასეთუ ისე, ვარდისფერი მარათ ვერ ფარავს წრფედ, ნამდვიდ განცდას, მოახდლებული სიკვდილის მძაფრ წინათგრძნობას: „არასოდეს მიგრძნია თქვენთან სიანდოვე ისე ცხოვრად და სათუთაჲ. არასოდეს თქვენი მეგობრული კეთილგანწყობა ისე ძალიან არ მიგრძნია, როგორც გუშინ ვიგრძენი.

კეთილი ინებეთ და ღირსი სიტყვა მომწერეთ, ის ღირსი სიტყვა, რაც შეგიძლიათ ზოგჯერ ოთხ გვერდად აქციოთ“.

უფრო მეტს ამ სასიყვარულო მეგობრობისას ველარას გავიგებთ. ერთბაშად ასკდება ზღუდეს გი, ვილას სცადია ხუმრობისათვის, გუდს კვნესა აღმოხდება: „თუ ძმის სიკვდილმა წინ უსწრო დედაჩემის სიკვდილს, ადბათ დედაჩემის დარდი მე თვითონ შემძღვის ჭკუაზე. ოჰ, საბრადო ქალი, რამდენი ტანჯვა განიცადა, როგორ დაეწეწა ნერვები, როგორ გააწამა ბედმა ქორწინებია შემდეგ!..“

1889 წლის აგვისტოში გი ჯერ ისევ ტრირელსა და და გიიეტა შორის იყო ორად გაჭრილი. „დოვიდიდან იახტები მოდიოდნენ, — მოგვითხრობს ჟან დორენი, — ავადისა და ამონის უბებებს შორის რიედზე ღუზას ჩაუშვებდნენ, მერე თავქარიანზე თავქარიანი თავადის ცოდები და მხიარულზე მხიარული მარკიზები ნავებში სხდებოდნენ, „დამაზი მეგობრის“ ავტორთან სტუმრად მიემშურებოდნენ. 18 აგვისტოს ნავსადგურში შედის ორთქლის იახტა „ბულდოგი“. ქალები კანჯოებით მიჰყავთ ნაპირამდე: ოქროსსაყურებიან მატროსებს ხედში აყვანილი პარიზელი ქალები ნაპირზე გადაჰყავთ, ცხვირში სუნამოს მძაფრი სუნი უღიტიანებთ და აცხიკვებენ. პროცესია დაქაქითა და ტიკტიკით მიემართება და გიიეტისაკენ.

გის ვიდაში დურჯბღუზიანი დამკვრელები კასრებზე დასკუპებულან. ერთიმეორეს ცვლის მაზურკა, პოდკა, ვადსი თუ კადრილი. სახედდახედოდ გამართული ფანდუდებიდან რეზედისა და ფიჭიანი თაფლის გამაბრუებელი სურნელი დის. მოპასანს გუდზე მოუკრავს ერმინა და ვადსს ეცეკვება. აჰ, ეტრეტაში, ერმინა მისა „საპატიო მუღღე“.

პატარა მდედობზე სტილიზებული ბოშა ქალი ბანქოთი მარჩიოდობს. მოპასანის მეორე მეგობარი ქალი ბუფეტის დახდს უკაწ

დამდგარა. ერმინა სტუმრებს უმასპინძლებდა, თან გახარებულა და აღედგებულდი გადახედავს ხოლმე მოპასანს: აგერ აქ არის გო, ეტრეტაშია, ბედნიერი კაცის იერი აქვს.

— დაუსხით სტუმრებს, დაუსხით! — ამბობს სახლის პატრონი. — ყველაში დადიოს!

დატარიას გაითამაშებენ. ვინც იღბდიანი გამოდგა, კურდღლი ან ცოცხადი მამადი ერგო.

მერმე სტუმრებს სიურპრიზი ედით; სახლის პატრონი ხმამაღლა აუწყებთ მათ ამ ამბავს. ყვედანი ხეივანში გროვდებიან, მირიუს მიშედის სურათს აქეთ-იქიდან ეხვევიან. სურათზე ფესქობით დაკიდებულდი ტიტვედი ქადია დახატული. სტუმრები ვანცვიფრებას ვერ მადავენ: ნახატი ნამდვიდი გეგონებათ. ცხადდება პოდციედი. თვადებს მრისხანედ აბრიადებს, სურათს სინჯავს, შერე გრძედ დანას იძრობს, მოიქნევს და იმ დაკიდებულ ქადს მუცედში წასცემს. იჩქეფებს სისხდი. კურდღლის სისხდი.

— წინებუდია! — შესძახებს მოპასანი. — წინებუდი! ვანგვირავც ამას ჰქვია.

ჯერ კიდევ რეპეტიციას რომ ატარებდნენ, მაშინ ამბობდა იგი:

— ეს ძადიან სასაცილო იქნება. გავაკრავთ ვანცხადებას: „ქადებს ეკრძადებათ ახლოს მისვდა!“ აბა, მაშინ უნდა ნახო, დას მიაწყდებიან.

მაყურებდნი ერთბაშად ჭადისაკენ მიაბრუნებენ თავს. იქ, მდელობზე, ვილაც ორი კაცი გამოიჭრება. ბრახსა და აღშფოთებას გამოხატავენ, იმ „მკვდეღს“ მისცვივდებიან და ბუდრუგანაში შეაგდებენ, რომედსაც კარებზე „ცისე“ აწერია. ბუდრუგანა მყისვე კვამდში გაეხვია. ის აბურძგნიდი, შემზარავი არსება ისე გამოვარდება კვამდში წანთქმული ბუდრუგანიდან, როგორც ტარტაროზი ჯოჯოხეთიდან. ეტრეტედი მეხანძრენი წყდის ჭავდს მიუმიზნებენ „მკვდეღს“, ტიტვედი ქადს, ჟანდარმებს, მერმე იმ თავის ბრანდსპოიტს ჯგროდ შეყრიდ სტუმრებს მიუშვერენ, სტუმრები ჟივიდ-კივიდით გარბიან.

მოპასანი აღტაცებუდია ამ სანახაობით. საგაზეთო ქრონიკა — „პოდციედი-მკვდედი“ — უნახავს და იქიდან გადმოუღია ეს ამბავი. სიციდისაგან დამის დაოსდეს.

ლამე ჩამოდგება და ყვიდაფერი მიწყნარდება. ახლო მეგობ-

რები და ბიკოკში ერმიწასთან მიდიან სავახშმოდ. ვილაც მოხუცი როიადს მიუჯდება და წყნარად უკრავს სანტიმენტადურ მელოდიას, მანდილოსანნი თავიანთ ნაქარგ ცხვირსახოცებს ამოიღებენ და თვადზე მოისვამენ. იმ მოხუცის გვარი მასნე ვახდავა, მისმა „ვერთერმა“ ჯერ კაპიკის შემოსავადიც ვერ მოუტანა. მოპასანს ჭირივით ეჯავრება გადაჭარბებული გრძნობიერება. ოლონდ ფულს მაინც ეებს ვერცხდის სინზე.

ვის სახეზე ვენეციური ფარნების ნაირფერადი ათინათი დასთამაშებს. იგი უკანასკნელ მეჯდისს მართავს და გიიეტში.

მაროკოს მოგზაურობა არ შედგა, გი ისევ იტალიის სანაპიროსაკენ მიემართება. „ღამაზი მეგობარი“ აფრებს შდის და მოზღენიდი სვდით შორდება ნიცის მისადგომს. კაპიტნის ბოგუნაზე შემდგარი გი თანამგზავრებს უწვენებს მდიდრუდ, მოქათქათე ვიღებს და ავგუსტუსისადმი აგებუდ ქვავს.

12 სექტემბერს „ღამაზი მეგობარი“ გენუის ნავსადგურში შედის, ეები რონდოლების მშობლიურ ქადაქს მიადგება. „სანაპიროზე სამოც თუ სამოცდაათ რივად ედაგა პირგადასწინიდი მეწამული საზამთროები... აღისფერ წვენდადენიდთ წითლად გადაელაღებინათ იქაურობა. იფიქრებდი, აჟივილებული ხადსი გასისხლიანებული ნადირის ზორცს თუ მისძადებიალ“...

ნავები მძალე ერბოს, საპნისა და სარდინის სუნს აყენებენ ირგვივ. ქაშაყიანი კასრების უსიამოვნო სუნი ფისის ცხარე სურნელში ირევა: „ფეკანი რომ ნივრის სუნით აგეყროლებინოს, ისაა, რალა“. მოპასანს არ უნდა ამ მყრად გუბეში დგომა. „დიდი თეთრი ფრინველი“ ყურედან გადის, გებს პორტოფინოსა და სანტა-მარგერიტასაკენ იღებს.

მოპასანს უყვარდა სანტა-მარგერიტა. „მე თითქმის არაფერს ვაკეთებ. მეტად წარმტაცია ეს მხარე, მეტად კაშკაშაა აქაური მზე, მეტად თბილია აქაური ჰაერი. მეც ვისვენებ“.

რამდენიმე დღის შემდეგ მაინც ერევა დალდილობა. მოსადლოდნელიც იყო ეს ამბავი: ექიმები ტყუილად როდი აფრთხილებდნენ. ერთობ უჭირს იახტაზე ცხოვრება. რაიმონმა გოლიათ პოლიფემესავით სვრინვა იცის, ვის ძიდი უკრთება ზოდმე. მოპასანი სანტა-მარგერიტაში ავეჯით გაწყობიდ ბინას ქირაობს ერთი თვით და იქიდან მატარებლით ჩადის ტოსკანაში.

გი საღამოს ათ საათზე ჩამოდის პიზაში და დასაძინებლად წვება. მეორე დღეს, დიდადრიანვე, კოსტად ჩაცმულ მეეტლეს იმ ადგილისკენ მიჰყავს ბატონი და მსახური, სადაც ღორძმა ბაზრონმა ცეცხლს მისცა შედის სსეული. ოცდაათი წდის პოეტი სპეციის ყურეში დაიხრჩო 1822 წელს. მისი გაბერიდი და დამახინჯებული სსეული ათი დღის შემდეგლა იპოვეს. შედის ქმნიდებები მოპასანს მადარმემ გააცნო. ინგლისელი პოეტი მისთვის მახდობელი იყო განა მარტო როგორც რომანტიკოსი — როგორც ზღვის ტრფიადიც.

ფრანსუა, ვინაც, ჩვეულებრივ, პრეტენციოზული და უგერგი-დლა, როცა თავისი პატრონის სახელით დაპარაკობს ხოლმე, წერა:

„ასე გამოვივონია, რომ მას გასათყარ სიამოვნებას ანიჭებდა ბობოქარი ზღვის სტიქიასთან შეხვედრა. ეს ამბავი დიახაც სარწმუნოდ მიმაჩნია, რადგან ყოველი ხედოვანი ახად-ახად ემოციათა და შეგრძნებათა ძიებაშია მუდამ“.

მოპასანს სურდა, ყვედაფერი ენახა: არნოს საქცევი, კამპო სანტო — უზარმაზარი სასაფდაო, რომედსაც ფრანსუამ გრანიტიას და მარმანიდლოს ფიდების უსარგებლო თავმოყრა უწოდა. ფდორენციით მოხიბლული გი ამ მშვენიერ ქადაქს ტიცვიანისეულ ვენერას ადარებდა. „ფდორენციას... დამის ვნებიანი დტოდვით მივედტვი; იგი ერთიანად — გაშხვართული ქაღია თითქოს... ურცხვად გადწოდდი, ტიტვედა და თვადღურსა, ოქროსფერკუდუდება, ეს-ეს არის რომ გამოუღვიძია“...

მაგრამ ავადობისაგან აქაც საშვედი არა აქვს მოპასანს. „მთედი ექვსი დღის მანძილზე ფდორენციაში სისხდდენა მაწამებდა, თანაც ოცდაცხრამეტი გრადუსი სიცხე მქონდა“. მას ტანჯავდა „ცუდად შეხორცებული იარა მუცდის არეში, მუცედი ვაშდით გატენიდი ტომარასავით წამომებერა“. 27 სექტიმბერს იგი ერმინას შესჩივის: „ტვინი და კუჭი ისეთ სავადადლო დღეში მაქვს, მუშაობას თითქმის ვერ ვახერხებ“!

თვადები სტიკოვა. შაკიკი უფრო და უფრო ხშირად აწუხებს. შემდგომ მოგზაურობაზე ძადაუნებურად ხედს იღებს.

გი 31 დეკემბერს მატარებლით დაბრუნდა კანში. დორა ქვითინით გადაეხვია ვაჟიშვიდს.

1889 წლის 13 ნოემბერს, საშინელი აგონიის მერე, დღონშა 33 წლისა გარდაიცვალა ერვე. შემდგომ წელს გი ერვეს საფლავა ინახულებს; საფლავის ძეგლი, რა თქმა უნდა, უფროსი ძმის სახსრებითაა დადგმული.

გი დიღანს იღვა სამარესთან — იღვა უპრავად, მწუხარებისაგან განადგურებული.

— მესიე თავს იტანჯავს...

— რათა? ახ, თქვენა ხანთ, ფრანსუა... ევერ, შორს ხედავთ რონას? თვადს მოგტაცებს კაცს!.. მე ვნახე, როგორ კვდებოდა ერვე. ჩემს მოღოდინში ყოფიდიყო. არ უნდოდა უნემოდ სიკვდილი: „გი, ჩემო გი!“ ისეთივე ხმა ჰქონდა, როგორიც ვერგიში, როცა პატარა ბიჭი იყო და ბაღში წავიდეთო, შემომპაჩებდა... ფრანსუა, მან ხედზე მაკოცა....

თვადების ტკივილთან ერთად ეს ერთი ხანია საერთოდც შეუძლოდ გრძნობს თავს. უძლიერდება სარკეების შიში, რამაც 1882—1883 წლებში იზინა თავი; უფრო ხშირად აწუსებს ჰაღუცინაციები.

გი, თავისივე სომადლისა არ იყოს, ქარების ციკლოტიკიას ემორჩილება. ბზრიადას:ვით არის, დალდა არ იცის, რაა. ტრიალის სისწრაფე კი მატულობს. მისი ცხოვრების შენელებულ ტუპსს უცარი გამგზავრება არღვევს ხოდმე პერიოდუდად — გამოსდება ორთა კვირა, დაკრავს ფებს და გაემგზავრება, გაივლის კიდევ ორი კვირა და ისევ გასწევს საითმე. ამ მოღივლივე ზედაპირს მიღმა, თუნდაც ენთი დღის ფარვლებში იყოს, მოძრაობის სისწრაფე სუღ უფრო მატულობს. მასხრობანარევე ეიფორიას მოსდევს ღრმა დეპრესიის პერიოდები. ეს პერიოდები სუღ უფრო ხშირი და ხანგრძლივია...

1889 წელს, წიგნზე — „ჩვენი გუდი“ — მუშაობისას, მოპასანს ჰაღუცინაცია ეწვია. ეს ჰაღუცინაცია მან იმ საღამოსკე აღწერა. მწერადი სამუშაო მაგიდას უზის. იღება კარი. მწერადი მიტრიაღდება. ეს თვითონაა, რომ შემოდის. მოპასანი ჯდება მოპასანის წინ და თავზე ხედს ჰკიდებს. გი შეძრწუნებული უცქერის იმ მეთრეს. ორეულს კვდავ ზედით უჭირავს მისი თავი და ისე იწყებს კარნახს: მოპასანიც წერს. როცა თვადებს ამართავს, ორეული იქ აღარ არის.

ამ ამბის უტყუარობას ბევრი კვიდასტურებს. რაღა გასაკვი-

რია, თუ ჟიზედ დ'ესტოკის ანქივში ეგვე ვერსია ვატილებით უფრო დაწვრილებიანაა ვადმოცემული: „საღამო სარტრუვიდში. ჩემი მიჯნური გაუნძრევლად ვაშოტიდა ღოგინზე.. სძინავს ნეტა? უცებ მესმის მისი ყრუ, ნაწყვეტი-ნაწყვეტი ხმა, თითქოს ქარის წამოქროდას მთაქვს სიტყვებით. „აგერ უკვე მესამედ გამაწყვეტინა მუშაობა. თავდაპირველად ბუნდოვანი და გუდგრიდი სახე ჰქონდა, როგორც სარკეში არეკლიდ პორტრეტს აქვს. მაშინ არ გამოიღობარაკებია... მუორედ რომ მომვედინა ის აჩრდილი, ჩემს ძმამზე უფრო მეტად მგავდა მე და უფრო ცხადად არსებულა მეჩვენა. ის მართლაც ბოლოას სტეფია ჩემს კაბინეტში; მესმოდა მისი ნაბიჯის ხმა. მერმე სავარძელში ჩაეშვა. მიმოხრა დაღ და ბუნებრივი ჰქონდა, თითქოს შინ ჰვლნია თავიო; როცა წავიდა, ვნახე, ჩემი წიგნები ერთი ადგილიდან მეორეზე გადაეწყო... და როცა მესამედ მესტურია, მაშინლა ვიაზრე, რა ფიქრი უტრიადებს თავში ჩემს „ორეულს“. ლეზებუა, როცა თავის სიახლოვეს დამიგულებს; დიახ, იმიტ არის უკმაყოფილო, რომ მე ვარსებობ. ვბუღვარ და ვეზიზლები — იცი, რატომ? იმიტომ, რომ ჩემი წიგნების ნამდვიდი ავტორი მხოლოდ და მხოლოდ თავისი თავი ჰვლნია მქურდავო, აი, რაში მადანაშაულებს“.

კულისებში მიმადული დეპედენცერი უკვე შეუპყრია მოუთმენლობას.

1889 წლის შემოდგომაზე ბოდ დე მორსედე ოსმანის ბუღვარზე შეხვედება მთპასანს. გი ხელებს იქნევს, თითქოს ფიქრში წარმოსახულ მსმენელთ ეპაექრებაო. უეცრად ბოდი რომ წამოაღებუა თავზე, შეცბუნდება და უხსნის, ეს-ეს არის გამოვლდი მთქანდაკის სახედოსნოდან, ის მოქანდაკე თავისი სათცრად დიდრონი ხელებით პაწაწინა ფიგურებს ძერწავსო (ეს მოქანდაკე გასდავთ როდენი, რომლის „დიდრონი“ ხელები გვხვდება რომანში „ჩვენი ვუდი“).

აღვზნებული მთპასანი თითქმის ყვირილით განავრძობს დეპარაკს:

— ისეთი პაწაწინა ფიგურებია, ისეთი ნაზი ის ხელები კა სულ თვადწინ მიდგას... ევეთი დიდრონია დიდრონი დიდრონი

— წამოსულიყავ, ერთად გვესადიდა, — წყნარად ეუბნება ბოდო.

— არა, საღამოს ცხრა საათამდე დღეს სადილობას არ ვაპირებ.

— აქ რაღას აკეთებ?

— ხომ სედავ, მადაზე მინდა მოვიდე.

ბოდი ერთობ შეშფოთებული გაშორდა.

როცა მარტედი მოპასანს შესვდა, ედა ეცა, ისეთი მოთქვითი სახე და ფორიაქიანი მზერა ჰქონია მწერადს. „სახე ჩანაცრებოდა, უღვაშები თითქოს დამოკდებოდა, მიდიოდა ზანტად, უსაქმო კაცის ნაბიჯით — გეგონებოდა, ვინმე დაღდი კოდონიური მოხედვა, რომელიც თაკარა მზეზე ხანგრძლივად ყოფნას ანდა ნარკოტიკებს მოუდუნებიაო. თვადებში ზიზლი გამოუკრთოდა გამვდედ-გამომვდედთა მიმართ“.

— კაფე „ნაპოლიტენში“ შევიდეთ, — ეუბნება გი. — არა, არა, ჭრასაზე ნუ დავსდებით ოლონდ!

ქინაქინის არაყს უკვეთავს, ბუზდუნებს:

— არსად არ ვარგა, ყვეღვან ცუდია! აღჟირშიც, ნიცაშიც, კორსიკაშიც, ნეაპოლშიც. ორაგული და „სენ-დორენ-დიუ-ვარის“ ღვინო კი კარგია! თუმიცა...

— კი, მაგრამ, — ეუბნება პოდ არენი, ვინც მარტელს ახდავს, — თქვენ ხომ საკმაოდ კარგად ცხოვრობთ ანტიბში: ხამანწკა გინდაო, ზღვის ზღარბიო, გვედთევზაო, ზეთისხილიო...

ეს საუბარი გუღს აფხანინებს პოდ არენს: ანტიბს ვერ იტანდა.

— რა თქმა უნდა, იქ უკეთესად ცხოვრობენ, ვიდრე პარიზში. გი ტანკრედ მარტელს მიუტრიადებთ:

— წაიკითხეთ გუშინწინდელი „ჟიდ ბლასი“?

— როგორ არა, რასაც თქვენ წერთ, ყვედაფერი მაინტერესება და აღტაცებას მგვრის.

— ჩემს გმირს თქვენი სახედი ვუწოდებ.

„ღებ რონდოღებზე“ დაპარაკისას ვიმ აღიარა, სახედისა და გვარის მოგონება არ მესერხებო. „გამოცდაში“ თავის გმირს ტანკრე დაარქვა.

— ტანკრე განა ისეთი გვარია, სამისამართო წიგნში იპოვო. რაც საფრანგეთი არსებობს, მას აქეთ არც ერთ ფრანგს ტანკრეს გვარი არ უტარებია.

— მომიტევეთ, ოსტატო და მეგობარო...

— მოგიტევეთ? რის გამო?

— ტანკრე დუი მეთოთხმეტეს დროს ცხოვრობდა.

— დამომტკიცეთ.

— ვინმე ტანკრე შარტრის პერცოვის, მომავალი რეგენტი, ექიმი ყოფიდა 1687 წლის აგვისტოში.

— დარწმუნებული ხართ?

— მასზე დაპარაკია რასინის მიერ ბუადლოსათვის მიწერილ წერილში...

მოპასვანი დაჟინებით უცქერის ტანკრედ შარტიდს. სახე ექუფრება. მაშინვე დგება და გასასვლელისაკენ მიემართება, გზადაგზა ხან ერთ მაგიდას წამოედება, ხან მეორეს.

ეს ყოველივე — გუნება-განწყობილების ამგვარი მკვეთრი ცვლა, ერთბაშად ასე წამოხტომა და გაუჩინარება, ხედების ქნევით პაექრობა წარმოსახულ თანამოსაუბრესთან, დავიდარაბა ატეხა პრინცესა მათილდასთან და სხვა ადგილებში, რაც მთავარია, ორეულის კვდავ გამოჩენა სარბიელზე, ორეულისა, რომელიც გერმანული დეგენდების მიხედვით კარს მომდგარი სიკვდილის მათუწყებელია და რომელსაც თავის დროზე ბიძამისი ადფრედ დე პუატრენი შეეყარა, დიახ, ეს ყოველივე დასასრულის დასაწყისს მოასწავებდა.

გის ოთხი წლის სიცოცხლეა დარჩენოდა. დაწყებულიყო ცხოვრების „ჩარხის უკულმა ტრიალი“.

#### 4

მღვდელი და მთავარი. — უსარგებლო სიღამაზე. — სამეურავი მთავარი. — მთავარი. — „რევიუ დე დე მონდი“ და საპატრო დევიოლო. — კავშირი მონდი. — მთავარი დე ბიურნის პროტოტიპები. — თავსატეხი მთავარი. — „მალადი შრის ძაღვის“ ბაღუაი. — ანატოლ ურანსი ბანდი. — ხილავს „ჩვენს გულს“. — ბოლო მოსაყვადი

აგერ უკვე ერთი კვირაა, რაც მოპასვანი გაშმაგებულია, მის ქვემოთ რომ მიფუნთუში ცხოვრობს, ყოველდამ ჯოჯოხეთურ ხმაურს ქმნის. არადა, სახლის პატრონმა, ვიდრე ამ ბინას მიაქი-



ბავებდა (პირუგოს ქ., 14), ვი დაარწმუნა, ძადიან წყნარი სახდიათ. რას ნიშნავს ვითომ ეს ამბავი? წახდა ქვეყანა ველარავის ენდობი კაცთი გარშემო ყვედა არამზადა და შექანებულდია!

18 დეკემბერს ვი საქმეთა რწმუნებულის რჩევით ქადაქ პარიზის არქიტექტორს იწვევეს, ხმაურის მიზეზები გამოვარკვევინოთ. მეკარეთა ყურადღება რომ არ მიიქციოს, ვი სადიდ-წვეულეზას მართავს. არა, ეს წვეულეზა სრულებით არ ჰგავს იმ დხინსა, რასაც ის კეკლეც გრაფინიებს უწყობდა ხოდმეი აქ მეფობს „მღელვარების ატიმოსფერო, გამოწვეული ინფლუენცის ეპიდემიით“, — გვიმოწმებს ფრანსუა. სადიდს რამდენიმე ექიმიც ესწრება. ერთ-ერთმა ექიმმა გაუფრთხილებდად განაცხადა, სული არ არსებობსო! ყვედა სტუმარი მაშინვე კამათში ებმება. „უცებ (ჩემმა პატრონმა. — ა. დ.) შეუვადი კიდოთი თქვა: „მე რომ საშიშად ვყოფიდიყავ ავად და ჩემიანებს მღვდელი მოეწვიათ, მივიღებდი იმ მღვდელს!“

სტუმრები გაოცებულნი არიან. ერთი მათგანი აცხადებს, მოპასანმა ეს მოკამათეთა შესარიგებდად თქვაო. მოპასანს უკმაყოფილება ემჩნევა; თაიგულიდან ვარდს იღებს და ნედ-ნედა აცდის ფურცლებს.

მეორე დღეს ვი ფრანსუას ეუბნება:

— ბოდოს და ბოდოს, თუ მომესურვა, ჩემს სასიკვდილო სარეცედთან მღვდელი მოვაწვევინო, ავდგები და მოვაწვევინებ კიდეც! მე არ ვაპირებ, სხვების აზრს ანგარიში გაუწიო...

ამით არაპირდაპირ გამოთქვა თავისი ნება-სურვილი. ფრანსუა მარტოდენ მეგობარი, მესაიდუმდე კი არა, პატრონის ნების ყვედაზე საიმიელო აღმსრულებელიც გახდდათ.

როცა მყურდობის ყუამი ჩამოდგება ხოდმე, ვი გამწარებულდ წერს. მარტში კარგა წინ წასწევს რომან „ჩვენს გულს“ და ახდა მთლიანად გართულია ნოველის—„უსარგებლო სიღამაზის“—წერით. კანიდან ოდენდორფს მისწერა: „უსარგებლო სიღამაზე“ ჩემთვის ერთი ყვედაზე უფრო უჩვეულო ნოვედათაგანია... გაიხსენეთ თქვენი გატაცება „მონტ-ორიოდით“, რომელიც მე თვითონ მაინცდამაინც არ მომწონს და, კაცმა რომ თქვას, დიდი არაფერი-შვილია“.

თავად ვი ადარებს „მონტ-ორიოდს“ „უსარგებლო სიღამაზის“ თქმა არ უნდა, ამ ორ ამბავს ბევრი რამ საერთო აქვს.

სურ რამდენიმე წელია განვლო იმ რომანის შექმნიდან და გა ისევ გამოხატავს თავის ზიზღს დედობისადმი. მოთხრობა „უსარგებლო სიღამაზე“ თუმცა იმ სიმაღლეზე სულაც ვერა დგას, რა სიმაღლის დაპყრობაც მოპასიანს ხედეწიფებოდა, მაინც ეტრეტედა დონ ჟუანის ესთეტიკურ ანდერძად გვევლინება. „უსარგებლო სიღამაზე“ უსაზღვრო იდეადიზაციაა ქადისა. მერედა, რას წარმოადგენს „ქადი“ ამ კაცის თვადში, ვინც ასე ეტრფის მშვენიერ სქესს? საუცხოო მწვადს, რომელსაც ისე ვირჩევთ, „როგორც ხორცის ნაჭერს ირჩევენ ხოლმე საყასბოში“? სწორედ აგრეა ოლონდ აგრე იმიტომაა, რომ არ შეხვედრია ის, ვიზეც უოცნებია, — „იშვიათი, გამორჩეული არსება“. არ შესვედრია ზეალმტაცი, ერთადერთი, „ყვედაზე სანუკვარი ვინმე!“ მოპასიანი ხორცის ნაჭერს მხოლოდ იმიტომ სჯერდება, რომ აღმერთებს მარტოოდენ ამაღლებულსა და „ურგებ“ ქადს, უწინარეს ყოვლისა კი ბერწს; ბოდერისეულ საუნჯეს, სადომეას, ქადს, გუსტავ მოროს მიერ მდიდრულ ჩარჩოში მოთავსებულს. გი მაიას, ზმანებას ეტრფის. ქადი და ერთგული მოზიარე ჭირსა თუ დხინში მოპასიანისათვის შეუთავსებელი რამ არის. იმ დროს, როცა ქადი უკვე იპყრობდა გაზეთს, დიტენატურას, მაღაზიას, მხატვრობას, სიმღერას, იგაჯერ ისევ ეძიებდა „მაცდურ ვინმეს, ჯადოქარს, გუდის დამატყვევებელს“. რალა გასაკვირია, გუდისწყრომასა და აღშფოთებას გამოხატავდეს, თუ მცირედი ნაკლიც უპოვა იმ ღვთაებას სძულს მტრამა-მტრუში, უადგილო სიტყვა. „ყვედა ეგენი შეპყრობიდა არიან სურედური მანიით, რალაც ქვეშეცნეული და ბრიყვული ჟინით, მაინცდამაინც უდროო დროს არ მოგცენ ხოლმე საშვედი“. უარყოფიდი ქადის ადგილს უმადვე სხვა ვინმე იჭერს.

მაში, რატომ არ უნდა მიჰყვეს ფლობერის რჩევას? რატომ არ უნდა გაარიდოს იმათ თავი? კი აბა! განა ტყუილადაა მხეცკაცას, პადერმოს ვერძის ჯურისა, თავი როგორ დაანებოს... თუმცალა აღშფოთებით ის აღშფოთებს, ქადი რომ შთამომავლობის გაგრძელების ინსტინქტს ემორჩილება. დამცინავი და გესდიანი ხდება, როცა მისი თანდასწრებით იტყვიან ხოლმე, დედობა მშვენიერი რამ არისო; ციცხდდება იმის გაფიქრებისას, ქადი შეიძლება ჩემი თანასწორი — მეგობარი, მოკავშირე შეიქნესო; ხოლო როცა ფიქრობს, შესაძლებელია დედა გახდესო — რა საძაგლობაა! — მაშინ ხომ მთად ცოფდება და ის არის. ქადი მხოლოდ ტკბობისათვის ვარგა.

მოპასვანისთვის მიუღებელი ჩვეუდი ადამიანური ურთიერ-  
თობანი.

იმისათვის, რომ იარსებოს, ინდივიდუუმი ზოგ შემთხვევაში  
იძულებულია, მთლიანად და უსიტყვოდ შეურიგდეს თავის დამაქ-  
ცილებელ ყოფას. და მაინც იგი უსამართლობად მიიჩნევს ამას;  
უსამართლობის ეს გრძნობა ან დაბადებითვე თან სდევს, ან რაი-  
მე უბედური შემთხვევის შედეგად გასჩენია, ანდა რაიმე არასედ-  
საყრედ გარემოებათა დამთხვევის გამო. ღრმად ჩამარხული ე  
გრძნობა ზოგჯერ მაინც მულავნდება. კაცი მსაღოდ თავს გაჩ-  
ვენებს, ბედთან შესარიგებლად საჭირო ძადა ვიპოვეთ, სინამ-  
დვიდეში კი საკუთარ თავს ეთვადთმაქცება.

ამგვარ ყოფაში ჩავარდნილ კაცს ერთი საშუალებაა აქვს სი-  
ცოცხლის გასაგრძელებლად: ვინმე დაადანაშაუროს, განტევებია  
ვაცი მონახოს. საამისოდ შესაფერისი ერთი ობიექტი ანსებობს  
მსოღოდ — ღმერთი. ამიტომაცაა, რომ ასეთი კაცი სუდ მუდამ  
ძრახვასა თუ ძაგებას მიმართავს, იმავე დროს ისწრაფის, პრინ-  
ციპულად ახალი რწმენა პოვოს სათავისოდ. ამას იგი „ღმერთის  
საქალაღდეში ქექვას“ ეძახის. ღმერთია დამნაშავე, სიყვარული  
რომ შებიღწა, ადამიანის ბედნიერება შეუიღებელი რომ გახადო.  
„რახან მაგ ხედმომჭირნე და არაკეთიღმოსურნე შემოქმედმა ჩვე-  
ნი სხეულის ორგანოები შექმნა და თითქმის თითოეულს ორ-ორ  
მიზნის სამსახური დააკისრა, რატომ არ ამოირჩია ამ წმიდა მი-  
სისათვის, ადამიანის ფუნქციათაგან ყვედაზე უფრო კეთიღმო-  
ბიღურისა და ყვედაზე უფრო ამაღლებულისათვის, რაიმე სხვა ორ-  
განო, რომელიც ეგოდენ საზიზღარი და შემწიკვდული არ იქნე-  
ბოდა?.. ძადაუნებურად იფიქრებ, დამცინავსა და ცინიკოს შე-  
მოქმედს თითქოს განზრახ ის მიზანი დაესახოს, სამუდამოდ მო-  
ესპო მამაკაცისათვის საშუალება, ქადთან შეხვედრა გაემშვენიერ-  
ებინა, კეთიღმობიღებისა და იღეადურობის შარავანდით შეე-  
მოსა“.

ქადების მაცდუნებელს, წარმატებულ საქმოსანს, საფრანგეთის  
ერთ-ერთ ფრიად დიდ მწერადს არ დასცადდა საბოღოდ ფორმი-  
რებუდიყო, ცინიკოსად ქცეულ რომანტიკოსს სიცოცხლის დასას-  
რუდამდე გაჰყვა ბავშვური უპასუხისმგებლობა, გაჰყვა იმის გა-  
მოდ, რომ დორას გვერდით მარტოხედა მამაკაცის უცნაურ ცხოვ-  
რებას ეწეოდა.

ინგლისს მცირე ხნით გამგზავრების შემდეგ, 1890 წლის 30 აპრილს, მოპასანი ბოკადორის ქუჩაზე გადადის. ახად ადგილზე დაღაგებასა და მოწყობას აპათიისაგან გამოჰყავს იგი. „ჩემი ახადი ბინა ძადზე დამაზი იქნება, თლონდ ერთი უხერხულობა ექნება... კახედა კონტა თათხი, რომელიც შეიძებოდა სატუადეტიოდ გამომეყენებინა, ფრანსუას უნდა მივცე, რადგან მისი თავი მუდამ ჟამს მჭირდება: უძილობის შემთსვევაში, რასაც საშინელს ჩვენებები თან სდევს, ექიმებმა მირჩიეს ხერხემაღზე კოტლშების დაყრა“.

წლების მანძილზე გის გემოვნება უფრო გაუფაქიზდა. დიდხანს ესაუბრება ხედოსნებს, განსაკუთრებით მეშპადერე კაკელიტერს. როგორც ყოველთვის, ყვედაზე მეტ ფუდს შპადერის გაკვრაში, ავეჯის გადასაკრავსა და ფარებში სარჯავს. სათუთაღ უჩენს თავთავის ადგილს საგვარეულთ ავეჯს, რომლის აღწერა მოცემულია მოთხრობაში „ვინ იცის?“ (1890 წლის აპრილი).

მერმე კვდავ წყვილიაღში ინთქიმება.

„...თვადი სუდ აღარ მიჭრის. იძულებული გავხდი, ბუშართან მკურნალობისათვის თავი მიმენებებინა: იგი აუტანდად მაძაბვინებდა ნერვებს, რაც მხედველობაზეც მოქმედებდა. არ ვიცო, ვილას მივმართო. ჩემი მეგობარი გრანშე ზოგ რამეს მირჩევს. უწინარეს ყოვლისა, პლომბიერს (თუმცაღა, ბუშარიც იმასვე მირჩევდა) და ერთ-ერთი ცხელი ქვეყნის მთებს“...

ორი წლით ადრე, 1888 წლის ივლისში, ერთმა მოლურიდებელმა კოლეგამ პრესაში ცნობა გამოაქვეყნა, მოპასანმა საპატოო დეგიონის ორდენზე უარი თქვაო. გიმ ყოველი სიტყვა აწონ-დაწონა და ისე განაცხადა: „ჩემთვის სულაც არ შემოუთავაზებიაო ორდენი — მხოლოდ მკითხეს, რას იტყოდით, მინისტრი თუ თქვენს დაჯილდოებაზე იფიქრებდაო. მე მივუგე, ჩემდათავაღ კადნიერება იქნებოდა-მეთქი ასეთ ძვირფასსა და საპატოო ჯილდოზე უარის თქმა, თლონდ არა მსურს, ჯილდოზე წარმადგინონ-მეთქი“...

ვცადოთ, უკეთ გავერკვეთ ამ ამბავში. ჯერ კიდევ „მიუზოტას“ პრემიერამდე (1891 წლის 27 თებერვალი) ჟიუდ კდარეტი სახადხო განათლების მინისტრის მისაღებში შეხვედრია მოპასანს.

— მგონი, მეც იმ საქმისათვის ვარ მოსული, რისთვისაც თქვენ შეწუხებულხართ.

მართლაც ორივენი იმისთვის იყვნენ მისულნი, რომ მხარა დაეჭირათ შუამდგომლობისათვის არქიტექტორ ანდრე დეკონტ დიუ ნუის დაჯილდოების თაობაზე.

კდარეტი მალულად შეავდებს მზერას გის ცარიელ სალიდეს.

— ხომ იცით, რასაც მინისტრი გიპასუხებთ! „ჯერ თქვენ უნდა მოგცეთ ორდენი“!

— ოჰო, მე! მე არაფერი მინდა. მე არასდროს შევირთავ ცოდს. არასოდეს მივიღებ ჯილდოს. არასოდეს ვიქნები აკადემიაში ასარჩევი კანდიდატი. არასოდეს დავწერ „რევიუ დე დე მონდისათვის“.

შემდგომ ვი იტყვის: „მე მართლაც ვამბობდი, არასოდეს ჯილდოს არ მივიღებ და აკადემიკოსი არ გავხდები-მეთქი, მაგრამ ზიზღის გამო კი არ ვდაპარაკობდი ასე; დაუძღვევდი, შესაძლოა, რამდენადმე გადაჭარბებული გრძნობა მომყვება დამოუკიდებლობის და გულგრილობისა, და იმისი ბრადი იყო ეს ამბავი. რაც შეეხება ცოდის შერთვას, მართალია, არ ვაპირებ, მაგრამ ამ საკითხზე მაინც ჭოჭმანით ვდაპარაკობ. როცა საქმე ქაღებს ეხება, არც ერთმა ჩვენთაგანმა არ იცის, რა უგუნურება შეიძლება ჩავიდინოთ მათი გულისათვის“.

გიმ თავისი აღთქმა მარტოოდენ „რევიუ დე დე მონდის“ მიმართ დაარღვია.

1881 წელს მოპასანმა, ვისაც იმხანად ჯერ ისევ მოსდევდა ზოგიერთი ბუჟივადური ხუსტური, თავს განებივრების ნება მიაცა და აკადემიას საკმაოდ უხეში გამოთქმებით დასცინა: აკადემია „თავის უკეთეს ტანისამოსს იცვამს და სანაპიროს კუთხისაკენ მიემართება... დგას იქ და იცდის ბებრუცუნა თვალები უკიაფებს. დამჭკნარ კანზე ფერ-უმარიდი წაუცხია და უკეთესი, საგარეო კბილები ჩაუსვამს; როცა გვერდით გაუვდის ვინმე ოცო წლის ყმაწვილი, ვისაც თვალები ზეცისთვის მიუპყრია, ადგება და გააჩერებს: „ჰეი, ჰეი! ერთი ყური მიგდეთ, ჭაბუკო“!

ადექსანდრე დიუმა-შვილმა განიზრახა, დამაზი მეგობარი გაეაკადემიკოსებინა. საგანგებოდ მიიპატიჟა იგი საუზმეზე, ეგონა, დავიყაბუღებ და თავის კანდიდატურას წამოვაყენებინებო. მიპატიჟების მიზეზს რომ მიხვდა, გის აღმური აუვიდა სახეზე.

— ისევე, როგორც ჩემს მასწავლებელსა და მეგობარ ფდო-

ღერს, მეც ან მინდა, რაიმე საერთო მქონდეს მაგ ღიტერატურულ კუთვანს.

— ნუ გააწყადეთ გული მაგ თქვენი ფლობებითი ფლობერი შეშის მჭრელი იყო, მთელი ტყე მოჭრა მხოლოდ იმისათვის, რა ანის ერთადერთი კოლოფი გამოეხარატებინა.

— დიუმა!

დიუმამ დიდსულოვნად გაუღიმა.

— კარგი, მოპასვანი მე მხოლოდ ვიხუმრე...

მოპასვანი დაშოშმინდა და თვითონაც ღიმი მორია.

მოპასვანმა აკადემიისადმი თავისი დამოკიდებულების ნამდვირი მიზეზი გამოააშკარავა: იგი შურს იძიებდა მოხუციის გამო.

მიუხედავად ამისა, მიშედ დე ბიურნმა და მასთან ერთად მთელმა გუნდმა კეთილსურნელების მფრქვევედ, კაბებით მოშარნიშურე კეკლეცი გრაფინიებისა, რომელთაც ვი სადღონებში აკვირებოდა ხოლმე, ვიკინგის ხსოვნას დალი დასვეს, რაკილამ მოპასვანი მოემორჩილებინათ და მისთვის მცნება შეეცვდევინებინათ.

მართად გახდდათ დონ დეფუ: „მოპასვანს ბოლო მოელო იმ ჟამს, როცა გადაწყვიტა, რესპექტაბელურად ეცხოვრა“. აკადემიისში დიდი ხანია ეძაღებოდა მოპასვანის შემოქმედებას.

რომანში „ჩვენი გული“ მუსიკოსი მასივადი თავის მეგობარ ანდრე მარიოლს ახადგაზრდა ქვრივ ქადს, მიშედ დე ბიურნს, აცნობს, აცნობს თითქმის იმდაგვარადვე, როგორც ოდესღაც ჟორჟ დეგრანმა პოტოცკაია გააცნო მოპასვანს. „რა უცნაური ქადია!“ — უთხრა მარიოლმა გასტონ დე დამარტს ამ ვიზიტის შემდეგ. დამარტს ეღიმიება: „უკვე კრიზისს უჩანს პირი როგორც ჩვენ ყველამ ვავიარეთ ეგ კრიზისი, ისე თქვენც გაივლით?“

მიშედ დე ბიურნი ცდილობს, აცდუნოს ანდრე მარიოლი. ამ ახადგაზრდა კაცს, რომელიც უფრო უხეში, უფრო ვაჟკაცურია, ვიდრე ქადის სხვა თაყვანისმცემენი და რომელიც თვითონ მოპასვანს მოგვაგონებს, უყვარს მიშედი, ოღონდ მიუხედავად ეშმაკურ ზნახვას და გადაწყვეტს, თავი გაარიდოს მას. განაწყენებულად დამაზმანი საცდუნებლად აგუდიანებს. კაცი ემორჩილება, ოღონდ თავს როდი იტყუებს მის გამო: „ბუნებითი და თანვე მარჯვემ ხაზგასმული სიღამაზე ამ კოხტა, ტანწერწეტა ქვრათმიან, ქა-

დისა, რომელიც ერთსა და იმავე დროს სორცსავსეც გეწვევებოდა და აზიზიც, სიღამაზე ქაღისა, ვისაც ჰქონდა ხვევნა-ადერსისათვის შექმნილი საუცხოო მკდავები, გრძელი და ჩამოქნილი, ქუს-ცოკივით მარდი ფეხები და ისეთი პაწია ტერფები, რომ ნაფეხურსაც არ დაამწნევდა, დიას, სიღამაზე ამ ქაღისა ფუჭი იმედების სიმბოლოდ ესასებოდა მარიოდს“.

არსებობდა თუ არა მიშედ დე ბიურნის პოლოტიკი? პირველ ყოვლისა ყურადღებას იქცევს გასაოცარი მსგავსება მხატვარ ჟაკ-ემილ ბლანშის მიერ პოლოტიკაიასთან გაბმულ სამიჯნურო ურთიერთობასა და ვი დე მოპასანის მიერ შეთხზულ რომანს შორის. თავად ჟაკ-ემილ ბლანში ყოველნაირად ეცადა, ამ უიღბლო მიჯნურლობაზე დაწერიდ წიგნს „ეიმერისს“, რომელიც 1922 წელს გამოვიდა, უფრო ავტობიოგრაფიის სახე ჰქონოდა, ვიდრე რომანი-სა: „რომანის ნაწილი, რომელსაც „დუჩია“ ვუწოდებ, სწორედ გრაფის მეუღლე ემანუელა პოლოტიკაიას ამბის თხრობაა“.

ცოტა ხნით ადრე, ვიდრე რომან „ჩვენს გულზე“ მუშაობას შეუდგებოდა, მოპასანი კვლავ შეხვდა მარი კანს, ვისაც დიდა ხანია უკვე ეარმიყებოდა.

მარი კანის მეგობარ ქადთა ვერსიის თანახმად, მიშედ დე ბიურნი თავად მარი გახდავთ. სინამდვილეში რომანისეულ მიშედ დე ბიურნს „ყინუდისებური ცეცხლი“ ახასიათებდა, რაც პოლოტიკაიას ნიშნეული თვისება იყო. მარი კანი უფრო სხვაგვარად ცეცხლით ეგზნებოდა — ამ ცეცხლს ნაკლებად ეთქმოდა ყინუდისებური და ეღვარე; მიანება თუ არა მან პორ ბურჟეს თავი, არ დაუხანებია, ვისთვის დაემტკიცებინა სასიყვარულო კეთილგანწყობა, რაიც, უნდა ითქვას, ფრიად მომაბეზრებელი გახდდათ. მიშედ დე ემანუელას ფსიქოლოგიური ანაბეჭდია; ამ ქადს თავმოსაწონად მიაჩნდა, მოჯადოებუდი მამაკაცები რომ ქოსმენის კოდლივით დასდევდნენ უკან. მეორე მხრივ, მიშედი მარი კანიც არის; მისებრ შეუდარებელი დარბაისდური ქცევა აქვს, რაც მთავარი, მასავით არ სურს, მოპასანთან თავისი კავშირი დამადოს. მაგრამ როგორი გარეგნობა აქვს ამ მომხიბლავ მიშედს? ემანუელასა და მარის ფოტოსურათები თუ პორტრეტები ოდნავადაც არ მიესადაგებიან მარიოდის მიჯნურის გარეგნობას.

ეს სურდ უბრადოდ აიხსნება. რაკი ერმინა დეკონტი დიუ ნუი, ვინაც მიშედში თავისი თავი შეიცნო, გადაწყვიტა, „ჩვენი გუ-

დის“ საპასუხოდ „სამიჯნურო მეგობრობა“ დაეწერა, მაშასადამე, საამისოდ საგულისხმო საფუძველი ჰქონია. მისი გუდცოვობა მოპასანის გმირი ქადის გუდცოვობას მოგვაგონებს, გარეგნობითაც იგი ძლიერ წააგავს მიშელს.

მაღალი წრის ცხოვრებაზე გი დე მოპასანის მიერ დაწერიდ ამ მეორე რომანში თანადროულ მკითხველს სულ სხვა რამ აინტერესებს.

რომანის გმირი ქადი მომავლის არსებად წარმოგვიდგება დღეს, არსებად, ვინაც გაუსწრო თავის დროს, ვინაც ნაადრევად მოევიდინა მამაკაცებს. ეს ქადი — „უცნობი შთამომავლობის ფუძემდებელი, რომელიც არ ჰგავს იმათ, ვინც მისსობამდე ყოფიდა, თავისი ნაკდოვანებითაც კი ხაზს უსვამს საოცარ მომსიბველობას, იმ საფრთხეს, რასაც თავის თავში შეიცავს“.

გი საგუდდაგუდოდ მუშაობდა ამ სახის შექმნაზე. მიშელის მიმართ არ გამოუმჟღავნებია ის დაუფარავი ხორციელი ჟინი, რასაც ფუნთუშასა და რაშელის ხატვისას ამჟღავნებდა.

ჩავხედოთ მოპასანის ხედნაწერს. წვადებით, გაჭირვებით მუშაობდა იგი: „შესაძლოა, ამგვარი ცვიდებუა ყოვედ ორმოცდაათ წელიწადში ხდებოდეს...“ მერყეობს, ჭოჭმანობს, უკან ბრუნდება: „აი, ამგვარად, ჟამიდან ჟამზე, იცვიდება ადამიანის ბუნება. ჩვენი რომანტიკური დიდებები რესტავრაციის ხანისა, ჩვენადეებები...“ — არა, არ მოსწონს ეს ადგილი არ ვარგაი „რესტავრაციის ხანის მგზნებარე და რომანტიკურ მეოცნებე ქადებს მოსდევენ იმპერიის სიცოცხლით სავსე ქმნიდებანი, ტკობის სიკეთეში დარწმუნებუდნი; და აი, ჩნდება არსება, რომელიც კვდავ ცვიდს ამ დასაბამიერ ქადურს, არსება...“ — ისევ იქით გადადებს კადამს, ჩაფიქრდება, მერმე მიუმატებს — „ნატიფი“, წაშდის ამ სილყვას და მის მაგიერ ჩაწერს: „რაფინირებული და ავადმყოფური“.

ბოდოს და ბოდოს იპოვა ზუსტი დახასიათება. ოდონდ ხომ არ გადააჭარბა? ცოცხადი მოდელი (ან მოდედები) ვაითუ შეურაცხყოფიდი დარჩეს. ისევ წაშდის და დაწერს: „არსება სუდიერებრივი“. არ ეჭაშნიკება ეს გაცვეთიდი სილყვა. სხვაგვარად სინჯაფს; რთუდი გრძნობების მქონე არსება...“ ამოკდებს ფრაზას; „ვნებიანობაგაუმჟღავნებელი...“ თითქოს მიაგნო საჭირთ



